



ახალი უმაღლესი სწავლებელი  
NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

**დიპლომატია და საგარეო**

ISSN 2449-2655

**№2(5)2018**

International Scientific Peer-Reviewed Journal

**Diplomacy and Law**



გამომცემლობა „უნივერსალი“

საქართველო, თბილისი 2018

Georgia, Tbilisi 2018

UDC (უაკ) 327+341.7

ჟურნალ „ლიკლომატია და სამართლის“ სარედაქციო საბჭო:

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი რედაქტორი**

**თამარ გარდაფხაძე** – სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული პროფესორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რედაქტორი**

**დავით გეფერიძე** – სამართლის დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

**სარედაქციო საბჭოს წევრები:**

**გორ დერციანი** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, „მხითარ გომის“ სახელობის სომხეთის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი;

**ანა ანტჩაკ-ბარზანი** – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფინანსებისა და მენეჯმენტის ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე;

**ანატოლი ფრანცუზი** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, კიევის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის სამართლის დისციპლინების კათედრის გამგე;

**მამუკა მდინარაძე** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი;

**კახი ყურაშვილი** – სამართლის დოქტორი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**სერგი კაპანაძე** – საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ავთანდილ ხაზალია** – სამართლის დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**ანნა მარუაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

**ქეთევან ჯიჯეიშვილი** – პოლიტიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**მანანა ნანიტაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;

**ლალი გარდაფხაძე** – განათლების დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული პროფესორი.

**ქართული ტექსტის კორექტორი – ვალერი კვანტრიშვილი**, ფილოლოგიის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული პროფესორი

**ინგლისური ტექსტის კორექტორი – სოფიო მორალიშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

ISSN 2449-2655

© ახალი უმაღლესი სასწავლებელი, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



UDC (ჯპკ) 327+341.7

Editorial Board of the journal *Diplomacy and Law*

**Editor-in-Chief**

**Tamar Gardapkhadze** – Doctor of Law, Affiliated Professor at New Higher Education Institute, Academician of the Georgian Academy of Social Sciences, Rector of New Higher Education Institute

**Deputy Editor-in-Chief**

**David Geperidze** – Editor, Doctor of Law, Affiliated Professor at Gori State Teaching University, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Head of Scientific Research Centre at New Higher Education Institute

**Editorial Board Members**

**Gor Derdzian** – Doctor of Law, Professor, Vice Rector of Armenian-Russian International University “Mkhitar Gosh”

**Anna Antczak-Barzan** – Doctor of Philosophy, Professor, Head of the Department of International Relations at University of Finance and Management in Warsaw

**Anatoli Francuz** – Doctor of Law, Professor, Head of the Department of Law at Kiev University of Economics and Law

**Mamuka Mdinardze** – Doctor of Law, Professor, Member of the Parliament of Georgia

**Kakhi Qurashvili** – Doctor of Law, Affiliated Professor at New Vision University

**Sergi Kapanadze** – Doctor of International Relations, Professor, Illia State University

**Avtandil Khazalia** – Doctor of Law, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Affiliated Professor at Sokhumi State University

**Anna Maruashvili** – Doctor of Economics, Affiliated Professor at New Higher Education Institute, Vice Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

**Ketevan Jijeishvili** – Doctor of Politics, Affiliated Professor at Georgian Technical University, Head of the program of International Relations of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

**Manana Nanitashvili** – Doctor of Economics, Head of the program of Business Administration at New Higher Education Institute

**Lali Gardapkhadze** – Doctor of Education, Affiliated Professor at New Higher Education Institute

**Georgian language Editor** – **Valeri Kvantrishvili**, Doctor of Philology, Affiliated Professor at New Higher Education Institute

**English language Translation** – **Sophio Moralishvili**, Doctor of Philological Sciences, Affiliated Professor at Tbilisi Open Teaching University

ISSN 2449-2655

© New Higher Education Institute, 2018

Publishing House “UNIVERSAL”, 2018

4, A. Polictkovskaia., 0186, Tbilisi, Georgia ☎: 5(99) 33 52 02; 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

აკრძალულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „დიპლომატია და სამართალი“ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება სარედაქციო საბჭოს წერილობითი ნებართვის და წყაროს მითითების გარეშე.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და არ წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის პოზიციას ან პოლიტიკას.



*The opinions expressed in this publication are those of the author and do not necessarily reflect views or policies of the International Scientific Journal “Diplomacy and Law”.*

*No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording, or dissemination without prior written permission of the editorial board or without citing the source.*

დამფუძნებელი – ახალი უმაღლესი სასწავლებელი [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

თანადამფუძნებლები:

ვარშავის ფინანსებისა და მართვის უნივერსიტეტი [vizja.pl](http://vizja.pl)

საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია [sua.ge](http://sua.ge)

საერთაშორისო სამართლის ასოციაცია [intlaw.ge](http://intlaw.ge)

Founder – New Higher Education Insitute [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

Co-founders:

University of Finance and Management of Warsaw [vizja.pl](http://vizja.pl)

Association of Georgian Universitis [sua.ge](http://sua.ge)

Association of International Law [intlaw.ge](http://intlaw.ge)



# სარჩევი

## სამართლისა და სამართაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ია ხარაზი.....	9
საზღვარგარეთის ქვეყნების საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)	
<b>Ia Kharazi</b>	
<i>Some Legal Aspects of the Foreign Countries Income Tax (Comparative – legal analysis)</i>	
დავით ხობელია .....	21
ადმინისტრაციული იუსტიცია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში	
<b>Davit Khobelia</b>	
<i>Administrative Justice in the Anglo-American Legal System</i>	
ია ხარაზი, ნინო მატარაძე, მარიამ ამბროლაძე .....	27
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები „თეორიული და პრაქტიკული ანალიზი“	
<b>Ia Kharazi, Mariam Ambroladze, Nino Mataradze</b>	
<i>Microfinance Organization Legal Regulation Aspects Theoretical and Practical Analysis</i>	
ასმათ გუგავა, ლალი აბრამიშვილი .....	43
ქორწინების გარეშე და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა	
<b>Asmat Gugava, Lali Abramishvili</b>	
<i>Legal Status of Illegitimate Children and Born through Artificial Insemination</i>	
ია ხარაზი, ბექა ექონია .....	50
ფულადი ვალდებულების წარმოშობა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მიხედვით და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები	
<b>Ia Kharazi, Beka Ekonia</b>	
<i>Monetary Obligation Arising According to the Civil Code Article 389 and Related Legal Problems</i>	
ია ხარაზი, მარი კილავა .....	63
წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები	
<b>Ia Kharazi, Mari Kilava</b>	
<i>The Legal Aspects of Damages Caused by Defective Product</i>	

ნიკა დუდაშვილი.....	76
კონსტიტუციის განმარტების ფარგლები	
<b>Nika Dudashvili</b>	
<i>Constitution Definition Frames</i>	
ზვიადი გოგრიჭიანი .....	83
უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)	
<b>Zviad Gogrichiani</b>	
<i>Legalization of the Illicit Income (Money Laundering)</i>	
თეა ამნიაშვილი .....	95
ტრანსფორმაციის გამონვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში	
<b>Tea Amniashvili</b>	
<i>Transformation Challenges in Eastern European Countries</i>	
ედიშერ გვენეტაძე.....	104
კომუნისტური ნომენკლატურა და საბჭოთა კავშირის დაშლის ზოგიერთი საკითხი	
<b>Edisher Gvenetadze</b>	
<i>Communist Nomenclature and Some Issues of the Soviet Union Collapse</i>	
გიორგი ჩხიკვიშვილი, ლია ხარჩილავა .....	110
აშშ-ისრაელის თანამედროვე ურთიერთობები	
<b>Giorgi Chkhikvishvili, Lia Kharchilava</b>	
<i>US – ISRAEL Modern Relationships</i>	
ქეთი ჯიჯეიშვილი, პაპუნა მაჩაიძე .....	120
პრეზიდენტის ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი გერმანიასა და საქართველოში	
<b>Keti Jijeishvili, Papuna Machaidze</b>	
<i>Comparative Analysis of Presidential Institute in Germany and Georgia</i>	
ქეთევან კვიციანი .....	129
ქალთა უფლებების ცალკეული თავისებურებანი ისლამურ სამართალში	
<b>Ketevan Kvitsaridze</b>	
<i>Individual Peculiarities of Women’s Rights in Islamic Law</i>	
თამარ კოპალეიშვილი .....	137
ქალთა ტერორიზმის ფენომენი და მისი ინტერპრეტაციის პრობლემები საზოგადოებაში	
<b>Tamar Kopaleishvili</b>	
<i>The Phenomenon of Women’s Terrorism and the Problems of its Interpretation in Society</i>	



**ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების  
მიმართულება**

**მარინა ლუარსაბიშვილი** ..... 143  
 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ფუნქციები და წესები  
**Marina Luarsabishvili**  
*Functions and Rules of Financial and Management Accounting*

**აირატ იზმაილოვი, დინარა გილმანოვა** ..... 151  
 საჯარო სააქციო საზოგადოება „კუზნეცოვის“ საქმიანობის ანალიზი  
**Candidate of Economic Sciences, Gilmanova Dinara Rakhimzhanovna**  
*Analysis of the Activities of PJSC “KUZNETSOV»*

**ასმათ შამუგია** ..... 154  
 ქოუჩინგის როლი HR გუნდის განვითარებისთვის  
**Asmat Shamugia**  
*The Role Of Coaching For The Development of HR Team*

**კინდაევი ალექსანდრე**..... 165  
 სასოფლო-სამეურნეო და ზღვევის რისკების მოდელის შექმნის თავისებურებები  
**Alexander Kindaev**  
*Features of Building a Risk Model in Agricultural Insurance*

**ვასილ ლიპარტელიანი, მურად ფახურიძე** ..... 170  
 მარკეტინგის არსი და მნიშვნელობა სპორტული ორგანიზაციების მენეჯმენტში  
**Vasil Liparteliani, Murad Pakhuridze**  
*Concept and Importance of Marketing in Sport Organizations Management*

**გულნარა იმედაშვილი, დავით გეფერიძე**..... 174  
 თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის პრობლემებისა და  
 პერსპექტივების ანალიზი  
**Gulnara Imedashvili, Davit Geperidze**  
*Analysis of Modern International Air Transport Problems and Perspectives*

**ჰუმანიტარული მეცნიერებების  
მიმართულება**

**გიორგი კალანდია** ..... 181  
 ტიუდორების სამეფო კანცელარიის დოკუმენტები საქართველოს შესახებ  
**Giorgi Kalandia**  
*Documents of the Tudors' Royal Chancellery about Georgia*

ივანე სეხნიაშვილი.....	188
აზრის გამოხატვის თავისუფლება თანამედროვე მედიაში	
<b>Ivane Sekhniashvili</b>	
<i>Freedom of Expression in Contemporary Media</i>	
თეა ლორთქიფანიძე .....	195
სახელმწიფო ენის შესწავლიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე	
<b>Tea Lortkipanidze</b>	
<i>From State Language Learning to Civil Integration</i>	
როინ რეხვიაშვილი.....	199
გაბრიელ ქიქოძე აზროვნების ფორმებისა და კანტის აპრიორიზმის შესახებ	
<b>Roin Rekhviashvili</b>	
<i>Gabriel Kikodze about Forming Thoughts and Kant's Apriorism</i>	
ხათუნა შტააძე, ლანა კიკნაძე.....	211
მასმედია საზოგადოებასა და პოლიტიკაში	
<b>Khatuna Staadze, Lana Kiknadze</b>	
<i>The Mass Media in Society and in Politics</i>	





## სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ია ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

### საზღვარგარეთის ქვეყნების საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

#### ანოტაცია

სტატიაში საუბარია საზღვარგარეთის ქვეყნების საშემოსავლო გადასახადზე, მათი დადგენის შემოღებასა და სამართლებრივ საფუძვლებზე. ნაშრომში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა საზღვარგარეთის წამყვანი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საშემოსავლო გადასახადების არსი და მნიშვნელობა, გვეჩვენებინა თანამედროვე მოთხოვნებზე სწორად გათვლილი საგადასახადო კანონმდებლობის, სწორი სამთავრობო პოლიტიკის გატარებით და საგადასახადო ლიბერალიზაციით ქვეყნის ბიზნესზე და საბოლოოდ მოსახლეობის დიდ ნაწილზე მორგებული ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებით ქვეყნის სწორი ფისკალური პოლიტიკის გატარების მნიშვნელობა სოციალური პროგრამის გასატარებლად. პროგრესული საშემოსავლო გადასახადები სოციალური ინჟინერიის ხელშემწყობი კიდევ ერთი მცდელობაა, რომელიც იმაზეა გათვლილი, რომ შემცირდეს მდიდრებსა და ლარიბებს შორის არსებული უფსკრული. ზოგი მთავრობა შელავათს უწევს ბავშვიან ოჯახებს ან მათ, ვინც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და ა. შ.

სტატიაში, საზღვარგარეთის საშემოსავლო გადასახადები, ნაკვლევია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან კავშირში.

## **SOME LEGAL ASPECTS OF THE FOREIGN COUNTRIES INCOME TAX (Comparative – legal analysis)**

### **Abstract**

The article is about foreign countries income tax, about its establishing, introducing and legal basis. In the present work we tried to analyze the essence and meaning of the foreign leading countries income taxes, which is established by the tax legislation, to show correctly calculated modern requirements of tax legislation, of how it is important to elaborate liberal tax legislation adapted to countries business and finally large part of the population, the correct fiscal policy that plays an important role in implementation social program. Progressive income tax for supporting social engineering is one more attempt to reduce the existing gap between the rich and poor. Some government benefits families with many children or those who make charity activities, etc.

In the article foreign income taxes are researched in connection with the tax legislation of Georgia.

## **საზღვარგარეთის ქვეყნების საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტის შესახებ (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)**

თანამედროვე მოთხოვნებზე სწორად გათვლილი საგადასახადო კანონმდებლობა სწორი სამთავრობო პოლიტიკის გატარებით და საგადასახადო ლიბერალიზაციით ქვეყნის ბიზნესზე და საბოლოოდ მოსახლეობის დიდ ნაწილზე მორგებული ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავების კარგ შესაძლებლობას იძლევა. როგორც ხატონად აღნიშნავენ სპეციალისტები „საგადასახადო კანონმდებლობა „ჯადოსნური სარკეა“, სადაც კარგად ჩანს ხელისუფლების მიერ ქვეყნის მართვის უნარი, სტრატეგიული ხედვა, სულისკვეთება, ფასეულობისადმი დამოკიდებულება, მემარჯვენე, დასავლური, თუ ნებისმიერი ორიენტაცია. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ყოველი მორიგი საჭეთმპყრობელი მიზანგანზრახულობათა რეალიზაციას დაბეგვრის მექანიზმების მორგებით ცდილობს<sup>1</sup>.

მსოფლიოს ძირითადი ქვეყნების მთავრობების კეთილი ნებაა ქვეყნის მოსახლეობაზე მორგებული ფიზიკური პირების გადასახადი – საშემოსავლო გადასახადი, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იხდის, პირდაპირი გადასახადია.

გადასახადები ცივილიზებული საზოგადოების არსებობის ძირითადი საფასურია, ამიტომ ეგუებიან მას გადასახადების გადამხდელები. ერთი კი ცხადია, ისინი თვლიან, რომ გადასახადები მაღალია. გადასახადები საერთოდ წესდება სოციალური პროგრამის გასატარებლად, მაგალითად, გარემოს დაცვისთვის. ჟურნალ „ინვაირონმენტლ მეგეზინში“ ნათქვამია: „ბოლო ხანებში დასავლეთ ევროპის ცხრა ქვეყანაში შემოიღეს სპეციალური გადასახადი გარემოს დაცვისთვის. ეს გადასახადი ძირითადად ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად გამოიზნული“. პროგრესუ-

<sup>1</sup> ი. პაპასქუა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, <http://iverioni.com.ge/>

ლი საშემოსავლო გადასახადები, სოციალური ინჟინერიის ხელშემწყობი კიდევ ერთი მცდელობაა, რომელიც იმაზეა გათვლილი, რომ შემცირდეს მდიდრებსა და ლარიბებს შორის არსებული უფსკრული. ზოგი მთავრობა შელავათს უწევს ბავშვიან ოჯახებს ან მათ, ვინც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა<sup>1</sup>.

უდავო ქვეყნებია, რომ გადასახადებს გარკვეული სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის. დიდი ბრიტანეთის შიდა საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთი მოხელის ფრთიანი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „არავის სიამოვნებს საშემოსავლო გადასახადების გადახდა, მაგრამ ცოტა თუ იტყოდა იმას, რომ მათ გარეშე უკეთესად ვიცხოვრებდით“.

„ყველა ქვეყნის საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით, გადასახადის სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი. საგადასახადო შელავათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.“

როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ისე „საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო ნორმები, უპირველეს ყოვლისა, ამყარებენ სხვადასხვა პრინციპებს, მათ შორის ისეთ პრინციპებს, რომლებზეც ფუძნდება საგადასახადო დაბეგვრის სისტემა. სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტების აზრით, კონსტიტუცია განისაზღვრება, როგორც საგადასახადო სამართლის ძირითად აქტი, – ნერს კოზირინი“<sup>2</sup>.

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კონსტიტუციებით განერილი და საგადასახადო კანონმდებლობებით დადგენილი გადასახადების გარეშე წარმოუდგენელია ძლიერი საფინანსო ბერკეტების შექმნა, რამეთუ გადასახადი სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროა. სახელმწიფოები კი ფინანსური რესურსების გარეშე, ბუნებრივია, ვერ იარსებებს. კანონით დადგენილი გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულება სხვადასხვა ქვეყნებში უზრუნველყოფილია ეფექტიანი და მოქნილი საგადასახადო კონტროლის პროცედურებით, შესაბამისი გადახდის კულტურისა და პასუხისმგებლობის დანესებით<sup>3</sup>.

თანამედროვე რეალობით კი, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში სამხედრო და სხვა მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ვალდებულებათა რანგშია აყვანილი გადასახადების გადახდის ვალდებულება. გადასახადების გადამხდელის ვალდებულებებზე მიუთითებს ის, რომ შესაბამისი ნორმები უპირატესად გათვალისწინებულია კონსტიტუციების განყოფილებებსა და თავებში, რაც განაპირობებს ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივ სტატუსს. მაგალითად, ბელორუსიის რესპუბლიკის კონსტიტუციის II განყოფილებაში – „პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო“, ყაზახეთის კონსტიტუციის II განყოფილებაში – „ადამიანი და მოქალაქე“, ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის III განყოფილებაში – „მოქალაქის უფლებები და ვალდებულებები“, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის თავი IV – „მოქალაქის ძირითადი ვალდებულებები“, სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თავი II – „ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, იაპონიის კონსტიტუციის თავი III – „ხალხის უფლებები და ვალდებულებები“. მხოლოდ ცალკეულ კონსტიტუციებში შესაბამისი მუხლები განთავსებულია სხვაგვარად. საქართველოს კონსტიტუციაში ასეთი არის მეექვსე თავი – „სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „გადასახადები ცივილიზებული საზოგადოების საფასური?“, <https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102003882#h=3>

<sup>2</sup> Козырин А.Н. Налоговое право зарубежных стран. Вопросы теории и практики, М, 1993. <http://www.twirpx.com/file/728273/>, 68.

<sup>3</sup> ი. ხარაზი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო საქმისა და საგადასახადო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და პრაქტიკა“, №1/16, 68.

<sup>4</sup> ი. ხარაზი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო საქმისა და საგადასახადო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და პრაქტიკა“, №1/16, 69.

გადასახადების დაწესების ფორმა დგინდება ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს შეაქვს. მეორე ადგილზე სოციალური გადასახადებია, შემდეგ არაპირდაპირი გადასახადები (დღგ, აქციზი და ა.შ.) და პირდაპირი გადასახადები (მოგებისა და ქონების). საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური ფუნქციის გარდა, წარმატებით უნდა ახორციელებდეს ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ ფუნქციებს. საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებში საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს წამყვანი როლი ენიჭებათ, თუმცა ადგილობრივი გადასახადების როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნებში ამკარად განსხვავებულია (მაგ. აშშ და ნორვეგია)<sup>1</sup>.

მთავრობებს უზარმაზარ თანხებზე უჯდება მოსახლეობის უზრუნველყოფა აუცილებელი მომსახურებით. საფრანგეთში, მაგალითად, ყოველი მეოთხე ადამიანი სახელმწიფო სექტორში მუშაობს. ესენი არიან მასწავლებლები, ფოსტის მუშაკები, მუზეუმებისა და საავადმყოფოების პერსონალი, პოლიციის თანამშრომლები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე პირები. გადასახადები აუცილებელია მათთვის ხელფასების მისაცემად. გადასახადების ხარჯზე ხდება აგრეთვე გზების გაყვანა, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა და ისეთი მომსახურებებით უზრუნველყოფა, როგორცაა, ნაგვის გატანა და ფოსტის დატარება<sup>2</sup>.

გადასახადების არსებობის კიდევ ერთი მიზეზი შეიარაღებული ძალების დაფინანსებაა. საშემოსავლო გადასახადი პირველად დაეკისრათ შეძლებულ ბრიტანელებს საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ომის მხარდასაჭერად. ეს იყო 1799 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს კი დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მუშათა კლასსაც მოსთხოვა საშემოსავლო გადასახადის გადახდა. დღესაც, შეიარაღებული ძალების დაფინანსება, თუნდაც მშვიდობიან დროს, ძალიან ძვირი ჯდება. სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის შეფასების თანახმად, 2000 წელს მსოფლიო მასშტაბით განეულმა სამხედრო ხარჯებმა თითქმის 798 მილიარდი დოლარი შეადგინა<sup>3</sup>.

გადასახადით დაბეგვრის ბაზა შედგება ფიზიკური პირის მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავლისაგან. ტრადიციულად გადასახადით დასაბეგრი ბაზა მოიცავს ხელფასს, პენსიას, შემოსავლებს ეკონომიკური საქმიანობიდან, აგრეთვე შემოსავლებს უძრავი ქონების გამოყენებიდან. ამასთან, გადასახადით დასაბეგრი სხვა სახის შემოსავლების განსაზღვრასთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნებში არსებობს მთელი რიგი განსხვავებული მიდგომები. მაგალითად, ირლანდიაში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავლის განსაზღვრისას, ხელფასის გარდა მხედველობაში მიიღება პრემიის ან სარგებლის სახით მიღებული შემოსავლებიც. უმეტესი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ფინეთში დივიდენდები, საბანკო ანაბრებიდან და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტები გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება. ბელგიაში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთსა და ფინეთში დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებული განაცემები გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, ხოლო ირლანდიაში, ავსტრიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში ასეთი განაცემები გადასახადით დასაბეგრი ბაზის გან-

<sup>1</sup> საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის პროპორციული მეთოდი ანტისოციალურია. შემოსაღებია დაბეგვრის პროგრესული ვარიანტი, გაზეთი „რეზონანსი“, განცხადება 21.07.2010; <http://resonancedaily.com/index.php?opt=opn&id=artc=3031>

<sup>2</sup> ი. ხარაზი, საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა, თბ., 2017, გვ. 82.

<sup>3</sup> „გადასახადები ცივილიზებული საზოგადოების საფასური?“, <https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102003-882#h=3>

საზღვრისას მხედველობაში არ მიიღება<sup>1</sup>.

**ესტონეთში**, მაგალითად, საგადასახადო ტვირთი ცოტათი ნაკლებია ევროკავშირთან შედარებით, მაგრამ გაცილებით მაღალი და მძიმეა, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, იქ შრომის ანაზღაურების დაბეგვრა და აქციზზე გადასახადი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროკავშირში. შედარებისათვის: თუ საქართველოში ხელფასი და სხვა სარგებელი იბეგრება 20%-ით, ესტონეთში მოქმედებს სოციალური გადასახადი (33%), უმუშევრობის გადასახადი (0,5%) და, ცხადია, საშემოსავლო გადასახადი (22%), რაც ჯამში 55, 5%-ს შეადგენს. საქართველოში დივიდენდზე საშემოსავლო გადასახადი 5%-ია, ესტონეთში კი – 4,2-ჯერ მეტი (21%). ესტონეთში გაუქმებულია ქონების ანდერძით გადაცემის გადასახად<sup>2</sup>, არც გადარიცხვებზე მოქმედებს დაბეგვრა და არც ფინანსურ ტრანზაქციებზე, როგორც ეს არის, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OTCD) სხვა ქვეყნებში.

„ყველა ნორმალურ ქვეყანაში საგადასახადო სისტემის რეფორმის ძირითად მიმართულებად საშემოსავლო გადასახადისა და სანარმოთა მოგების გადასახადის სისტემების ლიბერალიზაცია გვევლინება საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შემცირების გზით. მაგ. **აშშ-ში** საშემოსავლო გადასახადის 14 თანრიგის სექტორის ნაცვლად შემოღებული იქნა 4 თანრიგი და ა.შ. მოგების გადასახადი (კომერციული) მაქსიმალური განაკვეთი 46%-დან შემცირდა 39%-მდე. დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმა განხორციელდა დევიზით – „დაბალი გადასახადები ქმნიან ეფექტურ ეკონომიკას.“ საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი ყველაზე მაღალ შემოსავალზე 98%-დან შემცირდა 60%-მდე, ხოლო კორპორატიული გადასახადი 52%-დან 35%-მდე<sup>3</sup>.

**გერმანიის** საგადასახადო რეფორმის ძირითად მიმართულებას საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ტვირთის შემცირება წარმოადგენდა მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავდათ არასრულწლოვანი ბავშვები.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთაც იყო საუბარი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი დაწესებულია ევროპის ყველა ქვეყანაში, კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან გამომდინარე.

„ყველა განვითარებულ თუ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოებრივი აზროვნება მაღალ დონეზეა, საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის განაკვეთები, როგორც წესი, აგებულია რთული პროგრესიით და მერყეობს 0,1-დან 53%-მდე, სხვადასხვა ვარიანტებით, შეღავათებით, დაუბეგრავი მინიმუმით და ა.შ. ამასთან, უმრავლეს ქვეყნებში იბეგრება ყოველი ცალკეული გადამხდელი; ზოგან, მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში იბეგრება ოჯახური წყვილი, რომელიც ავსებს ერთობლივ საგადასახადო დეკლარაციას.

გადასახადების დაბეგვრის თეორიაში სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საგადასახადო განაკვეთების სახეობა: გადასახადის თანხის საშუალებიდან გამომდინარე – თანაბარი, მყარი, პროცენტული; განაკვეთების ცვლილებების ხარისხიდან გამომდინარე – საერთო, დაბალი, მაღალი; საგადასახადო ბაზის ცვლილებებიდან გამომდინარე – პროპორციული, პროგრესული და რეგრესული.

პროპორციული დაბეგვრისას თითოეული გადასახადის გადამხდელისათვის თანაბარია გადასახადის განაკვეთი (პროცენტი) და არა თანხა. იგი არ იცვლება გადასახადის დასაბეგრი მოცულო-

1 ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, ნიგნი მესამე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, გვ. 99.

2 შეად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის ქვეპუნქტი.

3 საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის პროპორციული მეთოდი ანტისოციალურია. შემოსაღებია დაბეგვრის პროგრესული ვარიანტი, გაზეთი „რეზონანსი“, განცხადება 21. 07. 2010. <http://resonancedaily.com/index.php?opt=opn&id=artc=3031>

ბის ცვლილებებისას, ე.ი. განაკვეთის პროცენტი ფიქსირებულია, ერთია ყველასათვის<sup>1</sup>. დაბეგვრის პროგრესული მეთოდის საპირისპიროდ არსებობს რეგრესული მეთოდი, რომლის დროსაც საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად წარმოებს გადასახადის განაკვეთის შემცირება. ეკონომიკური თვალსაზრისით რეგრესულს წარმოადგენენ არაპირდაპირი გადასახადები დღგ, აქციზი, რომლებიც დგინდება საქონლის ფასზე დანამატის სახით.<sup>2</sup>

საშემოსავლო გადასახადის გადახდა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე ხდება.

საგადასახადო სისტემები სხვადასხვა ქვეყანაში ერთიმეორისგან განსხვავდება. ერთი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილშიც კი ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადები შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს.

„OECD Observer“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში მკითხველებს შეახსენებენ, რომ ყველაფერი ძირითადი საშემოსავლო გადასახადით არ განისაზღვრება. სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია: „თითოეული გადამხდელის გადასახადზე შეღავათებიც ახდენს გავლენას“. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დაბალია, მაგრამ ეს გადამხდელების მდგომარეობას მაინცდამაინც არ ამსუბუქებს, რადგან საგადასახადო კანონმდებლობა „ნაკლებად ითვალისწინებს ძირითად საგადასახადო შეღავათებს“. შედეგად ადამიანმა შეიძლება უფრო მეტი იხადოს, ვიდრე იმ ქვეყანაში, სადაც საგადასახადო განაკვეთი შედარებით მაღალია, მაგრამ გაცილებით მეტი შეღავათი არსებობს.

**აშშ-ში** მცხოვრებთაგან ზოგი ფიქრობს გადასვლას ისეთ შტატებში, სადაც შემოსავალი არ იბეგრება. საინტერესოა, იზოგება ამით ფული? როგორც „კიპლინგერზ პერსონალ ფაინანსშია“ ნათქვამი, არა. იქ წერია: „ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ რამდენიმე შტატში, სადაც მოსახლეობა არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, თანხის ანაზღაურება ხდება იმის ხარჯზე, რომ გაზრდილია ქონებრივი გადასახადი, ბრუნვის გადასახადი და ა. შ.“<sup>3</sup>.

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა მსოფლიო საგადასახადო სისტემებს შორის ყველაზე რთულ სისტემად ითვლება. აქ გადასახადების სამი სახე არსებობს:

ფედერალური გადასახადები (ფედერალურ დონეზე დგინდება);

დონის გადასახადი დგინდება ცალკეული შტატების მიერ;

დონედ ითვლება ქალაქის, ოლქის ან რაიონის ადგილობრივი გადასახადები.

ფედერალური გადასახადები მთელი ქვეყნისათვის ერთიანია და ერთნაირად ამოიღება. რაც შეეხება ადგილობრივ და შტატის გადასახადებს, ისინი შედარებით განსხვავებულია ერთმანეთისაგან და ზოგ ერთეულში არც კი არსებობს. „ამერიკის შეერთებული შტატების პრიორიტეტს პირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ. დღეისათვის აშშ ფედერალურ საგადასახადო სისტემაში ძირითადი საშემოსავლო გადასახადია. სადღეისოდ პირდაპირ გადასახადებში 40%-ზე მეტი ფედერალური საშემოსავლო გადასახადზე მოდის, რომელიც ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა“<sup>4</sup>. საშემოსავლო გადასახადი იკრიფება პროგრესული განაკვეთებით, ანუ იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. ამასთან, თუ შემოსავალი აღემატება გარკვეულ დონეს, მოქმედებს რეგრესული დაბეგვრის სისტემა“<sup>5</sup>.

აშშ-ში არსებობს საშემოსავლო ანგარიშის განაცხადის შეტანის ორი სისტემა. ყველაზე გავრცელებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსება წინა წლის კალენდარული წლის პრინციპით.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „გადასახადები ცივილიზებული საზოგადოების საფასური?“, <https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102003882#h=3>

<sup>4</sup> ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, გვ. 103.

<sup>5</sup> ზ. როგავა, დასახ. ნაშრ. 104.



ამ შემთხვევაში Income Tax Return ანუ საგადასახადო დეკლარაცია IRS-ში უნდა იქნას გაგზავნილი არა უგვიანეს 4 თვისა და 15 დღის ფინანსური წლის დამთავრების მომენტიდან (ფინანსური წელი მთავრდება 30 სექტემბერს). დაგვიანების შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა (Failure-to-file penalty). ეს არის 5% ჯამური გადასახადიდან ყოველ გადაცდენილ<sup>1</sup> თვეზე, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს მის 25%-ზე მეტი. საგადასახადო დეკლარაციის გაგზავნა შესაძლებელია წერილით, ასევე მისი შევსება შეიძლება ინტერნეტით. საგადასახადო დეკლარაციის ასლი ინახება სამი წელი, თუ თქვენ დაქირავებული მუშაკი ხართ და შვიდი წელი თუ ფლობთ საკუთარ ბიზნესს.<sup>2</sup>

**კანადის მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი.** ფიზიკური პირების შემოსავლებზე ფედერალური და პროვინციული გადასახადი გადაიხდებიან უშუალოდ ფიზიკური პირების მიერ ან არაკომერციული ბიზნესის მიერ წელიწადში ერთხელ მისი ერთობლივი შემოსავლიდან. თუკი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალს გამოაკლდება გასაველები, დაკავშირებული ამ შემოსავლის მიღებასთან, მაშინ დარჩება შემოსავალი, როგორც საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი. კანონით განსაზღვრული გამოქვითვის განხორციელებით, მივიღებთ დასაბეგრ შემოსავალს. შემოსავალი კლასიფიცირდება ექვსი პოზიციით:

- გამომუშავებული გადახდები;
- ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;
- იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები;
- ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი, პროცენტები, დივიდენდები;
- კაპიტალის გაზრდა;
- სხვა შემოსავლები, მათ შორის პენსიების, დოტაციების ჩათვლით და ა. შ.

შემოსავლიდან გამოიქვითება საპენსიო ფონდში შენატანები; პროფკავშირული შენატანები და სანევრო შენატანები ასოციაციებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; ბავშვების შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები; ხარჯები დაკავშირებული ინვესტიციებთან, სასამართლოების ბაჟის გადახდასთან; განვლილი წლების დანაკარგები.

ამ პრინციპით, კანადის საგადასახადო სისტემა საშემოსავლო გადასახადის კუთხით აგებულია შემოსავლების დაბეგვრაზე, მიუხედავად კაპიტალის სიდიდისა, ჩადების ფორმისა და ასევე, მიუხედავად შემოსავლების სიდიდისა<sup>3</sup>.

**გერმანიის საშემოსავლო გადასახადი.** გერმანიაში ხორციელდება საგადასახადო რეფორმა, რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, საბაზრო მექანიზმების აქტიურობა. რეფორმის ამოცანაა, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება (საგადასახადო ლიბერალიზაცია), მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა, თვითდაფინანსების ზრდა, მცირე ბიზნესის ნახალისება, სამომხმარებლო ზრდის სტიმულირება.

საშემოსავლო გადასახადი განსხვავებულია გადამხდელის სპეციფიკურობით იმ ჯგუფისგან, რომელიც დაკავშირებულია მთელ რიგ ფაქტორებთან (მაგალითად, დაუქორწინებელი, დაქორწინებულები, ორივე მუშაობს და სხვა.). სამუშაოს მიმცემი ყოველი დასაქმებულისათვის აწარმოებს საგადასახადო ბარათს. საგადასახადო წლის დამთავრების შემდეგ კორექტირდება გადასახდელი თანხები. ფიზიკური პირები ასევე იხდიან **შენატანებს სოციალურ ფონდებში**, რომლებიც განისაზღვრებიან პროცენტულად გამომუშავებული თანხის ფონდთან მიმართებაში, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული ხელფასის ოდენობის ზღვრამდე, რომლის მიღწევის შემდეგ კი ისინი ხდებიან მუდმივი<sup>4</sup>.

გერმანიაში დადგენილია არასტანდარტული გამოქვითვები პროფესიული კავშირების შენატა-

<sup>1</sup> საქართველოში ყოველ გადაცდენილ დღეზე 0, 05%-ია.  
<sup>2</sup> აშშ-ის საგადასახადო სისტემა, 2017 წლის 26 მაისი, <https://nygeorgian.info/2017/03/26/sagadasaxado-sistema-amerikashi/>.  
<sup>3</sup> **Попова, Людмила Владимировна** Налоговые системы зарубежных стран: учебно-методическое пособие / Л.В. Попова, И.А. Дрожжина, Б.Г. Маслов.- М.: Дело и Сервис, 2008., 105.  
<sup>4</sup> იქვე.

## ლიკლომატია და სამართალი

ნების, საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების, ძირითადი სამედიცინო ხარჯების, სესხზე ან სახლის შესაძენად აღებულ კრედიტზე გადასახდელი პროცენტების, საქველმოქმედო მიზნებით განეული ხარჯების და ა. შ. მიმართ. მაგ. გფრ-ში<sup>1</sup> პროფესიული კავშირების საწევრო შენატანები მთლიანად კომპენსირდება საგადასახადო გამოქვითვებით.

საგადასახადო გამოქვითვები გერმანიაში შეიძლება შეეხოს ძირითად სამედიცინო ხარჯებსაც და იგი სრულად გამოიქვითება<sup>2</sup>.

გერმანიის ფედერალური მიწების კანონის საფუძველზე ეკლესიები უფლებამოსილნი არიან ამოიღონ საეკლესიო გადასახადები და განკარგონ თავისი ამოცანების შესასრულებლად. საეკლესიო გადასახადების საშემოსავლო გადასახადის ობიექტად ითვლება ძირითადად წლიური შემოსავალი, რომელიც მცირდება 300 ევროთი ბავშვებზე. საეკლესიო გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან ეკლესიაში მოსიარულე პირები ან კიდევ ეკლესიის მრევლი.

გერმანიის კონსტიტუციაში ინკორპორირებულია სუბსიდირების, ანუ დამატებითობის პრინციპი. პრინციპი შემდეგნაირად განიმარტება: სუბსიდირება, ანუ დამატებითობა გულისხმობს, რომ დიდი სოციალური ერთეული (სახელმწიფო) ავსებს შედარებით მცირე სოციალურ ერთეულს (საზოგადოებაზე, თემზე, ოჯახზე დაფუძნებული ერთეული) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მცირე ერთეულს არ შეუძლია დაეყრდნოს თავის საკუთარ რესურსს<sup>3</sup>.

**იაპონიის საგადასახადო სისტემა** განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რამეთუ მისი საგადასახადო სისტემა, როგორც ეკონომიკა მთლიანობაში, მოქნილობით და მაღალი ადაპტირებით ხასიათდება, მგრძნობიერად რეგულირებს ყველა მნიშვნელოვან ცვლილებაზე როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროებში. იაპონიის საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მომდინარეობს. თანამედროვე სახით იგი ფუნქციონირებს ომისშემდგომი პერიოდიდან, როცა საგადასახადო რეფორმების გატარება დაიწყო, რომელიც ცნობილია პროფესორ შოუჰის სახელით. იაპონიის საგადასახადო სისტემის საფუძველს ახლანდელ დროში წარმოადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები. ამასთანავე სახელმწიფო შემოსავლის 62%-ს იძლევა სახელმწიფო გადასახადები, ხოლო 38%-ს ადგილობრივი გადასახადები. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში მნიშვნელოვან წილს პირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება შემოსავლები იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან, გადასახადი ქონებიდან, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები და სხვა შემოსავლები. ყველაზე მაღალი შემოსავალი სახელმწიფოსათვის მოაქვს გადასახადებს იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან. იგი 50%-ით მეტია ყველა სხვა დანარჩენი შემოსავლებისაგან. ფიზიკური პირები იხდიან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს პროგრესული შკალით, რომელსაც აქვს ხუთი განაკვეთი.

<sup>1</sup> ანალოგიურად: იტალიაში, ესპანეთსა და ფინეთში; პორტუგალიაში, შვედეთსა და დანიაში ნაწილობრივი კომპენსაცია გათვალისწინებული; საფრანგეთში, ირლანდიაში, ბელგიასა და საბერძნეთში გამოქვითვები პროფესიული კავშირების საწევრო შენატანების თანხებზე არ ვრცელდება.

<sup>2</sup> იმავე მოდელს ვხვდებით საბერძნეთშიც. ფინეთში კი კანონით განისაზღვრება სამედიცინო ხარჯების ზღვარი, რომლის ზემოთაც ხარჯი გამოქვითვას არ ექვემდებარება.

<sup>3</sup> **“Comparative Study of NGO/Government Partnerships”**, Caroline L. Newman, The International Journal of Not-for-Profit Law, Volume 2, Issue 3.



**იაპონიის საშემოსავლო გადასახადის პროგრესული შკალა<sup>1</sup>**

Совокупный годовой доход	Ставка, %
менее 3 млн иен	-
от 3 млн иен до 3,299 млн иен	10
от 3,3 млн до 8,299 млн иен	20
от 9 млн до 17,999 млн иен	30
от 18 млн до 29,999 млн иен	40
свыше 30 млн иен	50

გარდა ამისა, იაპონიაში არსებობს ასევე საპრეფექტურო საშემოსავლო გადასახადი სამი განაკვეთით: 5, 10 და 15%. ამის გარდა არსებობს ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადები. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ხელფასი, გამომუშავებული ანაზღაურება, შემოსავალი გლეხებისაგან, თავისუფალი პროფესიების პირები, უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, იჯარის თანხა, ასევე დივიდენდები, პროცენტები, პენსიები და სხვა. ყველა დასაბეგრი შემოსავალი იაპონიაში იყოფა კატეგორიებად:

- პროცენტები შენატანებზე;
- დივიდენდები;
- შემოსავლები უძრავი ქონებიდან;
- ხელფასი;
- მენარმეობიდან მიღებული შემოსავლები;
- გამოსასვლელი დახმარებები;
- პენსიები;
- შემთხვევითი შემოსავლები;
- ბონუსები;
- შერეული, სხვადასხვა სახის შემოსავლები;
- კაპიტალიდან შემოსავლები.

ძირითად საგადასახადო შეღავათებს, რომლებითაც სარგებლობენ საშუალო გადამხდელი პირები, ეწოდება „საბაზისო შეღავათი“ - მინიმალური შემოსავლის მქონე გადამხდელების შემოსავლის ტოლფასი 350 ათასი იენის (დაახლოებით 300 დოლარი) თანხის ფარგლებში, ოჯახის არამომუშავე წევრებისათვის ასევე – 350 ათასი იენის თანხა, სადაზღვევო გადასახადები, ბუნებრივი სტიქიური მოვლენებიდან გამომწვეული დანაკარგები და ა. შ. გარდა ამისა, შემოსავლის ასეთი სახეები, როგორც გამომუშავებული ანაზღაურება. პენსიები და სოციალური დაზღვევის განაცემები სარგებლობენ სპეციალური საგადასახადო გათავისუფლებით.

**ესპანეთის ფედერალური გადასახადები.** ესპანეთში საშემოსავლო გადასახადის ბაზა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში. გარდა გამომუშავებული ანაზღაურებისა, შემოსავლები მენარმეობიდან და პროფესიული საქმიანობიდან, კაპიტალის დივიდენდებიდან, მასში მოიაზრება ასევე პენსიები და უმუშევრობის დახმარება. არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით მხოლოდ დახმარებები ავადმყოფობის დროს, სახელმწიფო სტიპენდია, მოგებები ლატარიებში, ერთჯერადი დახმარებები, სამუშაოდან გათავისუფლებისას. საშემოსავლო გადასახადი

<sup>1</sup> იხ. **Попова, Людмила Владимировна** Налоговые системы зарубежных стран: учебно-методическое пособие / Л.В. Попова, И.А. Дрожжина, Б.Г. Маслов.- М.: Дело и Сервис, 2008, 132.

მოქალაქეებისაგან ამოიღება ინდივიდუალური მოქალაქეების ან კიდევ ოჯახების შემოსავლებიდან. გადასახადის გადახდის რიგითობის არჩევა ინდივიდუალურად ან ოჯახიდან გადასახადის გადახდელის არჩევით ხდება. ესპანელი რეზიდენტებისათვის მხედველობაში მიიღება ყველა შემოსავლის წყაროებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან, ხოლო არარეზიდენტები იბეგრებიან მხოლოდ ესპანეთში მიღებული შემოსავლებიდან.

ესპანელები აღრიცხავენ საშემოსავლო გადასახადს საგადასახადო დეკლარაციების შევსების საფუძველზე, რომელშიც შეიტანება ყველა სახის მონაცემები ყველა სახის შემოსავლებზე.

**იტალიის საშემოსავლო გადასახადი.** საშემოსავლო გადასახადი იტალიაში, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში სახელმწიფო შემოსავლების მთავარი წყაროა. საშემოსავლო გადასახადი გადაიხდეინება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისაგან. ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი ამოიღება როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირებისაგან, რომლებსაც შემოსავლის წყარო გააჩნიათ როგორც იტალიაში, ასევე საზღვარგარეთ. რეზიდენტები გადასახადს იხდიან მხოლოდ იტალიაში ყველა შემოსავლის წყაროდან. კერძო პირების ყველა შემოსავალი განურჩევლად წარმოშობის წყაროებისა, იყოფიან ხუთ კატეგორიად და თითოეულ მათგანს გააჩნია განსაკუთრებული გამოთვლის წესი.

ასეთ წყაროებად მიღებულია:

- მიწის საკუთრება, უძრავი ქონება და მშენებლობა;
- კაპიტალი;
- დაქირავებული შრომა და თავისუფალი პროფესიები;
- მენარმეობა;
- სხვა წყაროები.

ახლანდელ დროში **შვეიცარია – კონფედერაციული სახელმწიფოა**, შემდგარი კონფედერაციებისაგან (ცენტრალური შტატის), 26 კანტონის და მაში შემავალი 300 მუნიციპალიტეტისაგან. კანტონები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. მუნიციპალური ავტონომიის ხარისხი განისაზღვრება კანტონების კანონმდებლობით.

ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადით (income tax) იბეგრებიან რეზიდენტების შემოსავლები ან დროებითი რეზიდენტების, რომლებიც შვეიცარიაში ახორციელებენ მოგებაზე დაფუძნებულ საქმიანობას (განუსაზღვრელი საგადასახადო პასუხისმგებლობა).

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შვეიცარიაში, ან არ არიან ამ ქვეყნის რეზიდენტებად, ატარებენ შეზღუდულ საგადასახადო პასუხისმგებლობას შვეიცარიაში. მათ შეუძლიათ გადასახადის გამონაგარიშება დამატებით შემოსავალზე და ქონებაზე, რომლებიც ექვემდებარებიან დაბეგვრას განსაკუთრებით საზღვარგარეთ დადგენილი საერთო წესით. გადასახადის გამოქვითვა „წყაროსაგან“ ვრცელდება არა მარტო უცხოელ პირებზე, არამედ შვეიცარიის მოქალაქეების მიმართაც ან იურიდიულ პირთა მიმართ, რომლებიც სათანადო მოთხოვნებს პასუხობენ. ასეთ დაბეგვრას როგორც წესი ექვემდებარებიან შემდეგი პირები:

- არარეზიდენტები (მიუხედავად მათი ეროვნებისა), რომლებსაც გააჩნიათ მომგებიანი საქმიანობა შვეიცარიაში;
- არარეზიდენტები, მომუშავე საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს დამქირავებლისათვის, რომელსაც გააჩნია სათაო ოფისი ან მუდმივი წარმომადგენლობა შვეიცარიაში;
- არარეზიდენტი მსახიობები, სპორტსმენები, ან კონსულტანტები მათი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც განხორციელდა შვეიცარიაში;
- არარეზიდენტები – მმართველი ორგანოების წევრები, როიალტის მიმღებები, მომსახურებისათვის განაცემი; ფიქსირებული კომპენსაციები ან მსგავსი სახსრები შვეიცარიის კომპანიები-



საგან ან საზღვარგარეთის სანარმოებიდან, რომლებსაც შვეიცარიაში მუდმივი ნარმომადგენლობა გააჩნიათ;

• არარეზიდენტები – კრედიტორები ან სხვა საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან იპოთეკებით ან უძრავი ქონების დატვირთვით შვეიცარიაში;

• არარეზიდენტები – სოციალური განაცემების მიმღებები, ანუ იტეტივის<sup>1</sup> ფულადი თანხის მიმღებები შვეიცარიის კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურებიდან;

ყოველივე სახის შემოსავლებისათვის დაწესებულია სპეციალური განაკვეთი.

**პოლონეთი.** კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების ქვეკატეგორიას ქმნის: საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ანუ ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელება, თუკი ამგვარი საქმიანობა სახელმწიფოს ფუნქციად მიიჩნევა. ამგვარად, კანონი ორ, კუმულაციურ პირობას ადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსის მოსაპოვებლად: საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს კომპეტენციაში შემავალი საქმიანობის განხორციელება. საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის საბჭოს განმარტებით, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას წარმოადგენს, ინტერ ალია, სოციალური მომსახურების მიწოდება, საქველმოქმედო საქმიანობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ასევე, ეთნიკურ უმცირესობებზე ზრუნვა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსს ებმის შემდეგი ტიპის პრივილეგიები: გადასახადის გადამხდელის საშემოსავლო გადასახადიდან 1%-ის მიღების უფლება; საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ამგვარი სტატუსის მქონე ორგანიზაცია არ იხდის საშემოსავლო და ქონების გადასახადს, სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისთვის სახელმწიფო ფინანსური რესურსის მიღების უფლება.

კანონით პოლონეთი უნგრეთის მსგავსად ამოქმედებს 1%-იან მექანიზმს. მექანიზმი გადასახადის გადამხდელის საშემოსავლო გადასახადის 1%-ის გადასახადის გადამხდელის მიერ მითითებული არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გადაცემას გულისხმობს. თუმცა, პოლონეთის შემთხვევაში, მექანიზმი განსხვავებულად მუშაობს იმ კუთხით, რომ 1%-ის ბენეფიციარი მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება იყოს.

ფონდის სახსრების საფუძველი 1996 წლიდან მოქმედი სქემის დანამატია. კანონი გადასახადის გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადის 1%-ის დისტრიბუციის შესახებ პარლამენტმა 1996 წელს მიიღო. კანონის მიხედვით, მოქალაქე უფლებამოსილია მიუთითოს ის ორგანიზაცია, რომელსაც უნდა გადაეცეს მოქალაქის საშემოსავლო გადასახადის 1%. ფონდის ჩამოყალიბებამდე, თუკი გადასახადის გადამხდელი არ განსაზღვრავდა კონკრეტულ ბენეფიციარ ორგანიზაციას, 1%-ის დისტრიბუცია არ ხდებოდა. ამგვარად, ფონდის დაფინანსების წყაროდ სხვა რესურსთან ერთად გადასახადის გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადის 1%-ის ის ნაწილი განისაზღვრა, რომლის ბენეფიციარიც განსაზღვრას გადასახადის გადამხდელი არ ახდენდა. ამასთან, კანონში ჩაიდო დაცვითი ნორმაც, რომლის მიხედვით ფონდისთვის გადასაცემი ფინანსური რესურსი არ უნდა იყოს სრული საშემოსავლო გადასახადის 0,5%-ზე ნაკლები.

**უნგრეთი.** უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში, უნგრეთი აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ მოიაზრება საჯარო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის კუთხით. თანამშრომლობის კანონმდებლობით უზრუნველყოფილი მექანიზმებიც რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მნიშვნელოვნად განვითარებულია. გავრცელებული მაგალითებია უნგრეთის მთავრობის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგია, კანონი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, კანონი

<sup>1</sup> ანუ იტეტი: ყოველწლიური შესატანი; 1. სახელმწიფო სესხის სახეობა, რომლის დროსაც ვალსა და პროცენტებს ყოველწლიურად იხდიან; 2. ყოველწლიური გადასახადი ასეთ სესხზე, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=4013>.

სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის შესახებ, კანონი გადასახადის გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადის 1%-ის დისტრიბუციის შესახებ. წინამდებარე მოკლედ განიხილავს ამ ინსტრუმენტებს.

**დასკვნის სახით** აღვნიშნავდით, რომ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა კატეგორია ყველა ქვეყანაში ერთნაირია, მას უშუალოდ პირდაპირი შემოსავლიდან იხდიან დაქირავებული ფიზიკური შემოსავლიდან (ხელფასიდან და სხვა სარგებლიდან). ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ესტონეთში განაწილებული მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების განაკვეთი ერთნაირია, რათა აღიკვეთოს გადამხდელების მხრიდან მოგების განაწილების ხელფასებად „გაფორმების“ ან საპირისპირო მცდელობები. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ევროპის ყველა ქვეყანა მიისწრაფვის კანონის ერთიანობის, ეკონომიკური სფეროებისა და სოციალური პოლიტიკის ინტეგრაციისაკენ, ევროპული საგადასახადო სისტემები საშემოსავლო გადასახადების ნაწილში მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

საქართველოში საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი ცოტათი ნაკლებია ევროკავშირთან შედარებით, მაგრამ მცირეშემოსავლიან ქვეყანაში 20%-იანი გადასახადი მიმაჩნია, რომ მაღალია ფიზიკური პირების სახელფასო ან სხვა სარგებლის ანაზღაურების ფონზე, როცა სამომხმარებლო კალათის ღირებულება სულ უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, თუ საქართველოში ხელფასი და სხვა სარგებელი იბეგრება 20%-ით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებს სოციალური გადასახადი (მაგ; ესტონეთში 33%), უმუშევრობის გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და ერთად ჯამში დაახლოებით 35-დან ზევით შეიძლება ავიდეს და ეს ყველაფერი გამიზნულია სოციალური პროგრამების (მაგ. მრავალშვილიანთა, ე. წ. მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დასაფინანსებლად და ა. შ.).

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ევროპის ყველა ქვეყანა მიისწრაფვის კანონის ერთიანობის, ეკონომიკური სფეროებისა და სოციალური პოლიტიკის ინტეგრაციისაკენ, ევროპული საგადასახადო სისტემები გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.



დავით ხობელია  
სამართლის დოქტორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ადმინისტრაციული იუსტიცია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში**

**ანოტაცია**

ადმინისტრაციული იუსტიცია არის სახელმწიფო მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილი სასამართლო და კვაზისასამართლო ორგანოების სისტემა. ადმინისტრაციული იუსტიციის დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ პოლიციური სახელმწიფოს სამართლებრივად გარდაქმნა, აგრეთვე პოლიციური სამართლის ტრანსფორმაცია ადმინისტრაციულ სამართლად. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები არ ერევიან მმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულელებელ საქმიანობაში, ისინი მხოლოდ განიხილავენ ადმინისტრაციულ დავებს. ადმინისტრაციულ იუსტიციას საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში, სადაც 1799 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, შემდეგ კი პრეფექტურის საბჭოები. ისტორიულად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული იუსტიციის ორი ძირითადი მოდელი – კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია საერთო სასამართლოთა ფართო კომპეტენცია ადმინისტრაციული დავების განხილვის საკითხში. ანგლო-ამერიკული ძირითადად წარმოდგენილია ბრიტანეთსა და აშშ-ში.

ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა ანგლო-ამერიკული სამართლის სახელმწიფოებში საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აღნიშნული სამართლის სისტემა განსხვავებულია რომანულ გერმანულსაგან, რომლის ნაწილსაც საქართველო წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება უდავოდ საინტერესოა ჩვენთვისაც, ვინაიდან იუსტიციის სხვადასხვა მოდელების შესწავლა და ანალიზი საშულებას იძლევა, რათა შერჩეული იქნას ოპტიმალური მიდგომები ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელის ფორმირებისა და ჩამოყალიბებისათვის. ვინაიდან ადმინისტრაციული იუსტიცია სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა უკანონო გადაწყვეტილებებისაგან მოქალაქეთა დაცვა.

**Davit Khobelia**  
*Doctor of Law, Associate Professor of  
Samtskhe-Javakheti State University*

**ADMINISTRATIVE JUSTICE IN THE ANGLO-AMERICAN LEGAL SYSTEM**

**Abstract**

Administrative justice is established in the field of state governance to control over legality and quasi-judicial system. In 19<sup>th</sup> century in Europe begins establishment of administrative justice. The activity of administrative justice bodies is to reflect the prevention of arbitrariness of the police, state or local authorities. The merits of administrative justice can be considered as transformation of police state into legal state as well as the transformation of police law into administrative law. The administrative justice in Anglo-American states is interesting because it is different from Roman-German system, part of which Georgia represents.

Administrative justice bodies do not experience executive management of governance, they only discuss administrative disputes. The administrative jurisprudence was established in France, where the State Council was created in 1799, and then the Prefecture Councils. Historically, two main models of administrative justice were formed – Continental European and Anglo-American, they mainly are involved in the discussion of administrative disputes undertaken by the broader jurisdiction of common courts. Anglo-American is mainly in Britain and the United States

The circumstance is undoubtedly interesting for us as well the study and analysis of the different models of justice provides for optimal approach to the formation of the administrative justice. Because administrative justice is an integral part of the legal state which aims to protect citizens from illegal decisions of public authorities.

## ადმინისტრაციული იუსტიცია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში

სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოს ორი რადიკალურად განსხვავებული ტიპი – პოლიციური და სამართლებრივი. პოლიციურ სახელმწიფოში გაბატონებულია ძალადობა, რომელიც ასეთი სახელმწიფოს არსს წარმოადგენს, ხოლო სამართლებრივი სახელმწიფო წარმოუდგენელია ისეთი ინსტიტუტის გარეშე, როგორცაა ადმინისტრაციული იუსტიცია. აღნიშნული ინსტიტუტის დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ პოლიციური სახელმწიფოს სამართლებრივად გარდაქმნა, ხოლო პოლიციური სამართლისა – ადმინისტრაციულად. ევროპაში XIX საუკუნეში იწყება ადმინისტრაციული იუსტიციის ჩამოყალიბება. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოთა საქმიანობა გამოიხატება პოლიციის, სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა თვითნებობის აღკვეთაში.<sup>1</sup> 1864 წელს ო. ბერი თავის მონოგრაფიაში „სამართლებრივი სახელმწიფო“ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლებრივი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდეს, როდესაც საჯარო სამართალი განისაზღვრება მხოლოდ კანონით, ხოლო მმართველობა ემორჩილება სასამართლოსა და სამართალწარმოებას.<sup>2</sup> აღნიშნული მოსაზრება განავრცო ო. ფონ სარვეიმ. მან თავი მოუყარა გერმანიის მიწების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებს და დაიწყო ადმინისტრაციული სამართლის სწავლება. სარვეი ამტკიცებდა, რომ ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის წინაპირობას.<sup>3</sup>

ადმინისტრაციული იუსტიცია არის სახელმწიფო მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვაზე კონტროლის განხორციელების მიზნით შექმნილი სპეციალური სასამართლო და კვაზი-სასამართლო ორგანოების სისტემა. უფრო ვიწრო მნიშვნელობით – ადმინისტრაციული დავებისა და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის სპეციალიზებული პროცესუალური წესი, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო. ადმინისტრაციული იუსტიცია სასამართლო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ხორციელდება სასამართლო განხილვის ძირითა-

<sup>1</sup> Старилов Ю.Н. Административная юстиция, Теория, история, перспективы, М. 2001.

<sup>2</sup> Bdhr O. Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze. Kassel; Göttingen, 1864 (Neudruck Aalen, 1961). S. 54, 192

<sup>3</sup> Sarwey O. v., Allgemeines Verwaltungsrecht. Tübingen, 1884; Idem. Das öffentliche Recht und die Verwaltungsrechtspflege. Tübingen, 1880.

დი ელემენტების გათვალისწინებით.<sup>1</sup> სასამართლო ორგანოთა სისტემა, რომელიც მმართველობით სფეროში სპეციალურად იცავს კანონიერებას. ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები არ ერევიან მმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობაში, ისინი მხოლოდ განიხილავენ ადმინისტრაციულ დავებს. ადმინისტრაციულ იუსტიციას საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში, სადაც 1799 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, შემდეგ კი პრეფექტურის საბჭოები, თუმცა 1872 წლამდე მათ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციისათვის სავალდებულო ძალა არ ჰქონდა. 1872 წელს საბჭოებს მიეცათ სასამართლოს უფლებამოსილებანი და გამოჰქონდათ სასამართლო გადაწყვეტილებები. სასამართლოს ასეთი სპეციალიზაცია ხელს უწყობდა მჭიდრო კავშირის დამყარებას მმართველობით სფეროსა და განსახილველ საქმეთა არსს შორის. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული დავების ობიექტური გადაწყვეტა და ადამიანის უფლებების ასეთი ფორმით დაცვა უფრო ეფექტური გახდა. საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაცია, მმართველობით სფეროში მისი სპეციალიზაციის გამო, უფრო ადმინისტრაციულ სასამართლოს ენდობოდა.<sup>2</sup>

ისტორიულად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული იუსტიციის ორი ძირითადი მოდელი. ერთი მათგანი არის კონტინენტური ევროპის მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სპეციალური სასამართლოების არსებობა, რომლებიც განცალკევებულნი არიან საერთო სასამართლოთა სისტემისაგან და მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი კვაზისასამართლოები. ადმინისტრაციული იუსტიციის მეორე მოდელს წარმოადგენს ანგლო-ამერიკული, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია საერთო სასამართლოთა ფართო კომპეტენცია ადმინისტრაციული დავების განხილვის საკითხში. ანგლო-ამერიკული ძირითადად წარმოდგენილია ბრიტანეთსა და აშშ-ში.

ბრიტანეთში საჯარო სამართლებრივი დავებს განიხილავს სხვადასხვა ორგანოები: საერთო სასამართლოები, სპეციალიზირებული იურისდიქციის ორგანოები (კვაზისასამართლოები), ბრიტანეთის პარლამენტი ცენტრალურ და ლოკალურ ხელისუფლებაზე ზემოქმედების გზით. მაგრამ ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოებს შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი საერთო სამართლის სასამართლოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ რა საერთო პროცესუალური წესებით, განიხილავენ კონფლიქტებს, რომლებიც წარმოიშებიან მოქალაქესა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის. როგორც წესი ასეთი ორგანოები ორგანიზაციულად აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენენ.<sup>3</sup>

ინგლისური სამართლის სისტემის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ნებისმიერი სუბიექტის გარანტირებული შესაძლებლობა გაასაჩივროს სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელყოფს მის უფლებას.

აშშ-ში არასამართლებრივი (უკანონო) ქმედებების გასაჩივრება გათვალისწინებულია კანონით, თუ ასეთი უფლება არ არის დადგენილი კანონმდებლის მიერ, მაშინ აღნიშნული საკითხი წყდება სასამართლოს მიერ, ამასთან ძირითადი კრიტერიუმი არის განმცხადებლის ინტერესი საქმის შედეგით. სასამართლო კონტროლდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე ნორმატიულ ბრძანებებზე, კონსულტატიურ დადგენილებებზე, შიდა დირექტივებზე.

ინგლისური სისტემა მომჩივანს საშუალებას აძლევს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება გაასაჩივროს პირდაპირ სასამართლოში კვაზისასამართლოს გვერდის ავლით. ამ მხრივ აშშ-ს სისტემა განსხვავდება ინგლისურისაგან. აშშ-ში მოქმედებს ზოგადი წესი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ავალდებულებს ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ყველა საშუალების ამონაწერს,

<sup>1</sup> მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე], თბ., 2004, გვ. 483, ცხრ.; 24სმ. – (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). – ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

<sup>2</sup> ზ. სუხიაშვილი, ადმინისტრაციული იურისდიქცია, აღმანახი, №17, ადმინისტრაციული სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2001.

<sup>3</sup> Безрученков М. В. АДМИНИСТРАТИВНАЯ ЮСТИЦИЯ В ЗАРУБЕЖНЫХ СТРАНАХ, 2015.

მათ შორის კვაზისასამართლოსადმი მიმართვას. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აშკარად მოქმედებდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს გარეთ და შესაბამისად ქვემდებარეობით გასაჩივრებამ შესაძლოა პირს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

დიდ ბრიტანეთში სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული აქტების კონტროლის საზღვრები არ არის დადგენილი რაიმე ნორმატიული აქტით. ტრადიციულად ინგლისის მოსამართლე კონტროლს უწევს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერებას, აქტის მიზანშეწონილობის კონტროლი აკრძალულია. სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს აქტის შესაბამისობა იმ მიზნისადმი, რომლისთვისაც შექმნილია მმართველობის ორგანო. გარდა ამისა, ინგლისური სამართალი მოითხოვს, რომ აქტი უნდა იყოს გონივრული, აღნიშნულის შემომნებასაც ახორციელებს სასამართლო, საქმის ფაქტობრივ მხარეზე სასამართლო გამოთქვამს თავის აზრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია აშკარად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, აღნიშნული დათქმა ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები უფრო კომპეტენტურნი არიან სპეციალურ-ტექნიკურ საკითხებში, ვიდრე სასამართლო.

ინგლისის და აშშ-ს საერთო სასამართლოების მოსამართლეს გააჩნია უფლებამოსილება უკანონოდ ცნონ და გააუქმონ მმართველობის ორგანოთა აქტები, რომლებიც არ განიხილება, როგორც ჩარევა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში. ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული საჩივრის თავისებური სისტემა. კერძო პირი, რომლის უფლებებიც დარღვეულია, მიმართავს სასამართლოს, რათა მან მიიღოს სპეციალური პრეროგატიული ბრძანება დამრღვევი ორგანოს მიმართ. ასეთი ბრძანებები სხვადასხვა ხასიათისაა. სასამართლომ შეიძლება მიიღოს ბრძანება, რომლითაც იგი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს შეწყვიტოს უმოქმედობა, მიიღოს ის აქტი, რომლის მიღებასაც მას ავალდებულებს კანონი. ბრძანებას შეიძლება ჰქონდეს ამკრძალავი ხასიათიც, რომელიც საშუალებას აძლევს მომჩივანს, მოითხოვოს უკანონო აქტის, მოქმედების შეჩერება, აცილება. ზოგიერთი ბრძანება მიზნად ისახავს იურიდიული ფაქტის დადგენას. ბრძანების ასეთი ფორმა დიდი ხანია გამოიყენება ინგლისურ სამართალში, ხოლო აშშ-ში 1934 წლიდან. ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა დაჩქარებულად და გამარტივებულად ჩამოყალიბდეს სასამართლოს აზრი, ასეთი ბრძანების მიღება შეუძლია როგორც საერთო სასამართლოებს, ასევე კვაზისასამართლოებს.

ანგლოამერიკული სამართლის სისტემაში გაბატონებულ საჯარო ხელისუფლების ქცევები-საგან მოქალაქის სასამართლოში დაცვის პრინციპს გარკვეული ხარვეზები ახასიათებს: სიძვირე, პროცესის სირთულე და ფორმალიზება, ამით გამოწვეულია პროფესიონალი იურისტის მომსახურებით სარგებლობის აუცილებლობა, საქმის განხილვის ხანგრძლივობა. ასეთი გარემოებები ხელს უწყობდა სპეციალური იურისდიქციების-კვაზისასამართლოების შექმნას, რომლებიც ადმინისტრაციულ დავებს არსებითად განხილავენ, სანამ საქმე საერთო სასამართლოებს გადაეცემა, ასეთი ორგანოთა შექმნა აშშ-სა და ბრიტანეთში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იწყება.

ადმინისტრაციულ სასამართლოთა სისტემატიზაცია XX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება: 1946 წელს აშშ-ში მიიღეს ფედერალური კანონი ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, ინგლისში კი 1958 წელს გამოიცა კანონი ტრიბუნალების და გამოძიების შესახებ. აღნიშნულმა კანონებმა შექმნა კვაზისასამართლოთა საქმიანობის ერთიანი სამართლებრივი საფუძველი.

დღეს ბრიტანეთში მოქმედებს ადმინისტრაციული ტრიბუნალების 67 სისტემა, კერძოდ: სხვადასხვა კომიტეტები, ტრიბუნალები, კომისიები, სასამართლოები. აშშ-ს კვაზისასამართლოთა სისტემაც მრავალრიცხოვანია, მათი მოქმედების სფერო ძალზედ ფართო-მინათსარგებლობა, სოციალური დაზღვევა, სამედიცინო უზრუნველყოფა, ტრანსპორტი, წარმოების განვითარება, ცალკეული საქმიანობის ლიცენზირება, შრომითი ურთიერთობები, იმიგრაცია, დაზღვევა, გადასახადები და ა.შ.

კვაზისასამართლოები მთლიანად დამოკიდებულნი არიან ადმინისტრაციაზე, ან მისგან დამო-



უკიდებელნი არიან. სპეციალური ტრიბუნალები იქმნება კანონის საფუძველზე ბრიტანეთში პარლამენტის სპეციალური აქტით, აშშ-ში კონგრესის აქტით ან შესაბამისი მინისტრის გადაწყვეტილებით.

კვაზისასამართლოებს აკონტროლებენ, გარდა საერთო სასამართლოებისა, სხვადასხვა ორგანოები. დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ადმინისტრაციული ტრიბუნალების ეროვნული საბჭო, რომელიც იმავდროულად მთავრობასთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს. საბჭო უფლებამოსილია აკონტროლოს ქვემდგომი სასამართლოების საქმიანობა და მიმართოს სააპელაციო სარჩელით ზემდგომ (უზენაეს) სასამართლოს იმ დავებთან დაკავშირებით, რომლებიც სპეციალური სასამართლოს საქმიანობის შედეგად წარმოიშვებიან. ბრიტანეთში არ არსებობს კვაზისასამართლოების მიერ საქმის განხილვის ერთიანი წესი. ყოველი ტრიბუნალი თუ კომისია ხელმძღვანელობს საკუთარი რეგლამენტით, რომელიც მიღებულია პარლამენტის ან მინისტრის მიერ. ასეთი ორგანოების მიერ განხორციელებული კონტროლის ზღვარიც სხვადასხვაა, ნაწილი მაკონტროლებელი ორგანოებისა საქმეს განიხილავს არსებითად, ხოლო მეორე ნაწილი განიხილავს გადაწყვეტილების მიღების პროცედურათა კანონიერებას. ბრიტანეთში კვაზისასამართლოების მიერ საქმის განხილვისას აუცილებელია ბუნებითი მართლმსაჯულების (სამართლის) პრინციპების დაცვა: შეჯიბრებითობა, საჯაროობა, მოტივირებული გადაწყვეტილების მიღება და ა.შ. მთლიანობაში პროცედურა გამარტივებულ სამოქალაქო პროცესს წარმოადგენს (ემთხვევა სამოქალაქო პროცესს, ოღონდ გამარტივებული სახით). რაც ამ პროცესს ხელმისაწვდომს ხდის, არის ის, რომ არ არის გადასახდელი ბაჟი.

აშშ-ში პირიქით, პროცესუალური წესები მკაცრად რეგულირდება ფედერალური კანონმდებლობით, რომელიც საგრძობლად აახლოებს კვაზისასამართლოებისა და ჩვეულებრივი სასამართლოების საქმიანობას. სათანადო სამართლებრივი პროცედურა სავალდებულო პირობას წარმოადგენს კვაზისასამართლოების საქმისწარმოებისათვის. აშშ-ს კვაზისასამართლოში მოსამართლის ფუნქციას ასრულებს (მოსმენის ეკვამენატორი) ადმინისტრაციული მოსამართლე, რომელსაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დელეგირების წესით გადასცემს თავის უფლებამოსილებას, განიხილოს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა საჩივრები და პრეტენზიები.

ჩვეულებრივი სასამართლოს პროცესთან შედარებით კვაზისასამართლოებში მოსამართლე უფრო აქტიურია. აშშ-ს კვაზისასამართლოებში საქმის წარმოება ძალზე ჭიანურდება და განხილვის ვადებით უახლოვდება ჩვეულებრივ სასამართლოს. აშშ-ს კვაზისასამართლოთა დიდ მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ხარჯები, ადვოკატის ჰონორარი, დოკუმენტებისა და მათი ასლების მრავალრიცხოვნობა.

ანგლოამერიკული სამართლის სისტემაში კვაზისასამართლოების განვითარების საერთო ტენდენცია გამოიხატება მათ დაშორებაში, განცალკევებაში აქტიური ადმინისტრაციისაგან და ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ ორგანოდ ჩამოყალიბებაში. ასეთი სტატუსი აშშ-ში მიიღო საერთაშორისო ვაჭრობის ფედერალურმა სასამართლომ, ფედერალურმა საგადასახადო სასამართლომ, ფასიანი ქაღალდების კომისიამ და ა.შ. ბრიტანეთში ასეთ ორგანოებს წარმოადგენს რკინიგზის ტრიბუნალი, საპენსიო სააპელაციო ტრიბუნალი და ა.შ.

სამეცნიერო წრეებში, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო პოლემიკა ადმინისტრაციული იუსტიციის კონცეფციისა და შინაარსის შესახებ. ამის შედეგი ის იყო, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ადმინისტრაციული იუსტიციის შინაარსის განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა: მატერიალური, ორგანიზაციული და ფორმალური. აღნიშნულ მიდგომებს, კერძოდ კი, მატერიალურ მიდგომას არა მარტო თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ პრაქტიკულიც, ვინაიდან ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მატერიალური მიდგომის შემადგენელ ელემენტთა სწორად განსაზღვრაზე. საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების აუცილებელ მხარეს წარმოადგენს, საჯარო მმართველობის სუბიექტი, რომელსაც განსაკუთრე-

ბული სამართლებრივი სტატუსი გააჩნია.<sup>1</sup> ამრიგად, ადმინისტრაციული იუსტიცია ვრცელდება საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებულ ფორმაზე სახელმწიფო მმართველობის სფეროში. ადმინისტრაციული იუსტიციის ამოცანები სრულად ემთხვევა საერთო მართლმსაჯულების ამოცანებს. ასეთი ამოცანებია დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა, სახელმწიფოში კანონის უზენაესობის განმტკიცება და ა.შ. ადმინისტრაციული იუსტიციის, როგორც მართლმსაჯულების ერთ-ერთი შტოს უშუალო ობიექტს წარმოადგენს საჯარო სამართლებრივი დავების განხილვა.<sup>2</sup> ამრიგად, ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს საჯარო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისაგან ფიზიკური და იურიდიული პირების დაცვის სფეროში.

<sup>1</sup> Хаманева Н.Ю., Теоретические проблемы административно-правового спора, Государство и право, 1998, № 12. С.29-36.

<sup>2</sup> Стариков Ю.Н., Курс общего административного права Т.2: Государственная служба, Управленческие действия, Правовые акты управления, Административная юстиция, М.: НОРМА. 2002, С. 585.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bdhr O. Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze. Kassel; Gottingen, 1864 (Neudruck Aalen, 1961). S. 54, 192
2. Sarwey O. v., Allgemeines Verwaltungsrecht. Tübingen, 1884; Idem. Das öffentliche Recht und die Verwaltungsrechtspflege. Tübingen, 1880.
3. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე], თბ., 2004, გვ.483: ცხრ.; 24 სმ, (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). – ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.].
4. ზ. სუხიაშვილი, ადმინისტრაციული იურისდიქცია, აღმანახი №17, [ადმინისტრაციული სამართალი], – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2001.
5. დ. ხობელია, ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემა საფრანგეთში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, "უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები", 17-18 ნოემბერი, 2017.
6. დ. ხობელია, ადმინისტრაციული იუსტიციის ფორმები და სახეები სამართლის სხვადასხვა სისტემებში, ჟურნ. „დიპლომატია და სამართალი“, N2(3) 2017.
7. დ. ხობელია, გ. ხუნაშვილი, გერმანიის ადმინისტრაციული იუსტიცია და მისი თავისებურებანი, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, 2(38) 2017.
8. Sarwey O. v., Allgemeines Verwaltungsrecht. Tübingen, 1884; Idem. Das öffentliche Recht und die Verwaltungsrechtspflege. Tübingen, 1880.
9. Bdhr O. Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze. Kassel; Gottingen, 1864 (Neudruck Aalen, 1961). S. 54, 192
10. Partington M. Globalization and Administrative Justice: Challenges and Possibilities // Conference on Best Practices in Administrative Justice / Canadian Council of Administrative Tribunals. Vancouver, 1999.
11. The Rt. Hon. Lord Hewart of Bury. The New Despotism. Benn, 1929.
12. Безрученков М. В., АДМИНИСТРАТИВНАЯ ЮСТИЦИЯ В ЗАРУБЕЖНЫХ СТРАНАХ 2015.
13. Стариков Ю.Н., Административная юстиция, Теория, история, перспективы, М. 2001.
14. Стариков Ю.Н., Курс общего административного права Т.2: Государственная служба. Управленческие действия, Правовые акты управления, Административная юстиция, М.: НОРМА, 2002, С. 585.
15. Хаманева Н.Ю., Теоретические проблемы административно-правового спора, Государство и право, 1998, № 12. С. 29-36.
16. <https://superinf.ru/view-helpstud.php?id=1612>



ია ხარაზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის მონვეული პროფესორი

ნინო მატარაძე, მარიამ ამბროლაძე  
ამავე ფაკულტეტის მესამე კურსის საჯარო  
მიმართულების სტუდენტები

### მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები „თეორიული და პრაქტიკული ანალიზი“

#### ანოტაცია

სტატიაში საუბარია ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირების იმ ხარვეზებზე, რომლებიც დღესდღეობით საქართველოში გარკვეულ პრობლემებს ისევ უქმნის ამ ფინანსური სერვისით მომხმარებელ პირებს. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა სხვა სამართლებრივი და ეკონომიკური დატვირთვა შეიძინეს. კერძოდ, ისინი ისეთივე დატვირთვით მუშაობენ, როგორც კომერციული ბანკები. ძირითადი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მისო-ები მაღალი საკრედიტო რისკის მქონე სეგმენტზე მუშაობენ და ძირითადად ორიენტირებული არიან მყარი უზრუნველყოფის საშუალებებით მოვალეებისაგან თავის დაცვაზე. ამის საშუალებას მათ აძლევს ე. წ. პრობლემური სესხების ამომღები ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის ქონა.

სტატიაში ჩამოყალიბებულია ავტორთა მოსაზრებები იმ პრობლემების გადაჭრისათვის, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მისოების კუთხით, კერძოდ: გასამკაცრებელია მიკროსაფინანსოების კონტროლი, გარკვეული რეგულაციების დაწესება აუცილებელია, რათა სესხი გაიცეს შეღავათიან პროცენტებში და, რაც მთავარია, პირობები მორგებული იყოს მომხმარებელზე, რომ მან შეძლოს გარკვეულ ვადებში გამოტანილი თანხის დაფარვა. მითუმეტეს, რომ მომხმარებელი ხშირად აწერს ისეთ ხელშეკრულებაზე ხელს, რომელიც მას არ წაუკითხავს, ან მეტიც, ისეთი ფინანსური ენით წერია, რომ მას უჭირს შინაარსის გამოტანა. მითუმეტეს, რომ ამ სექტორის მომხმარებლები ისეთ კონტიგენტს წარმოადგენენ, რომელთაც ბანკებმა სესხზე უარი უთხრეს. მომხმარებლები ვერ ათვისებენ სესხის მიზნობრიობას და მნიშვნელობას, რის გამოც ხშირია შემთხვევები, როდესაც სესხის დაუფარაობის შემთხვევაში მათ მიერ უზრუნველყოფილი უძრავი თუ მოძრავი ქონება იძულებით ჩამოერთმევათ. სტატიაში ყურდღება გამახვილებული ამ ბოლო დროს გატარებულ სასიკეთო ცვლილებებზე და მის სამართლებრივ შეფასებაზე, ასევე მოტანილია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ამ კუთხით და ა. შ.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, პრობლემების იდენტიფიკაცია, სესხის მცირე ზომა, დაკრედიტება უზრუნველყოფის გარეშე.

**Ia Kharazi**

*Invited Professor*

*Akaki Tsereteli State University,*

*Faculty of Business, Law and Social Sciences*

**Mariam Ambroladze**

**Nino Mataradze**

*Students*

*Akaki Tsereteli State University,*

*Faculty of Business, Law and Social Sciences*

## **MICROFINANCE ORGANIZATION LEGAL REGULATION ASPECTS THEORETICAL AND PRACTICAL ANALYSIS**

### **Abstract**

The article is about one of the financial institutions – Microfinance organization’s legal regulation of the shortcomings which at the present time in Georgia still creates some problems to those financial service user individuals. In Georgia, microfinance organizations gained other legal and economic importance. In particular, they are just as operational as commercial banks. The only basic difference is that MISO works on high-credit-risk segment of the market and they mainly are focused on in their defense from debtors by a solid providing. This allows them the so-called problem loans organizations that possess identified information. In the article is given opinions by the authors for solving the problem that still exist in terms of MISO, in particular: micro financial organizations control should become more severe, certain regulations must be carried out to make loan disbursement occur at reasonable percentages and most importantly, the conditions must be adjusted to the customers that he/she was able of repayment of the amount for some time withdrawn. Moreover customers often sign a contract which they did not read at all or, which is written in financial language, and is hard to find content to display. At the same time this sector as contingent represents customers which were rejected from the bank to give the loan. Customers can not aware the importance and purpose of the loan which is why there are often cases when the loan cannot cover up by them, occurs the forced seizure of real or movable property. The article also have a focused on lately effected salutary changes and its legal assessment, also in the article is mentioned the court practice analysis in this regard and etc.

**Key words:** Microfinance organization, identification of the problem, the small size of loan, lending without providing.

## **მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები „თეორიული და პრაქტიკული ანალიზი“**

### **1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ისტორია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში**

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ორიენტირებულია მდგრად განვითარებაზე, ეკონომიკურ, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელებაზე მიკროსაფინანსო სექტორში არსებული საერთაშორისო პრინციპების დაცვით. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმდინარე სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: რეგიონებში განვითარება, ტექნოლოგიური პროდუქტების დანერგვისა და არსებულის სრულყოფის ხარჯზე კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება როგორც კლიენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისა და მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლო სოციალური პროექტების განხორციელება. მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება, მისი ფინანსური პროდუქტები და მომსახურება მორგებული უნდა იყოს მცირე და საშუალო ზომის საცალო მაღაზიების, მომსახურების სფეროს კომპანიებისა და ფერმერული მეურნეობების ბიზნესსაჭიროებებზე და სხვ.

„მიკროფინანსები გაჩნდა იქ, სადაც ძალზე სუსტი იყო ტრადიციული საბანკო მოდელი. 2005 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა კ. ანანმა მიკროფინანსები სიღარიბის დაძლევის „კრიტიკულ იარაღად“ გამოაცხადა... თანამედროვე ეტაპზე მიკროფინანსებით დაინტერესება გაზრდილია, რამეთუ მათ შესწევთ იმის უნარი, რომ ამოავსონ ის „ნაპრალები“, რომლებიც ეკონომიკაში ფინანსებზე წვდომის კუთხით არსებობს“.

ჩვენი სტატიის ძირითადი კვლევის ობიექტად დავსახეთ, თუ როგორ ვითარდება ეს სექტორი საქართველოში და რას პირდება იგი მომხმარებელსა და ინვესტორებს, ასევე იმ საკანონმდებლო ხარვეზებზე საუბარი, რომელიც არსებობს ამ კუთხით ქვეყანაში და ასევე წარმოვაჩინეთ ახალი საკანონმდებლო რეგულაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

„70-იანი წლების ბოლოს ამერიკაში განათლებამიღებულმა ბანგლადეშელმა ბანკირმა, მუჰამედ იუნუსმა, დღეის გადმოსახედიდან უტიფარი სიტყვები წარმოთქვა: „თაობის შემდეგ სიღარიბე აღმოიფხვრება. ჩვენი შვილები სიღარიბის სიმწარეს მხოლოდ „სიღარიბის მუზეუმში“ ნახავენ“. რა თქმა უნდა, იუნუსის ოპტიმიზმი დამყარებული იყო არა სოციალისტური ინსტიტუტების, სახელმწიფო საკრედიტო პროგრამის ან ურთიერთსოლიდარული ფინანსური ქსელის მოდელზე, არამედ მეტად პრაქტიკულ და რეალისტურ ინსტიტუტზე – მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, რომლის კონცეფციაც მან ბანგლადეშში რამდენიმე საკრედიტო ექსპერიმენტის შედეგად ჩამოაყალიბა.

„გრამინ ბანკი“ იუნუსმა 1976 წელს დააფუძნა ბანგლადეშში. ამ ინსტიტუტების მთავარი ფუნქცია, კონვენციური განსაზღვრებით, სიღარიბის შემცირება და სამენარმეო სულისკვეთების (ანდა საქმიანობის) განვითარებაა, რომელიც განსაკუთრებით ესაჭიროებათ განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებს. „მისოების“ იდეას ფინანსურად და პოლიტიკურად მხარი დაუჭირა მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, სამთავრობო და დონორმა ორგანიზაციებმა, როგორც მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური ინკლუზიისა და სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. რა თქმა უნდა, ტრენდს არ ჩამორჩნენ ბონო კაპიტალიზმის მომხრეები და მილიონერი ქველმოქმედი პოპ-ვარსკვლავები. 2005 წელი სიღარიბისგან თავისუფალ მსოფლიოში გაერომ, „მისოების“ წლად გამოაცხადა. 2006 წელს კი იუნუსი და „გრამინ ბანკი“ ნობელის პრემიით დაჯილდოვდნენ. 2011 წელს, როდესაც „მისოების“ ე.წ. მეორე ტალღამ (მოგებაზე ორიენტირებული) საკუთარი არსი ველარ დამალა და აკადემიური წრეებიც ვერ ადასტურებდნენ „მისოების“

ეფექტურობას სიღარიბის აღმოფხვრის და მენარმეობის განვითარების საქმეში, იუნისი თავდაცვით პოზიციაში გადავიდა: „მე არასდროს მიფიქრია, რომ მიკრო-კრედიტები როდესმე ვალეებზე მონადირეებად იქცეოდნენ.“<sup>1</sup>

„მიკროსაფინანსოები ფინანსური შუამავლობის სახეობაა, რომელიც კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სესხის მცირე ზომა, დაკრედიტება უზრუნველყოფის გარეშე<sup>2</sup> და დაბალი შემოსავლების მქონე მენარმეები, რომლებსაც საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივების უქონლობის გამო არ აქვთ წვდომა საბანკო მომსახურებაზე.

საქართველოში ფულად-საკრედიტო სისტემას დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოსთვის ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტები იყო დამახასიათებელი, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემისათვის ემბრიონის ფუნქციას ასრულებდნენ<sup>3</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების დროს საკრედიტო დაწესებულებებმა შეწყვიტეს არსებობა, კომერციული სტრუქტურების ფულადი თანხა სახელმწიფო ხაზინას გადაეცა. 1987 წლის საბანკო რეფორმირების პერიოდში კი სახელმწიფო ბანკების სამმართველოები და განყოფილებები თვითაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების ცენტრალიზებული მართვის შენარჩუნებით.

საბანკო სექტორის ერთ-ერთ აქტიურ სუბიექტს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენს. „აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სხვა დატვირთვა აქვთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ანალოგიური ინსტიტუტებისაგან განსხვავებით. კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ძირითადად შექმნილი არიან კონკრეტული ბაზრის სეგმენტისთვის (მაგალითად, აგროსექტორი, ტურიზმის სექტორი და ა. შ.) იაფი კრედიტებით უზრუნველყოფისათვის<sup>4</sup>.“ ამიტომაც ხშირად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ აქვთ მკვეთრად გამოხატული მოგებაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტის ფორმა და ისინი არაკომერციული იურიდიული პირის ფორმითაც კი იქმნებიან. ევროკავშირის ქვეყნებში ხშირად აღნიშნული ინსტიტუტების უკან სახელმწიფოები დგანან და დაფინანსების დიდი ნაწილიც სწორედ სახელმწიფო დოტაციებზე მოდის<sup>5</sup>, რასაც ვერ ვიტყვით, სამწუხაროდ, საქართველოზე და მის რეგულირებად კანონმდებლობაზე. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მოსახლეობაზე კრედიტების გაცემით ერთ-ერთ მსხვილ არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ, რომელთა მოგება წლიურად ხშირად 70 პროცენტზე მეტია, მაშინ, როცა მსგავსი ამერიკული სექტორი 20-23 პროცენტი მოგებაზე გადის. ისინი იქცნენ ქვეყანაში მოსახლეობის დაკაბალების წყაროდ.

საქართველოში ამიტომაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა სხვა სამართლებრივი და ეკო-

<sup>1</sup> შაჰიდ ხანდკერის ადრეული კვლევა (Shahid Khandker 1988 ), რომელიც გრამინბანკის, ASA and BRAC-ის მონაცემებს ეყრდნობა, ამტკიცებს, რომ სიღარიბე საშუალოდ 5%-ით შემცირდა, თუმცა ამ მონაცემებს ბევრი არ ეთანხმება პირველწყაროების საეჭვო მონაცემებისა და დამკვეთების (თავად საფინანსო ორგანიზაციები) გამო. სხვა კვლევებიდან, რომლებიც მკვლევრების მიერ დამოუკიდებლად ჩატარდა, ცხადი ხდება, რომ მიკროსაფინანსოების საქმიანობას ან საერთოდ არ შეუმცირებია სიღარიბე, ანდა გააუარესა მდგომარეობა. 2009 წელს დევიდ რუდმანმა და მორდუჩმა კრიტიკულად გაარჩიეს ხანდკერის კვლევა, სადაც მტკიცდება, რომ მიკროსაფინანსო პროგრამებს გავლენა არ აქვთ სიღარიბის შემცირებაზე.

<sup>2</sup> მაგალითად, საქართველოში ამან გამოიწვია სწორედ ის ნეგატიური ფაქტორი, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნიათ ღირებული ქონება, რომლის უზრუნველყოფის საშუალებად შესთავაზებდა კომერციული ბანკებს სესხის აღების უზრუნველსაყოფად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების „ხახაში“ ვარდებიან.

<sup>3</sup> ა. ბაკურაძე, „მიკროსაფინანსო სამყარო“, 30 სექტემბერი, 2014, ფინანსები, <http://forbes.ge/news/409/mikro-safinanso-samyaro>, ნანახია: 2018/10.06.

<sup>4</sup> Microfinance in Germany and Europa. წყარო: გაბისონია, ზვიად, საბანკო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012, 110.

<sup>5</sup> თ. ჩივაძე, კაპიტალის ფინანსიალიზაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, 26.06.2016

ნომიკური დატვირთვა შეიძინეს. კერძოდ, ისინი ისეთივე დატვირთვით მუშაობენ, როგორც კომერციული ბანკები. ძირითადი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მისო-ები მაღალი საკრედიტო რისკის მქონე სეგმენტზე მუშაობენ და ძირითადად ორიენტირებული არიან მყარი უზრუნველყოფის საშუალებებით მოვალეებისაგან თავის დაცვაზე. ამის საშუალებას მათ აძლევს ე. წ. პრობლემური სესხების ამომღები ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის ქონა.

სასამართლო პრაქტიკა: ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, აპელანტის მოთხოვნაზე „გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება“, განიმარტა, რომ: მხარეთა მიერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი (წლიური 120 პროცენტი) მეტად დიდია. იგი ბევრად აღემატება საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე განგარიშებულ წლიურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს (აღნიშნული შეადგენს 14,5 პროცენტს). სასამართლო პრაქტიკისათვის ფაქტობრივად უცნობია მხარეთა შეთანხმება სარგებლის მსგავს ოდენობაზე როგორც ბანკებთან, ასევე მიკროსაფინანსო ან ფიზიკურ პირებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში. შესაბამისად, მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტის ოდენობა ზემოთ მითითებულ წლიურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს ზემოთ უნდა ჩაითვალოს ბათილად, მისი ამორალური ხასიათის გამო. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. უნდა ითქვას, რომ მითითებული ნორმით გარკვეულწილად შეზღუდულია ადამიანის ნების გამოვლენის აბსოლუტური თავისუფლება. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს თვითონ განაგოს მისი ცხოვრება, იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს, დადოს გარიგებები, რომლებიც მისთვის მისაღებია და იტვირთოს პასუხისმგებლობა იმ სახით, როგორც ამას თვითონ გადაწყვეტს. მას შეუძლია სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე დაამყაროს ადამიანებთან მისთვის სასურველი ურთიერთობა, შესაბამისად, დადოს ისეთი სახის გარიგება, როგორც მისთვის მისაღებია, ამოიჩიოს კონტრაჰენტი, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები და ა.შ. აღნიშნული უკავშირდება ნების გამოვლენის თავისუფლებას, რაც გარანტირებულია მთელი რიგი სამართლის ნორმებით. გარიგების დადების შემდეგ მხარეთა მიერ გამოხატული ნება მხარეთათვის გადაიქცევა სავალდებულოდ შესასრულებლად. მათი შემდგომი მოქმედებები კი იზღუდება მათ მიერ გარიგებაში გამოხატული ნების შესაბამისად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო მხარეთა მიერ ნების გამოვლენას გარიგებათა დადების დროს, აქცევს გარკვეულ ფარგლებში და მას სამართლებრივ ზღვარს უდებს. ამისი მაგალითია შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა გარკვეული სახის გარიგებებს ბათილად მიიჩნევს. ამ ფარგლების გაცდენის შემთხვევაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ბათილია გარიგების ერთ-ერთ სახეს ამორალური გარიგება წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ამორალური გარიგება განმარტებულია, როგორც გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ზნეობის ნორმებში ყოველთვის იგულისხმება წესიერება, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება. სამართლიანობა გულისხმობს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების თანაბრობის პრინციპის დაცვას. ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ყოველთვის შესატყვისი უნდა იყოს მეორე მხარის ვალდებულებებთან. ამ თანაფარდობის დარღვევა ყოველთვის ბადებს გარიგების მონაწილეებზე სხვადასხვაგვარი ზეგავლენის, შეცდომაში შეყვანის, ან სხვაგვარი ზემოქმედების ვარაუდს, რაც ხშირად იწვევს უსამართლობისა ან უწესობის განცდას. როგორც აღვნიშნეთ, მხარეთა მიერ ვალდებულებების თანაბარი, სამართლიანი გადანაწილება გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა. მისი უგულვებელყოფა კი გარიგებათა ბათილობის საფუძველია. ეს პრინციპი მოქმედება და მოქმედებს საუკუნეების განმავლობაში ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში. მისი მოქმედება ყოველთვის მიმართული იყო სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უსამართლო, არაკეთილსინდი-

სიერი შედეგებისაგან დაცვისაკენ. (რომაული სამართლის მიხედვით ბათილად მიიჩნეოდა გარიგება, თუ გასაყიდი მინის ღირებულება რეალური ღირებულების ნახევარი იყო, ასევე, ავსტრიისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მხარეებს ხელშეკრულების მოშლა შეეძლოთ, თუ მათ მიერ განუული სამსახური ორჯერ აღემატებოდა გადახდილ საფასურს და ა.შ.). ბევრი ქვეყანა ბათილად მიიჩნევს გარიგებებს, თუ სახეზეა მხარეთა ვალდებულებათა დისპროპორცია და იგი დადებულია მეორე მხარის გონივრული განსჯის უუნარობით, ნების მნიშვნელოვანი სისუსტით, მძიმე მდგომარეობით და ა.შ (ავსტრიის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, შვეიცარიის კანონი „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ და ა.შ.).

აღნიშნული საკითხის მსგავსი რეგულირება ქმნის ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის დაცვის წინაპირობებს მეორე მხარის ძალმომრეობისაგან. შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობას მხარეთა შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ამორალურ გარიგებებთან მიმართებაში შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს. განსხვავებით გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 55-ე, 85-ე მუხლები), გარიგების ამორალურად მისაჩვენებელ აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად. შესაბამისად, შეუძლებელია, გარიგების ამორალური ბუნების გამოვლენა იმის გამო, რომ არ დგინდება ერთ მხარეზე მეორე მხარის მიერ განხორციელებული იძულების ფაქტი. სამოქალაქო კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ამორალურ ქმედებად, მაგრამ იგი იცავს საზოგადოებას ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მორალური ღირებულებების დაცვა კანონის საფუძველზე წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და სამართლის ნორმების ჰარმონიზაციის ნიმუშს. კანონის შესაბამისად, ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ შედეგებთან და იგი იწვევს ადამიანთა მიმართ მთელი რიგი მაიძულებელი ღონისძიებების გატარებას. ზნეობის ნორმის დაუცველობა განაპირობებს ადამიანთა მიერ გამოვლენილი ნების გაბათილებას. მისი საწინააღმდეგო შეთანხმებები არაა და მათ არანაირი სამართლებრივი შედეგების დადგომა არ უკავშირდება.

ხშირად საზოგადოების მიერ ამორალურად მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთს უწესებენ ბევრად უფრო მძიმე მოთხოვნებს, ვიდრე ეს მართებულად მიჩნეულია ყოველდღიურ ცხოვრებაში. მსგავსი მოთხოვნები არ გამომდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობიდან. პირიქით, ისინი გაუმართლებლად ლახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობიდან. პირიქით, ისინი გაუმართლებლად ლახავენ საზოგადოების წევრთა უფლებებსა და ინტერესებს, საფრთხეს უქმნიან ადამიანის მთელ რიგ ღირებულებებს. ასეთი სახის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს განუზომლად მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაკისრება. შეუძლებელია, წლიური 120 პროცენტის განაკვეთის არსებობა გონივრულად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნდა გაბათილდეს მხარეთა მიერ დათქმული საპროცენტო განაკვეთის ოდენობა, რომელიც ბევრად აღემატება საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებულ წლიურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს. სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას ამ საკითხთან მიმართებაში და მიზანშეწონილად მიიჩნევს, მხარეს პროცენტის სახით დაეკისროს საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებულ წლიურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად იურიდიული პირებისათვის დადგენილი ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით დადგენილი ოდენობა<sup>1</sup>. ან კიდევ: საქართველოს

<sup>1</sup> სრულად იხ. 2016 წლის 12 იანვარი, საქმე №28/4259-14, <http://library.court.ge/judgements/5022016-02-15.pdf>





უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საჯარო აუქციონზე შეძენილ უძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლასთან დაკავშირებით (საქმე №ზს-34-34(3კ-12)). მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა საჯარო აუქციონზე მოსარჩელის – მ. კ-ის მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლის კანონიერების დადგენა, კერძოდ, 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლში 2010 წლის 23 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ვრცელდებოდა თუ არა ფიზიკურ პირებზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ 2004 წლის საგადასახადო კოდექსის თავდაპირველივე რედაქცია განსაზღვრავდა ქონების გაყიდვის/გადაცემის დროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების საკითხს, კერძოდ, თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდებოდა ან რაიმე გზით გადაეცემოდა სხვა მფლობელს სახელმწიფოს მიერ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების გარეშე, გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდებოდა ამ ქონებაზე ახალი მფლობელის მიმართ. ნებისმიერ სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებას ექნებოდა უმცირესი ძალა იმ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების მიმართ, რომელიც არსებობდა გაყიდვამდე ან გადაცემამდე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2004 წლის საგადასახადო კოდექსში 2010 წლის 23 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა კონკრეტული იურიდიული პირების წრე, რომელთა მიმართაც საგადასახადო კანონმდებლობამ, ქონების გასხვისების დროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლასთან დაკავშირებით, განსხვავებული რეგულირება შემოიღო. კერძოდ, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე განისაზღვრა, თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდებოდა ან რაიმე სხვა გზით გადაეცემოდა სხვა მფლობელს, გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გავრცელდებოდა ამ ქონებაზე, გარდა ამ მუხლის მე-51 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება შეეხო – კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტებს. ამდენად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას არ ახდენდნენ ფიზიკურ პირებზე, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობა ფიზიკურ პირებთან მიმართებაში აღნიშნულ ცვლილებებამდე ისედაც ითვალისწინებდა ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლას ახალი მფლობელის მიმართ. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი და საგადასახადო კოდექსი სადავო საკითხის მიმართ შესაბამისობაში იყო მოსული, ვინაიდან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლი დაზუსტდა და მიითება გაკეთდა გირავნობის/იპოთეკის უფლებაზე“.<sup>1</sup>

**2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი რეგლამენტაცია და არსებული პრობლემები**

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოში კანონი 2006 წელს იქნა მიღებული, რის შემდეგაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაცია და „მსუბუქი“ რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივა გახდა. „მანამდე კი, 2003 წელს, სამოქალაქო კოდექსში გაჩნდა „სპეციალიზებული მიკროსაფინანსო ფონდის“ ცნება. ის გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა დონორების მიერ დაფინანსებულ სუბსიდირებულ მიკროსაფინანსო პროგრამებ-

<sup>1</sup> სრულად იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/bs34343k12.pdf>

სა და კომერციულ მიკროსაფინანსო ინდუსტრიას შორის<sup>1</sup>. „მისო“ სტატუსის მქონე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე დარეგისტრირებული 70-მდე ინსტიტუტიდან უმრავლესობა თავისი შინაარსით სამომხმარებლო ფინანსების კომპანიას წარმოადგენს.... გასესხება ეფუძნება არა მომხმარებლის ფინანსების ანალიზს, არამედ მათ მიერ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნივთის ან ქონების შეფასებას, ხოლო სახსრები მიმართულია არა ბიზნესის დასაფინანსებლად, არამედ ნებისმიერი სამომხმარებლო საჭიროებისათვის... როგორც სწორად აღნიშნავს ა. ბაკურაძე, „გასესხების აღნიშნულ მოდელში იგნორირებულია მომხმარებლის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, რაც შესაძლოა, ქარბი საკრედიტო ტვირთის წარმოშობის მიზეზი გახდეს. ამიტომ მცდარია წარმოდგენა, რომ ყველა „მისო“ თავისი არსით არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. სასურველია, არსებული სტატუსი შეიცვალოს და მსგავს კომპანიებს დაერქვას საკუთარი სახელი, მაგალითად, „რეგისტრირებული ფინანსური კომპანია“ და მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს მიენიჭოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი<sup>2</sup>. იგივე სტატუსი შეიძლება მიენიჭოს კომერციულ ბანკებსა და საკრედიტო კავშირებს<sup>3</sup>, რომლებიც იცავენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს, ორიენტირებული არიან ბიზნესის დაფინანსებაზე, დაკრედიტების პროცესში კი ეყრდნობიან გადახდისუნარიანობის ანალიზს და არა ქონების შეფასებას.<sup>4</sup> სამწუხაროა, რომ საკანონმდებლო რეგულაციის გარეშე დარჩენილი ლომბარდები, ონლაინსესხების გამცემი ორგანიზაციები თუ კერძო პირები (მევახშეები), რომელთა რეგულაციის მიღმა დარჩენამ ხელი შეუწყო მათ მსესხებლებისათვის არათანაზომიერი პროცენტი მოეთხოვათ შეჭირვებული პირებისათვის, რომლებიც იძულებულნი არიან მათ მიმართონ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ ბანკებისათვის სესხის აღების სანაცვლოდ არაფერი გააჩნიათ შესათავაზებელი სესხის უზრუნველსაყოფად. მათი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ამ მხრივ რამდენადმე შესუსტებულია. „საინტერესოა, რომ წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დამფინანსებელი „მისო“-ები იყო. სებ-ის ინფორმაციით კი, ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობისათვის გაცემული სესხებით მისო-ები ლიდერობდნენ. აღნიშნული ტენდენცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქართველოს მთავრობამ კომერციული ბანკების მეშვეობით იაფი აგროკრედიტების პროგრამის სუბსიდირება დაიწყო“<sup>5</sup>.

**მიკროსაფინანსო ორგანიზაცია** არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან საქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ<sup>6</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იქმნებიან სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, მათი საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები კანონით თითქმის ერთგვაროვნადაა განსაზღვრული. ორგანიზაციული ფორმის არჩევა პარტნიორთა სიმრავლითაა განპირობებული... მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საზღვარგარეთული მსგავსი სტრუქტურებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად კონკრეტული ბაზრის ამა თუ იმ სექტორის (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, კულტურა და სხვ.) იაფი კრედიტებით უზრუნველყოფას ეწევიან და სახელმწიფოს მხრივ სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის გამო მოგების მიღებაზე ნაკლებად არიან ორიენტირებული. საქართველოში ისინი მაღალი რისკების სფეროში ჩართულო-

<sup>1</sup> ა.ბაკურაძე, „მიკროსაფინანსო სამყარო“, 30 სექტემბერი, 2014, ფინანსები, <http://forbes.ge/news/409/mikrosafinanso-samyaro>, ნანახია: 2018/10.06.

<sup>2</sup> დავამატებდით ასევე მას, როგორც ეს საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლშია დეფინირებული, „საერთაშორისო ფინანსური კომპანია“.

<sup>3</sup> გავიმეორებთ მე-8 სქოლიოში აღნიშნულ მოსაზრებას.

<sup>4</sup> ა. ბაკურაძე, დასახ. სტატია, <http://forbes.ge/news/409/mikrosafinanso-samyaro>, ნანახია: 2018/10.06.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბ., 2017, გვ. 134.

ბის გამო კომერციული ბანკების კონკურენტადაც კი გამოდიან<sup>1</sup>.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაცია და „მსუბუქი“ რეგულირება საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით. ის წარმოადგენდა გარდამავალ ფორმას დონორების მიერ დაფინანსებულ სუბსიდირებულ მიკროსაფინანსო პროგრამებსა და კომერციულ მიკროსაფინანსო ინდუსტრიას შორის. მაშასადამე, საქართველოში ყველაზე ძველი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან იღებს სათავეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიკროსაფინანსო საქმიანობა გულისხმობს მცირე მენარმეებისა და ფერმერების დაკრედიტებას, რომელიც ხორციელდება მათი შემოსავლის ანალიზისა და არა სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების შეფასების საფუძველზე. ამ განსაზღვრების თანახმად, მიკროსაფინანსო ინდუსტრია მოიცავს რამდენიმე მიკროსაფინანსო ინსტიტუტს და კომერციულ ბანკს (ჯამში, სავარაუდოდ, 20 დანესებულებას), რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე.

პირის მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციისათვის მისი განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 1 000 000 (ერთ მილიონ) ლარზე ნაკლები. განაღდებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა იყოს შევსებული. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100 000 (ასი ათას) ლარს.

გასაკვირი არაა ის, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გაჩნდა იქ, სადაც განუვითარებელი იყო ეკონომიკა, ვინაიდან მიკროფინანსები წარმოიშვა მაშინ, როდესაც აქტიუალური გახდა სესხის აღება ბანკების გვერდის ავლით. ფაქტობრივად გამოდის ისე, რომ ბაზარმა თვითონ შესთავაზა გამოსავალი იმ საზოგადოებას, რომელსაც საჭირო აქტივები არ გააჩნდა ბანკში სესხის ასაღებად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სახით.

### **პრობლემების იდენტიფიკაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში**

ვინაიდან საქართველოში „მისოების“ ექსპანსია მიმდინარეობს და სახელმწიფო პოლიტიკაც სრულ თანხმობაშია ამ პროცესთან, განვიხილოთ „მისოების“ რამდენიმე კრიტიკული ასპექტი და შემდეგ გადავავლოთ თვალი მათი ვითარების დინამიკას საქართველოში.

ამას ნათლად მონიშნავს სამხრეთ აფრიკის, ბოსნიის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების წარუმატებელი მაგალითები, რომლებიც „მისოების“ ექსპანსიამ გამოიწვია. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას აყოვნებს დიდი, არაფორმალური სექტორი და თვითდასაქმება, რომელიც ძირითადად საკუთარი თავის ფიზიკური კვლავწარმოების პროცესშია ჩართული (და არა კაპიტალის დაგროვების პროცესში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ქვეყნების პრობლემა ისაა, რომ სამუშაო ძალის დიდი ნაწილი მონაწილეობს არაკაპიტალისტურ მეურნეობებში და ეკონომიკური ზრდის მოცემა არ შეუძლია.

მიღწერდ ბატემანი და ჰა-ჯონ ჩანგი სტატიაში „მიკროფინანსების ილუზია“ საუბრობენ მიკროსაფინანსო სტრატეგიის მასშტაბით განპირობებული ეკონომიის უარყოფაზე. წარმოების ყველა სექტორისთვის არსებობს წარმოების ეფექტური მასშტაბის მინიმუმი, რომლის ქვემოთაც ფირმებს გადარჩენა არ შეუძლიათ. მიკროსაფინანსო მოდელი ისეთი სახის მიკროსაწარმოების გამრავლებას უწყობს ხელს, რომელიც ამ საზღვართან ახლოს მოძრაობს. მათი ქარბი მიწოდება კი აბრკოლებს უფრო ეფექტური მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას. ჩანგის აზრით,

<sup>1</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2014, გვ., 214.

სწორედ ასეთი არაეფექტური მიკროსაწარმოებისკენ მიედინება ფინანსების უმრავლესობა, რაც ამცირებს ისეთი მცირე და საშუალო სექტორის წილს, რომელიც ფორმალური დასაქმების პირველი წყაროა გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში.

კაპიტალისტისგან განსხვავებით, რომელსაც მშრომელების დასაქმება და კონცენტრირება (მატერიალურ-სივრცითი წინაპირობა მშრომელთა სოლიდარობისთვის) ფიქსირებული კაპიტალის მოძრაობაში მოყვანისთვის ესაჭიროება, რათა მიითვისოს ნაწარმოები ზედმეტი ღირებულება, მიკროფინანსისტი აფინანსებს არა მსხვილ მანქანა-დანადგარებს, არამედ უზრუნველყოფს მარტივი სამუშაო იარაღების და მცირე აქტივებისთვის შესაძენად საკმარის კრედიტს. „მიკროწარმოების“ შესაძლო გამომუშავებული ნაჭარბი ძლივს უზრუნველყოფს „გადარჩენას“, მაგრამ რადგან ინვესტიციები ასეთი მცირეა, ბრუნვა კი შედარებით მაღალი, მსესხებელს შეუძლია გადაიხადოს მაღალი საპროცენტო განაკვეთი საკუთარ ვალზე. კაპიტალისტს აღარ ესაჭიროება შრომის ორგანიზება და მართვა. მას შეუძლია ამოიღოს მაღალი უკუგება საკუთარ კაპიტალზე, არა ხალხის დასაქმების მეშვეობით, არამედ საკუთარი კაპიტალის მეშვეობით, მცირე ბიზნესის დაფინანსებით, თანაც იმ წილის ქვეშ, რომ მათ დახმარებას უწევს მენარმედ გახდომაში. ამ მენარმეებისთვის კი უმჯობესია ერთმანეთს შეეჯობრონ, ვიდრე გაერთიანდნენ კაპიტალის წინააღმდეგ<sup>1</sup>.

ამას მოწმობს შემდგომი ფაქტები, რომ მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები 2016 წელს 36%-ით გაიზარდა და 1,1 მილიარდი ლარი შეადგინა. მატება თანაბარპროპორციულად განხორციელდა ვალდებულებებისა და კაპიტალის ხარჯზე, რამაც შესაბამისად 836 მლნ. ლარი და 271 მლნ. ლარი შეადგინა. 2014 წლისთვის წმინდა სესხების ოდენობა 814,4 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც მთლიანი აქტივების 76%-ს შეადგენს. 2014 წლის მონაცემებით მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელმა 852,2 მლნ. ლარი შეადგინა. იგი ძირითადად წარმოდგენილია სამი სექტორით: 1. ვაჭრობა და მომსახურება 170,2 მლნ. ლარი (პორტფელის 20%), 2. სოფლის მეურნეობა და 124 მეტყევეობა- 187,6 მლნ. ლარი (პორტფელის 22%), 3. სამომხმარებლო სესხები- 427,9 მლნ. ლარი (პორტფელის 50%). ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მისო“-ების „მისია“ – ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას და გასცეს, მაგალითად, აგროკრედიტები, რეალობაში გამოიხატება უმეტესად სამომხმარებლო კრედიტების გაცემაში, რაც, ცხადია, არ წარმოადგენს მის თავდაპირველ მიზანს.

ასევე არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან მიმართებაში. „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის დადგენილებით („იმ პირთა განსაზღვრის თაობაზე, რომელთაც შესაძლებელია გადაეცეთ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ“), განისაზღვრა, რომ საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად: საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, რომ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 2044700740) და „საკრედიტო ისტორიათა ქართულ ბიუროს“ (ს/ნ 401963096) გადასცენ იდენტიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ასეთივე ინფორმაცია მიდის ამ ორგანიზაციებთან კრედიტების ვერგადამხდელი პირების შესახებ, ხოლო ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები უკავშირდებიან ვალაუფალ მოსახლეობას და, სამწუხაროდ, ხანდახან უხეში, მიუღებელი ფორმებითაც კი აიძულებენ მათ ვალდებულების დაფარვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკუთარებაში არსებული ქონების დაყადაღებით და რეალიზაციით ემუქრებიან. როგორც „კრედიტინფო საქართველოს“ დამფუძნებლები ვარაუდობენ, საინფორმაციო ბიუროს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია ქვეყნის საბანკო და არასაბანკო სექტორის განვითარებისათვის, რამეთუ საინფორმაციო ბიუროს არსებობის შემთხვევაში შემცირდება კრედიტების გაცემის რისკი, რაც თავის მხრივ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას

<sup>1</sup> თ. ჩივაძე, კაპიტალის ფინანსიალიზაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, 26.06.2016.

გამოიწვევს. ამგვარი საინფორმაციო სააგენტოები ცივილიზებულ ქვეყნებში არსებობენ, ისინი კრედიტორებს აწვდიან ინფორმაციას არაკეთილსინდისიერ გადამხედლებზე. საკრედიტო ტრანზაქციები მოითხოვენ მსესხებლის გადახდისუნარიანობის შემოწმებას. ასეთი შემოწმების გარეშე ფულის სესხება აზარტულ თამაშს წააგავს. გადანყვეტილების მიღების პროცესში არაკეთილსინდისიერ მომხმარებელზე ინფორმაცია კრედიტორს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მსესხებლის მიერ ვალის გადახდის შესაძლებლობაზე, -აცხადებენ საინფორმაციო ბიუროში. აქვე შევნიშნავდით, რომ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა „კრედიტინფო“-ს საქმიანობის შესახებ, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია ადამიანის ისეთი ძირითადი უფლება, როგორცაა პირადი მონაცემების.... შესახებ და საბანკო მონაცემების დაცვის გარანტიები... უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 863-ე მუხლის („საიდუმლოების დაცვის ვალდებულება“) იმპერატიული დანაწესით, კერძო ბანკები ვალდებული არიან „დაიცვან ანგარიშთან დაკავშირებული და ისეთი ფაქტების საიდუმლოება, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონითაა გათვალისწინებული (ვთქვათ სასამართლოს მოთხოვნით) ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ოპერაციას, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები, ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.... რადგან საკრედიტო და არასაკრედიტო სტრუქტურებიდან მიდის კრედიტინფოში ინფორმაცია მათთან ანგარიშის მფლობელების შესახებ, საბანკო დანესებულება ამით არღვევს ანგარიშის მფლობელთა კანონით დაცულ ინტერესებს. აქ, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ ფაქტს ლეგიტიმაციის შესახებ, როცა კლიენტს ბანკთან თუ მისოსთან დადებული აქვს ხელშეკრულება, ჩვენ ვსაუბრობთ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე მოსახლეობისა, არ გაანდონ მათზე ინფორმაცია სხვა პირთ, თუ გინდ კრედიტინფო ბიუროებს უკანონოდ.<sup>1</sup>

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო დანესებულებებს წვდომა აქვთ პოტენციური მსესხებლების იდენტიფიცირებულ ინფორმაციებზე, კი არ მცირდება, არამედ იზრდება იმ ფიზიკური პირების დაკრედიტება, რომელთაც შემოსავლებთან მიმართებაში ვალის მაღალი ტვირთი აქვთ. ხშირ შემთხვევაში მსესხებლების დიდ ნაწილს არ უფიქსირდება დასაქმებით ან სხვა ფორმის წყაროდან მიღებული შემოსავალი და ასეთი მსესხებლების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე აქვთ მიმდინარე ვადაგადაცილება არსებულ ვალდებულებებზე. ეს კიდევ წარმოშობს არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას მთლიანად ეკონომიკისთვის, კერძოდ, ვალაუფალ მსესხებელს, როგორც წესი, ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშზე და პოტენციური სამართლებრივი აღსრულების შიშით, უმცირდება ფორმალური დასაქმების მოტივაცია.

### კანონი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ნებისმიერი სახელმწიფოს ფინანსურ ურთიერთობათა მონესრიგება დამოკიდებულია კანონისა და ფინანსების სწორად განსაზღვრაში. ფინანსური დანაშაული ქვეყნისათვის უკან დამხევი ძალაა. მართალია, მიკროფინანსების სამართლებრივი ჩარჩოებიდან გასვლა არ წარმოადგენს ისეთ ძლიერ და საგანგაშო მდგომარეობას ქვეყნისთვის, როგორცაა რამდენიმე მილიარდიანი საფინანსო სექტორის მიერ ჩადენილი დანაშაული, მაგრამ მიკროსაფინანსოების მიერ კანონის დარღვევა ხშირად აისახება საზოგადოების უკმაყოფილებით, რაც შემდგომში ცუდია მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კანონის დარღვევის შემთხვევაში, თუ დარღვევები გამოვლინდა, გააფრთხილოს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადანყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ კანონის მიერ დადგენილი წესით. ერთ-ერთ ყველაზე დიდ დარღვევას ამ სფეროში წარმოადგენს მომხმარებლის ინტერესების

<sup>1</sup> ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამოცემლობა „გეორგიკა“, თბ., 2015, გვ., 208-209.

სრული იგნორირება, რომელიც გამოიხატება ხელშეკრულების პირობების არასწორად გაცნობაში. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საქართველოში სუსტად რეგულირდება. ისინი არ წარმოადგენენ ეროვნული ბანკის ფულადსაკრედიტო ინსტრუმენტს განსხვავებით ბანკებისაგან, რომელთაც ძლიერი დატვირთვა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ სფეროში. უნდა ითქვას ისიც, რომ მიუღებელია მათი საპროცენტო განაკვეთიც, უნდა არსებობდეს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს პროცენტის ტალღას. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს არა მარტო საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვა, არამედ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ასევე შეთავსებული აქვთ გასცენ იპოთეკური სესხები, რომელიც ფინანსურად უფრო დამძიმებულ საზოგადოებას უფრო ამძიმებს. ფაქტობრივად არანაირი აქტივი, რომელიც გჭირდება სესხის ასაღებად აღარ არის საჭირო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალში პიროვნების გადახდისუნარიანობა ეჭვქვეშ დგება, გამოდის ისე, რომ საქართველოში მომხმარებელი საერთოდ დაუცველია. ისინი აბსოლუტურად მინდობილი არიან მერყეულ შემოსავალზე. სახელმწიფო კი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ დაეხმაროს და დაიცვას მოსახლეობის ინტერესები და, მათ შორის, მათივე ფინანსები.

## თანამედროვე საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, 2018 წლის 7 მაისს ცვლილებები შევიდა „კომერციული ბანკების კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში“. ცვლილებებით იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს.

აღსანიშნავია, რომ ახალი რეგულაციით მთლიანად არ იკრძალება შემოსავლის დაუდასტურებლად სესხის გაცემა. ბანკებს კვლავ შეეძლება საზედამხედველო კაპიტალის 25% მსგავსი ტიპის კრედიტებზე მიმართონ. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ საბანკო სფეროს საზედამხედველო კაპიტალი დაახლოებით 5.2 მილიარდ ლარს შეადგენს, გამოდის, რომ ბანკებს 1.3 მილიარდი ლარის ოდენობის სესხის გაცემა შეეძლება შემოსავლების დაუდასტურებელ კლიენტებზე. ვინაიდან გადამხდელუნარიანობის შეუსწავლელად უმეტესწილად მოკლევადიანი კრედიტები გაცივდა, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულია, ხოლო აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ძვირფასი ქვებით, ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, შესაბამისად, ბანკებს 25%-იანი „ხვრელი“ მისცემს სრულ თავისუფლებას, რომ გასცენ მოკლევადიანი, მაღალპროცენტის კრედიტები შემოსავლების დადასტურების გარეშე. ეს ცვლილებები ბანკების ცხოვრებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს.<sup>1</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონკრეტული ცვლილება იმთავითვე არ გულისხმობს იმას, რომ იმ პოტენციურ მსესხებლებს, რომლებიც სესხს ვერ აიღებენ კომერციული ბანკებისგან, გაუქრებათ სესხის აღების სურვილი. ახალი რეგულაცია მოსახლეობას, განსაკუთრებით კი თვითდასაქმებულებს, რომლებიც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით 60%-ს შეადგენს და რომელთაც არ შეუძლიათ ბანკში წარადგინონ სახელფასო ამონაწერი, უზღუდავს წვდომას ფინანსებზე და ზრდის ხარჯებს. რა თქმა უნდა, პირველივე უარის შემდეგ ისინი ავტომატურად მიმართავენ ალტერნატიულ გზებს, ხოლო ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ალტერნატიული გზა არის იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან სესხის მიღება, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომერციული ბანკებისგან განსხვავებით კანონით რეგულირების გარეშე რჩება. ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ბანკებთან შედარებით გაცილებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ სესხებზე. საბოლოოდ, ეს

<sup>1</sup> მ. ჯანიაშვილი, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2018 წ. 2 აპრილი.

ცვლილება არ აღმოფხვრის ქარბვალთანობის პრობლემას და არ ემსახურება ცვლილების რეალურ მიზანს – ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობას საბანკო სფეროში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები გარკვეულწილად ბრძოლის გამოცხადებაა ქარბვალთანობის წინააღმდეგ<sup>1</sup>. დღეს ქვეყანაში ფაქტობრივად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 30% ე. წ. შავ სიაშია მოხვედრილი კრედიტის გადაუხდელობის გამო. ამის შედეგები კი უკვე ღია და ნათელია: 630 ათასამდე ადამიანი მოკლებულია შესაძლებლობას აქტიური სამუშაო ძალა გახდეს; შემცირებული განკარგავდი შემოსავალი, ბუნებრივია, ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას, მცირდება დანაზოგები. ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაკრედირების ისეთ მოდელებთან, რომელიც არანაირ დამატებულ ღირებულებას არ ქმნის ეკონომიკაში. განსაკუთრებით საუბარია მალაპროცენტიან სამომხმარებლო სესხებზე, რომლის უკან არ დგას მსესხებლის შემოსავალი<sup>2</sup>.

1 ივლისიდან ამოქმედებული ახალი რეგულაციით იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, კი, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. ამან გარკვეული ლეგიტიმური აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სპეციალისტთა შორის, რამეთუ, ახალი რეგულაციებით გარკვეულწილად შეეზღუდებათ საბანკო პროდუქტებზე წვდომა ადამიანთა ჯგუფს, რომლსაც ფიქსირებული შემოსავალი გააჩნია, მაგალითად, ძიძებს, ტაქსის მძღოლებს, რეპეტიტორებს, დიასახლისებს და სხვა. ბუნებრივია, ისინი მევახშეებისაკენ გადაინაცვლებენ, რომელთა სამართლებრივი რეგულაცია საერთოდ არ ხდება (გარდა შემთხვევისა, თუკი მევახშეს 20 ან მეტი მოვალე ეყოლება, იგი ვალდებული იქნება დარეგისტრირდეს ეროვნულ ბანკში, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამის კონტროლი, რეგულაციები ბუნდოვანია) და ეს კიდევ უფრო მეტი ადამიანის დამოკიდებულებას გაზრდის კერძო მევახშეების მიმართ. ამიტომ უნდა დაჩქარდეს საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე კანონის მომზადება, რომლიც მევახშეების პასუხისმგებლობას გაზრდიდა სესხების გაცემის საკითხში და განსაზღვრავდა მათ ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს.

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ამოქმედებული ცვლილებები, რომლებიც საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული კრედიტების საკითხებს არეგულირებს, ნოვაციურ ასახვას პოვენს საგადასახადო კანონმდებლობაშიც. კერძოდ, მიკრომენარმედ დარეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომლის შემოსავალიც 30 000 ლარს არ აღემატება, სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან<sup>3</sup>, რაც შეეხება მცირე მენარმე ფიზიკურ პირებს, რომლის წლიური შემოსავალი 500 000 ლარს არ აღემატება, გადაიხდის სიმბოლურ 1%-იან გადასახადს, ნაცვლად ადრე მოქმედი რეგულაციით. საგადასახადო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად (ნ. 1), „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით, გარდა 90-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> საქართველში დღეის სტატისტიკით 300 000 ოჯახი იპოთეკური სესხების გადაუხდელობის გამო რეალურად გამოსახლების წინაშე დგას და, ბუნებრივია, თუ სწორი პოლიტიკა არ შემუშავდა საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ მათი რაოდენობა, ბუნებრივია, გაიზრდება და ეს არა მარტო უსახლკაროთა რაოდენობას გაზრდის, არამედ დემოგრაფიული პრობლემებიც შეიქმნება.

<sup>2</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2018 წელი, 4 ივნისი, #530, გვ. 10.

<sup>3</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 94 | <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>

<sup>4</sup> სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ: „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირებისთვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>. მცირე ბიზნესის შესახებ დანვრ. იხ. ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგია“, 2017, 195-219.

საინტერესოა რეგულაცია იმის შესახებ, რომ 1 ივლისიდან თვითდასაქმებული ადამიანები-სათვის კომფორტის შექმნის მიზნით, ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება მიენიჭათ შემოსავლების მიხედვით მცირე ან მიკრო მენარმედ თვითონვე დაარეგისტრირონ თავიანთი მომხმარებლები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თვითდასაქმებული არიან. ახალი რეგულაციები ჯერ ერთი იმაზე აკეთებენ ორიენტირებას, რომ ბანკსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში თვითდასაქმებულების იდენტიფიცირება ავტომატურად მოხდება, ის სტატუსს მიიღებს და ბანკთან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან საკრედიტო ურთიერთობას ჩვეულებრივად გააძელებს და მეორეც, სახელმწიფო უფრო დააღაგებს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებთან საგადასახადო ურთიერთობას, მესამეც, ბიუჯეტს თვითდასაქმებულთა მცირე მენარმედ დარეგისტრირების შემთხვევაში ახალი გადასახადის გადამხდელები შეემატებათ მათი სახით. ეს, ბუნებრივია, შეეხებათ პედაგოგთა იმ კატეგორიასაც (როგორც საგანმანათლებლო სკოლების, ისე უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, რომლებიც ნიგნების მაღაზიებში ახდენენ სახელმძღვანელოების რეალიზაციას). გამოდის, რომ საკრედიტო რესურსებზე წვდომა გართულდება, თუ არ მოხდება თვითდასაქმებულების დარეგისტრირება შესაბამის დაწესებულებებში. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბანკებს შეუძლია დაეხმარებოდნენ სამომხმარებლო სესხებისა და ფიზიკური პირების დაკრედიტების კუთხით სესხების მოცულობა, რასაც ვერ დავეთანხმებით, რამეთუ მცირე მენარმეებად დარეგისტრირების გამარტივებული რეგულაცია, სიმბოლური გადასახადი შესაბამისად ერთგვარი ხელისშეწყობა იქნება თვითდასაქმებულებისათვის ჩრდილოვანი სექტორიდან გამოყვანისა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ჩაკეტილები და თავს აირიდებენ ე. წ. კერძო მევახშეებისაგან. 1%-იანი დაბალი საგადასახადო ვალდებულება მძიმე ტვირთად არ დაანება მოსახლეობას და საფინანსო სექტორთან ურთიერთობაც გაუიოლდებათ.

საინტერესოა ანალიზი იმის შესახებ, თუ რა მოხდა მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებისთვის რეგულაციები გაამკაცრა და საპროცენტო სარგებელზე 100%-იანი ზღვარი დააწესა. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ფინანსური ბაზარი 60%-მა დატოვა, რამდენიმე კი სტატუსი შეიცვალა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ეს სეგმენტი წარმატებით აითვისა კომერციულმა ბანკებმა, რომლებმაც ონლაინკრედიტების გაცემა დაიწყეს მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, ცხადია, ეტაპობრივად ბაზარს დატოვებენ დარჩენილი ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებიც, რამეთუ ისინი ყოველგვარი დადასტურების გარეშე გასცემდნენ სესხებს, რაც მათ უკვე ეკრძალებათ. გამოდის, რომ კომერციული ბანკების არეალი ახალი რეგულაციებით კიდევ უფრო გაფართოვდა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რეგულაციების გამკაცრებამდე სასურველი იქნებოდა და მეტი ეკონომიკური ეფექტის მომცემი, სახელმწიფოს დროულად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ეზრუნა კერძო მევახშეების იდენტიფიცირებაზე და ისინი გარკვეულ საკანონმდებლო რეგულაციაში მოექცია.

ახალმა რეგულაციამ გადაწყვიტა ე. წ. „ფინანსური პირამიდების“ პრობლემა, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სხვა პრობლემა მივიღეთ ამით, კერძოდ, ამ ფულმა უკონტროლო სივრცეში გადაინაცვლა.

აქვე გვინდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის საინტერესო რეგულაციაზე გავამახვილო ყურადღება. ბგბ-ის მიხედვით (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი), თუკი ფიზიკურ პირს ერთი საცხოვრებელი გააჩნია, მას კანონმდებლობა უკრძალავს საცხოვრებელი იპოთეკით დატვირთოს. მსგავს რეგულაციას საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს, კარგი იქნებოდა თუ მსგავსი რეგულაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც შევიდოდა, რაც აგვარიდებდა შეჭირვებული მოსახლეობის მიერ ერთადერთი საცხოვრებელი ადგილის დატვირთვას იპოთეკით და 300000-მეტი პოტენციური უსახლკაროს გაჩენას. მიგვაჩნია, რომ ეს მეტად პატრიოტული სვლა იქნებოდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ.



ექსპერტ ვ. ბერიძეს მიაჩნია, რომ, „რაც არ უნდა იდეალური გახდეს საბანკო სექტორი, ის ვერ იქნება ეკონომიკის მთავარი გამწევი ძალა, ის ვერ იქნება ბიზნესის – დამწყები თუ მოქმედის, მთავარი მომმარაგებელი ფულით. არ არის და ვერ იქნება ეს მისი მთავარი ფუნქცია. ასეთ ფუნქციას ჩვენ ვერ გამოვიგონებთ, სხვა ქვეყნების გამოცდილება კი ასეთი მსჯელობის საფუძველს გვაძლევს. ბანკების როლი ეკონომიკურ განვითარებაში უფრო იმაში გამოიხატება, რომ ის აფინანსებს და ასტიმულირებს მოთხოვნას, მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას უფრო მეტი საქონელი და მომსახურება შეიძინონ. მაგრამ მიწოდების მხარე, ანუ წარმოება ფინანსური რესურსით, უნდა მომარაგდეს საფონდო ბაზრების, საპენსიო ფონდებისა და სხვა წყაროების მეშვეობით“<sup>1</sup>.

### **მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის ალტერნატიული გზა**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2013 წლის მონაცემებით საქართველოში კრედიტორთა უმრავლესობა, თითქმის ყოველი მესამე მსესხებელი საკუთარი შემოსავლის 50%-ზე მეტს იხდიდა საბანკო ტვირთის მომსახურებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ კვლევის მიხედვით, კრედიტორების მიერ დასაკუთრებული ქონების 27,4% (387 შემთხვევა) კომერციულ ბანკებზე მოდის, 225 შემთხვევაში კი კრედიტორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო, რაც ჯამში 16%-ია.

როგორც კვლევაშია ნათქვამი, რესპონდენტები ხშირად აცხადებდნენ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხის დასაფარად მიმართავდნენ რადიკალურ ზომებს, მათ შორის, დამატებითი სესხის აღებასაც. გამოკითხულთა 37%-მა სულ მცირე ერთხელ მაინც აიღო კრედიტი მიკროსაფინანსოში სესხის დასაფარად. გარდა ამისა, რესპონდენტების 21%-მა განაცხადა, რომ სესხის დასაფარად საჭირო თანხის დასაზოგად კვების ხარჯები შეამცირეს. ამ შედეგებიდან გამომდინარე, კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ფინანსური სერვისების პროვაიდერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აგრესიული გაყიდვებისა და მარკეტინგის პრაქტიკის პრობლემას მაშინ, როცა საქართველოში მიკროსაფინანსოები კვლავაც განაგრძობს განვითარებას. „შემამფოთებელია ის ფაქტი, რომ კლიენტთა 37%-ს სხვა სესხის დასაფარად აქვს ფული ნასესხები.“

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გამკაცრდეს მიკროსაფინანსოების კონტროლი, დაწესდეს გარკვეული რეგულაციები, რათა სესხი გაიცეს შეღავათიან პროცენტებში და, რაც მთავარია, პირობები მორგებული იყოს მომხმარებელზე, რომ მან შეძლოს გარკვეულ ვადებში გამოტანილი თანხის დაფარვა. მითუმეტეს, რომ მომხმარებელი ხშირად აწერს ისეთ ხელშეკრულებებზე ხელს, რომელიც მას არ წაუკითხავს, ან მეტიც ისეთი ფინანსური ენით წერია, რომ მას უჭირს შინაარსის გამოტანა. ამ სექტორის მომხმარებლები ისეთ კონტიგენტს წარმოადგენენ, რომელთაც ბანკებმა სესხზე უარი უთხრეს. ასეთი მომხმარებლები ვერ ათვისებენ სესხის მიზნობრიობას და მნიშვნელობას, რის გამოც ხშირია შემთხვევები, როდესაც სესხის ვერ დაფარვის შემთხვევაში მათ მიერ უზრუნველყოფილი უძრავი თუ მოძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევა ხდება. ამიტომაც საჭიროა, მომხმარებლებმა იცოდნენ, თუ როგორი ხერხებით ცდილობენ ისინი მათ ჩათრევას და თუკი მაინც გადაწყვიტონ მიკროსაფინანსოდან სესხის გამოტანას, ხელშეკრულების პირობებს აუცილებლად უნდა გადახედონ.

<sup>1</sup> ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე, წყარო: გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2018.23.4.5.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1950.
2. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამოცემლობა „გეორგია“, თბ., 2015.
3. ი. ხარაზი, საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგია“, 2017.
4. თ. ჩივაძე, კაპიტალის ფინანსიალიზაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, 26.06.2016
5. ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012.  
Microfinance in Germany and Europa. წყარო: გაბისონია, ზვიად, საბანკო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012.
6. თ. ჩივაძე, კაპიტალის ფინანსიალიზაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, 2016.

## სასამართლო პრაქტიკა:

სუსგ, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/bs34343k12.pdf>

საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: 2016 წლის 12 იანვარი, საქმე №2ბ/4259-14, <http://library.court.ge/judgements/5022016-02-15.pdf>

## ნორმატიული აქტები:

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, <https://matsne.gov.ge>, ნანახია: 2018/16.06.

საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, <https://matsne.gov.ge>, ნანახია: 2018/16.06.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, <https://matsne.gov>, ნანახია: 2018/16.06.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №151/04 (2016 წლის 23 დეკემბერი) „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვეისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“, <https://nbg.gov.ge/cp/uploads/legal=acts/2017/2017.pdf>

## პერიოდული გამოცემა:

გაზეთი: ბანკები და ფინანსები“



**ასმათ გუგავა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**ლალი აბრამიშვილი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**ქორწინების გარეშე და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა  
სამართლებრივი მდგომარეობა**

**ანოტაცია**

საოჯახო სამართლში სამართლებრივი რეგულირების გარეშე დარჩენილი ხელოვნური განაყოფიერების გზითა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა. მართალია, ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ იცავს ბავშვთა უფლებებს, ითვალისწინებს მათ თანასწორუფლებიანობას და კრძალავს ბავშვთა დიფერენციაციას, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში კვლავ შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებსა და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვებს შორის.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში გახშირდა დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების დაბადების ფაქტები, იმატა არარეგისტრირებულმა ქორწინებამ. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს, რასაც ვერ ვიტყვით ქორწინების გარეშე და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა მიმართ. სახელმწიფოში მწირია აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები და ის მხოლოდ რამდენიმე მუხლით შემოიფარგლება. მაგალითად, „საქართველოს ჯანდაცვის შესახებ“ კანონის 141-143 მუხლები, აუცილებლად მივიჩნევთ გადაუდებლად მოხდეს სამოქალაქო – საოჯახო სამართლში ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრა. ჩვენს ქვეყანაში 2000 წლიდან უკვე ფიქსირდება ყორდანისას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, ამ გზით დაბადებულ ბავშვთა არაერთი ფაქტი.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე განისაზღვროს:

- ა) ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსი;
- ბ) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის დასაცავად ჩამოყალიბდეს თანამედროვე მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და ჰარმონიზაციას საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში;
- გ) საჭიროა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დინამიკის შესწავლა და დემოგრაფიულ სტატისტიკაში ხარვეზების წარმოჩენა;
- დ) შესწავლილ უნდა იქნას საქართველოსა და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებისა და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვების შემთხვევაში.

**Asmat Gugava**

*Associate Professor, Doctor of Law  
Sokhumi State University*

**Lali Abramishvili**

*Associate Professor, Doctor of Law  
Sokhumi State University*

## **LEGAL STATUS OF ILLEGITIMATE CHILDREN AND BORN THROUGH ARTIFICIAL INSEMINATION**

### **Abstract**

Family law is without legal regulation legal status of Illegitimate Children and Born through Artificial Insemination. Although the European Convention protects the rights of illegitimate children, including equal rights and prohibits children’s differentiation, but the fact that there is still noticed some difference in the community between legitimate and illegitimate children born through artificial insemination.

The facts of birth of children from unmarried parents have become more frequent during the past 10-15 years, and unregistered marriages have increased. The civil legislation of Georgia regulates in detail the rights of children born in registered marriages, which cannot be said towards illegitimate children and children born through artificial insemination. In the state there are scarcely legal acts that are regulating the issue and it is limited to just a few articles. For example, Article 141-143 of the “Georgian Law on Health”, we consider it necessary to make sure that the legal status of children born through artificial insemination in civil-family law is urgently needed.

Since 2000, we have already registered “a number of facts children born through this way” in Zhordania Human Reproduction Research Institute and other medical institutions.

We believe that the above mentioned problem should be defined:

- A) legal status of children born through artificial insemination;
- B) To establish modern approaches to protect the legal status of illegitimate children that will promote the improvement and harmonization of the legislative basis in respect of international norms;
- C) It is necessary to study the dynamics of illegitimate children and reveal defects in demographic statistics.
- D) Comparative analysis of judicial practice of Georgia and other countries should be studied in the case of children illegitimate children and children born through artificial fertilization.



# ქორწინების გარეშე და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა

სამართალი, როგორც ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, დინამიკური და განვითარებადი. იგი იცვლება ყოფიერების ცვლილების კვალობაზე და საჭიროებს დროის მოთხოვნათა შესაბამისად კოლერაცია-დახვეწას. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო, კერძოდ, საოჯახო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა შვილების წარმომავლობა და მათი სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის მარეგულირებელი ნორმები მოითხოვს დახვეწასა და შემდგომ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის სამართლებრივი რეგულირების გარეშე დარჩენილი ხელოვნური განაყოფიერების გზითა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი რეჟიმი.

ოჯახი და ქორწინება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად იყო და არის ზრუნვისა და ყურადღების საგანი. მყარი ოჯახი სახელმწიფოს სიძლიერის საწინდარია, მაგრამ, სამწუხაროდ, იმატა ტრადიციული ოჯახების ნგრევამ, რამაც საფრთხე შეუქმნა ოჯახის ფენომენს. ოჯახის ნგრევის ერთ-ერთ მიზეზს სხვა მიზეზებთან ერთად, უშვილობა წარმოადგენს. დღეს მედიცინაში მიღწეულმა წარმატებებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უშვილობის დასაძლევად. ხელოვნური განაყოფიერება იძლევა საშუალებას მეუღლეებმა და არა მხოლოდ ქორწინებაში მყოფებმა, იყოლიონ შვილები. ამ მიმართებით მიგვაჩნია საკითხი დასარეგულირებელია და აუცილებლად ითხოვს სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრას იმ პირობა მიმართ, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერების გზით დაიბადნენ.

ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ იცავს ბავშვთა უფლებებს, ითვალისწინებს მათ თანასწორუფლებიანობას და კრძალავს ბავშვთა დიფერენციაციას, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში კვლავ შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება ქორწინებასა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებსა და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვებს შორის.

არც სახელმწიფოსა და არც არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე საქართველოში დღემდე არ არსებობს:

- ა) ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა ზუსტი სტატისტიკა;
- ბ) ნათლად ჩანს განსხვავება რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს შორის, როგორც სოციალური, ისე ფსიქოემოციური კუთხით;
- გ) არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, აგრეთვე რელიგიური კუთხითაც ხელოვნურ განაყოფიერებაზე და ამ გზით დაბადებულ ბავშვთა მიმართ.

ქართველისთვის ოჯახის შექმნისას მნიშვნელოვანია კულტურულ-მენტალური ფასეულობები, რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება პიროვნება. თანამედროვე ტენდენციები ახალგაზრდების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს და უპირატესობას ანიჭებენ ფაქტობრივ ქორწინებას და არარეგისტრირებულ კავშირს პარტნიორთან, თავს არიდებენ ოჯახური ურთიერთობებისას პასუხისმგებლობას, რაც საშიშროებას უქმნის „ოჯახის“ ინსტიტუტს.

ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი უდავოდ განიცდის კრიზისს, დაბალია შობადობის დონე, ამას ემატება უშვილო წყვილები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მომავალი თაობების რაოდენობრივ ზრდას.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში გახშირდა დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების დაბადების ფაქტები, იმატა არარეგისტრირებულმა ქორწინებამ. საქართველოს სამოქალაქო კანონ-

მდებლობა დეტალურად არეგულირებს რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს, რასაც ვერ ვიტყვით ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობისა და უფლებების მიმართ. სახელმწიფოში ძალზე მწირია აღნიშნული საკითხის დამარეგულირებელი სამართლებრივი აქტები და ის მხოლოდ რამდენიმე მუხლით შემოიფარგლება. მაგალითად, „საქართველოს ჯანდაცვის შესახებ“ კანონის 141-143 მუხლები, ხოლო სამოქალაქო-საოჯახო სამართალში საერთოდ არაფერია ნათქვამი ამ გზით დაბადებულ ბავშვთა წარმომავლობაზე და შესაბამისად განსაზღვრული არ არის ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი. არადა, ჩვენს ქვეყანაში 2000 წლიდან უკვე ფიქსირდება ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში ამ გზით დაბადებული ბავშვების არაერთი ფაქტი.

უშვილობის პრობლემის აღმოსაფხვრელად „შვილება“ სრულყოფილი ოჯახური გარემოს შექმნას, ბავშვის ინტერესების დაცვასა და მის ოჯახურ გარემოში აღზრდას ითვალისწინებს. თუმცა, არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებისთვისაც მიუღებელია სხვისი გენეტიკური კოდის მატარებელი ბავშვის ყოლა და სურვილი აქვთ, ჰყავდეთ თავიანთი ბიოლოგიური შვილები – ხელოვნური განაყოფიერების გზით. ამ გზით დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი რეგლამენტაცია სამოქალაქო-საოჯახო კანონმდებლობით სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და საჭიროა მისი დროული მოწესრიგება.

საზოგადოებაში „უკანონოდ დაბადებულის დამლა“ აზის რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს, რომელსაც ატარებენ მამისგან არ აღიარების გამო, თუმცა სამართალი ამბობს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ხელოვნური განაყოფიერების გზითა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები, რომლებსაც ე. წ. „მარტოხელა დედები“ ზრდიან, ხშირ შემთხვევაში საჭიროებენ მორალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე განისაზღვროს:

ა) ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსი;

ბ) ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის დასაცავად ჩამოყალიბდეს თანამედროვე მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და ჰარმონიზაციას საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში;

გ) საჭიროა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა დინამიკის შესწავლა და დემოგრაფიულ სტატისტიკაში ხარვეზების წარმოჩენა;

დ) შესწავლილ უნდა იქნას საქართველოსა და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისა და ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვების შემთხვევაში.

ბავშვის დაბადება მნიშვნელოვანი მოვლენაა მეუღლეთა ცხოვრებაში, მისი წარმომავლობის სამართლებრივი საფუძველია: ა) მშობლებისაგან შვილების დაბადება, მნიშვნელობა არ აქვს მშობლები დაქორწინებულნი არიან თუ არა და ბ) სისხლით ნათესაობა.

ბავშვის დაბადება დედის მიერ მტკიცდება სამშობიარო სახლის ან სხვა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით, ხოლო ბავშვის დაბადების ფაქტის სამედიცინო დაწესებულებაში ექიმის ან სხვა მუშაკის მიერ გაცემული ცნობით, ან მათი არყოფნის შემთხვევაში 2 მოწმის მიერ დადასტურებული ცნობით, რომლის საფუძველზეც ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაცია.

სისხლით ნათესაობის პრინციპი წარმოადგენს მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს, რაც განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა (1187 მ) და ბავშვის უფლებათა კონვენციით ( 1989 წლის 20 ნოემბერი).

რაც შეეხება რელიგიასა და ქრისტიანულ მოძღვრებას, ოჯახის სინმინდე და სიმტკიცე მისი



არსებობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო და არის დღესაც. დღიდან სარწმუნოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისა, ის მუდმივად ზრუნავდა ოჯახების შენარჩუნებაზე, მის ერთიანობაზე, რადგან მეუღლეების მიერ ერთმანეთის წინაშე დადებული ფიცი ეკლესიის თვალსაზრისით ღვთისთვის მიცემულ პირობას წარმოადგენდა და მისი დარღვევა უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. ჯვრისწერა რელიგიურ საიდუმლოებათა ერთ-ერთი სახეა. ოჯახი საზოგადოების ყოფით მოვლენას წარმოადგენს და მისი მთავარი მიზანი ადამიანის მოდგმათა გამრავლებაა. ოჯახების ერთიანობასა და თაობების გამრავლების კუთხით რელიგიის როლი უდაოდ დიდია. ის მოუწოდებს დაქორწინებულ წყვილს იგრძნონ მაღალი პასუხისმგებლობა არა მარტო ერთმანეთის მიმართ, არამედ შვილების, ოჯახის სხვა წევრთა და საზოგადოების წინაშე. სწორედ ამიტომ რელიგია აყალიბებს ოჯახურ ურთიერთობათა ზნეობრივ წესებსა და უყენებს მას მკაცრ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, საოჯახო ურთიერთობები გაჯერებულია რელიგიური და ზნეობრივ-აღათობრივი ნორმებით (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი და სხვა).

ამის საპირისპიროდ რელიგია არათუ ამართლებდა, არამედ, პირიქით, გამობდა კიდევ უკანონო ქორწინებას და ასეთ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვს ღვთის ცოდვის შვილად მიიჩნევდა.

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, საქართველოში დაუქორწინებლ პირთა სქესობრივი კავშირი მრუშობად ითვლებოდა, ხოლო ბავშვი ასეთი ურთიერთობის შედეგად დაბადებული თავისი ღირსებითა და უფლებით დაბლა იდგა კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან შედარებით.

რომში დაიშვებოდა ქმრისა და ცოლის როგორც სამუდამო, ისე ფაქტობრივი თანაცხოვრება-შთამომავლობის გამრავლების მიზნით. ქრისტიანული სარწმუნოება კრძალავდა მრავალცოლიანობას, ეკლესია სასტიკად ებრძოდა ქალისა და მამაკაცის ამგვარ ურთიერთობას და უკანონო ცოლებს მეძავებს (მრუშებს) ეძახდა, მრუშობის შედეგად დაბადებული ბავშვები უკანონო შვილებად ითვლებოდნენ, დიდი იყო განსხვავება ასეთი გზით დაბადებულ ბავშვებსა და კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსს შორის, რაც თუნდაც იმით გამოიხატებოდა, რომ „უკანონო შვილებს“ მემკვიდრეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ. ასეთივე მიდგომა იყო ქართულ სინამდვილეშიც. რაც შეეხება აზიურ ქვეყნებს, აქ უკანონოდ ბავშვის გაჩენა გასამართლებასთან და პატიმრობასთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ დროის გასვლასთან ერთად იცვლება შეხედულებები და ურთიერთობები. საზოგადოებასთან ერთად რელიგიაც იძულებული ხდება თვალი გაუსწოროს რეალობას, ადამიანებს შორის ყოფით ურთიერთობაში მიმდინარე ცვლილებებს. მართალია, რელიგია შვილად აყვანას უდიდეს ჰუმანურ საქციელად მიიჩნევს, მაგრამ წინააღმდეგია ხელოვნური განაყოფიერების გზით ახალი სიცოცხლის მოვლინებისა და ამ გზით თაობების გამრავლებისა, მაგრამ მისი კატეგორიული ტონი ბოლო დროს შეიცვალა და საზოგადოებისთვის ხარკის გადახდის მიზნით აცხადებს, რომ ხელოვნური განაყოფიერების გზით ბავშვების გაჩენა და დაბადება არ უნდა გადაიქცეს კომერციული შემოსავლის სარფიან და იოლ საშუალებად და მისი მიზანი უშვილო წყვილებისთვის მშობლიური გრძნობების გაჩენას, განცდას და ამ გზით მათ გაბედნიერებას უნდა ემსახურებოდესო.

როგორ არეგულირებს კანონი არაოფიციალურ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს?

საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქალაქეებს შორის არაოფიციალური ურთიერთობები უფრო მდგრადია და ასეთი ურთიერთობისას დაბადებული ბავშვი ოჯახის ნაწილია. ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება არ მიიჩნევა ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობად, ეს განმარტება შესანიშნავი დაცვითი მექანიზმია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლების ხელშესაწყობად. მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოდგება არგუმენტად, რადგან ზემოთ აღნიშნული პრობლემა ჩვენში მწვავედ დგას. თუკი ოჯახში გაზრდილი ბავშვი ცხოვრობას სამყაროს შემეცნებაში ატარებს, მშობლის ზრუნვამოკლებულ ბავშვებს ხშირ შემთხვევაში უწევთ ქუჩაში ცხოვრება და არსებობისთვის ბრძოლა.

ბელგიის კანონმდებლობით დედის მხრიდან, თავად დედობის ფაქტი წარმოადგენს ქორწინე-

ბის გარეშე დაბადებული შვილების აღიარებას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელი მშობლების შვილები იმავე სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდნენ, რომელშიც არიან კანონიერ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოკლედ განმარტავს დედობის აღიარების ფაქტს, ბავშვის დედას წარმოადგენს ქალი, რომელმაც იგი დაბადა.

საქართველოს კანონმდებლობით კი ბავშვის დაბადება ისეთი მშობლებისაგან, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, დასტურდება – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ბავშვის დედისა და მამის ერთობლივი განცხადების შეტანის საფუძველზე, ხოლო ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის დედად პირის აღიარება ეყრდნობა ქალისგან ბავშვის დაბადების ფაქტს, როგორც ეს გერმანულ კანონმდებლობაშია. ეს ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, გამონაკლის შემთხვევაში მონშეთა ჩვენებითაც.

თუ ბავშვი ჩნდება არარეგისტრირებული ქორწინებით და მამობა არაა დადგენილი, უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ბავშვსა და დედას შორის. ე. ი. საკმარისია მათ შორის სისხლით ნათესაობის პრინციპი, მნიშვნელობა არ აქვს ვისგანაა ბავშვი. მამასა და შვილს შორის ურთიერთობისთვის სისხლით ნათესაობასთან ერთად საჭიროა ქორწინების რეგისტრაცია.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, მშობელი, სოციალური, ყოფითი თუ ზნეობრივი პრობლემებისგან თავის დაღწევის მიზნით ნაგავსაყრელზე ან ქუჩაში ტოვებს. თუ ნაპოვნია ახალშობილი (მშობლების არსებობა და მათი ადგილსამყოფელი უცნობია) ბავშვის რეგისტრაცია ხდება პოლიციისა და სამედიცინო დანესებულების, თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული ცნობების საფუძველზე, სავარაუდოდ დროისა და ადგილის მიხედვით. აღნიშნული ორგანო აძლევს ბავშვს სახელსა და გვარს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია განახორციელოს მოკვლევა ბავშვისა და მისი მშობლების ვინაობის დასადგენად.

შვილების წარმომავლობის დადგენის სხვა გზა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ხელოვნური განაყოფიერება. რომლის გამოყენებასაც უკვე ხშირად მიმართავენ არა მარტო უშვილო წყვილები, არამედ მარტოხელა ქალები, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე მყოფი პირები და სექსუალური უმცირესობებიც კი.

უნაყოფობის პრობლემა ოდითგანვე აწუხებდა დაოჯახებულ წყვილებს და დღესაც აქტიუალურია, რომელიც ხშირად ოჯახის დანგრევის მიზეზი ხდება, ამიტომ კანონმდებელმა გაითვალისწინა რა საზოგადოებაში მიმდინარე რთული სოციალური, ეკონომიკური და ბიოლოგიური პროცესები, რომლებიც როგორც აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში უშვილობაში იჩენს თავს, შვილად აყვანის გზით შესაძლებლობა მისცა წყვილებს იცხოვრონ, როგორც სრულყოფილმა ოჯახებმა და კანონიერი გზით მოახდინონ ოჯახის ამ თვალსაზრისით ნაკლოვანი მხარის შევსება.

შვილება მხოლოდ სრულყოფილი ოჯახური გარემოს შექმნის საშუალება არ არის. იგი მიზნად ისახავს ბავშვის აღზრდას ოჯახში, რომელიც წარმოშობს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ისეთივე ურთიერთობას, როგორიც არსებობს ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არიან ოჯახები, რომელთათვისაც მიუღებელია სხვისი გენეტიკური კოდის მქონე ბავშვის ყოლა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალს თავისი ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეუძლია ხელოვნური განაყოფიერების გზით ემბრიონის განვითარება – გაზრდა. ასეთ შემთხვევაში არსებობს სუროგატი დედის თემა, რაც დღეს ტაბუდადებული აღარ არის, პირიქით, იგი სულ უფროდაუფრო აქტიუალური ხდება.

საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვების სამართლებრივი საკითხები ძირითადად რეგულირდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 1997 წ. საქართველოს კანონით და კანონქვემდებარე აქტით „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“.



საქართველს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წელს გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ შესაბამისი ბრძანებულება ბავშვის ხელოვნური განაყოფიერების გზით ჩასახვის ფაქტს გამოეხმაურა და მოახდინა კიდევ მისი ნაწილობრივი რეგულირება. რადგან საკითხები საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი, ამ მუხლებით აღნიშნული პრობლემები ვერ მოგვარდებოდა, ახლა კი თანამედროვე პირობებში საქართველოში არსებობს მრავალი სამედიცინო დაწესებულება, სადაც ამ მეთოდით ახალი სიცოცხლე იბადება. ახალი სიცოცხლის დაბადება კი აუცილებლად მოითხოვს თანამედროვეობასთან შესაბამისობაში არსებულ სამართლებრივ რეგლამენტაციას და საოჯახო ნორმებში სათანადო ასახვას, რათა დღეს სამართალში არსებულმა ხარვეზმა არ წარმოშვას სერიოზული პრობლემები ბავშვთა უფლებებთან მიმართებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2018 წლის რედაქციით.
2. რ. შენგელია, ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ., 1999.
3. ლ. ნადიბაიძე, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა, ჟურნ. „სამართალი“, 1996 N1-2.
4. რ. შენგელია, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების აღზრდაში, თბ., 1974.
5. ლ. ჭილაშვილი, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით, დისერტ. თბ., 2017.
6. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, თბ. 1997.

ია ხარაზი

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
მონვეული სპეციალისტი

ბექა ექონია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის სტუდენტი

## ფულადი ვალდებულების წარმოშობა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მიხედვით და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები

### ანოტაცია

სტატიაში განხილულია ფულადი ვალდებულების წარმოშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მიხედვით და მასთან დაკავშირებული პრობლემები. სტატიაში წინა პლანზეა წამოწეული კონკრეტული საკითხები და პრობლემები, თუ რა შეიძლება მიადგეს ზიანის სახით მოვალეს და როგორაა ამ შემთხვევაში მისი სამართლებრივი უფლებები დაცული. ასევე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს, გამომდინარე იქედან, რომ სწორედ ხელშეკრულების დადების საფუძველს იღებენ მხარეები კონკრეტული ვალდებულების შესრულების უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას. ასევე მიმოვიხილავთ ნომინალიზმის პრინციპს და მისი გამოყენების არეალს შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულებასთან მისადაგების პირობებში და ა. შ.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია, ჰიპერინფლაცია, დევალვაცია, ვალდებულების შესრულება, ხელშეკრულება, დენომინაცია, კოტირება, კონვერტაცია.

Ia Kharazi

*Specialist at New Higer Egucation Instute*

Beka Ekonia

*David Aghmashenebeli University of Georgia,  
School of Law, Student*

## MONETARY OBLIGATION ARISING ACCORDING TO THE CIVIL CODE ARTICLE 389 AND RELATED LEGAL PROBLEMS

### Abstarct

The article is about monetary obligation arising according to the Civil Code article 389 and related legal problems. In the article is raised specific issues and problems, what damage could be caused to the debtor and how is in this case his legal rights protected. Also, the article focuses on the circumstance that the agreement represents one of the important products, given the fact that the sides are taking the basis of agreement signing at the time of fulfillment of concrete obligations.

The article will also examine a nominalism principle and its using area due to the changed circumstances of the agreement conditions, and so on.

**Keywords:** inflation, hyperinflation, devaluation, agreement, fulfillment of obligation, Konvertacia, Kotireba.

## ფულადი ვალდებულების წარმოშობა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მიხედვით და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მთავარ პროდუქტს ხელშეკრულება წარმოადგენს. „თუ ხელშეკრულება ორივე მხარისათვის წარმოშობს ვალდებულებას, ბუნებრივია, სრულყოფილ და ორმხრივად სრულყოფილ ვალდებულებასთან გვაქვს საქმე..., რომლის დროსაც შესრულება და საპირისპირო შესრულება ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფება. ვალდებულება იმიტომ სრულდება, რომ მიღებულ იქნას საპასუხო შესრულება („do ut des“)<sup>1</sup>. „ამასთან, რთულ, მრავალმხრივ და წინააღმდეგობებით სავსე ურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტების მიზეზი ძალიან ხშირად არასწორად თუ უყურადღებოდ შედგენილი ხელშეკრულებაა“<sup>2</sup>. მხარეთა შორის არასწორად დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები ხშირად ხდება გაურკვეველობისა და სასამართლო დავის საგანი. ასეთი მდგომარეობა კანონმდებლობის ხარვეზიანი თუ ბუნდოვანი, ხშირ შემთხვევაში, ორმაგი გაგების ნორმების არსებობის შემთხვევაშიც, რაც შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლთან დაკავშირებითაც, რომელმაც დღეს განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ეროვნული კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით. მაინც რასთან გვაქვს საქმე? როგორ უნდა მოიქცეს მოვალე, რომელსაც კომერციული ბანკისაგან სესხი აქვს აღებული ლარსა თუ დოლარში და კრედიტორები მათ გაზრდილი კურსით, ინფლაციის შესაბამისად სთხოვენ სესხის დაბრუნებას იმ რეალობის გათვალისწინებით, როცა ქვეყანაში ვალუტის გაუფასურება კვლავ გრძელდება და ადამიანებს, რომლებსაც ბანკიდან კრედიტები დოლარში აქვთ გამოტანილი, ყოველთვიური შენატანი საკმაოდ ეზრდებათ და ეროვნული ვალუტის გაუფასურება მძიმე ტვირთად აწვებათ?“<sup>3</sup>.

„სკ-ის კოდექსის 389-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით „თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს“.... „სასამართლოების პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტების წყარო გახდა „და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მასში არც ისე ნათლად და ცალსახადაა გამოკვეთილი ფულადი ვალდებულების შესრულების მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული ფუძემდებლური პრინციპი, რომელსაც ნომინალიზმის პრინციპი ჰქვია“<sup>4</sup>. ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა... (ნომინალიზმის პრინციპი) არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება, მართალია, გარკვეულ ფულად თანხაშია დაწესებული, თუმცა აღნიშნული თანხა ნატურით შესრულების სანაცვლოდ არის დადგენილი, ან საკომპენსაციო თანხას წარმოადგენს, ან კიდევ ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“<sup>5</sup>. „ფულადი ვალდებულების შესრულებასთან მიმართებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულადი ვალდებულების წარმოშობის მო-

<sup>1</sup> კროპპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: თორნიკე დარჯანია და ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2014, გვ. 222.

<sup>2</sup> ლ. თვარაძე, ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები, თბ., 2012, ვალდებულებითი სამართალი, <http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/06>

<sup>3</sup> ზ. ძლიერიშვილი, ფულადი ვალდებულების გადახდის თავისებურებანი, თბ., 2005, ციტირება: ლაშა თვარაძე, ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები, 2012, <http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/06>

<sup>4</sup> ლ. თვარაძე, დასახ. ნაშრ. იქვე.

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, გვ. 4. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

მენტიდან მისი შესრულების მომენტამდე ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შეცვლა, ანუ ინვესს თუ არა პარალელურად გადასახდელი ფულადი ნიშნების რაოდენობაში ცვლილებას ფულის მსყიდველობითუნარიანობაში მომხდარი ცვლილება? აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არსებობს თანამედროვე მსოფლიო სამართლებრივ სისტემებში მიღებული და უკვე დამკვიდრებული „ნომინალიზმის პრინციპი“, რომელიც მისი შინაარსით სრულად ჰპოვებს ასახვას ქართულ სამართლებრივ რეალობაშიც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში „კერძოსამართლებრივი „ნომინალიზმის პრინციპი“ გულისხმობს, რომ „მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს“<sup>1</sup>. „389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. მაგალითად, დენომინაცია განიცადა საბჭოთა კავშირის დროს მანეთმა, როდესაც მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთის ნომინალით“<sup>2</sup>. ჰიპერინფლაციის დროს, ბუნებრივია, ბაზარზე ქარბი ფული შემოდის და ეს ინვესს მის მკვეთრ გაუფასურებას, საგადასახდლო ბალანსის ზრდას და სხვა უარყოფით ეკონომიკურ ფაქტორებს, რაც, ბუნებრივია, მოვალეთა საგადასახდლო ვალდებულებაზე ძალიან ცუდად აისახება. რამეთუ ქართულ ვალუტას, ლარს, ეს პროცესები მწვავედ არ შეხებია და, ცხადია, ჰიპერინფლაციასაც ადგილი არ ჰქონია, აღნიშნული ნორმის კრედიტორების სასარგებლოდ გამოყენება დაუშვებელია, თუმცა მას თავის სასიკეთოდ იყენებდნენ კომერციული ბანკები. ნორმის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, კი ჩვეულებრივ მსოფლიოს ნებისმიერი ბაზრისათვის, და მათ შორის საქართველოში ფულის „ნორმალური“ ინფლაციის დროს აღნიშნული ნორმის გამოყენება კრედიტორების მიერ დაუშვებლად მიგვაჩნია და რაც, სამწუხაროდ, არაერთხელ მომხდარა. „სასამართლო პრაქტიკამ აღნიშნული შედეგების მოწესრიგება იმ სამართლებრივ შედეგს დაუკავშირა, რაც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელება ფულის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით, ანუ იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს იყო. შესაბამისად, სასამართლომ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით ის შედეგი დაუშვა, რომელიც ნომინალიზმის პრინციპიდან არ გამომდინარეობს, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება მას“<sup>3</sup>.

ნომინალიზმის პრინციპის არსი მისი სახელწოდებიდანაც გამომდინარეობს. სიტყვა „ნომინალიზმი“ წარმომდგარია სიტყვა „ნომინალი“-საგან, რაც ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობას გულისხმობს. როგორც ვხედავთ, მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობითუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას“<sup>4</sup>.

ნომინალიზმის, როგორც ტერმინის წარმოშობა დაკავშირებულია ჯერ კიდევ შორეულ წარსულთან, კერძოდ, როცა მე-17 საუკუნეში, „1604 წელს ეს პრინციპი გამოყენებულ იქნა Gilbert-ისა და Brett-ის საქმეზე. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპაში ფული უფასურდებოდა. გაუფასურება ახლდა ოქროს ფულის მონეტებიდან ქალაქის ფულზე გადასვლასაც. ეს პრინციპი, რომელმაც შემდგომში ასახვა მთელი კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში ჰპოვა, განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – 1956 წლიდან 1964 წლამდე, როდესაც

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 389, გვ. 347.

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, გვ. 4. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

<sup>4</sup> საქმე № 3კ/428. 2000 წ. 5 აპრილი. ციტირება: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, სარედაქც. კოლექცია: ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურია, თბ., 2001.

40 კაპიტალისტურ სახელმწიფოში 50-ჯერ განხორციელდა ფულის დევალვაცია. ამან, ცხადია, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო საბანკო სექტორიც, სამენარმეო სფეროც და წარმოიშვა ბევრი დავა, როგორ უნდა მომხდარიყო ვალდებულებების შესრულება. მას შემდეგ ევროპაში დადგინდა ვალდებულებების გადახდის ნორმა, რომ „100 ფუნტი ყოველთვის უდრის 100 ფუნტს“<sup>1</sup> და არა აქვს მნიშვნელობა, ეს ასი ფუნტი რა მსყიდველობითი უნარის არის ვალის გასატუმრებისას“<sup>2</sup>.

ამან, ცხადია, თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაშიც, კერძოდ, 389-ე მუხლში, რომლის გამოხატულებაა ცნობილი გამოთქმა: „ლარი ტოლია ლარის“ და შესაბამისად, დოლარი დოლარის ტოლია“, ან კიდევ „ევრო ტოლია ევროსი“ და ა. შ. მაინც რა დამოკიდებულება არსებობს ამასთან დაკავშირებით დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში? რა შეიძლება გამოიწვიოს ვალუტის გაზრდამ ან შემცირებამ? ეს პროცესი მოქმედებს თუ არა სესხის გადამხდელებზე და როგორ იყენებენ (როგორ განმარტავენ) სკ-ის 389-ე მუხლის პირველ წინადადებას კრედიტორები, კონკრეტულად საბანკო სექტორის წარმომადგენლები, ასევე ეკონომისტები მსესხებლებისაგან ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებით კრედიტის გადახდისას? ან როგორ განმარტავენ მას იურისტები (როგორც თეორეტიკოსები, ასევე პრაქტიკოსებიც), როგორ ესმით ეს ნორმა მოვალეებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიხმეთ 2000 წლის სუსგ-ის გადამწყვეტილება<sup>3</sup> „სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ „ფულადი ვალდებულების შესრულების დროს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის კურსის გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას, რომელიც თავისთავად ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომელიც იწვევს ფულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადამხდელო ბალანსის მოშლას და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევას, რომლის დროსაც დიდი რაოდენობით ფულს გამოუშვებენ, რასაც მოსდევს ფულის კურსის მკვეთრი გაუარესება, ოქროს საბაზრო ფასების ზრდა“. ნომინალიზმი სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის დაცვას ემსახურება, კერძოდ, მხარეები, რომლებიც ითვალისწინებენ, ვალუტის მოსალოდნელ მკვეთრ ცვლილებას ბაზარზე, ხელშეკრულებაში დათქმები გააკეთონ და ამით მოსალოდნელი რისკები და საფრთხეები აიცილონ თავიდან.

ექსპერტ-ეკონომისტთა ნაწილს იურისტების მიერ 389-ე მუხლთან დაკავშირებით მოყვანილი არგუმენტები 2000 წლის სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით „ცოტა უცნაურად მიაჩნიათ, კერძოდ, „ამიტომ ამით აპელირება და მისი მოყვანა რკინის არგუმენტად საეჭვოა. შესაბამისად, თუ მსესხებელი მიაკითხავს სასამართლოს და მოიშველიებს კვალიფიციური იურისტის დახმარებას, რომელიც ცოტა მაინც ერკვევა ეკონომიკაში, ის აუცილებლად მოიგებს და ბანკისაგან დაიბრუნებს ზედმეტად გადახდილ თანხებს. მით უფრო, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულება, რომელიც ერთ მხარეს ძალიან ამდიდრებს, ხოლო მეორე მხარეს მნიშვნელოვნად აზარალებს, ბათილია, ასე რომ, ეს სავსებით შესაძლებელია და სასურველია, რომ საამისო პრეცედენტები მაინც შეიქმნას. ეს იქნება ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი. დაზარალებული თუ არა ამით კომერციული ბანკი?! ამის შესახებ ექსპერტი აცხადებს, რომ ეს არის ბანკის რისკი და მსესხებელი არ არის ამ რისკზე პასუხისმგებელი. ამის საწინააღმდეგოდ კი, რატომღაც კრედიტორს თავისი რისკები გადააქვს მსესხებელზე, ანუ იმიტომ, რომ მან მცირედით არ იზარალოს, თავისი ზარალი გადააქვს მსესხებელზე და მას აიძულებს დაუფაროს თავისი ზარალი. არადა, ბუღალტრული წესებით, ზა-

<sup>1</sup> იგივე პრინციპით დღეს: ვთქვათ, 10 ლარი ტოლია 10 ლარის.

<sup>2</sup> დანვრ. იხ. სუსგ, საქმე № 3კ/428.2000წ. 5 აპრილი.

<sup>3</sup> საქმე № 3კ/428. 2000 წ. 5 აპრილი. ციტირება: ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, სარედაქტ. კოლეგია: ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, თბ., 2001.

რალი თუ მოუვა ბანკს, ეს გამოიქვითება საგადასახადო დაბეგვრის ბაზისაგან. ამიტომ ეს პროცედურა არ არის სამართლიანი. ამდენად, 389-ე მუხლი გამოყენებადია კლიენტის სასარგებლოდ, თუკი კლიენტი სასამართლოს მიმართავს<sup>1</sup>.

ამართლებს თუ არა რისკი ნომინალიზმს? „რისკი ნომინალიზმს არ ამართლებს, როდესაც ფულის ერთეულის (კურსის) ამგვარი მკვეთრი ცვლილება გონივრულ მოლოდინს მიღმა, ანუ არაგანჭვრეტად რისკს წარმოადგენს. მაგალითად, ჰიპერინფლაცია, ფულის ერთეულის შეცვლა (ინდექსაცია). ასეთ შემთხვევებში, ნომინალიზმის პრინციპის დაცვა მხოლოდ საჯარო წესრიგის დაცვის მოსაზრებით შეიძლება იყოს გამართლებული.<sup>2</sup> თუმცა რიგ შემთხვევებში, მაგალითად, ჰიპერინფლაციისა, თუ სახელმწიფოს მხრიდან ფულის ნომინალის შეცვლის შემთხვევაში (ინდექსაცია) ნომინალიზმის პრინციპის გამოყენებით მხარეთათვის ძალზედ არასამართლიანი შედეგი შეიძლება დადგეს. საერთო სამართლის ქვეყნები აღნიშნულ ხარვეზს სამოსამართლო სამართლის მეშვეობით ასწორებენ, რისი მიღწევაც კონტინენტურ ევროპაში სამართლის შესაბამისი „დანერილი“ ნორმის გარეშე, შეუძლებელია. თუმცა, აღნიშნული სისტემის ქვეყნებში დანერილი სამართლის ნორმებზე დაყრდნობითაც შეიძლება გამოიძებნოს გამოსავალი, მაგალითად, მითითებული მოვლენა განხილულ იქნას ფორს მაჟორად, ან მინიმუმ შეცვლილ გარემოებებზე მაინც, რამაც ხელშეკრულების პირობების შეცვლა, გადახედვა ან შეწყვეტა უნდა გამოიწვიოს<sup>3</sup>.

„პრაქტიკაში მნიშვნელობის საკითხია, გამოიყენება თუ არა ნომინალიზმის პრინციპი შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულებასთან მისადაგების პირობებში. 389-ე (ფულადი ვალდებულებების გადახდა ფულის ერთეულის კურსის ცვლილებებისას“) და 398-ე მუხლების) „ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“) ურთიერთმიმართების დროს გაუმართლებელია 389-ე მუხლის უპირატესობის აღიარება. „ეს პრინციპი მეტისმეტად ფართოა. გამონაკლისები დაშვებული უნდა იყოს დროის ხანგრძლივობის შესაბამისად“<sup>4</sup>. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით შეფასდეს, რამდენად და რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ფულის ერთეულის ან ფულის კურსის ცვლილება იმგვარ ცვლილებად, რომელიც ხელშეკრულებაზე არსებით ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, მხარეთათვის აღნიშნული ცვლილება რამდენადაა ისეთი გარემოება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ისინი ან ერთ-ერთი მათგანი აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ან სხვა პირობით დადებდა“<sup>5</sup>. „სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებების მიმართ მხოლოდ გამონაკლის შემ-

<sup>1</sup> ექსპერტი ლია ელიავა, <http://for.ge/view.php?for-id=43778&cat=1>

<sup>2</sup> Kariv, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 542 (<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illlr65&div=31&collection=journals&set-as-cursor=0&men-tab=srchresults#551>). ამონარიდი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, გვ. 10. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

<sup>3</sup> Brokelind, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro, p. 10, (<https://www.google.com/url?sa=t&ret=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEwj9z7n4u7jNAhXFSBQKHQXfDzYQFggcMAA&url=http%3A%2F%2Fflup.lub.lu.se%2Frecord%2F529861%2Ffile%2F624704.pdf&usq=AFQjCNFm0xSb90Eo6Fo--PUdkmAs5ot4sQ&sig2=nqql1S-5Gxcvurfindvp91Q>). ნანახია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, გვ. 10. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

<sup>4</sup> Hirschberg, Public Policy and Monetary Nominalism, p. 536 (<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/israel8&div=41&collection=journals&set-as-cursor=0&men-tab=srchresults#540>). ნანახია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, გვ.10. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

<sup>5</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014, გვ. 256-257.

თხვევებშია დასაშვები. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისად ფულის კურსის მნიშვნელოვანი (არსებითი) ცვლილებად და ვალუტის შეცვლა უნდა დასახელდეს, თუმცა ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს (იხ. 398-ე მუხლის კომენტ.). იმისათვის, რომ ფულის კურსისა თუ ვალუტის ცვლილება გრძელვადიან სამართლებრივ ურთიერთობაში მიჩნეულ იქნას შეცვლილ გარემოებად და წარმოიშვას ხელშეკრულების პირობების მისადაგების ვალდებულება, აუცილებელია, დადგინდეს შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი<sup>1</sup>.

389-ე მუხლის დანაწესი 398-ე მუხლთან მიმართებით უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო ნორმად, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს. 389-ე მუხლის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კი ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებათა ისეთი აშკარა ცვლილებაა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შეუძლებელია სავარაუდო იყოს ხელშეკრულების დადებისადმი მხარეების (ან ერთ-ერთი მათგანის) დაინტერესება. გარემოებების შეცვლა იმდენად უნდა ამძიმებდეს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას, რომ მისგან ხელშეკრულების უპირობო შესრულების მოთხოვნა არათანაზომიერად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, თუ განხილული წინაპირობები სახეზეა ფულის ერთეულის, მისი კურსისა თუ ვალუტის ცვლილებების სახით, ასეთ შემთხვევაში, 398-ე მუხლის დანაწესს შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით, რათა დაცულ იქნას ორივე მუხლის მიზანი<sup>2</sup>. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, თუ მოვიხმობთ სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, 389-ე მუხლის გამოყენება სამ შემთხვევაში ხდება: არსებობს ჰიპერინფლაცია; მოხდა დენომინაცია (1000 ლარი 10 ლარით შეიცვალა); ვალუტის/ფულის ერთეულის შეცვლა<sup>3</sup>.

უზენაესი სასამართლოს განმარტებებში არაერთგზის განიმარტა იმის შესახებ, რომ ფულის კურსის ნომინალური ცვლილება არ ხდება ამ ნორმის მოქმედების სფეროში და იგი მხარეთა რისკის სფეროში შედის<sup>4</sup>. მაგალითად, თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება 9#2ა/64, უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა (2001 წლის 27 ივნისის #3კ/467-01 განჩინებით), რომელიც ეხებოდა ნომინალიზმის პრინციპის გამოყენებას; კერძოდ, „სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მითითება სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლზე დაყრდნობით, ინფლაციის გათვალისწინებით, ზიანის მოთხოვნის ანაზღაურებაზე უსაფუძვლოა, რადგან ამ მუხ-

<sup>1</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის N ას-1153-1173-2011 გადაწყვეტილება. ამონარიდი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, გვ. 11. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

<sup>2</sup> ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014, გვ. 264.

<sup>3</sup> ლ. ალაფიშვილი, „ბანკებთან ვალის ანგარიშსწორებისთვის სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მოხმობა არასწორად მოხდა“, <http://fortuna.ge/levan-alfishvili-bankebtan-valis-angarisworebistvis-samoqalaqo-kodeqsis-389-e-mukhlis-mokhmoba-upasukhismgeblod-mokhda/>, /22. 8.2018/

<sup>4</sup> იქვე.

ლში მითითებულია, თუ ვალის გადახდის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით... მითითებული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება თავისთავად გულისხმობს ფულის რეფორმას, რაც ფულის სისტემის განმტკიცებისათვის გატარებული სახელმწიფო საკანონმდებლო აქტია, რომლის შედეგად ქვეყანაში ფული ამოიღება და მის ადგილს იკავებს ახალი ფული, იცვლება ფულის ერთეული ან მისი ოქროს შემცვლელია, რის შემდეგაც დგინდება ფულადი ერთეულის, ფულის ნიშნის ფორმა და ეროვნული ვალუტის კურსი კი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულებას გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულის ერთეულში. ფულის კურსის დადგენა გაიგივებულია მის კოტირებასთან, რაც უცხოური ვალუტის საბირჟო ფასების დადგენას ნიშნავს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვალუტის შეცვლა გულისხმობს ქვეყანაში არსებული ფულის ნიშნის შეცვლას. აღიარებული პრაქტიკით, ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებს ე. წ. „ნომინალური პრინციპი“, ე. ი. პრინციპი, იმის შესახებ, რომ ვალი ნომინალურად იმ თანხაში უნდა დაიფაროს, რომლის შესაბამისადაც იყო დადებული ხელშეკრულება.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დროს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის ნომინალის ცვლილებას... რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, აღნიშნული თავისთავად ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომელიც იწვევს ფულადი ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადასახადო ბალანსის მოშლას და ნომინალური სამეურნეო კავშირების დარღვევას. ამ დროს სახელმწიფო მიმოქცევაში უშვებს დიდი რაოდენობის ფულს, რომელიც რეალური საქონელბრუნვის საჭიროებას აღემატება, რასაც მოსდევს ფულის კურსის მკვეთრი გაუარესება, ოქროს ფასების ზრდა. ვინაიდან ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის, მიმართ ზემოთმითითებულ პროცესებს ადგილი არ ჰქონია, ფულადი ვალდებულების შესრულების დროს დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე ფულის ნომინალური გაცვლითი კურსის ვარდნის დროს, რადგან აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. ლარის კურსის დაცემის კრიტერიუმად არ შეიძლება აღებულ იქნას რომელიმე უცხოურ ვალუტასთან შეფარდება, რადგან, როგორც ცნობილია, ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან შეფარდებაში მერყეობს, ზოგი ქვეყნის ვალუტასთან შეფარდებით მცირდება, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით იზრდება<sup>1</sup>.

სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლმა ლარის გაუფასურების ზრდასთან დაკავშირებით, როცა კომერციულმა ბანკებმა ინფლაციის შესაბამისი კურსით მოითხოვეს ვალის გადახდა, ბუნებრივია, საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. სპეციალისტთა ნაწილი თვლის, რომ „მთელი ეს კამპანია, რომელიც რატომღაც მედიაშეფარდა აიტაცა, არის წმინდა წყლის იაფფასიანი სპეკულაცია, სენსაციებზე აგებული აბრაკადაბრა და მეტი არაფერი. თავად ტერმინი „ვალდებულების წარმოშობის თარიღი“ დაკავშირებულია არა მხოლოდ იურიდიულ ტერმინთან, არამედ საერთაშორისო საბანკო პრაქტიკასთან, რადგან ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი იკითხება არა განყენებულად, არამედ სწორედ ამა თუ იმ მოვლენის კონტექსტში.

საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის თანახმად, რომელიც სულ მცირე 5 საუკუნეს მაინც ითვლის, სესხის გაცემა ყველა ვალუტაშია შესაძლებელი, რაც არ ზღუდავს ანგარიშსწორებას სხვა ვალუტაში. მიდგომა, რომლის მიხედვითაც მსესხებელმა სესხი ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით უნდა დაფაროს, ეკონომიკური თვალსაზრისით არის სრული აბსურდი, რადგან კომერციული ბანკები ვალდებულებებს იზიდავენ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხო-

<sup>1</sup> მ. ჩანტლაძე, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა“. <http://library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>.



ურ ვალუტაში, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრებიდან და იგივე პირობა აქაც რომ დადგეს, ხომ წარმოგიდგენიათ რა სახის საერთაშორისო ქაოსის მომსწრენი გავხდებოდით?... საქართველოს საბანკო კანონმდებლობა მთლიანად ორიენტირებულია ევროპულ საბანკო სამართალზე. ამასთან, ეროვნული ბანკის საბანკო დანესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის მიხედვით, ცალსახად არის განსაზღვრული როგორც უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების და, პირველ რიგში, აქ იგულისხმება სესხის ან დეპოზიტის ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, აგრეთვე პირგასამტეხლოს ან ჯარიმის გადახდის ოპერაციები. აზრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ საკრედიტო ურთიერთობებს, როდესაც ფორმირდება საკრედიტო ხელშეკრულება<sup>1</sup>. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ შევდივართ სერიოზულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში საკრედიტო დანესებულებასთან და ვიღებთ ვალდებულებებს ვალის დაფარვაზე. მოსახლეობისათვის სესხის აღებისას არსებობს ძალზე კარგი რჩევა სავალუტო რისკებისაგან დასაზღვევად – ავილოთ სესხი იმ ვალუტაში, რა ვალუტაშიც გვაქვს შემოსავალი<sup>2</sup>.

ნაწილი იურისტებისა თვლის, რომ „კურსის ცვლილების გამო, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება და დოლარში გაცემულ სესხზე გაუფასურებული ლარის გადახდისას კოდექსის **ეს მუხლი (მ. 398) გამოიყენება მხოლოდ 3 შემთხვევაში: ა) ჰიპერინფლაცია; ბ) დენომინაცია; გ) ვალუტის/ფულადი ერთეულის შეცვლა**“<sup>3</sup>. ავტორის განმარტებით, „მართალია, ითვლებოდა, რომ დადგენილი იყო ოფიციალური კურსი, მაგრამ ფაქტობრივად ქვეყანაში მოქმედებდა საბაზრო და კომერციული კურსები, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ფულის გაცვლა.“<sup>4</sup> ისეთ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას, ასევე ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას, ფულადი მოთხოვნების შესრულებისას მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპი, რომლის თანახმად, ვალდებულების შესრულებისას ნომინალიზმის პრინციპი არ უნდა იქნას გამოყენებული, არამედ ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ კურსის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს<sup>5</sup>.

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, როცა მსესხებელს დოლარში აქვს აღებული სესხი, იმავე ვალიტაში უნდა მოახდინოს მისი დაბრუნება ბანკისათვის? ბუნებრივია, კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ ორგანული კანონის „ეროვნული ბანკის შესახებ“ 32-ე მუხლის თანახმად, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ: „ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“<sup>6</sup>. (საქართველოს კანონის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „თავისუფალ ინდუსტრიული ზონაში ანგარიშსწორება ხორციელდება ნებისმიერი ვალუტით“<sup>7</sup>). გამოდის, რომ არ აქვს მნიშვნელობა მსესხებელს სესხი ლარში აქვს აღებული თუ დოლარში, მას ორგანული კანონი უფ-

<sup>1</sup> აზრის ავტორია საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ცუცქერიძე გიორგი, იხ. <http://www.frontnews.ge/ge/news/93776>

<sup>2</sup> იურისტი ალაფიშვილი ლ. იხ. <http://www.frontnews.ge/ge/news/93776>.

<sup>3</sup> გ. ცაბავა, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2016, 1 თებერვალი, # 444.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> შენიშვნის სახით: საქართველოს კანონში „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ წერია, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში გადახდა ნებისმიერი ვალუტითაა დაშვებული, ეს ზონა ხომ „ეკონომიკური ქვეყანაა თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკური თამაშის წესებით სხვა ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და ერთგვარი საგადასახადო ოაზისია აქ მოსაქმე მენარმე-ოპერატორებისათვის.

<sup>7</sup> თავისუფალი ინდუსტრიულ ზონებში ანგარიშსწორების შესახებ ასევე დამატ. იხ. ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, გამომცემლობა „გეორგია“, თბ., 2014, გვ., 463-507.

ლებამოსილებით აღჭურავს ვალი ეროვნულ ვალუტაში გადაიხადოს. 389-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით, მსესხებელს, დოლარიც რომ ჰქონდეს აღებული ვალად, ბანკმა დოლარზე კონვერტაცია იმ კურსით უნდა მოუხდინოს, რაც დოლარის გასესხების მომენტისათვის არსებობდა. ნორმა (სკ მ.389) ასე უნდა გავიგოთ, მითუმეტეს, რომ იგი სპეციალურია. ბანკები კი ამკარად არასწორად განმარტავენ აღნიშნულ მუხლს, სამართალსაც უხეშად არღვევენ და მსესხებელთა უფლებებშიც უხეშად იჭრებიან, როცა უცხოურ ვალუტაში აღებულ ვალზე მსესხებლებს იმ კურსით კი არ ახდევინებენ ვალს, რა კურსითაც ჰქონდათ აღებული სესხი, არამედ ვალის გადახდის დროს არსებული კურსით, რაც, ვფიქრობთ, ნორმის არასწორი (იქნებ შეგნებულადაც) გაგების და მსესხებელთა უფლებების უხეში დარღვევაა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სასესხო ხელშეკრულებაში ხელშეკრულების მხარეებს განსაზღვრული აქვთ, რომ უცხოური ვალუტის კურსით ვალის აღებისას ინფლაციის შემთხვევაში მსესხებელმა უნდა გადაიხადოს გაზრდილი კურსით ვალი, არაკანონიერია, რამეთუ სესხის ხელშეკრულების შინაარსს ამ შემთხვევაში იურიდიული ძალა არ აქვს, რადგან ყველა ხელშეკრულება, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება – ბათილია და შემდგომი მონონებაც ვერ აქცევს მას ძალამოსილად. ეს კანონის იმპერატიული დანაწესია.

იურისტ გ. ცატავას აზრით, 389-ე მუხლის მკვედარი მუხლია, რომელიც არ გამოყენებულა და ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს<sup>1</sup>, რასაც ვერ დავეთანხმებით, შეიძლება ფართო პრაქტიკა არ არსებობდეს, მაგრამ გარკვეული პრაქტიკა ამ კუთხით ჩამოყალიბდა, რაზედაც სტატიაში მოტანილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც მოწმობს. ალბათ, აზრის ავტორს საუბარი ამ ბოლო დროს გავრცელებულ სიტუაციებზე ჰქონდა. მისივე მართებული მოსაზრებით, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელწიფოს მხრიდან იძულება არ ხდება და მხარეები თავისუფალნი არიან ნების გამოვლენაში, უფლება აქვთ შეთანხმდნენ კანონით გაუთვალისწინებელ პირობებზეც, თუმცა, რა თქმა უნდა, შეთანხმების ბათილობა ამ შემთხვევაში ავტომატურად არ ხდება. ამ მუხლის (სკ მ. 389) საფუძველზე შეთანხმების ბათილად ცნობა უნდა მოხდეს სასამართლო გზით. მისივე აზრით, იმ შემთხვევაში, თუ აღიძვრება სარჩელი სასამართლოში, როდესაც მხარე მოითხოვს მისი ვალდებულების დაფიქსირებას, არა იმ კურსით, რომელიც უწერია ხელშეკრულებაში, არამედ ისე, როგორც კანონში წერია. სავარაუდოდ, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მსგავსი სარჩელი, სარჩელში უნდა მოხდეს მოთხოვნის სამართლებრივად კომპლექსური დასაბუთება. მხოლოდ 389-ე მუხლი ვერ იმოქმედებს იმ შემთხვევაზე, როდესაც მხარეები შეთანხმებული არიან ვალდებულების შესრულების სავალუტო პირობებზე. ასეთი სარჩელის დაკმაყოფილება და პრაქტიკის დამკვიდრება ძირეულად შეცვლის საბანკო სისტემას<sup>2</sup>.

„იურისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ამ მუხლთან დაკავშირებით, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ლარის ინფლაციის პირობებში, როდესაც მსესხებლებს ვალი დოლარში აქვთ აღებული და სასამართლო პრაქტიკაც არ არსებობს, მოვალეების გააქტიურება თუ სასამართლო წარმოებაში საქმეები შევიდოდა 389-ე მუხლთა დაკავშირებით კომერციული ბანკების წინააღმდეგ, საბანკო სექტორის აფეთქებას გამოიწვევდა<sup>3</sup>.

განსხვავებულ მოსაზრებებს ავითარებენ სკ-ის 389-ე მუხლთან დაკავშირებით ექსპერტ-ეკონომისტები. კერძოდ, ისინი განმარტავენ, რომ 389-ე მუხლში „არსად არ არის ნათქვამი, დოლარი არ დააბრუნოთო. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ კურსის ცვალებადობისაგან ბანკები მდიდრებიან, ამას არასწორად მიიჩნევენ, რადგან ბანკმა მოვალეს მისცა სესხი დოლარში, მას მოზიდული აქვს ეს სესხი დოლარში. ბანკმა ისესხა ერთი მილიონი დოლარი, მოიტანა დეპოზიტში ევროპის რომელიმე ბანკიდან, ვთქვათ „იბარდიდან“ და გასცა ერთი მილიონის კრედიტი. ამ შემთხვევაში, მისი ვალდებულებები დოლარშია, მისი აქტივები დოლარში ერთმანეთის ტოლია. წარმოიდგინეთ

<sup>1</sup> იხ. ცატავა გ. დასახ. ნაშრ.

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> მ. არევაძე, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2016 წელი, 1 თებერვალი, #444.

ბანკის რისკმენეჯმენტმა ასეთი რამ გააკეთოს, რომ დღგ-ის გარეშე მიიღოს ერთი მილიონი დეპოზიტი დოლარში და გასცეს ლარში, ორ წუთში გაკოტრდება, მას დაუცველი პოზიცია ექნებოდა. ეს ხომ ბანკის ფული არ არის? ბანკი შუამავალია. დეპოზიტი კი ეკუთვნის ვილაცას და წარმოიძინეთ, იმას უთხრას, მე შენ არ დაგიბრუნებ ერთ მილიონ დოლარს, არამედ დაგიბრუნებ უფრო ნაკლებსო<sup>1</sup>. მეტიც, მისი თქმით, კანონში ბევრი არაკონკრეტული ჩანაწერია, მაგრამ ყველაფერს კანონში ვერ ჩანერს ადამიანი, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებს. თუმცა „მე თუ მოგეცით ვაშლი, უნდა დამიბრუნოთ ვაშლი, თუ არა და კურსი მე არ მაინტერესებს. მაშინ ბანკი გეტყვით, რომ რეფინანსირების პროცენტზე ხართ მიბმული და 8%-იან რეფინანსირებას დაემატება 10%-იც. საბოლოოდ კი, ეს ყველაფერი 18%-მდე ავიდოდა“<sup>2</sup>. მსგავს მოსაზრებებს ავითარებენ რიგი ეკონომისტ-ექსპერტებისა. მათი აზრით, „როცა ბანკისაგან ვალდებულებას იღებ, ამ ვალდებულებას შესრულება სჭირდება. ამდენად, 389-ე მუხლის მოშველიება არასწორია“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, იურისტთა და ეკონომისტთა აზრები განსხვავებულია. ისინი, ბუნებრივია, ჯერდებიან იმაზე, რომ პირმა ვალდებულება უნდა შეასრულოს, ბანკის ვალი უნდა გადაიხადოს, მაგრამ გასხვავებულია მათი მოსაზრებები გადახდის კუსრთან დაკავშირებით.

დღეს 389-ე მუხლი, მიუხედავად გარკვეულწილად არსებული სასამართლო პრაქტიკისა, მკვდარ ნორმად შეიძლება მოვიხაროთ, რამეთუ მის გამოყენებას ფართოდ ჯერ კიდევ ადგილი არ აქვს სასამართლოების პრაქტიკაში და რატომღაც დაზარალებული მოვალეებიც ერიდებიან სარჩელის შეტანას სასამართლოში კომერციული ბანკების წინააღმდეგ. ამას ართულებს ნორმის ორმაგი სტანდარტით გაგებაც, კერძოდ...„მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს...“. ვალდებულების წარმოშობის დროდ კი ბანკმა შეიძლება მიიჩნიოს (და ასეც ხდება სამწუხაროდ) არა დრო, როცა მსესხებელმა აიღო ბანკისაგან სესხი 3 წლით, ვთქვათ 2015 წლის 1 თებერვალი და ვალდებულება უნდა შეასრულოს 2018 წლის 2 თებერვლისათვის, არამედ, 2015, 2016, 2017, 2018 წელს ვალის ეტაპობრივად დაფარვისას საბანკო ბაზარზე როგორ იცვლებოდა ვალუტის კურსი. სასამართლო პრაქტიკით უნდა აღმოიფხვრას ეს ხარვეზი, ბუნებრივია, დაზარალებული მოვალეების მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადად ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. „იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია და განმარტავს, რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს შორის ერთმანეთის უფლებების პატივისცემას და მიუთითა, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როცა ამ უკანასკნელს სჭირდება ასეთი ხელშეწყობა ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებაში. სამოქალაქო კოდექსის მე-8, „სამეფო მუხლს“ („სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“ (ნ.3), კრედიტორიც და მოვალეც ერთნაირად უნდა ასრულებდნენ. არ შეიძლება მხოლოდ კრედიტორი იყოს კეთილსინდისიერი და მოვალეს სამოქალაქო ბრუნვის „სუპერსუბიექტი“ (გამსესხებელი) არაკეთილსინდისიერების პოზიციიდან უყურებდეს“<sup>4</sup>. „კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა... სწორედ „კე-

<sup>1</sup> ე. ჯგერენაია, For.ge-სთან ინტერვიუ, <http://for.ge/view.php?for-id=43778&cat=1>; ნყარო: ი. ხარაზის დასახ. სამეცნ. ნაშრომი,

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> მემელიძე პაატა, <http://for.ge/view.php?for-id=43778&cat=1>

<sup>4</sup> ი. ხარაზი, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი – „წყალქვეშა ნალმი“ მოვალეებისა და კრედიტორებისათვის? „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, #27, 2016, 216

თილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას<sup>1</sup>. ეკონომისტი მეცნიერები, სამუხაროდ, როგორც აღნიშნეთ, თვლიან, რომ 389-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება მოვალეების სასარგებლოდ რომ მათ ბანკების ვალი დაფარონ იმ კურსით, როცა კრედიტის ხელშეკრულება გააფორმეს საკრედიტო დანესებულებებთან, არასწორია და ვალდებულება უნდა შეასრულონ ვალის გადახდის დროს არსებული კურსით, რაც არღვევს კეთილსინდისიერების ვალდებულების უნივერსალურ პრინციპს<sup>2</sup> და თანაზომიერი მოპყრობის პრინციპსაც.

ვიზიარებთ რა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სტატიათა ავტორების მოსაზრებებს, მიგვაჩნია, რომ: უნდა ჩამოყალიბდეს 389-ე მუხლთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა სასამართლოების პრაქტიკაში მსესხებლების მიერ ბანკების წინააღმდეგ მიმართულ სარჩელებთან დაკავშირებით გაზრდილი კურსით სესხის დაფარვის შესახებ. ცხადია, ამას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ ეს გარკვეული ხელისშეწყობა იქნება ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვისა და მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების საქმეში.

მეცნიერებაში, ბუნებრივია, ყველა გამოთქმულ აზრს აქვს სიცოცხლის უფლება. ამიტომ მიგვაჩნია 389-ე მუხლის პირველი წინადადება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის (სესხის ხელშეკრულების დადების) დროს“. რამეთუ დღეს საქართველოში არსებული ათიათასობით ოჯახი, რომელსაც მიძიმე ტვირთად აწევს აღებული სესხი და უჭირს მათი გადახდა, რეალურად გაზრდილი ვალდებულებების შემთხვევაში გადახდისუუნარო გახდება. რაც შეეხება ჰიპოთეკის საკრედიტო საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას ნიშნავს და ფულის ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას იწვევს და რომელთანაც საგადამხდელო ბალანსის მოშლაა მიბმული, მაშინ კრედიტორები, ბუნებრივია, უფლებამოსილი იქნებიან გაზრდილი კურსის ფარგლებში მოითხოვონ მსესხებლებისაგან ვალის გადახდა, მაგრამ რამეთუ დღეს ასეთ პროცესებს ადგილი არ აქვთ, 389-ე მუხლის იმ კონტექსტში გამოყენება, როგორც ამას მიმართავენ კრედიტორები, დაუშვებელია.

დღეს რელიგვიანტური შეფასება ამ პროლემასთან დაკავშირებით არის ის, რომ ჭარბვალიანობა ახრჩობს ხალხს, რომელიც ამცირებს, ერთის მხრივ მოსახლეობის განკარგვად შემოსავალს, ხოლო, მეორეს მხრივ, ბანკების მოვალეებს, რომლებსაც პრობლემები შეექმნათ კრედიტის დაუფარავობის გამო და ამოვარდნენ აქტიური ეკონომიკური ცხოვრებიდან. ათიათასობით პირი ამოვარდნილია სრულფასოვანი ეკონომიკური ცხოვრებიდან და მათ რიცხვში, სამუხაროდ, მცირე მენარმეებიც არიან, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის მთავარ „დამპურებელ ძალად“ უნდა იქცნენ, რამეთუ, როგორც თავის დროზე აღნიშნავდა აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, „ერთმა მცირე მენარმემ 4 კაცს მაინც უნდა აჭამოს“. მცირე მენარმეები კი თავიანთ პოტენციალს ვერ ავითარებენ არასწორი დაკრედიტების გამო, რამაც მათი ეკონომიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება გამოიწვია. ყველაფერი ეს კი ქვეყნის ინკლუზიურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება. ამას ემატება ე. წ. „მევახშეების“ პრობლემაც, რომელთა სამართლებრივი რეგულაციები რატომღაც დღემდე საკანონდებლო ორგანოს მიღებული არ აქვს. ჩვენ ამ სტატიაში კონკრეტულად ფულადი ვალდებულების წარმოშობაზე ვსაუბრობთ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მიხედვით და

<sup>1</sup> დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 84.

<sup>2</sup> გერმანული სამართლის გავლენით კეთილსინდისიერების ვალდებულება უნივერსალური პრინციპის სახით განმტკიცდა სსკ-ის არაერთ მუხლში, ხოლო ვალდებულებით სამართალში ასახვა ჰპოვა 361-ე II მუხლის შინაარსით“. იხ. ჩიტაშვილი ნათია, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულება და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბ., 2015, გვ. 227.

მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებზე, ხოლო ჭარბვალუანობის და ე. წ. „მეცხემეობასთან“ დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებზე სხვა ნაშრომში გვექნება საუბარი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, სახელმწიფო-ლემო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თბ., 2014.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, თბ., 2001.
3. დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.
4. ნ. ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებსა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბ., 2015.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>
6. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბ., 2014.
7. კროპოლური იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: თორნიკე დარჯანია და ზურაბ ჭეჭელაშვილი, თბ., 2014.
8. ზ. ძლიერიშვილი, ფულადი ვალდებულების გადახდის თავისებურებანი, თბ., 2005, ციტირება: ლაშა თვარაძე, ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები, 2012, <http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/06>
9. ი. ხარაზი, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი – „წყალქვეშა ნაღმი“ მოვალეებისა და კრედიტორებისათვის? „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №27, 2016.
10. მ. ჩანტლაძე, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა“. <http://library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>
11. ლ. თვარაძე, ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები, 2012, ვალდებულებითი სამართალი, <http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/06>
12. ლ. ალაფიშვილი, „ბანკებთან ვალის ანგარიშსწორებისთვის სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მოხმობა არასწორად მოხდა“, <http://fortuna.ge/levan-alafishvili-bankebtan-valis-angarisworebistvis-samoqalaqo-kodeqsis-389-e-mukhlis-mokhmoba-upasukhismgeblod-mokhda/>
13. Brokelind, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro, p. 10, (<https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEwj9z7n4u7jNahXFSBQKHQXfdZyQFggcMAA&url=http%3A%2F%2Fpub.lub.lu.se%2Frecord%2F529861%2Ffile%2F624704.pdf&usq=AFQjCNFm0xSb90Eo6Fo--PUdkmAs5ot4sQ&sig2=nqql1S-5Gxcvurfmvdp91Q>). ნანახია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>
14. Hirschberg, Public Policy and Monetary Nominalism, p. 536 (<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/israel8&div=41&collection=journals&>
15. Kariv, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 542 (<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illr65&div=31&collection=journals&set-as-cursor=0&men-tab=srchresults#551>). ნანახია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 389-ე მუხლის კომენტ. ქეთევან მესხიშვილი, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-389.pdf>

## საკანონმდებლო აქტები:

---

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.  
საქართველოს საგადასახადო კოდექსი.  
საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“.

## პერიოდული გამოცემა და ვებსაიტები:

---

ე. ჯგერენაია, For.ge-სთან ინტერვიუ, <http://for.ge/view.php?for=id=43778&cat=1>; წყარო: ი. ხარაზის დასახ. სამეცნ. ნაშრომი

მ. არევაძე, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2016 წელი, 1 თებერვალი, #444.

გ. ცატავა, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, 2016, 1 თებერვალი, # 444.

საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ცუცქერიძე გიორგი, იხ. <http://www.frontnews.ge//ge/news/93776>.

ექსპერტი ლია ელიავა, აზრი. <http://for.ge/view.php?for=id=43778&cat=1>

## სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის N ას-1153-1173-2011 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 5 აპრილის #3კ/428 გადაწყვეტილება.



ია ხარაზი

საქართველოს დავით აღმაშენებლის  
სახელობის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

მარი კილავა

საქართველოს დავით აღმაშენებლის  
სახელობის უნივერსიტეტის ბაკალავრის სტუდენტი

## წუნდებუი პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები

### ანოტაცია

სტატიაში განვიხილავთ წუნდებულ პროდუქტთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს. კვლევის საგანს წარმოადგენს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტების გამოკვეთა. კვლევის მიზანია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხარვეზების განხილვა, საქართველოს რეალობაში არსებული ტენდენციების წარმოჩენა და ამავდროულად, არსებული პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების მოძიება. წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი, რომელიც წარმოშობს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, დღესდღეობით, განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა. მის მიმართ ყურადღება გაიზარდა, მას შემდეგ, რაც გაფართოვდა საბაზრო ურთიერთობები და აგრეთვე, საერთაშორისო წარმოება.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვა ის ძირითადი მოთხოვნაა, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს. საინტერესოა, როგორ რეგულირდება საქართველოში წუნდებული პროდუქტით გამოწვეული პასუხისმგებლობა და რამდენად არის დაცული მომხმარებელთა უფლებები.

სახელმწიფო ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლს, მაგრამ საინტერესოა თუ რამდენად ეფექტურია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ღონისძიების განხორციელების ფარგლები.

წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხი მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ერთი შეხედვით არც ჩანს.

უმთავრესი პრინციპი, რაზეც უნდა იყოს დამყარებული ბაზარზე არსებული პროდუქციის სტანდარტი არის უვნებლობა, უსაფრთხოება, რომელიც ჯვარედინად არის დაკავშირებული მომხმარებლის ინტერესებსა და უფლებებთან.

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები ვრცელი მოცულობისაა. თემაში საუბარი იქნება წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობაზე, როგორც დელიქტური ვალდებულების ერთ-ერთ სახეობაზე. აგრეთვე, ამ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებზე, მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიებზე, ქვეყანაში მოქმედი კანონების რეგულირების საკითხებზე და იმ სირთულეებზე, რომლის წინაშეც ვდგავართ.

**საკვანძო სიტყვები:** უხარისხო პროდუქტი, წუნდებული პროდუქტი, ზიანი, საკანონმდებლო ხარვეზები, მომხმარებელი, მომხმარებელთა ინტერესები, საკანონმდებლო რეგულაციები, მომხმარებელთა უფლებები, სტანდარტი, დელიქტური ვალდებულებები, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები.

**Ia Kharazi**

*Associate Professor*

*David Aghmashenebeli University of Georgia*

**Mari Kilava**

*School of Law, BA Student*

*David Aghmashenebeli University of Georgia*

## THE LEGAL ASPECTS OF DAMAGES CAUSED BY DEFECTIVE PRODUCT

### Abstract

The article discusses problematic issues related to defective product. The subject of research is legal aspects of damage, caused by defective product. The goal of research is to discover the legal gaps and find alternative solutions of problems.

Damage products caused by defective products generate civil responsibility. Consumer protection is the main requirement that is based on legislative regulations in the country. It is interesting, how the responsibility of the defective product in Georgia is regulated and if the rights of consumers are protected.

State controls the entrepreneurial activity. It is interesting how effective is the actions made by the government. Determination of damages caused by defective products are related to many difficulties which may not be visible by one sight. The main principle of production standard must be safety. It is cross-linked to consumer rights and interests.

The legal aspects of damages caused by defective product are extensive volume issue. In the article we will review this damage product as a delictive obligation in law. We also face the issues of the exclusion of liability, guarantees of protect consumers' rights and interests, legal aspects of regulations and the problems.

**Key words:** Defective product, damage, legal gaps, consumer, interests of consumer, legal regulations, the rights of consumers, standards, delictive obligation in law, issues of exclusion of liability

## წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები

### შესავალი

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი ერთ-ერთ გლობალური პრობლემა და სამოქალაქო ბრუნვის თანმდევი მოვლენაა. შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის სამართლებრივი მონესრიგების საკითხი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში ნაწარმოები უამრავი პროდუქტი, ვერ ამართლებს მომხმარებლის გონივრულ მოლოდინს და ხშირ შემთხვევაში ზიანის გამომწვევი მიზეზი ხდება.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართუ-



ლებად ითვლება, რომლის განმსაზღვრელია ორი კრიტერიუმი – პროდუქტის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს პროდუქტის ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობის თეორიული და პრაქტიკული ნაკლოვანებების შესწავლას.

საბაზრო ურთიერთობები დღითიდღე ვითარდება, მენარმე სუბიექტთა რაოდენობა იზრდება და ბაზარზე მრავალფეროვანი საქონლის შემოტანა ხელს უწყობს მსოფლიოში უხარისხო პროდუქტის დამკვიდრებას.

მომხმარებელთა უფლებების დაცვას რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უჭირავს საქართველოში, ამაზე მეტყველებს კონსტიტუციის 30-ე მუხლი და არაერთი კერძო თუ საჯარო სამართლის ნორმატიული აქტები.

მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი ბერკეტები დღეს თანაბრად აქვს გადანაწილებული როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართალს. იგი დუალისტური ხასიათით წარმოგვიდგება (კერძო და საჯარო სამართლის შინაარსის ნორმებს უფუძნება)<sup>1</sup> და სწორედ მომხმარებელთა ინტერესების დაცვაა ის ძირითადი საფუძველი, რომელზედაც აგებულია მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციები.

სახელმწიფო ახორციელებს სამენარმეო საქმიანობაზე კონტროლს, მაგრამ საინტერესოა თუ რამდენად ეფექტურია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ფარგლები და სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ უხარისხო პროდუქციით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>2</sup>

ამ თემასთან დაკავშირებით აზრთა მრავალფეროვნება შეინიშნება, როგორც მეცნიერებაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხთან მიმართებაში უნდა გასწორდეს ხარვეზები და მიიღოს სრულყოფილი იერსახე, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაბამისობაში იქნება კანონმდებლობასთან.

### **1. პროდუქტის ცნება და მისი სახეები**

პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი ან ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი...<sup>3</sup>. აქვე უნდა მოხდეს მისი განსხვავება პროდუქტისაგან, რომელშიც მოიაზრება მატერიალურ ფასეულობათა ნაირსახეობა.

ამდენად, პროდუქტი გაცილებით ვიწრო შინაარსის მატარებელია, ვიდრე ტერმინი „პროდუქცია“, თუმცა კონტექსტში შეიძლება ჩაენაცვლოს ერთმანეთს. ყველა პროდუქტი უნდა განიხილებოდეს პროდუქციად, ხოლო პროდუქცია, გარდა პროდუქტისა, მოიცავს მატერიალური ფასეულობების სხვა სახეებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დაკმაყოფილება.<sup>4</sup>

წუნდებული პროდუქტის ცნებას და მისი დეფინიცია მოცემულია 1010-ე მუხლში (ნ.1), რომლის თანახმად პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან<sup>5</sup>.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე საჯარო სამართლის ნორმატიული აქტი – „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლის მიზანია, როგორც ადამიანთა სიცოცხლის დაცვა, აგრეთვე უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და აღნიშნული ნორმაც იძლევა შესაბამის განმარტებას წუნდებული პროდუქტისა, კერძოდ, ეს არის ისეთი პროდუქტი,

<sup>1</sup> ე. ბუკალავა, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ქანტურია 50“, საიბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, გვ. 66.

<sup>2</sup> თ. ზოიძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე) თბ., 2009, გვ. 6.

<sup>3</sup> სსკ-ს მუხლი 1011-ე (ნ.1).

<sup>4</sup> მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016, გვ. 370.

რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი.

კანონმდებელი არ იძლევა უხარისხო პროდუქტის ცნების დეფინიციას და, ვფიქრობთ, რომ წუნდებული პროდუქტის უხარისხო პროდუქტად მიჩნევა დაუშვებელია. რადგანაც, წუნდებული პროდუქტი, თუ ეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო არ იქნება, შესაძლოა გარკვეული დოზით მისი გამოყენება დაშვებული იქნეს (მაგ. ჩამოფასოებული წუნდებული პროდუქცია), თუმცა გამოსაყენებლად ვარგისი, რაც შეეხება უხარისხო პროდუქტს, მისი გამოყენება დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან შეუძლებელი იქნება იმ პროდუქტის გამოყენება, რომელიც განადგურებას ექვემდებარება.

ხარისხს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია განმარტავს შემდეგი სახით: „ხარისხი პროდუქტის თვისებებისა და დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრავს მის მიერ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარს“. მომხმარებელი დაინტერესებულია არა შრომის კოდექსით, არამედ მისი იმ კონკრეტული თვისებებით, რომლებითაც შეუძლიათ დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები. სწორედ სასარგებლო თვისებები აქცევენ პროდუქტს მოხმარების საგნად. პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია მის ნიშან-თვისებაზე.<sup>1</sup>

საინტერესოა, უზენაესი სასამართლოს განმარტება<sup>2</sup> უხარისხო პროდუქტთან მიმართებაში, სადაც სასამართლო უხარისხობის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს იმას, რომ შეუძლებელია განისაზღვროს ის ფაქტი, თუ რამდენად არის საიმედო ესა თუ ის პროდუქტი მომხმარებლისთვის და ხელშეკრულების მხარეს აკისრებს მოვალეობას, გამოიჩინოს გულისხმიერი დამოკიდებულება ნივთის საიმედოობასთან მიმართებაში, როდესაც ის სთავაზობს მომხმარებელს პროდუქტს. ის ვალდებულია მომხმარებელს მის ეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და ააფრთხილოს სავარაუდო თანმდევ შედეგებზე...დამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას.<sup>3</sup>

## 2. პასუხისმგებლობა წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის

მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა აგებულია დელიქტური სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმებით. სსკ-ს მ.1009-1016-ე მუხლებში საუბარია პასუხისმგებლობაზე წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, კეძოდ კი, წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე, წუნდებული პროდუქტის, წუნდებული პროდუქციის მწარმოებელთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე და სხვა.

ევროკავშირის დირექტივა EEG85/374 მე-13 მუხლი „მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირში“ აღნიშნულია, რომ: „...აუცილებელია მომხმარებელი ევროკავშირის ბაზარს ენდობოდეს“ და „მომხმარებელს აქვს უფლება მოელოდოს, რომ გასაყიდად გამოტანილი საქონელი უსაფრთხოა.“ ეს უფლება უზრუნველყოფილია ორი ფაქტორით, რომ იმპორტიორი ვალდებულია ბრუნვაში უსაფრთხო საქონელი გამოუშვას და აგრეთვე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება აკონტროლოს მენარმეების მიერ ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

დღეისათვის საქართველოში მრავალი ცნობილი და წარმატებული ბრენდი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაცია sso 9000-ს (isso 9000-ს), რომლის ექსპერტთა დასკვნები და სერთიფიკატები პროდუქციის ხარისხის მაღალი დონის მაჩვენებლად და სამომხმარებლო ბაზარზე მათი პროდუქციის დამკვიდრებისათვის თითოეული კომპანიისათვის რეალურ გარანტიად ითვლება. მომხმარებელი

<sup>1</sup> მარკეტინგი, პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 1999, გვ. 164.

<sup>2</sup> საქმე N-ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი, განმარტების საგანი: უხარისხო პროდუქტი (სსკ-ს 1010-ე მუხლი)

<sup>3</sup> ა. ნაჭყებია. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 283-284.

რებელი კი ამ ნიშნით ინფორმირებული ხდება, რომ მის მფლობელ კომპანიას ხარისხის მართვის სისტემა მალალ დონეზე აქვს დანერგილი და მისი პროდუქციის ხარისხი ნამდვილად უმაღლესია. აქედან გამომდინარე, კომპანიები თავად არიან დაინტერესებული, მოიპოვონ ასეთი ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი<sup>1</sup>.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვა თანამედროვეობის ყველა ცივილიზებული საზოგადოების პრიორიტეტია<sup>2</sup>. საზოგადო წესადაქცეული ეს სურვილი კანონის სახეს იძენს და შესასრულებლად სავალდებულო ხდება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნება ევროპულმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1992 წელს გამოხატა და იმავე წელს მაასტრიხის ხელშეკრულებაში ასახა. უადგილო იქნება ამ დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა. მეცნიერთა აზრით, ის ევროპის საკონსტიტუციო სამართლის ქვაკუთხეა. ნიშანდობლივია, რომ ამ შეთანხმებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვას საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო<sup>3</sup>. ევროპელმა კანონმდებელმა გაითვალისწინა მომხმარებელთა მნიშვნელობა ერთიანი ბაზრის (SINGLE MARKET) სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის და სხვა მუხლებთან ერთად ამ საკითხს XIV თავი დაუთმო მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოშიც“<sup>4</sup>.

1993 წელს მაასტრიხის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესრულების უშუალო მითითებით, მომხმარებელთა დაცვა გაერთიანების მნიშვნელოვან ვალდებულებად იქცა. შემდგომ წლებში შემუშავდა დირექტივა 94/47 „ვადიანი თანასაკუთრების შესახებ“ და დირექტივა 97/5 „გადარიცხვების შესახებ“. მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან ატრიბუტად იქნა მიჩნეული მომხმარებელთათვის უფლებადამცავი ინსტიტუტების შექმნისა და შესაბამისი სამართლებრივი პროცესის რეგულირების საკითხი, რომელიც მოწესრიგდა 98/27 დირექტივით „მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის სარჩელების შესახებ“. 1997 წელს ძალაში შედის დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“, ხოლო 2000 წელს, საგანგებოდ ელექტრონული სივრცის რეგულაციისათვის დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“. ფინანსური მომსახურებები მოექცა შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების შესახებ 2002/65 დირექტივის რეგულირების სფეროში“<sup>5</sup>.

დღეს უკვე ძალადაკარგული კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ განსაზღვრავდა „მომხმარებლის“ ცნებას, რომლის თანახმად, „მომხმარებელი“ – იყო პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებული, შემძენი, შემკვეთი, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე“. დღეს ასეთი განმარტება სამოქალაქო კანონმდებლობაში არ გვხვდება.

\_\_\_\_\_ ე. ბზეკალავა შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს მომხმარებლისა<sup>6</sup>, „მომხმარებელი“ არის

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> <<http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004-2009/documents/dt/615/615453/615453de.pdf>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, 66.

<sup>3</sup> <<http://eur-lex.europa.eu/de/treaties/dat/12002E/pdf/12002E-DE.pdf>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, 66.

<sup>4</sup> ე. ბზეკალავა, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, გვ. 66.

<sup>5</sup> თ. ერქვანიავ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა“, ყურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30)11, 46.

<sup>6</sup> ე. ბზეკალავა, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, გვ. 70.

ფიზიკური პირი, რომელიც სამენარმეო სამართლის ან სხვა სახელმწიფო რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირისაგან საკუთარი საქიროებისათვის იძენს პროდუქციას ან გააჩნია ასეთი განზრახვა. ტერმინის ამგვარი დეფინიცია სრულად შეესაბამება როგორც ევროკავშირის, ისე მასში შემავალი ცალკეული ქვეყნების სამართალს. არსებობს ევროსაბჭოს რამდენიმე დირექტივა, რომელიც ტერმინ „მომხმარებელს“ მსგავსად განმარტავს. განსხვავებები ამ განმარტებებს შორის მინიმალურია და განპირობებულია იმ სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათით, რომლებსაც ისინი შეეხება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დეფინიცია, რომელიც ევროსაბჭოს 1985 წლის №85/577/EWG რეკომენდაციაშია მოცემული (რეკომენდაცია შეეხება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებს) და ტერმინ „მომხმარებლის“ გარდა, განსაზღვრავს, თუ როგორი, ხელშეკრულება ჩაითვლება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებად). ამ რეკომენდაციის თანახმად, „მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, ... რომლის კონკრეტული (ამ რეკომენდაციით განსაზღვრული) მოქმედება არ შეიძლება მიენეროს მის სამენარმეო ან სამსახურებრივ საქმიანობას<sup>1</sup>. იდენტურ დეფინიციას იძლევა ევროსაბჭოს 1986 წლის 22 დეკემბრის რეკომენდაცია №87/102/EWG, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის საკითხს განსაზღვრავს.<sup>2</sup> გერმანული სამოქალაქო კოდექსი (BGB) §18-ით განსაზღვრავს მომხმარებლის ცნებას, რაც უდავოდ არ გვხვდება ასეთი სახით ქართულ სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, „მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარიგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამენარმეო ან პროფესიულ საქმიანობას“. „მომხმარებლის კანონისმიერი დეფინიცია, უპირველეს ყოვლისა ემსახურება, განისაზღვროს სამოქალაქო კოდექსში მომხმარებლის დაცვის სხვადასხვა ნორმის ინდივიდუალური გამოყენების სფერო... მომხმარებლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, გარდა ამისა მომხმარებელი შეიძლება იყოს ასევე სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, რომელიც შედგება ფიზიკური პირებისაგან. მომხმარებლები არ შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ შექმნილან ეკონომიკური მიზნების მისაღწევად<sup>3</sup>.

ევროკავშირის დირექტივა (85/577) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე და მას არაერთი მუხლი ეხება.

ქუჩაში დადებული გარიგებები ერთ-ერთ უმსხვილეს და ხშირ ეკონომიკურ საქმიანობად არის მიჩნეული ევროკავშირში და არა მარტო იქ. ასეთი სახის კომერციული საქმიანობა, უმრავლეს შემთხვევაში, მოიცავს აგრესიულ მეთოდებს, რაც გამოიხატება შემდეგში: მოწვევის გარეშე მოვაჭრის უცხო, ადამიანთა სახლებში, სამსახურებში მისვლა, გასაყიდი პროდუქციის რეკლამირება არასრული ინფორმაციის საფუძველზე და სხვ<sup>4</sup>. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს ნაკლები დრო რჩება „ასეთ უჩვეულო“ შემთხვევაში დაფიქრებისათვის, როცა მას „ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში“ პროდუქციას სთავაზობენ შესასყიდად, მას კი დაფიქრების საშუალებაც არ აქვს პროდუქციის ხარისხის და ფასის შესანავლად. იგი „იხილება“ შემოთავაზებით და „სწრაფად“ იღებს გადაწყვეტილებას მიიღოს პროდუქტი, თუმცა შეიძლება უკვე ხვალ მისთვის არასასურველი შემოთავაზება, არასასურველი ფასით და არასასურველი ხარისხით. მას კი ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩეს პროდუქტის ნეგატიური მხარე: პროდუქტის დაბალი ხარისხი, შეუსაბამო ფასი და სხვ. ის ფაქტორები, რაც მას საშუალებას მისცემდა ჩვეულებრივ ბაზრის პირობებში უკეთესი ხა-

<sup>1</sup> <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:de:HTML>> [15.12.2013] წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 71.

<sup>2</sup> <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:1987L0102:19980421:DE:PDF>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, 70-71.

<sup>3</sup> კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 2.

<sup>4</sup> ე. ქარდავა, დასახ. ნაშრ; 134.

რისხის პროდუქტი ეყიდა უფრო დაბალ ფასად. ასეთი ტიპის „საკითხის რეგულირება წარმოდგენილია ევროკავშირის 85/577 დირექტივაში<sup>1</sup>. დირექტივის პირველი მუხლის თანახმად, დირექტივა ვრცელდება ისეთ ურთიერთობებზე, როდესაც მოვაჭრე მომხმარებელს ამარაგებს პროდუქციით ან მომსახურებით და როდესაც ხელშეკრულება იდება მოვაჭრის მიერ ბიზნესსაქმიანობის ადგილის გარეთ ორგანიზებული ექსკურსიის დროს, აგრეთვე მომხმარებელთან სახლში ან სამსახურში სტუმრობისას, როცა ასეთი ვიზიტი მომხმარებლის მოთხოვნით არ განხორციელებულა. დირექტივა ეხება ასევე ისეთ ხელშეკრულებებს, როდესაც მომხმარებელმა განსაზღვრული პროდუქციის შეძენის ან მომსახურების მიღების მიზნით მოითხოვა მოვაჭრის ვიზიტი, თუმცა ხელშეკრულების საგანი გახდა სხვა პროდუქცია/მომსახურება, რის შესახებაც მომხმარებელმა წინასწარ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ამ პროდუქციით/მომსახურებით ვაჭრობა მოვაჭრის პროფესიული ან კომერციული საქმიანობის ნაწილი იყო. დირექტივა აგრეთვე ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზე, როდესაც ოფერტი კეთდება თავად მომხმარებლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციების მსგავს ვითარებებში<sup>2</sup>.

გაეროს, ევროკომისიის რეგულაციები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სურსათისა და ცხოველის საკვების კანონმდებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ცხოველთა კეთილდღეობის წესების დაცვის გადამონმების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საკითხებს, მაგ: ამ საკითხებისადმი მიძღვნილია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგულაცია (EC) No882/20041; კომისიის 2002 წლის 13 მარტის დირექტივა 2002/26/EC „საკვებ-პროდუქტებში ოხრატოქსინი A-ს დონეების სახელმწიფო კონტროლის მიზნით ნიმუშის აღების მეთოდებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ 4, კომისიის 2003 წლის 11 აგვისტოს დირექტივა 2003/78/EC „საკვებ პროდუქტებში პატულინის დონეების სახელმწიფო კონტროლის მიზნით ნიმუშის აღების მეთოდებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ 5, და კომისიის 2005 წლის 6 ივნისის დირექტივა 2005/38/EC „საკვებ-პროდუქტებში ფუზარიუმის ტოქსინები დონეთა სახელმწიფო კონტროლის მიზნით ნიმუშის აღების მეთოდებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ 6, ასევე ადგენს ნიმუშის აღების მეთოდებსა და სამუშაო კრიტერიუმებს შესაბამისად ოხრატოქსინი A-ს, პატულინის და ფუზარიუმის ტოქსინებისთვის და ა.შ.

ერთ-ერთი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, გამყიდველი, რომელიც პირუტყვის საკვებით ვაჭრობდა, ხელშეკრულება დადო მეორე მხარესთან, რომელიც ეწეოდა წავის მოშენებას

საუბარია ცხოველის საკვებზე ე. წ. „Kingsize“, ხელშეკრულება ითვალისწინებდა საშუალო ხარისხის საკვების მიწოდებას. სინამდვილეში მიწოდებული ცხოველთა საკვები ტოქსიკური ინგრედიენტებისაგან შედგებოდა, რომელმაც გამოიწვია ათასობით წავის დახოცვა. აღნიშნული საკვები უვნებელი იყო სხვა ცხოველებისათვის, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული აღნიშნულისათვის.<sup>3</sup> შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მყიდველს ჰქონდა ნდობა გამყიდველის მიმართ. ხელშეკრულების თითოეული მონაწილის მოვალეობაა გაითვალისწინოს არა მარტო საკუთარი ინტერესები, არამედ მყიდველის ინტერესებიც. გაითვალისწინოს, თუ რა მიზანს ემსახურება მყიდველისთვის ამა თუ იმ პროდუქტის შეძენა და ხომ არ გამოიწვევს დადგენილ სტანდარტებს შეუსაბამო პროდუქტის გაყიდვა დელიქტურ ვალდებულებებს, კერძოდ, ნუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობას.

<sup>1</sup> Council Directive of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises, OJL 372 (31.12.85), 31-33. წყარო: ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, 134. 26 Latvia, Consumer Rights Protection Act, Section 9, 1

<sup>2</sup> ე. ქარდავა, დასახ. ნაშრ; 136.

<sup>3</sup> Cases, Materials and text on contract law: Juscommune Casebooks for the common law of Europe. Oxford, 2010, 669.

## 3. ვინ უნდა აგოს პასუხი წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის?

სსკ-ის 1011-ე მუხლი განსაზღვრავს პროდუქტის ცნებასთან ერთად, თუ ვინ შეიძლება მივიჩნიოთ მწარმოებლად-პასუხისმგებლობის სუბიექტად. მწარმოებლად მიიჩნევა პირი, ვინც საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი, ან პროდუქციის ნაწილი აწარმოა. მწარმოებლად ასევე ითვლება ყველა, ვინც საკუთარი სახელით სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი.

სსკ-ის 1012-ე მუხლი უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთს დაზარალებულს აკისრებს, მაშინ როდესაც სსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს.<sup>1</sup>

საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს პირებს, რომლებიც დაამზადებენ ან სარეალიზაციოდ გამოიტანენ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს, დაარღვევენ ეტიკეტირების დადგენილ სტანდარტებს, რითაც საფრთხეს შეუქმნიან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

აგრეთვე, საქართველოს კოდექსი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, – მიხედვით დელიქტენტად დისტიბუტორსაც წარმოგვიდგენს, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს. აგრეთვე ეს შეიძლება იყოს, იმპორტიორიც.

პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ვერც „ვითომ-მწარმოებელი“ „ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. ბაზარზე მომხმარებელი, რომელიც „ვითომ-მწარმოებლის“ მიერ გამოტანილ პროდუქციას იძენს, ენდობა მის სავაჭრო ნიშანს. ასეთი პირი ფაქტობრივად პასუხისმგებელია პროდუქტის კონსტრუქციული თუ ფაბრიკული ნაკლისათვის.<sup>2</sup>

საკასაციო პალატა განმარტავს, „ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებაზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემასთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე.“<sup>3</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უხარისხო პროდუქტის მარეგულირებელ ნორმებში პირდაპირ არ არის მითითებული, ბრალის რა ფორმით შეიძლება დადგეს ზიანი. მართალია, 992-ე მუხლი დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში საუბრობს განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებულ ზიანზე, თუმცა ღიად რჩება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ევროდირექციისთვის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად უნდა ჩაითვალოს. პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას ზიანი, რომელშიც მწარმოებელს არ მიუძღვის ბრალი, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მისი ზიანის ანაზღაურებისგან განთავისუფლების საფუძველი. როდესაც მომხმარებელი ზიანიდება მხოლოდ საქონლის უხარისხობის და არა მწარმოებლის ბრალეულობის გამო. ამ შემთხვევაში მომხმარებელი იძულებულია, დანახარჯი გასწიოს,

<sup>1</sup> თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, სამეცნიერო ჟურნალი „მართლმსაჯულება“, თბ., 2007.

<sup>2</sup> ი. ხარაზი, დასახ. ნაშრომი.

<sup>3</sup> უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას-296-624-07, 25 სექტემბერი, თბ., 2007.

ვინაიდან ვერ ამტკიცემს მწამოებლის ბრალეულობას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა პროდუქციის მასობრივი ავტომატიზებული წარმოების დროს.<sup>1</sup>

კანონმდებელი არაფერს იტყობინება იმის თაობაზე, ავტომატურად იწვევს თუ არა ვარგისიანობის ვადის გასვლა მწარმოებლის პასუხისმგებლობის შეწყვეტას.

და ბოლოს, წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი სიკეთეების ხელყოფასა და პროდუქტის უხარისხობას შორის, ზიანი გამოწვეული უნდა იყოს პროდუქტის წუნით და ეკვივალენტური მიზეზობრიობა, რომელიც გულისხმობს, რომ „შედეგის დადგომაში ყველა პირობას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი პირობაც რომ გამოაკლდეს, შედეგი არ დადგება. მოქმედება შედეგის ეკვივალენტური უნდა იყოს.“<sup>2</sup>

#### **4. მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები**

კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს წუნდებული პროდუქტის წარმოებისთვის, ამასთანავე, გამომრიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას, როდესაც: მწარმოებელს პროდუქტი სარეალიზაციოდ არ გაუტანია; საქმის გარემოებიდან გამომდინარე პროდუქტს არ გააჩნდა ზიანის გამომწვევი გარემოება; მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია, არც გასაყიდად და არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში; პროდუქტს გააჩნდა ნაკლი, რომელიც შეესაბამებოდა იმ დროისთვის დადგენილ სტანდარტებს; შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა არსებული ტექნიკებით, რომელიც არსებობდა ამ პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანისას (სსკ-ს მ.1009.6.1). აგრეთვე, გამოირიცხება მწარმოებლის პასუხისმგებლობა, როდესაც ნაკლი გამოწვეულია პროდუქციის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი (სსკ-ს მ.1009. 62 ); ადგილი ჰქონდა დაზარალებულის ბრალეულ მოქმედებას (სსკ-ს მ.1009.6.3).

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „მწარმოებლის პასუხისმგებლობა შეიძლება შემცირდეს ან გამომრიცხოს, თუ გარკვეული გარემოების არსებობისას ზიანი გამოიწვია, როგორც პროდუქტის წუნმა, ისე დაზარალებულის არასწორმა ქმედებამ, ან იმ პირმა, რომელზედაც პასუხისმგებელია დაზარალებული“.

#### **5. მტკიცების ტვირთი**

მტკიცების ტვირთი დაზარალებულს აღჭურავს უფლებამოსილებით, ამტკიცოს, რომ ის ზიანი, რომელიც მას მიადგა, გამოწვეული იყო წუნდებული პროდუქტის გამოყენებით და, რა თქმა უნდა, ეს პროდუქტი უნდა იყოს წუნდებული.

საქართველოს კანონმდებლობაში მტკიცების ტვირთი მთლიანად დაზარალებულზე გადმოდის. თუმცა ამის თაობაზე სსკ ვინროდ შემოიფარგლება, რაც გულისხმობს იმას, რომ არ არის მოცემული, თუ რა სახის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს, კერძოდ, „წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს“.<sup>3</sup> ხოლო, რაც შეეხება: წუნდებული პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი აკონკრეტებს ამ საკითხს, კერძოდ, დაზარალებული ვალდებულია ამტკიცოს წუნდებულ

<sup>1</sup> თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, სამეცნიერო ჟურნალი „მართლმსაჯულება“, თბ., 2007.

<sup>2</sup> ბ. ზოიძე, ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, თბ., 2001, გვ. 369

<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1012.

პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

ამ საკითხთან მიმართებაში, აღსანიშნავია ევროკავშირის 1985 წლის 25 ივლისის 374-ე დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს ისეთ სპეციალურ შემთხვევებს, როდესაც ეს მტკიცების ტვირთი, ასევე ეკისრება მწარმოებელსაც. მაგ: ისეთ შემთხვევაში, როდესაც „მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად ან სხვა კომერციული მიზნით, არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში“, ამ შემთხვევაში მწარმოებელმა უნდა ამტკიცოს, რომ ეს მართლაც ასე იყო.

ევროპის სასამართლო პრაქტიკა ავალდებულებს მწარმოებელს ამტკიცოს მისი არაბრალებლობა და ამოსავალ დებულებად იყენებს იმას, რომ „პიროვნება, რომელსაც მიაყენეს ზიანი არ არის ვალდებული წარმოდგენა იქონიოს თუნდაც ერობოკვერცხის მომზადების წესზე, ამიტომაც არ უნდა ეკისრებოდეს მტკიცების ტვირთი მწარმოებლის ბრალეულობის შესახებ“.<sup>1</sup>

## 6. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად სსკს-1015-ე მუხლში დადგენილია ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რომელიც დაზარალებულს აღჭურავს უფლებამოსილებით, მოითხოვოს წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და ამ ვადის განმავლობაში მისი მოთხოვნა, შესაბამისად მიიჩნევა იურიდიული ძალის მქონედ. ეს ვადა არის ის პერიოდი, როდესაც დაზარალებულს აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს ის, რაც გამოწვეული იქნა დელიქტიდან გამომდინარე. წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის მოთხოვნა ქარწყლდება „იმ მომენტიდან 10 წლის შემდეგ, როდესაც მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა“.<sup>2</sup>

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა მოიცავს გარკვეულ ხარვეზებს. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული 10 წლიანი ვადა გარკვეული ფაქტების წინაშე გვაყენებს, კერძოდ კი, როდესაც დაზარალებულს მიადგა ზიანი ამ პერიოდის შემდგომ, რომელმაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, მისი დათხოვნა სამსახურიდან და მოესპო საარსებო წყარო, როგორც მას, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებს: არასრულწლოვან შვილებს და მოხუც მშობლებს. ვფიქრობთ, რომ სამართლიანი იქნებოდა აღნიშნული ვადის მიუხედავად, ჰქონოდა დაზარალებულს უფლებამოსილება წუნდებული პროდუქტით გამოწვეული დელიქტიდან გამომდინარე ედავა კომპენსაციის მიღებაზე და თუ ეს წუნდებული პროდუქტი უფრო მძიმე შედეგს დააყენებდა ამ უფლებამოსილებით აღჭურვილიყო მისი ოჯახის წევრები.

აგრეთვე საყურადღებოა ისიც, რომ ერთგვარად იზღუდება მომხმარებლის უფლებებიც, კერძოდ კი, საუბარია პროდუქტზე, რომელიც სასიათდება ვარგისიანობის ხანგრძლივი ვადით, საუბარია, „მაგალთად – ალკოჰოლურ სასმელებზე, რადგან გარკვეული ტიპის სასმელები მით უფრო მეტად ფასობს, რაც მეტი დაძველება აქვს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანისას ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გაქარწყლებულია. უმჯობესი იქნებოდა, თუ აღნიშნულ მუხლში გაკეთდებოდა ჩანაწერი, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში სარგებლობს ვარგისიანობის ხანგრძლივი ვადით“.

<sup>1</sup> Fairgrieve D. and Howells G, Rethinking product liability: a missing element in the European Commission's Third Review of the European Product Liability Directive, 2007 წყარო: გეგიძე, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2012, 68

<sup>2</sup> სსკ-ს მ. 1015-ე ნაწილი მე-2.



## წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანი და მისი რეგულირება საქართველოში „ჩინური სათამაშოები – რეალობა და საფრთხე“

რა მავნე ნივთიერებას შეიცავს საბავშვო სათამაშოები და რამდენად უსაფრთხოა ისინი ჯანმრთელობისთვის?

შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ამბობს, რომ შემონმებისას 594 სათამაშოდან 164-ში აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთიერება, უფრო მომატებული კონცენტრაციით, ვიდრე ეს დასაშვებია.<sup>1</sup> საუბარია ისეთ ტოქსიკურ ნივთიერებებზე, რომლებსაც შეუძლია ტოქსიკური ეფექტის გამოწვევა, თუ მათი კონცენტრაცია მაღალია სათამაშოებში. კერძოდ, გავლენას ახდენს როგორც ბავშვის ნერვულ სისტემაზე, ინვესს ბავშვებში ინტელექტის შემცირებას, აგრეთვე ტყვია ძვალსახსროვან სისტემაზე ახდენს გავლენას და ხასიათდება მრავალი სხვა უარყოფითი შედეგებით.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ზედამხედველობის ორგანოს შექმნის ვალდებულება აიღო, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა ამ დრომდე არ არის შესრულებული. „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ კომპეტენტური პირები ან შექმნან კომპეტენტური ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად ნორმებთან შესაბამისობას. მათ უნდა მიენიჭოთ სათანადო ძალაუფლება, რათა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც დირექტივით არის განსაზღვრული“<sup>2</sup>. პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივის თანახმად, ბაზარზე არსებული სათამაშოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს.

სათამაშოების შესახებ დირექტივის მიღება დაგეგმილია 2019 წელს, მანამდე დაგეგმილია შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები – შესაბამისი კადრების მომზადება და სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება...

„პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივისა“, არსებობს უშუალოდ სათამაშოებთან დაკავშირებული დირექტივა, რომელიც საქართველოში 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა ამოქმედდეს.<sup>3</sup> ამ დირექტივით დაწესებულია კონკრეტული მოთხოვნები: რომ სათამაშოს ჰქონდეს EC ნიშანი, შესაბამისობის დეკლარაცია, რომ ის ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. დირექტივის მიხედვით, სათამაშოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინსტრუქცია, ასევე ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ.<sup>4</sup>

ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში ტექნიკური სსიპ სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს მიეცემა უფლება, გლობალური დირექტივებით განსაზღვრული რისკის შემცველი პროდუქტების გაყიდვები შეაჩეროს, ბაზრიდან პროდუქტი ამოიღოს ან მომხმარებლებისგან გამოითხოვოს. ვფიქრობთ, რომ იმ ვალდებულების განხორციელება, რომელიც ითავა სახელმწიფომ, ჯეროვნად უნდა შესრულდეს და შესაბამისად მოხდეს მისი პრაქტიკაში დანერგვა და გათვითცნობიერება, რადგანაც კანონი არ ჩაითვალოს მკვდარ ნორმად, იყოს ქმედითი და ამავედროულად, რეალური.

ნებისმიერი საშიში პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც უკვე ბაზარზეა, შესაბამისმა ორგანომ უნდა მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გატანა და აცნობოს მომხმარებელს არსებული რისკის შესახებ. მწარმოებელსა და დისტრიბუტორთან ერთად გაუწიოს კოორდინაცია ან, თუ საჭიროა, მოახდინოს მყიდველისგან საშიში პროდუქტის უკან გამოთხოვისა და შესაბამის პირობებში განადგურების ორგანიზება“, – ამის შესახებ ინფორმაციას გვანვდის პროდუქტის უსაფრთხოების

<sup>1</sup> სტატია: <http://liberali.ge/articles/view/25904/sashishi-satamashoebi>

<sup>2</sup> პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა 2001/95/EC

<sup>3</sup> სტატია: <http://liberali.ge/articles/view/25904/sashishi-satamashoebi>

<sup>4</sup> იხ. (Toy Safety Directive 2009/48/EC

ზოგადი დირექტივა, რომლის გათვალისწინებაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აკისრია.

## დასკვნა

წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხი მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, არც ჩანს.

ყველაზე უმთავრესი პრინციპი, რაზეც უნდა იყოს დამყარებული ბაზარზე არსებული პროდუქცია, ეს არის უვნებლობა, უსაფრთხოება, რომელიც ჯვარედინად არის დაკავშირებული მომხმარებლის ინტერესებსა და უფლებებთან.

აუცილებელია, სასამართლო პრაქტიკაში დაინერგოს ახალი პრეცედენტები, რომელიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ხარვეზების უკეთესად წარმოჩენას. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკების სიმცირე შეინიშნება და, აქედან გამომდინარე, ხდება იმ საკანონმდებლო ნორმების ანალიზი, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოში და შესაბამისად, მოსამართლე მხოლოდ გარკვეულ შენიშვნებს იძლევა ამ ნორმებთან მიმართებაში.

ქვეყანაში სრულყოფილი არაფერია, შესაბამისად წუნდებული პროდუქტთან მიმართებაში სუფევს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც, ვფიქრობ, აუცილებელია დარეგულირდეს და პრაქტიკაში განხორციელდეს.

\* სსკ-ს 1010-ე მუხლში განსაზღვრული, მხოლოდ წუნდებული პროდუქტის ცნება და უხარისხო პროდუქტის ცნება მის მიღმა რჩება, მიუხედავად იმისა, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსმა დაარეგულირა, ეს საკითხავია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა პრაქტიკაში ხომ არ წარმოშობს პრობლემებს. მიგვაჩნია, რომ ეს ტერმინები არ უნდა იყოს იდენტური, რადგანაც უხარისხო პროდუქტი სიტყვა-სიტყვითი განმარტებით გულისხმობს პროდუქტს, რომელიც გამოსაყენებლად უვარგისია, ხოლო წუნდებული პროდუქტი, ეს არის ისეთი პროდუქტი, რომელიც გამოსაყენებლად უვარგისი, მაგრამ ამავდროულად პროდუქტი, რომელიც შეიძლება ჩამოწერას დაექვემდებაროს.

- ხარვეზი შეინიშნება აგრეთვე, იმაში, რომ არ გვხვდება ხარისხიანი პროდუქტის დეფინიცია და აგრეთვე მისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმები, რომლითაც უნდა შეფასდეს ბაზარზე არსებული პროდუქტი და აგრეთვე მნიშვნელოვანია მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ხარისხთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება სამოქალაქო სამართლებრივ ქრილში.

- ყურადღების მიღმა რჩება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის დროს მორალური ზიანის ანაზღაურება, თუმცა აქ უნდა გავითვალისწინოთ ის საკითხი, რომ სსკ-ს 413-ე მუხლი აწესებს შესაბამის დათქმას „სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც“. აღნიშნული ნორმა დაზარალებულს აღჭურავს უფლებამოსილებით, თუ დადგა აღნიშნული შედეგი მოითხოვოს, აგრეთვე ანაზღაურება მორალური ზიანისთვის.

- მტკიცების ტვირთთან მიმართებაში მივიჩნევთ, რომ მტკიცების ტვირთის მთლიანად დაზარალებულზე გადასვლა დაკავშირებულია დიდ პასუხისმგებლობასთან და აგრეთვე, ძალისხმევასთან. ვფიქრობთ, რომ ისევე, როგორც გერმანულ კანონმდებლობაში, უნდა არსებობდეს სპეციალური შემთხვევები, როდესაც მტკიცების ტვირთი „გადანაწილებული“ იქნება როგორც დაზარალებულზე, ასევე მწარმოებელზე, რომ მათ შორის დამყარდეს დისბალანსი.

- აუცილებელია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ის, თუ რა შემთხვევაში დადგება დელიქტური პასუხისმგებლობა და რა შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირდება.

- საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე დარეგულირდეს უხარისხო პროდუქტით გა-

მონვეული ზიანი, შეიქმნას სპეციალური სტრუქტურა, სადაც შემონმდება, თუ რამდენად აკმაყოფილებს ბაზარზე არსებული პროდუქტი დადგენილ სტანდარტებს.

• საჭიროა კანონმდებლობაში არსებული ნორმების პრაქტიკაში რეალურად და ჯეროვნად განხორციელება და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულირება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
2. თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „ჟურნალი „მართმსაჯულება“, თბ., 2007.
3. ბ. ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბ., 2013.
4. ე. ბზეკალავა, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საბილუო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013.
5. თ. ზოიძე, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე) თბ., 2009.
6. მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი.
7. ა. ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2000-2013.
8. ბ. შაკაიშვილი, პროდუქტის ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ჟურნ. სამართალი, 1999.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ნიგნი IV, ტომი I, თბ., 2001.
10. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.
11. ი. ხარაზი, თ. გარდაფხაძე, პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტების შესახებ წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის, სამეცნიერო ჟურნალი „დიმპლიმატია და სამართალი, თბ., 2017.
12. თ. ჩიტოშვილი, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართმსაჯულება“, N1, თბ., 2008.
13. წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ევროკავშირის 1985 წლის 25 ივნისის 374-ე დირექტივა.
14. კროპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014.
15. თ. ბენდელიანი, ფრემიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტური ჟურნალი, გამომცემლობა GIZ, 2014.
16. ბ. ზოიძე, ლ. ჭანდურია, საქართველოს სსკ-ს კომენტარი, ნიგნი მესამე, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001.
17. თ. ერქვანია, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა“, ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“, №3(30)11.
18. ო. მაჭარაშვილი, დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, აღმანახი, თბ., 2007.
19. გეგიძე, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები, თბ., 2012.
20. Fairgrieve D. and Howells G, Rethinking product liability: a missing element in the European Commission's Third Review of the European Product Liability Directive, 2007
21. პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა, 2001/95/EC.
22. Toy Safety Directive 2009/48/EC
23. საქმე N-ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: უსაფრთხო პროდუქტი.
24. უსგ საქმე № ას-296-624-07, 25 სექტემბერი, თბ., 2007.
25. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 12 იანვრის რეგულაცია (EC) N 183/2005 ცხოველის საკვების ჰიგიენასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ.
26. ევროპული კომისიის 2006 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება საბჭოს დირექტივის 2005/94/EC თანახმად ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ.
27. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 27 ოქტომბრის რეგულაცია (EC) N 1935/2004 სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივებს 80/590/EEC და 89/109/EEC.
28. კომისიის 2006 წლის 23 თებერვლის რეგულაცია (EC) No 401/2006 საკვებ პროდუქტებში მიკოტოქსინების დონის სახელმწიფო კონტროლისთვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების განსაზღვრის შესახებ.
29. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის რეგულაცია (EC) No 1829/2003 გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათის და ცხოველის საკვების შესახებ.
30. ცხოველური წარმოშობის სურსათისათვის დადგენილი კონკრეტული ჰიგიენის წესების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგულაციაში (EC) No 853/2004 შეტანილი შესწორებები.

ნიკა დუდაშვილი

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის დოქტორანტი

## კონსტიტუციის განმარტების ფარგლები

### ანოტაცია

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი იდეა ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულის აღიარებასა და უზრუნველყოფას. აღიარება და უზრუნველყოფა კი ძირითადი კანონის კონსტიტუციის საფუძველზე ხდება. იშვიათობას წარმოადგენს საქართველოში ისეთი კანონი, რომელზეც ბევრს არ საუბრობენ, მაგრამ ამავედროულად მასზე ყველაზე ცოტაა ნათქვამი, ასეთი კი საქართველოს კონსტიტუციაა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია, ყველა სხვა კანონთან შედარებით, ალბათ, ყველაზე უფრო ახლოს დგას ხალხთან, როგორც ხელისუფლების წყაროსთან, ის მაინც იურისტების ქმნილებად რჩება და მის სწორად წაკითხვას ფილიგრანული იურიდიული ტექნიკა სჭირდება.<sup>1</sup>

კონსტიტუციური კონტროლი არის ფენომენი, რომლის დროსაც კონსტიტუციური დებულებებისა და პრინციპების ინტერპრეტაციის მეშვეობით კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო აფასებს და არეგულირებს მიმდინარე კანონმდებლობას, თუ რამდენადაა შესაბამისობაში იგი კონსტიტუციასთან. ამ დროს სასამართლოს უწევს ზოგადი პრინციპების გაანალიზება და შემდეგ სახელმწიფოსათვის ზღვარის დადგენა, თუ სად მთავრდება მისი დისკრეტია.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს რა კონსტიტუციის ნორმებს, შედეგად ქმნის ცოცხალ კონსტიტუციას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლომ კონსტიტუციური ღირებულებების სრულყოფილად გააზრების გზით და მათზე დაყრდნობით უზრუნველყოს ქვეყნის მთავარი კანონის პრაქტიკული ქმედითობა. სასამართლომ თითქმის ყველა საქმეზე, უშუალოდ ეხება რა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათი განმარტება უნდა დააფუძნოს თითოეული ამ უფლების შინაარსის, ფარგლების, დიაპაზონის სრულყოფილად შეგრძნებასა და გაანალიზებას, რათა განმარტების შედეგად მიღებული უფლების პრაქტიკული შინაარსი სრულად ადეკვატური იყოს ამ უფლების კონსტიტუციური წონისა. საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები ხელს უნდა უწყობდეს სამართლის განვითარებას<sup>2</sup>.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერპრეტაცია, ჰერმენევტიკა, უფლება.

<sup>1</sup> თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, შ. პაპუაშვილი, წინასიტყვაობა, თბ., 2013, გვ. 15.

<sup>2</sup> ქ. ერემაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, ბათუმი, 2017, გვ. 3.



Nika Dudashvili

PHD Candidate at New Vision University

## CONSTITUTION DEFINITION FRAMES

### Abstract

The idea of Rule of Law rests not only upon recognition of an individual as the supreme value, but also upon real assurance that full and effective enjoyment of his/her basic rights is guaranteed.

This article is about constitutional control authority – constitutional law’s one power, exactly Constitutional regulations explaining and constitutional determinants.

This subject is actual and problematical at the same time because of its phenomenon, of constitutional control with principles and regulations.

This time law analyze ordinary principles and then confines it to state.

The solution is that in any country lives law principles which is more important than the simple norm of laws. If law resistance principles it doesn’t action.

The Constitutional court clarifies the norms of the constitution, therefore creates a living constitution. That is why the court has a great sense of responsibility to understand the constitutional rules and to relay on the practical operation of the country law. In almost every case, the court is directly related to fund a mental human rights and their explanation must be based on perfection and analysis of the content. Scope and range of each of these rights in order to be fully adequate to the constitutional right, the final decisions of the constitutional court should promote the development of law.

**Key words:** Interpretation, Hermeneutics, Right

## კონსტიტუციის განმარტების ფარგლები

პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, რომელიც კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ამავდროულად მეტად იურიდიული ხასიათისაა, თუმცა ის მაინც აწესებს იმ ძირითად კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს, რომელზეც ფუნდამენტურადაა დაყრდნობილი და მყარად ფეხმოკიდებული კონსტიტუციის ძირითადი ტექსტი. „დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“, მართალია, აღნიშნული სიტყვები, სიტყვებია და მეტი არაფერი, დიხაბაც, კონსტიტუცია სხვა არაფერია, თუ არა ქალაქის ფურცელი, მაგრამ ასეთივე ფურცელია ბანკის მიერ გარანტირებული ათი მილიონი დოლარის ღირებულების ჩეკი. ქალაქის ფურცლებს მართლაც აქვს მნიშვნელობა – და ზრდასრულ ადამიანებს ხანდახან ხტუნვასაც აწყებინებს – გარკვეული დოზით და კონკრეტულ ვითარებაში.<sup>1</sup> ხელისუფლების წყარო, ანუ ხალხი, კონსტიტუციის პრეამბულასა და ძირითად ტექსტში თავმოყრილი პრინციპების რეალიზაციას, დროში მოქმედებას ითხოვს და მათ განხორციელებას თვალყურს ადევნებს საკუთრივ და მის მიერ ირიბად არჩეული სახელმწიფო დონის ორგანოების მეშვეობით, ერთ-ერთს და ყველაზე მძლავრ ინსტიტუტს კი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, საკონსტიტუციო

<sup>1</sup> ს. ჰოლმისი, იხილეთ წინასიტყვაობა ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003, გვ. 9.

სასამართლო, წარმოადგენს, რომელიც ფუნქციურად ორ მიზანს ემსახურება – ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებების დაცვას ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისგან.

თანამედროვე სამართალში რამდენიმე ინსტიტუტია ისეთი სტატუსის მატარებელი, რომელსაც შეუძლია თავისუფლად შექმნას წარმოდგენა თავად სამართლის სისტემის შესახებ. მსგავს ინსტიტუტებს უპირობოდ განეკუთვნება კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანია, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება<sup>1</sup>.

საკონსტიტუციო კონტროლის თუ ზედამხედველობის ორგანოს, ეს სასამართლო იქნება, თუ სპეციალურად ამ სამქმინაობისთვის შექმნილი ორგანო, მთავარი ფუნქცია მაინც ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ნორმების განმარტებაში, მათ ახსნაში, ნომრმატიული აქტების მათთან მორგებაში, თანხვედრასთან მოყვანაში გამოიხატება, რომელიც შემდგომში შესასრულებლად სავალდებულო ხდება სახელმწიფოსათვის. სამეცნიერო საქმიანობაში კი დიდი აქტუალობით სარგებლობს ყოველთვის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოთქმული დასაბუთებები და ისინი ხშირად ციტირებენ იურიდიულ დოქტრინაში.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ნორმათა განმარტების შედეგად ქმნის ცოცხალ კონსტიტუციას.<sup>2</sup> ნორმის განმარტებისთვის გადაწყვეტია მასში მოცემული კანონმდებლის ნება, რომელიც ობიექტურად გამოხატული ნებაა.<sup>3</sup> კანონი ქცევის წესების მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობაა, რომელმაც სამართლებრივი მშვიდობა და სწორი ორიენტაცია უნდა უზრუნველყოს, ასეთ შემთხვევაში ნორმები ერთმანეთს კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არამედ ერთმანეთთან უნდა იყოს შეხამებული. ერთმანეთის შეხამებულობის საკითხს კი საკონსტიტუციო სასამართლო აკვირდება და წინააღმდეგობის შემთხვევაში აქტიურად რეაგირებს.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური დავების გადაწყვეტისას, ხშირად უთითებს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე, მათ მნიშვნელობაზე. „დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციურ პრინციპებს შორის. ისინი პრაქტიკულად ყველა კონსტიტუციური ნორმის საფუძველს წარმოადგენს. ამ პრინციპებს ეყრდნობა მთლიანად კონსტიტუციური წყობა. ამასთან, ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას, შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე.“<sup>4</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და განონასწორების მექანიზმის ქმედითობას, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისაგან.<sup>5</sup> საკონსტიტუციო სასამართლო კანონების კონსტიტუციურობის დადგენით ახდენს დემოკრატიული კანონმდებლობის შექმნას, კანონმდებლობაში კი, თავის მხრივ, მოიაზრება თავად კონსტიტუციაც და მასში შესატანი ცვლილება-დამატებების გამო მიღებული კონსტიტუციური კანონიც. დღეის მდგომარეობით საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული არცერთი ნორმატიული აქტი არაფერს ამბობს უფლებამოსილებაზე, რომელიც კონსტიტუციის ტექსტის კონსტიტუციურობის შემოწმებას ეხე-

<sup>1</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 141.

<sup>2</sup> ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ბათუმი, 2013, გვ. 9.

<sup>3</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, შეადგინა ი. შვაბემ, (გერმანულიდან თარგმნა ე. ჩაჩანიძემ) თბ., 2011, გვ. 3.

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2013 წლის 5 თებერვლის განჩინება №1/1/549 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II, 7.

<sup>5</sup> ქ. ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძეგლებში, თბ., 2018, გვ. 383-384.

ბა. კონსტიტუციური კანონი კი კონსტიტუციის ტოლფასი და იმავე ძალის მატარებელი აქტია, რა ძალა უზენაეს კანონს გააჩნია. ჩვეულებრივ, კონსტიტუციური კანონი მას შემდეგ კვდება, რაც კარგავს დამოუკიდებელ ნორმატიულ ხასიათს, როდესაც მასში თავმოყრილი ნორმები უკვე სი-  
ცოცხლეს პოვებენ კონსტიტუციაში და მისი შემადგენელი ნაწილი ხდება.

როდესაც სახელმწიფოში დემოკრატიზაციასა და დემოკრატიის ხარისხს ვაფასებთ, მნიშვნე-  
ლოვანია არა მარტო კონსტიტუციის, როგორც სამართლებრივი დოკუმენტის, შინაარსის შეფასე-  
ბა, არამედ ისიც, თუ რა ადგილი და როლი აქვს მას რეალურ პოლიტიკურ პროცესებში, როგორ  
იყენებენ მას კონსტიტუციური სამართლის სუბიექტები და ობიექტები. მოსამართლეები კონსტი-  
ტუციას უნდა მიიჩნევენ ძირითად კანონად და ეს, მართლაც, ასეა. ამიტომაც, სწორედ მათი საქ-  
მეა, განსაზღვრონ კონსტიტუციის შინაარსი. თუ კონსტიტუციასა და კანონს შორის შეურიგებელი  
წინააღმდეგობა აღმოჩნდება, კონსტიტუციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს კანონის წინაშე, ხალ-  
ხის განზრახვას – მისი წარმომადგენლების განზრახვის წინაშე.<sup>1</sup> ხშირად კი, თვით კონსტიტუციის  
დებულებებია იმგვარად დაწერილი, რომ თავად არ არიან სამართლებრივი ხასიათის მატარებელი.

კონსტიტუცია იწერება დროის განსაზღვრულ მოწაკვეთში, ჩვეულებრივ მაშინ, როდესაც სა-  
ზოგადოებაში არსებობს ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა პრობლემები. არსებობს ცდუნება  
და ხშირად აუცილებლობა იმისა, რომ ამ პრობლემებს სწრაფად გაუმკლავდნენ. მაგრამ დებუ-  
ლებები, რომლებიც გამიზნულია პრობლემათა სწრაფად მოსაგვარებლად, შეიძლება შეუსაბამო  
აღმოჩნდეს მომავლისათვის.<sup>2</sup> რაც შეეხება ცვლილება-დამატებებს, რომლებიც უზენაეს კანონში  
შედის გარკვეულ დროსა და ვითარებაში, ყოველთვის მოსდევს პოლიტიკურ ცვლილებებს. ქვეყნის  
სათავეში მოსული ყოველი ახალი ხელისუფლება იწყებს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგე-  
ბასა და იმ პოლიტიკურ პროცესებთან გათანაბრებას, რომელიც იმ დროისათვის მიმდინარეობს სა-  
ხელმწიფოში. ეს კი თავისთავად ზრდის რისკებსა და შესაძლებლობებს კონსტიტუციის ტექსტის,  
მუხლის, სიტყვის კონსტიტუციის პრინციპებთან დაპირისპირებისა.

ამგვარი დაპირისპირებები კი ნებისთ თუ უნებლიეთ გამოსწორებას მოითხოვს. მიუხედავად  
იმისა, კანონის მიხედვით ეს მოგვარებადია თუ არა? ვის მიერ? და როგორ? ამას ხალხი, ანუ კონ-  
სტიტუციური სამართლის სუბიექტნი, ყურადღებას არ აქცევენ და მათთვის მინიჭებული უფლე-  
ბით სარგებლობენ, უფლება კი გამოიხატება – საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტა-  
ნით, რომელიც, რა თქმა უნდა, კანონმდებლობის მიხედვით შემონიშნავს არ ექვემდებარება და  
მასზე საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, განჩინება გამოიციემა. საქართველოს საკონსტიტუ-  
ციო სასამართლოს წინაშე ამდგავარი საკითხი სამჯერ დაისვა. საკონსტიტუციო სასამართლოს  
05/02/2013 წლის №549 განჩინების – საქართველოს მოქალაქეები ირმა ინაშვილი, დავით თარ-  
ხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ – მიხედვით, მო-  
სარჩელეებს მიაჩნდათ, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში დამატებებისა და ცვლილებების  
შეტანის შესახებ“ 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი, რომლითაც საქართვე-  
ლოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „პრეზიდენ-  
ტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდა-  
რული წლის ოქტომბერში. არჩევნების დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე  
არა უგვიანეს 60 დღისა“, ეს ცვლილება არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17  
და 28-ე მუხლით განმტკიცებული ადამიანის ღირსებისა და საარჩევნო უფლებებს. ისინი მი-  
უთითებდნენ, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად საქართველოს  
პრეზიდენტი აირჩიეს 5 წლის ვადით, ხოლო 2006 წელს განხორციელებული კონსტიტუციური  
ცვლილების შედეგად, ვინაიდან მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა გაიზარდა 18  
თვით, ამომრჩეველს დაერღვა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური უფლებები.

<sup>1</sup> ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003, გვ. 277.

<sup>2</sup> კ. შვარცი, კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“,  
N1, 2009, გვ. 7.

ამ საქმესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მას არ გააჩნია კონსტიტუციის ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისა და განმარტების უფლებამოსილება. თავად კონსტიტუციის ტექსტიდან, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია რომელიმე კონსტიტუციური მუხლისთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება და ამის საფუძველზე კონსტიტუციის სხვა მოქმედი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ის თავად უნდა დარჩეს კონსტიტუციის ფარგლებში, რადგან მისი საქმიანობის საფუძველი და კომპეტენციის ზღვარი თავად კონსტიტუციაა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებით განსახილველად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ამდაგვარი პრობლემა, ანუ კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობასთან შესაბამისობის შემოწმების საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანი კიდევ ორჯერ გახდა: საქმეზე „არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი ამორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – აღნიშნული სარჩელები არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად იმ საფუძველით, რომ დავის საგანს კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შეფასება წარმოადგენდა, რაც სცილდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს (საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის N 2/2/486 განჩინება საქმეზე „არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N 1/2/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი ამორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია ნორმის ნორმატიული შინაარსის განმარტებაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო ნორმის ნორმატიული შინაარსის განმარტება, მისი პრაქტიკაში გამოყენების კონსტიტუციურობის შემოწმება, რაც აისახა კიდევ რამოდენიმე გადაწყვეტილებაშიც. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელე გიორგი უგულავა ასაჩივრებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმატიული შინაარსს, რომელიც უშვებდა პატიმრობის 9 თვიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობას თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც ეს საქმეები უკავშირდებოდა ბრალდებებს პატიმრობის გამოყენებამდე ჩადენილ დანაშაულებში კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით. სადავო იყო აგრეთვე ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვები „ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს“ და 205-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. 208-ე მუხლის მე-8 ნაწილის მე-3 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. საკონსტიტუციო სასამართლოს წინა გადაწყვეტილებისგან (2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება) განსხვავებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ 9 თვიანი გარანტია არ წყვეტს მოქმედებას ბრალდებულის საქმის სასამართლოში გადაგზავნის მომენტში. პატიმრობის გამოყენების მიზნები (მართლმსაჯულების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება) უცვლელია მთელი სისხლის სამართლებრივი დევნის მანძილზე, სასამართლო განაჩენის საფუძველზე ბრალდებულის დამნაშავედ და უდანაშაულოდ ცნობამდე. მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ბრალდებულს იცავს განუსაზღვრელი ვადით წინასწარ პატიმრობაში ყოფნისგან,



რაც შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ ბრალდების მხარის თვითნებობით, არამედ აგრეთვე სასამართლო განხილვის ეტაპზე საქმის გაჭიანურებით ან შეცდომით. სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის, ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება, დამნაშავედ ცნობამდე წარმოადგენს ბრალდებულს. წინასწარი პატიმრობა კი არის ავტონომიური კონსტიტუციური ტერმინი, რომელიც მოიცავს ბრალდებულის თავისუფლების დროებით შეზღუდვას მაქსიმუმ 9 თვის ვადით. ამასთან, სახელმწიფოს არ შეუძლია ამ კონსტიტუციური ვადის გადალახვა მაშინაც კი, როდესაც პატიმრობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზნებს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიზანია, აიძულოს სახელმწიფო, დროულად დადგეს სასამართლო განაჩენი, როდესაც პირი პატიმრობაშია და ამისთვის 9-თვიან ვადას საკმარისად მიიჩნევს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნა არ გამოორიცხავს პატიმრობის მოთხოვნას იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც პირმა მისთვის პატიმრობის შეფარდების შემდეგ ან პატიმრობის შეფარდებამდე ჩაიდინა, თუმცა ბრალის წაყენების საფუძველი ცნობილი გახდა მხოლოდ პატიმრობის შეფარდების შემდეგ. ამასთან, კონსტიტუციური მოთხოვნა გამოორიცხავს პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად საქმეების ხელოვნურ დანაწევრებას ან ბრალის წაყენების გაჭიანურებას, როცა ახალი სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი უკვე ცნობილი იყო გამოძიებისთვის და საკმარისი იყო ბრალის წარსადგენად. სასამართლომ ჩათვალა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გამოორიცხავდა აღნიშნულ მანიპულაციებს 9-თვიანი ზღვრული ვადის გასაგრძელებლად, დაუშვებდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას ერთი სისხლის სამართლის საქმეზე იმ პირობებში, როდესაც ამ საქმეზე პირისთვის ბრალდების წარსადგენად საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში უკვე ჰქონდა გატარებული 9 თვე. შესაბამისად, 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის აღნიშნული ნორმატიული შინაარსი კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან შეუსაბამოდ ჩაითვა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებითი სტანდარტის საფუძველზე პატიმრობის გამოყენებას და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად პატიმრობის გამოყენებას.<sup>1</sup>

## დასკვნა

დღეის მდგომარეობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მრავალი პრობლემა დგას, თუმცა უმთავრესი პრობლემა ერთია, მას უფრო სრულყოფილი საქმიანობისთვის და ლეგიტიმურობისთვის ესაჭიროება კონსტიტუციით გარანტირებული იმ უფლებამოსილების გადაცემა, რომელსაც კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების ნორმათა განმარტებასა და კონსტიტუციურობის დადგენას გულისხმობს. მართალია, ამ საკითხის განხორციელებისათვის სასამართლოს მოუწევს პირველ რიგში გადანყვეტა იმ საკითხებისა, არსებობს თუ არა კონსტიტუციაში ნორმათა იაერარქია, აქვს თუ არა გარკვეულ ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა დანარჩენ ნორმებთან მიმართებით და ა.შ.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მუდმივად განვითარებადი, დინამიური პროცესია.<sup>2</sup> ამ პროცესში კი მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასამართლოს საქმიანობას, რომელიც კონსტიტუციური ღირებულებების სრულყოფილად გააზრების გზით და მათზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი კანონის პრაქტიკულ ქმედითობას. მთავარი კი მაინც არის ის, რომ

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება – საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>2</sup> დ. გეგენავა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში, სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბ., 2012, გვ. 83.

ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს სამართლის პრინციპები, რომლებიც გაცილებით წონადია, ვიდრე სამართლებრივი აქტი. თუკი კანონი ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპებს, კანონი არ მოქმედებს. ეს პრინციპები ცნობილია ბუნებითი სამართლის, იმავე გონის სამართლის, სახელწოდებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> გ. რადბრუხი, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, თარგმნა დ. გეგენავა, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“ №1-2(34). 2012. გვ. 248.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Tugushi T., Burjanadze G., Mshveniaradze G., Gotsiridze G., Menabde V., 2013, Human rights and the practice of judicial proceedings of the Constitutional Court of Georgia; PapuaSvili P., TB. page. 15. (in Georgian).
2. Holmes T., 2003. Sajo A., Self-limitation of the government, the introduction of constitutionalism; TB, page. 9. (in Georgian).
3. Khubua G., 2004, Law theory, TB, page. 141. (in Georgian).
4. Eremadze Q., 2013, Balance of interest in a democratic society; Batumi. page. 9. (in Georgian).
5. Decisions of the Federal Constitutional Court of Germany, 2011, Translate from German Chachanidze E., Kublashvili K., Ninidze T, Loladze B. and Eremadze's edition, Tbilisi, page. 3. (in Georgian).
6. Constitutional Court of Georgia 2013 YEAR 5 February's ruling №1/1/549 Citizens of Georgia CASE – Irma Inashvili, Davit Tarxan-Mouravi and Ioseb Manjavidze VS the Parliament of Georgia II, 7. (in Georgian).
7. Sajo A., 2003, Self-restraint of the government, Introduction to constitutionalism; Tbilisi, page. 277. (in Georgian).
8. Schwartz H., the constitution construction stage. News Review of Constitutional Law, 2009. N1 p. 7. (in Georgian).
9. September 15, 2015 №3/2/646 decision – Case Georgian citizen Giorgi Ugulava VS the Parliament of Georgia. (in Georgian).
10. Gegenava D., 2012, Constitutional Justice in Georgia: Main systemic problems of the proceedings; Tbilisi, Page. 83. (in Georgian).
11. Radbrukh, G., 2012, Five minutes of philosophy of law; Gegenava D., Law journalism „Table of contents“ №1-2(34), page. 248. (in Georgian).



**ზვიადი გოგრიჭიანი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

**უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)**

**ანოტაცია**

წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ფულის გათეთრების პრობლემატურ საკითხებზე, თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რომ ფულის გათეთრება ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ დანაშაულია, რომელიც არაკანონიერ ფულს კანონიერი ბრუნვის საშუალებას აძლევს, რომ მისი არაკანონიერი ბუნება შეუმჩნეველი გახდეს.

სტატიაში ხაზგასმულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ტერმინი „ფულის გათეთრება“, რომელიც გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, თავის მხრივ, ნიშნავს უკანონო საქმიანობიდან როგორცაა: იარაღით უკანონო ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვა, კორუფცია, კომპიუტერული მაქინაციები და სხვა., მიღებული ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას.

აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაცია, ანუ კანონიერ ფინანსურ და ქონებრივ სივრცეში გადატანა. თემაში აღნიშნულია, რომ ასეთი ქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსურ სისტემას. ამ დროს მოპოვებული ფული არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ბიზნესის კეთილსინდისიერ წარმომადგენლებს, რომელთაც თანხა კანონიერი საშუალებით მოიპოვეს და ეკონომიკური ბრუნვის მონაწილეები გახდნენ. სტატიაში განსხვავებული მხრიდან არის დანახული ფულის გათეთრების პროცესი, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივია და მოიცავს მრავალ ფინანსურ ოპერაციას თუ გარიგებას. წინასწარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში ამ ოპერაციების ყველა მონაწილე პასუხს აგებს ერთიანი ჯგუფური დანაშაულისათვის, თუნდაც ზოგიერთ მათგანს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ფულის გათეთრების ერთ-ერთ სტადიაში ისე, რომ არც იცოდეს რაიმე სხვა ეტაპების შესახებ.

სტატიაში ფრიად საყურადღებოა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება. ფულის გათეთრება დანაშაულის დაფარვაში დახმარების ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული და ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარში უნდა იქნას განთავსებული. სტატიაში ასევე წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკოსებს შორის დანაშაულის საგანთან დაკავშირებული საკითხები, რამდენადაც მის სიზუსტეზეა დამოკიდებული ლეგალიზაციის სწორი სუბსუმცია.

აქვე აღნიშნულია, რომ ლეგალიზაცია ორი სახისაა – მარტივი და რთული. მარტივი ფორმა ლეგალიზაციისა რთული ლეგალიზაციის მხოლოდ ერთი სტადიაა. რაც შეეხება რთულ ლეგალიზაციას ის წარმოადგენს მრავალქსელიან თაღლითურ საფინანსო ოპერაციას, რომელშიც მონაწილეობენ ლეგალური კომერციული საფინანსო-საბანკო სტრუქტურები.

**Zviad Gogrichiani**

*Iv. Javakhishvili State University,*

*Phd Student*

## **LEGALIZATION OF THE ILLICIT INCOME (MONEY LAUNDERING)**

### **Abstract**

The present study focuses on problematic issues of money laundering; as to what legal benefits are violated by the legalization of illicit income; that money laundering is a crime against economic activity which allows illicit money to turnover in a lawful way meanwhile its lawless nature stays unnoticable.

The article emphasizes the term “money laundering”, which means legalization of illicit income. Legalization of illicit income means giving legal nature to the money getting from illegal activities such as illegal arms trade, organized crime activities, illicit turnover of narcotic drugs, corruption, computer machinations, etc.,

As well as the legalization of the funds received by the location, disposal, traffic, illegal activities of the source of illicit income, or to the legal or financial and property space. It notes that such activities causes a serious threat to the country’s economy and the financial system. The money collected in this way is unequal to the money collected by an honest businessmen through legal means and becoming participants of the economic turnover. In the article, the different types of money laundering process is seen, sometimes quite long, involving multiple financial transactions and transactions. In the event of a preliminary agreement, all participants of these operations will be liable for a single group offense, even if some of them are involved in one of the stimulants of money laundering so that they do not know any other stages.

The ideas of some scholars are very important. Money laundering should be considered as a form of aid in covering the offense and it should be placed in the twelfth chapter of the Criminal Code of Georgia. Problems related to crime among practitioners of many countries around the world depends on the accuracy of the correct subsumption of legalization.

## უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)

ვიდრე ამ დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაზე რაიმეს ვიტყვოდეთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის ლეგალიზაცია საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება. პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ფულის გათეთრების დანაშაულზე გავრცელდა, არის 1990 წლის კონვენცია. იგი 8 ნოემბერს ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს სტრასბურგში, რომლითაც დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გამოვლენასთან ჩამორთმევაა დაწესებული.

სტრასბურგის კონვენციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ქმედების ჩამონათვალს, რომელიც აღიარებულია ფულის გათეთრების დანაშაულად. სტრასბურგის კონვენციის მიხედვით, თუ პირი ინახავს ან გადასცემს ქონებას და მისთვის ცნობილია ქონების უკანონო წარმომავლობის თაობაზე, ასევე ფარავს ან ეხმარება სხვა პირს, რომ დაფაროს ფულის გათეთრების დანაშაული და თავიდან აიცილოს იურიდიული შედეგი, წარმოადგენს ფულის გათეთრებას.<sup>1</sup>

კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ შიდა კანონმდებლობაში მიიღონ ზომები ასეთი დანაშაულის გამოსავლენად, შეიმუშავონ რეგულაცია, რათა კონვენციით გათვალისწინებული ქმედება დასჯადი გახდეს. უფრო მეტიც, კონვენციის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადის არა მარტო უკანონო ქმედებაში მონაწილე მხარე, არამედ ის პირი, ვინც იცოდა ფულის გათეთრების გარიგების შესახებ და დამალა ან შენიღბა წყარო, ბუნება, მდებარეობა, ქმედება ან საკუთრება, რომელიც უკანონოდ იყო მოპოვებული. ასეთი პირი წარმოადგენს თანამონაწილეს და მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან კონვენციით დაუშვებელია ასეთი ქონების შექმნა, გამოყენება აგრეთვე ამ საკუთრების ფლობა, როდესაც პირმა იცოდა, რომ ქონება მართლსაწინააღმდეგო იყო, მონაწილეობა, გაერთიანება, ნაქეზება, დახმარება, კონსულტაციის გაცემა ფულის გათეთრების დანაშაულის ჩასაღწეად, დასჯადი ქმედებაა.

მეორე მნიშვნელოვანი კონვენცია ევროსაბჭოს მაშტაბით, რომელიც ფულის გათეთრების გარიგების საკითხს ეხება, არის ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების, კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ. ევროსაბჭოს კონვენციაში ფულის გათეთრების ცნება ზუსტად იმგვარად არის მოცემული, როგორც სტრასბურგის კონვენციაში, ევროსაბჭოს კონვენცია სტრასბურგის კონვენციის განმარტებებს იზიარებს, როგორც მის წინამორბედ დოკუმენტს. თუმცა, თუ მანამდე სტრასბურგის კონვენცია ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან აცილებისათვის მხოლოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობას აწესრიგებდა, 2005 წლის კონვენცია უფრო კონკრეტულია და მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებებს, კერძოდ, პრევენციული ზომების ჩამონათვალს ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

ევროსაბჭო იყო პირველი ორგანიზაცია, რომელმაც 1958 წელს დააარსა ევროპული კომიტეტი დანაშაულის თავიდან აცილების თაობაზე. 1997 წელს კომიტეტმა ჩამოაყალიბა ექსპერტთა სპეციალური კომიტეტი, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის უკანონო გადარიცხვების შესწავლით იყო დაკავებული. კონვენცია პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტი გახლდათ, რომელიც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ საკანონმდებლო და სხვა ზომები, ჩამოართვან უკანონო ქონება და გამოიძიონ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შემთხვევები. როგორც ჩანს, ფულის გათეთრება ორგანიზებული დანაშაულის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფულად გადაქცევა. ორგანიზებული ჯგუფები ფულის გათეთრების პროცესს ხშირად დიდი ხნის განმავლო-

1 სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის, გვ. 73

ბაში ამზადებენ<sup>1</sup>. ოფიციალურად სამართალდამცავი ორგანოებისათვის თვალის ასახვევად, სამე-  
წარმეო ფორმების შექმნა და ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც ორგანიზებულ ჯგუფს ფულის  
გათეთრება სურს, შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს. ცნება, „ფულის გათეთრება“  
ზოგადია და ქონების როგორც მიმოქცევის, ასევე მისი ფულად გადაქცევის პროცესს მოიცავს.  
ფულის გათეთრების პირველი ისტორიული ცნობა 1957 წლით თარიღდება, როდესაც იტალიურ-  
ამერიკული მაფიის ხელმძღვანელი ლუჩიანო სინდონა დალანსკი პალერმოს ერთ-ერთ სასტუმ-  
როში ჰერონის გასაღებისა და ფულის გათეთრების გზების მონახვაზე მსჯელობდა. მართალია,  
1957 წლამდე ფულად-საკრედიტო დანაშაულებები ხდებოდა, მაგრამ ეს დანაშაულები ფულის გა-  
თეთრება არ იყო, ვინაიდან მათ ორგანიზებულობის კუთხით პროფესიონალიზმი აკლდათ, რომე-  
ლიც დამახასიათებელია ფულის გათეთრებისათვის.

პროფესორი ოთარ გამყრელიძე აღნიშნავს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია პირვე-  
ლად საქართველოში 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შემოვიდა. 1960 წლის საქართვე-  
ლოს სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდებოდა მხოლოდ მისი ერთგვაროვანი ანარეკლი, მხედვე-  
ლობაში იგულისხმება 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლი, რომლითაც გათვა-  
ლისწინებული იყო პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული  
ქონების შეძენის ან გასაღებისათვის. ამ მუხლის მე-2 ნაწილით ისჯებოდა ასეთივე ქმედების ჩა-  
დენა, ხელობის სახით ან დიდი ოდენობით. წინასწარი შეცნობა ნიშნავს, განზრახვას. მაშასადამე, ამ  
მუხლით ისჯებოდა ის, ვინც განზრახ შეიძენდა ან გაასაღებდა, მაგალითად, ნაქურდალს. საქარ-  
თველოს უახლესი ისტორიიდან ცნობილია, რომ ნაქურდალი ქონება, მაგალითად, ავტომანქანა  
გაყავდათ სოფელ ერგეთის ბაზრობაზე და იქ ასაღებდნენ. იქ გასაღებულ მანქანას პატრონი ვე-  
ლარ მიაგნებდა. ამდენად, თეთრი და შავი გზით, ესე იგი, ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით მოპო-  
ვებულ ქონებას, ფულს ბოროტმოქმედი კანონიერ სახეს აძლევდა.<sup>2</sup> ეს ხდებოდა, რასაკვირველია,  
საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაგრამ ასეთი რამ ხდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდეც,  
როცა, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ  
ქონებას დანაშაულებრივად სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასაღებდა. ფაქტობრივად აქ ორი დანაშაუ-  
ლი იყო ჩადენილი. ერთი ვთქვათ, ფულის გათეთრება, მეორე, გასაღება.

ასეთ დროს ბოროტმოქმედს ორივე დანაშაულისათვის უნდა ეგო პასუხი, თუკი პროცესუა-  
ლურად გამოძიება და სასამართლო ამას დაუმტკიცებდა. ასეთი დანაშაულის ანალოგიური და თა-  
ნამედროვე პირობებისათვის შესაბამისია მოქმედი კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული  
ქმედება, დანაშაულის ამ სახეს, აღნიშნავს პროფესორი ოთარ გამყრელიძე, საერთაშორისო ხასი-  
ათი გააჩნია, ამიტომ მის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ერთიანი ძალებით ბრძოლა გახდა საჭირო.  
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, 194-ე მუხლის სათაურის მიხედვით, ფულის გათეთრება ყო-  
ფილა. რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მუხლი 171-ე  
იყენებს ტერმინს “отмывание денег”. “Отмывание денег” გარეცხვა, გათეთრება ნიშნავს „შავად“,  
ესე იგი, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი, ანუ ჭუჭყიანი ფულის გათეთრებას, მისთვის კანონიერი  
სახის მიცემას<sup>3</sup>. ლეგალიზაცია თავისი არსით დანაშაულებრივი საქმიანობაა, რომელიც ფულადი  
სახსრების ჩრდილოვანი კაპიტალის სფეროდან კანონიერ ბრუნვაში მოქცევას, ფულადი სახსრე-  
ბისათვის ან რაიმე საკუთრებისათვის ფიზიკური ან იურიდიული პირის კანონიერი საკუთრების  
სტატუსის მინიჭებას გულისხმობს. შესაბამისად, უკანონო გზით შეძენილი ქონება ფაქტობრივად  
კანონიერი ხდება, ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩიკაგოს მაფიის „ნათ-  
ლიმამის“ ალ კაპონეს ხელდასმით იღებს ლეგალიზაციის სახელწოდებას.

უკანონო შემოსავლის გათეთრების საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ლარიჩევი თავის სა-  
ქურნალო სტატიაში. მისი აზრით, უკანონო შემოსავლის გათეთრების სხვადასხვა ხერხი არსე-

<sup>1</sup> სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის გვ. 79

<sup>2</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 126

<sup>3</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 128.

ბოზს. ამასთანავე ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ფასეულობად, მაგალითად, ანაბრად ბანკში, უძრავ ქონებად. ეს უკანასკნელი ერთეობა რა ლეგალურ ბრუნვაში, ამდენად იგი გამოიყურება, როგორც კანონიერი. „ჭუჭყიანი ფული“ შედის რუსეთის საფინანსო სისტემაში, ბანკებში და სხვა საფინანსო დაწესებულებებში ან ექსპორტირდება მკაცრი საფინანსო კონტროლის ქვეყნებიდან ნაკლებად მკაცრი საფინანსო კონტროლის ქვეყნებში, ინტეგრირდება საზღვარგარეთის საფინანსო სისტემაში და ბრუნდება ჩვენს ქვეყანაში კანონიერი გზავნილების ფორმით. ხშირად ამ მიზნით იქნება ცრუ კომპანიები და აქციონერული საზოგადოებები, ამიტომ ასეთი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და, უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსავლისაგან, ამას მოითხოვს აგრეთვე ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის ინტერესები.

მაგრამ ისმის შეკითხვა, საიდან არის წყარო ამ შემოსავლების? რაც შეიძლება იყოს ნარკოტიკებით, იარაღით ვაჭრობა, სათამაშო და პორნობიზნესი, მექრთამეობა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა და ყველა სახის უკანონო საქმიანობა, რომლიდანაც მიღებული შემოსავლის ლეგალიზებასაც, ანუ კანონიერი სახის მიცემას ცდილობენ დამნაშავეები, სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, როგორც ამას პროფესორი გ. მამულაშვილი აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების დიდი ნაწილი ხმარდება კრიმინალური წარმოების განვითარებას, უძრავი ქონების შეძენას. ამგვარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ლეგალიზება ხდება ვალუტაზე გაცვლითა და საზღვარგარეთ გადარიცხვით.<sup>1</sup>

ასე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის უფრო გავრცელებული სახეობაა, როგორც მიუთითებს პროფესორი ო. გამყრელიძე, უკანონოდ მოპოვებული ფულის გათეთრება, ესე იგი, ამ ფულის ვალუტაზე გადაცვლა და შემდეგ საზღვარგარეთის ქვეყნების ბანკებში გადარიცხვა.<sup>2</sup> ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა საბანკო საიდუმლოება. მაშასადამე, დანაშაულებრივი ქმედებებით (ნარკობიზნესი, ყაჩაღობები, პროსტიტუცია, მექრთამეობა) მოპოვებული ნაღდი ფულის გათეთრება პირველ რიგში წარმოებს საბანკო სექტორის საშუალებით. კრიმინალური გზით მოპოვებული ნაღდი ფული შესაძლებელია ადვილი დასადგენი გახდეს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ამიტომ ხდება ამ ფულის საბანკო ანგარიშზე შეტანა, მომავალი გადარიცხვის განხორციელება, რის შედეგადაც იგივე თანხა შესაძლებელია უკან, მისი მოპოვების ადგილას, დაბრუნდეს უკვე გათეთრებული, ლეგალურ ფორმაში, რაც ნაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე ეს თანხა ადგილზე, გათეთრების გარეშე ყოფილიყო. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ბანკები და ფულად-საკრედიტო ინსტიტუტები ასრულებენ, რომელთა მიზანია უკანონო წარმომავლობიდან მიღებული შემოსავლის მოგების კვალის ისე შელამაზება-შენიღბვა, რომ უკანონოდ მიღებული ქონება, ფული ქვეყნის საფინანსო და ეკონომიკურ მიმოქცევაში კანონიერად ჩაერთოს და დაუსაბუთებელ ქონებას კანონიერი სახე მიეცეს. ქონება სამოქალაქო სამართლის მიხედვით ორი სახის შეიძლება იყოს – უძრავი და მოძრავი. უძრავი იქნება, მაგალითად, მიწა, შენობა და სხვა. მოძრავია, მაგალითად, ავტომანქანა, ფული. თუკი ფული საბანკო ოპერაციების მეშვეობით თეთრდება და იღებს კანონიერ სახეს. სხვა სახის მოძრავმა ქონებამ კანონიერი სახე რომ მიიღოს, შეიძლება გაიყიდოს, ბოროტმოქმედმა გააჩუქოს, ვალი გაისტუმროს.

შესაძლებელია შეგვხდეს უკანონოდ მოპოვებული ქონების კანონიერი სახის მიცემის სხვა შემთხვევებიც.

საერთოდ, ფულის გათეთრების გამოვლენის ფორმების სრულყოფილად აღწერა მათი მრავალფეროვნების გამო დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუმცა რამდენიმე გავრცელებული ფორმის ანალიზი უფრო გასაგებს გახდის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ მიდგომებს და ხერხებს.

<sup>1</sup> გ. მამულაშვილი, სს კერძო ნაწილი, გვ. 225.

<sup>2</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 125.

არსებობს მოჩვენებითი ფირმები და ორგანიზაციები, რომლებიც სამართლებრივად არსებობს, მაგრამ ასეთი არსებობა ფორმალურია, რადგან ასეთი სიმბოლური ფირმები წესდებით განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობას ან საერთოდ არ მისდევს, ან მათი საქმიანობა და მათი შემოსავალი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პროფესორ მ. შალიკაშვილს თავის სახელმძღვანელოში ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით მოყვანილი აქვს მაგალითი გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების (ფინანსური პოლიციის) პრაქტიკიდან. ეჭვი რამდენიმე სამოგზაურო ფირმის საქმიანობამ გამოიწვია, ვინაიდან ისინი თავის საქმიანობასთან შედარებით დიდი რაოდენობის შემოსავალს და მოგებას იღებდნენ. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ეს სამოგზაურო ფირმები ფულის გათეთრების საშუალება იყო სამხრეთ ამერიკული ორგანიზებული ჯგუფისათვის – ნარკოკარტელისათვის. გერმანიაში რეგისტრირებული საზღვარგარეთის ფირმებში სამხრეთ ამერიკიდან ირიცხებოდა თანხები. სამოგზაურო კომპანიები გარკვეული მოგების მიღების ხარჯზე გადმორიცხულ თანხას ურიცხავდნენ საფინანსო-სატრანსფერო კომპანიას, რომელიც ასევე გარკვეული თანხის სანაცვლოდ აღნიშნულ თანხას უკან რიცხავდა სამხრეთ ამერიკის ფირმების საბანკო ანგარიშებზე.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების მოჩვენებითი ანგარიშების მეშვეობით, რომლებიც რეალური, მოქმედი ფირმების სახელით ხორციელდება, მაგ. ეკონომიკური სიძნელების მქონეა მივიდა ბ-სთან, რომელიც ამ ინფორმაციით კრიმინალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში არის გარკვეული. ა-სთვის ცნობილი იყო, რომ ბ კრიმინალურ ორგანიზაციასთან ერთად საქმიანობდა, რომელიც აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის მიცემული ეკონომიკური დახმარების ნაწილს საკუთარ ანგარიშზე ათავსებდა. ა-მ გახსნა საბანკო ანგარიში აშშ დოლარში და გააფორმა ბ-ს სიმბოლური ხელშეკრულება საქონლის მიწოდების თაობაზე, რის შედეგადაც ბ-მ ა-ს 420 ათასი ამერიკული დოლარი გადაურიცხა. სინამდვილეში ა-სა და ბ-ს შორის არავითარი საქონლის მიწოდებას ადგილი არ ჰქონია. ა ვალდებული იყო ბ-ს მიცემული 420 ათასი აშშ დოლარი გარკვეული დროის შემდეგ პროცენტებით დაებრუნებინა ბ-სთვის. სამართალდამცავებმა გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ აღნიშნული თანხა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ კრიმინალურ ორგანიზებულ ჯგუფს „ობშიაკს“ ეკუთვნოდა, რომელიც დანაშაულებრივი გზით იყო შეგროვებული (მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, 2011, გვ. 131).

ასეთი საბანკო ოპერაციების მეშვეობით თეთრდება ფული, ესე იგი, იღებს კანონიერ სახეს და ამავე დროს, როგორც ქვემოთ იყო აღნიშნული, შესაძლებელია შეგვხდეს უკანონოდ მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემის სხვა შემთხვევაც. 194-ე მუხლის ზოგადი შემადგენლობის ობიექტური აუცილებელი ნიშანია ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე დაუსაბუთებელი ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მათთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

კანონი სანიმუშოდ ჩამოთვლის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხებს. ეს იმ გაგებით გამართლებულია, ვინაიდან შემოსავლის გათეთრების ხერხები მეტად მრავალფეროვანია, მაგ. ნაღდი ფული გარდაიქმნება სხვა ღირებულებად, მაგ. საბანკო ანაბრებად, ან უძრავ ქონებად. უძრავი ქონება შემდგომ იყიდება და მიღებული შემოსავალი კანონიერად გამოიყურება, ან კიდევ ჭუჭყიანი ფულის ინტეგრირება ხორციელდება ქვეყნის შიდა საფინანსო სისტემაში, ან იგი ექსპორტირდება ლიბერალური საფინანსო სისტემის მქონე ქვეყნებში და სამშობლოში ბრუნდება კანონიერი გადარიცხვების ფორმით და სხვა. ექსპერტები თვლიან, რომ ტიპიური ფინანსური ოპერაციების გარდა (დაკრედიტება, ანაბრის დეპონირება, ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) შემოსავლის ლეგალიზაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ოპერაციები, მაგ. კაზინოში, ლატარიაში, ტოტალიზატორში, ქსელურ

<sup>1</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, (მეორე გამოცემა), გვ. 139.



თამაშებში მოგების მიღება. უმეტესი ოფშორული ცენტრები პირდაპირ კავშირში იმყოფება კაზინოებთან, კერძოდ კი, აღნიშნული კავშირის მეშვეობით ფული თეთრდება შემდეგი მოცემულობით: რომ ფულის გათეთრების მესვეურები გასათეთრებელი ფულით ყიდულობენ სათამაშო ჩიპებს და თამაშობენ კაზინოში, შემდგომ აბრუნებენ ჩიპებს და იღებენ ქვითარს, რითაც მიდიან რომელიმე ბანკში მოგებული თანხის გასანაღდებად. აღნიშნული პროცესის დროს არავინ ინტერესდება თუ საიდან გაჩნდა გასათეთრებელი, რომელიც საბოლოოდ მოგებულ თანხად უბრუნებდნენ. ანუ ფულის გათეთრება ოფშორული ზონების გამოყენების გზითაც შეიძლება. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის უფრო გავრცელებული სახეობაა, უკანონოდ მოპოვებული ფულის გათეთრება. იგი ამ ფულის ვალუტაზე გადაცვლა და შემდეგ საზღვარგარეთის ქვეყნების ბანკებში გადარიცხვაა. ამას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორი, როგორცაა საბანკო საიდუმლოება, მაგრამ შემოსავლების ლეგალიზაციისათვის – ნათქვამია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის პირველ ნიგნში – შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ოპერაციებიც, მაგ. კაზინოში, ლატარიაში, ტოტალიზატორში, ქსელურ თამაშში მოგების მიღება, რაც ფულის ლეგალიზაციის ერთ-ერთ სახედ ჩამოყალიბდა, რაც ჭეუჭყიანი ფულის ლეგალურ ბრუნვაში ჩართვის საშუალება ხდება, რითაც უკანონო გზით შექმნილი ქონება ფაქტობრივად კანონიერი საკუთრება ხდება.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ყურადღება შევაჩეროთ, თუ რატომ ხდება კრიმინალური სამყაროს მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის უდიდესი ნაწილის ოფშორულ ცენტრებში დაბანდება მისი გათეთრების მიზნით. ოფშორული ბანკების მიერ განხორციელებული ტრანზაქციები, როგორც წესი, თავისუფალია გადასახადებისგან, ამავდროულად, ოფშორული ბანკები თავიდან იცილებენ ყოველგვარ დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც კაპიტალის ფინანსურ ბრუნვას თუ უძრავი ქონების ფლობას ახლავს. ასევე, ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, თავისუფლდებიან მარეგულირებელი ორგანოების მიერ კაპიტალზე დაწესებული კონტროლისა და ლიკვიდაციისგან.

დღევანდელ პერიოდში დაწესებულმა სხვადასხვა მოთხოვნებმა თუ კანონებმა ოფშორულ ცენტრებზე ნაწილობრივ იქონია ზეგავლენა. კანონმდებლობისა თუ სხვა მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების თანახმად, მათ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი მნიშვნელობა, მაგრამ უნდა გახდნენ გამჭვირვალენი, რათა აღმოიფხვრას ყოველგვარი საბანკო მაქინაციები. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცენტრების ჩამოყალიბებას მხოლოდ კრიმინალური საფუძველი არ უდევს, მაგ. ეკონომიკურად დასუსტებული ე.წ. ღარიბ ქვეყნები აღნიშნულ ფინანსურ ცენტრებს აყალიბებენ, რათა მოიზიდონ ინვესტორები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ოფშორული ცენტრები კლიენტს სთავაზობს ე.წ. თავისუფლებას, მომსახურებას და შესაძლებლობას. თავისუფლებაში იგულისხმება გადასახადებისაგან თავისუფლება, თავისუფლება სარეზერვო აქტივების თანაფარდობის მოთხოვნისაგან, თავისუფლება ინფორმაციის გამოაშკარავებისაგან. მომსახურება გულისხმობს კლიენტის პერსონალურ და კომფორტულ მომსახურებას, ოფშორული კაპიტალის მენეჯმენტს და გლობალურ მეურვეობა-მზრუნველობას. ინდივიდუალური მენარმეები თუ ტრანსნაციონალური კორპორაციები ოფშორულ ზონებს იყენებენ, როგორც თავიანთი კონფიდენციალობის და ბიზნეს გარემოში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

ოფშორულ ცენტრებს აქვთ „მოძრავი“ ანგარიში. ხშირ შემთხვევაში კრიმინალები ანგარიშებს ერთ იურისდიქციაში მყოფ ბანკებში ხსნიან, მაგრამ საბანკო ოპერაციას სხვა იურისდიქციაში ახორციელებენ, კერძოდ კი, ერთი იურისდიქციის ბანკში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, ხდება მეორე ბანკის გაფრთხილება, რათა ამ უკანასკნელმა ტრანსფერი განახორციელოს სხვა იურისდიქციის ბანკში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოძრავი ანგარიში სამართალდამცავებს დიდ პრობლემას უქმნის ე.წ შავი ფულის კონფისკაციისას.

ოფშორულ ცენტრებს მჭიდრო კავშირები აქვთ ე.წ ხელშემწყობ აგენტებთან, რომლებიც შუამავლობენ კლიენტებთან. ხელშემწყობი აგენტების შეთავაზება ითვალისწინებს ფინანსურ კონ-

სულტაციებს, რჩევებს და კლიენტის დარწმუნებას ფინანსური ცენტრით სარგებლობის უპირატესობაში.

არსებობს უამრავი ე.წ. იატაკქვეშა საბანკო სისტემა, რომელიც თავის მხრივ კომპლექსური ოფშორული ზონაა. ასეთი ტიპის ბანკებია ჩინური, პაკისტანური, ინდური. აღნიშნული სისტემებით კლიენტის კაპიტალის ტრანზაქცია ხდება ტელეფონის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ისეთი სახის სიმდიდრე, როგორცაა ოქრო და ძვირფასი ქვები ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადადის ყოველგვარი სავალდებულო ფინანსური დოკუმენტაციის გარეშე. იქიდან გამომდინარე, რომ ე.წ. იატაკქვეშა საბანკო სისტემა ფინანსურ ტრანზაქციას ახორციელებს საერთაშორისო ქსელის მეშვეობით, სამართალდამცავი ორგანოები ვერ უწევენ კონტროლს აღნიშნულ პროცესს, რაც თავის მხრივ, აადვილებს კრიმინალების მიერ ფულის გათეთრების შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული დანაშაულის, ფულის გათეთრების, უკეთ გაგებისათვის კრიმინალურ მეცნიერებაში დამკვირვდა ფულის გათეთრების სამსაფეხურიანი სისტემა. საერთოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რამდენიმე ოპერაციისაგან შემდგარი პროცესია და არსებობს ფულის გათეთრების ორსაფეხურიანი, სამსაფეხურიანი, ოთხსაფეხურიანი მოდელები. ორსაფეხურიანი მოდელი მოიცავს ფულის „გარეცხვას“ და ბრუნვაში დაბრუნებას. სამსაფეხურიანი მოდელი გულისხმობს: განთავსებას, ესე იგი, არალეგალურ წყაროდან ფულის გადატანას ლეგალურში, მაგ. საბანკო გადარიცხვას სხვა რომელიმე ქვეყანაში – „კვალის ნაშლას“, მრავალჯერად ფინანსურ ოპერაციებს ერთი ქვეყნიდან მეორეში, ინტეგრაციას მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ლეგალიზებული საშუალებებით დაბრუნებას ოფიციალურ-ეკონომიკურ ციკლში, ე.ი. ფულის ეკონომიკაში განთავსებას ან უძრავ ქონებაში დაბანდებას. გაეროს ექსპერტები გამოყოფენ ფულის გათეთრების ოთხ სტადიას: ნაღდი ფულისგან გათავისუფლება, ნაღდი ფულადი საშუალების განაწილება, კვალის ნაშლა და ფულადი მასის ინტეგრაცია (ო. გამყრელიძე გამოყოფს მარტივ და რთულ ლეგალიზაციას).

ფულის გათეთრების პირველ სტადიაზე ხდება არალეგალური შემოსავლიდან გამოძალგებიდან, გატაცებებიდან მიღებული ნაღდი ფულის თანხის გადასატან ფორმაში გადაქცევა, ასეთი საბანკო ანგარიშებზე განთავსება. ასეთი ოპერაციისთვის ორგანიზებული ჯგუფი ხშირად იყენებს ბანკის თანამშრომლებთან კონტაქტს, რომელთა დახმარებითაც ბანკში შეაქვთ ნაღდი ფული. შესაძლებელია სხვა პირის დახმარება, რომელსაც ნაღდი ფულის პატარ-პატარა ნაწილები მიაქვს ბანკის ანგარიშზე განსათავსებლად, რათა თავიდან იქნას აცილებული ბანკის მიერ მისი იდენტიფიკაცია. ნაღდი ფულის საბანკო ანგარიშზე შეტანის დროს წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში თუ ბანკის თანამშრომელს აღეძრა ეჭვი ფულის წარმომავლობის თაობაზე, კრიმინალების მიერ საფინანსო ორგანოებს წარედგინებათ გაყალბებული ანგარიშები, ხელშეკრულებები, რომლებიც ფულის ლეგალური გზით წარმომავლობას ადასტურებენ. ბინის გაქირავების გზით შემოსავლების ანგარიშები, მრავალფეროვანი ფინანსური ოპერაციები მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას, მისი მიზანია ფულის წარმომავლობის კვალის ნაშლა, ამავე დროს მეპატრონის საიდენტიფიკაციო მონაცემების დაფარვა.

სისტემური გადარიცხვები, როგორც ამას პროფესორი მ. შალიკაშვილი აღნიშნავს, ძირითადად მიმართულია ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ფირმებზე. ოფშორული ზონის გარეთ მყოფი პარტნიორების დადგენა, რომლებიც ასევე გადარიცხვაში მონაწილეობენ, რთულია ვინაიდან ხშირად ასეთი ფირმები ქალაქებში არსებობენ, რაც სამართალდამცავი ორგანოებისათვის რთული დასადგენია, მაგ. ევროპის ერთ-ერთ ბანკში (ნაწილ-ნაწილ) შეტანილი ხუთი მილიონი ევრო გადაერიცხა ფირმას, რომელიც ოფშორულ ზონაში არის რეგისტრირებული.<sup>1</sup> აქედან ეს თანხა (გადარიცხვით) კოსოვოს გავლით რუსეთის ფედერაციაში მომუშავე ამერიკული ფირმის ფილიალში,

<sup>1</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, (მეორე გამოცემა), გვ. 138.

საიდანაც კვლავ ოფშორული ზონის გავლით უკვე არა 5 მილიონი, არამედ 4,5 მილიონი ევრო დაბრუნდა ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედ ერთ-ერთ საზოგადოებრივ ფონდში, ესე იგი, რაც უფრო კომპლექსურია, ხშირია გადარიცხვის ჯაჭვი, მით უფრო ძნელია სამართალდამცავებისათვის გადარიცხვების კვალის დადგენა და გამოძიებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.

ლეგალიზაცია უკვე გათეთრებული ფულის ან ქონების ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირება, ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია უკანონო გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით ლეგალიზაციის, გათეთრების ნებისმიერ სტადიაზე დანაშაულებრივია და დაკვალიფიცირდება, როგორც დამთავრებული დანაშაული, ვინაიდან მიზნით დაფუძნებულ ლეგალიზაციასთან გვაქვს საქმე, ამასთანავე, თუკი ამ ფინანსურ ოპერაციებს ერთსა და იმავე ლეგალიზებულ ქონებასთან მიმართებაში ახორციელებს ერთი პირი, მაშინ ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ერთიანი განგრძობადი დანაშაული. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება, თუნდაც ვერ იქნას მიღწეული ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი.

194-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კანონი კრძალავს უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების ლეგალურ ბრუნვაში გაშვებას, ნებისმიერ ფინანსური ოპერაციას და გარიგებას უკანონო გზით მიღებული შემოსავლებთან ან კიდევ მათ გამოყენებას სამენარმეო ან სხვაგვარ ეკონომიკურ საქმიანობაში.

რაც შეეხება დანაშაულის დაფარვის მიზანთან დაკავშირებას, აქაც მოსაზრებათა არაერთგვაროვნებაა. პროფესორი გ. მამულაშვილი ამ დანაშაულს დამთავრებულად აცხადებს, თუნდაც ვერ იქნას მიღწეული ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი<sup>1</sup>, ხოლო რაც შეეხება პროფესორი ო. გამყრელიძეს, 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, მისი მოსაზრებით დამთავრებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე შეძლებს უკანონო ან დაუსაბუთებელ ქონებას მისცეს კანონიერი სახე მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით<sup>2</sup>. იმ შემთხვევაში თუ დამნაშავე უკანონოდ მოპოვებული ფულიდან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას შეეცდება, მაგრამ ამას ბოლომდე ვერ მიიყვანს და მისი დანაშაული გამოვლინდება, იგი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 194-ე მუხლით – დანაშაულის მცდელობისათვის, მაგრამ თუ ჩვენ კანონის ჩანაწერს მივაქცევთ ყურადღებას, აუცილებელია კანონიერი სახის მიცემა დაუსაბუთებელი ქონებისათვის, ე.ი აუცილებელია ამ საფეხურებით მივიდეს კანონიერად აღიარებამდე.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ასევე ყურადღებით მიდგომას მოითხოვს. პროფესორი ო. გამყრელიძე (კორუფცია საქართველოში გვ. 127) შენიშნავს, ეს დანაშაული დენადი დანაშაულია, ესე იგი, ის დროში განუსაზღვრელად გრძელდება, ვიდრე არ შეწყდება.<sup>3</sup> ასეთია მაგ. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების „ფლობა“. ვიდრე ადამიანი, დამნაშავე ამ ქონებას ფლობს, დანაშაული გრძელდება. ამიტომ ამ ფლობის დროს ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჩაერთოს თანამონაწილე, მაგ. დამხმარე. დამხმარე ორი სახისაა: ფიზიკური და ფსიქიკური. ფსიქიკური დახმარება ნიშნავს რჩევა დარიგების მიცემას, როგორ მოიქცეს, რომ უფრო მოხერხებულად ჩაიდინოს დანაშაული. რაც შეეხება პროფესორ გ. მამულაშვილს, მისი მოსაზრებით, აღნიშნული დანაშაული არის განგრძობადი დანაშაული (სს კერძო ნაწილი, გვ. 423), მაგრამ თუ კანონის ტექსტს გადავხედავთ დანაშაული დამთავრებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე შეძლებს უკანონო ან დაუსაბუთებელ ქონებას მისცეს კანონიერი სახე მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით. ეს გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულით შეიძენს რაიმე ქონებას, ვთქვათ, ავტომანქანას, დაფაროს დამნაშავემ ამ ფულის უკანონო წარმოშობა. მაშინ ჩვენ თუკი ასე ჩავთვლით, მაშინ განთავსება, კვალის ნაშლა, ინტეგრაცია ყოფილა დანაშაულის ჩადენის სტადიების ნაწილი, რომელიც ცალკე დაფიქრებას მოითხოვს. ახლა

<sup>1</sup> გ. მამულაშვილი, სს კერძო ნაწილი, გვ. 225.

<sup>2</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 129.

<sup>3</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 127.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ლეგალიზაციის დანაშაულის საგანს, კერძოდ, სსკ-ის 194-ე მუხლის მიხედვით ლეგალიზაციის საგანს უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება წარმოადგენს. სისხლის სამართლებრივ თეორიაში, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკოსებს შორის დანაშაულის საგანთან დაკავშირებით საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა. მეცნიერთა ნაწილი თვლის დაუსაბუთებელი ქონება არ შეიძლება იყოს ფულის გათეთრების საგანი. აღნიშნული მოსაზრება განპირობებულია იმით, რომ ე.წ. დაუსაბუთებელი ქონება შეიძლება იყოს კანონიერი, თუმცა გარკვეული გარემოებების გამო, პირი/ბრალდებული ვერ ასაბუთებდეს მის წარმომავლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელი ქონება არ შეიძლება იყოს დანაშაულის საგნად და იგი ამოღებული უნდა იქნას კოდექსიდან. დანაშაულის საგნის განსაზღვრას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მის სიზუსტეზეა დამოკიდებული ლეგალიზაციის (გათეთრების) სწორი სუბსუმცია. მაგრამ აქ ხომ საუბარი მხოლოდ იმ ქონებაზე ვრცელდება, რომლის დანაშაულებრივი წარმომავლობა საბუთდება, რაც მტკიცებულების საკითხია და არა მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის და ასევე შენიშვნას, რომელიც 194-ე მუხლის მოქმედ კანონმდებლობას ეხება, ახლებურად უნდა გაანალიზდეს.

ლეგალიზაციის შემადგენლობის აღნიშნული ქმედება მართლმსაჯულებისთვის წინააღმდეგობის განწევის ხერხია. ამიტომაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტია არა სახელმწიფო და სხვა მოქმედება, არამედ სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის ქმედითუნარიანობა, ნათქვამია იურიდიულ საზოგადოებაში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) დანაშაულის დაფარვაში დახმარების ფორმად უნდა იქნას მიჩნეული და ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარში უნდა განთავსდეს, მაგრამ თუ ყურადღებას მივაქცევთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, თავის მხრივ ნიშნავს უკანონო საქმიანობიდან, როგორც ბიძა: იარაღით უკანონო ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვა, კორუფციული, კომპიუტერული მაქინიაციები მიღებული ფული-სათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას. აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის, ანდა ქონებრივი უფლების დამალვას. უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ლეგალიზაცია, ანუ კანონიერ ფინანსურ და ქონებრივ სივრცეში გადატანა უმნიშვნელოვანესია კრიმინალური წრეებისათვის, მაგრამ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსურ სისტემას, ესე იგი, მთავარი საშიზნე ამ დანაშაულისა ყოფილა ფინანსური სფერო და დიდ დარტყმასაც ეს ობიექტი განიცდის (ო. გამყრელიძის აზრით, დაუსაბუთებელი ქონებად ითვლება ისეთი ქონება, რომლის კანონიერი გზით შექმნის დამადასტურებელი საბუთი პატრონს არ გააჩნია).

პროფესორი გ. მამულაშვილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილში (გვ. 429) აღნიშნავს, რომ ჩადენილი დანაშაულის მოტივი ანგარებითია, დამნაშავეს ამოძრავებს შემოსავლების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი, ესე იგი, მათი აქცენტი მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა კი არაა, არამედ კანონიერი სარგებლის მიღება. აღნიშნული დანაშაული, რომ ანგარებითია, აღნიშნულია ო. გამყრელიძის მიერ (კორუფცია საქართველოში, გვ. 128). დამნაშავე ფარავს შემოსავლის წარმომავლობას, რომ ამით მიიღოს შემოსავალი. ეს გამყარებულია შ. რუსთაველის სიტყვებით „სიყვარულსა მალვა უნდა ვითა ცხენსა ნაპარევსა“. ქურდს ცხენი უნდა დაემალა, რათა მისი დანაშაული არ გამჟღავნებულიყო<sup>1</sup>. ქონებას უნდა მიეცეს კანონიერი სახე, რათა თავისუფლად ისარგებლონ ამ ქონებით რათა, დაჭერის შიში არ ჰქონდეს დამნაშავეს.

2008 წლის 19 ნოემბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 194<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლითაც პასუხისმგებლობაა დაწესებული, წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობისთვის, შექმნის, ფლობის ან გასაღები-

<sup>1</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 123.

სათვის. თუ ნივთი ლეგალიზებულია, მაშინ დამნაშავე 194<sup>1</sup>-ე მუხლითაც ისჯება. განსხვავება აქ ის არის, რომ 194-ე მუხლით ნივთის ფლობა ისჯება იმ შემთხვევაში, თუ ნივთი უკანონოდ არის მოპოვებული და შემდეგ ლეგალიზებულია, უკანონოდ მოპოვებული და ამ ქონების კანონიერი სახის მიმცემი ერთი და იგივეა. რაც შეეხება 194<sup>1</sup>-ე მუხლს, იქ უკანონოდ მოპოვებული და ქონების კანონიერი სახის მიმცემი სხვადასხვა უნდა იყოს. <sup>1</sup>ერთმა პიროვნებამ უკანონოდ, დანაშაულებრივად მოიპოვა ქონება, მეორე კი ამ ნივთით სარგებლობს, იძენს მას, ფლობს. განსხვავება ის არის, რომ 194<sup>1</sup>-ე მუხლით პასუხისმგებელია ის, ვინც იცის წინასწარ, ესე იგი, ვინც განზრახ ყიდულობს ნაქურდალს, ნათაღლითარ ქონებას.

წინასწარი შეცნობა ამ შემთხვევაში, ცხადია, ნიშნავს იმას, რომ მყიდველმა იცის ნაქურდალს რომ ყიდულობს. როცა მყიდველი წინასწარ შეუთანხმდება, რომ დამნაშავე თუ მოიპარავს მანქანას, ის მას იყიდის, ასეთ შემთხვევაში შემკვეთი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24, 194-ე მუხლით (თანამონაწილეობა) და დამატებით დადგება პასუხისმგებლობა ქურდობის ნაქეზებისათვის. დამნაშავემ ქურდობის გადაწყვეტილება მანქანის მყიდველის შეპირებით მიიღო.

კანონმდებლის მიზანია დაიცვას მართლზომიერი ფულადსაქონლო ურთიერთობები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემდგომ ეტაპზეც, ანუ უზრუნველყოს უკანონოდ ლეგალიზებული ქონების ეკონომიკურ ბრუნვაში ფაქტობრივი ჩაბმის დაუშვებლობა. აღნიშნული ქმედებები 194-ე მუხლითაც არის გათვალისწინებული, მაგრამ ისინი მიზნად ისახავენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას, ხოლო 194<sup>1</sup>-ე მუხლში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთის შეძენაზე, ფლობაზე, სარგებლობასა ან გასაღებაზე, ანუ უკვე ლეგალიზებულ ქონებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2011 წლის 18 ოქტომბერს გაავრცელა ინფორმაცია, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავეს ბანკი „ქართუს“ თანამშრომლები, რომელთაც თან ჰქონდათ დიდი ოდენობით ნაღდი ფული. არსებული ინფორმაციით, ამოღებულია ერთი მილიონი ევრო და ორი მილიონი ამერიკული დოლარი. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

ქართუ ჯგუფმა განაცხადა, რომ უკანასკნელ პერიოდში გაზრდილი იყო ბანკი „ქართუდან“ ანაბრების გატანის მაჩვენებელი და საბანკო ანგარიშების სხვა ბანკებში გადატანის მოთხოვნა. ბანკმა „საქართველოს ბანკიდან“ ნაღდი ფულის რესურსების შევსება (ფულის გამაგრება) გადამწყვიტა კლიენტებისათვის მომსახურების განევის შეფერხების თავიდან ასაცილებლად. ბანკის ხელმძღვანელობამ ნაღდი ფულის რესურსების შევსება, „საქართველოს ბანკის“ დახმარებით იმიტომ გადაწყვიტა, რომ მას ამ დროისათვის ნაღდი ფულის რესურსი ჰქონდა. ეს ოპერაცია კი შემდეგნაირად განხორციელდა: კომერციულ ბანკსა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და დოიჩე ბანკში (ამერიკის შეერთებული შტატები) არსებული „ქართუს“ ანგარიშებიდან იმ ანგარიშზე, რომელსაც ბანკი გახსნილი აქვს „საქართველოს ბანკში“, გადმოირიცხა შესაბამისად ერთი მილიონი ევრო და ორი მილიონი დოლარი. ბანკი „ქართუს“ უცხოურ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე ჰქონდა ფული, სავარაუდოდ, ამ ანგარიშებზე ფულის განთავსებისას თანხების წარმომავლობა პირველ რიგში ფინანსურ ოპერაციაში მონაწილე უცხოურ ბანკებს (ანუ დოიჩე ბანკსა და კომერციულ ბანკს) უნდა შეემონწმებინათ, რადგან ქვეყნები, რომელთა ბანკებიდან გადმოირიცხა მოხდა, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის – ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF)-ის წევრები არიან და საბანკო სისტემაში დანერგილი აქვთ უკანონო შემოსავლის კონტროლის სპეციალური მექანიზმები, გარდა ამისა ეს ბანკები არ მიეკუთვნებიან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული არაკოოპერირებადი/არამოთანამშრომლე ან საყურადღებო ზიანის ზონის ქვეყნე-

<sup>1</sup> კორუფცია საქართველოში, გვ. 127.

ბის საფინანსო ინსტიტუტებს. ამავე დროს საქართველოს კანონმდებლობა თავის მხრივ განსაზღვრავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოებს. მოცემულ შემთხვევაში „საქართველოს ბანკმა“ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საექვო ზონაში მოქმედი საბანკო ანგარიშიდან თანხის გადმორიცხვას ან საექვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებულ გარიგებას და ფულის წარმოშობის კანონიერებაში ექვის შეტანისას ეროვნული ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უნდა აცნობოს შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ოპერაცია საექვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით. ფინანსური მონიტორინგის სამსახური სათანადო მასალებს აწვდის საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, კორუფცია საქართველოში, თბ., 2011.
2. გ. მამულაშვილი, სს კერძო ნაწილი, მერიდიანი, 2014.
3. ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სს ზოგადი ნაწილი. მერიდიანი, 2014.
4. სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე, თბ., 2014.
5. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მე-2 გამოცემა, მერიდიანი, 2011.



თეა ამნიაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

## ტრანსფორმაციის გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

### ანოტაცია

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციისა და ინტეგრაციის პროცესები საკმაოდ აქტუალური თემაა ევროპისა და ამერიკის თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების შემსწავლელ კვლევით ინსტიტუტებსა თუ ინდივიდუალურად მომუშავე მეცნიერებს შორის.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილი „ვარშავის პაქტის“ წევრმა ქვეყნებმა აღმოსავლეთ ევროპიდან, დამოუკიდებლობების გამოცხადებისთანავე დაიწყეს ტრანსფორმაციული პროცესები ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის. აღნიშნული პროცესები სამი მიმართულებით წარმართა – პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი – და მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული აღმოჩნდა.

ვერც ერთი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა – პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი და რუმინეთი – ვერ შეძლებდა ტრანსფორმაციის გამოწვევებთან გამკლავებას, რომ არა დასავლეთის ინტელექტუალური და მატერიალური დახმარება. მხოლოდ „კედლის დანგრევით“ და ახალი პოლიტიკური სისტემის გამოცხადებით, შეუძლებელი იყო აზროვნების ტრანსფორმირება, საბაზრო ეკონომიკის დანერგვა ან პოლიტიკური ლანდშაფტის რეალურად გაჯანსაღება. ყოფილ გდრ-ში განვითარებულ ტრანსფორმაციულ პროცესებსაც კი ერთ ათეულ წელზე მეტი დასჭირდა, მიუხედავად იმ ენერჯის მობილიზებისა, რასაც გერმანიის ფედერაციამ თავი მოუყარა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

აღმოსავლეთით გაფართოების პროექტი, „ერთიანი ევროპის“ კონცეფციიდან და ორგანიზაციის კვლავგანვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, თავად ევროპის კავშირისთვის წარმოადგენდა სტიმულს. თუმცა, ამავე დროს, გაერთიანება მოითხოვდა წევრობის პოტენციური კანდიდატებისგან ეკონომიკური და დემოკრატიული ინდექსის ზრდის ტენდენციის ჩვენებას, რათა თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს „ახალ ევროპასთან“ ერთად წარმატებით გამკლავებოდნენ.

ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ფაქტობრივად ვერც ერთი კანდიდატი (სრულად) ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს, მაგრამ ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების (ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია – 1999, 2004 და ევროპის კავშირი – 2004, 2008) პოლიტიკური ამოცანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წევრობის საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

**Tea Amniashvili**

*Affiliated Associate Professor of  
Technical University*

## **TRANSFORMATION CHALLENGES IN EASTERN EUROPEAN COUNTRIES**

### **Abstract**

Transformation and integration processes in Eastern European countries are quite a matter of concern between research institutions and modern research scientists studying modern political, economic and social issues in Europe and America.

In the early 90s of the twentieth century, the former member states of the Warsaw Pact from Eastern Europe after declaring independence launched their transformation processes for integration into the Euro-Atlantic area. These processes took place in three directions – political, economic and social – and closely interrelated.

No Eastern European country – Poland, Czech Republic, Slovakia, Hungary, Bulgaria and Romania – could not deal with the challenges of transformation, if not the intellectual and material support of the West. Only by “ruining the wall” and the announcement of a new political system, it was impossible to transform thinking, introduction of market economy or the actual transformation of the political landscape. Even the transformation processes developed in the former GDR took more than a decade, despite the mobilization of energy that the German federation had brought together in the eastern part of the country.

The expansion project in the east, stemming from the concept of “united Europe” and the need for the organization to continue to develop, was itself a stimulus for the European Union itself. At the same time, however, the unification required a tendency to increase the economic and democratic index from potential candidates to successfully deal with global challenges with “new Europe”.

Euro-Atlantic integration process, in fact none of the candidates (full) did not meet the required standards, but superpower organizations (the North Atlantic Treaty Organizations – 1999, 2004) and the European Union – 2004, 2008), based on political tasks, considered to be a positive solution to the issue of membership of Eastern European countries.



## ტრანსფორმაციის გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ლიდერები უკვე აკეთებდნენ მინიშნებებს იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ ევროპის რესპუბლიკებს – გერ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი – დრო იყო აეღოთ პასუხისმგებლობა მიმდინარე პროცესებზე და ინდივიდუალურად მოეძებნათ მათი გადაწყვეტის გზები. მიხეილ გორბაჩოვი თავის საჯარო გამოსვლებში „საერთო ევროპულ სახლსა“ და ევროპის დონეზე „ინტერკულტურულ ტრადიციებზე“ საუბრობდა, რაც მაუწყებელი იყო იმის, რომ აღმოსავლეთ ევროპას (ყოფილი „ვარშავის პაქტის“ წევრები) დასავლეთთან ინტეგრაციის შემთხვევაში წინააღმდეგობები საბჭოთა კავშირისგან ნაკლებად უნდა შეხვედროდა. თუმცა, გორბაჩოვისა და მისი გუნდის განწყობა ხშირად არ ემთხვეოდა საბჭოთა პოლიტიკური ელიტის პოზიციებს, რაც სსრკ-ს არსებობის ბოლო პერიოდში სხვადასხვა ფორმით დადასტურდა.

მკვლევარ-ანალიტიკოსების აზრით, რთული იყო ოპტიმალური ვარიანტების მოძებნა, თუ როგორ შეძლებდნენ დამოუკიდებელი აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები რეფორმების გატარებას და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. მნიშვნელოვანი იყო რომელ გზას აირჩევდნენ გლობალიზაციის გამოწვევებთან გასამკლავებლად ახალი ევროპული მთავრობები, რადგან ფაქტობრივად ამაზე იქნებოდა დამოკიდებული ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის შანსები. თუმცა, როგორც გლობალიზაციას მსოფლიოში ასევე, ლიბერალური ეკონომიკის დანევრის მომხრეებს თანაფარდობით ჰყავდა მონინააღმდეგეები თითქმის ყველა ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ჯონ ჯენეთ გელბრაითის თეზისის თანახმად – „საფრთხე დაემუქრებოდა დემოკრატიის განვითარებას, თუ აქცენტი გააკეთებდნენ ლიბერალური ეკონომიკის დასავლური მოდელის განვითარებაზე“ (1.გვ.78), რადგან არც ერთი ქვეყანა მზად არ იყო იმ სირთულეებთან დასაპირისპირებლად, რასაც ეკონომიკის ეს ახალი მოდელი მოიტანდა. მაშასადამე, ამ თეზისიდან გამომდინარე, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობა, ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომელთაც დასავლეთთან ინტეგრაციის მიზანი ამოძრავებდათ, ეკონომიკურ ლიბერალიზაციასა და დემოკრატიას შორის დილემის წინაშე აყენებდა.

გლობალიზაციის კრიტიკოსები ასევე საუბრობენ „დიდი სპეკულატორების“ დაინტერესებაზე (მათ შორის ჯორჯ სოროსზეც იყო მინიშნება), რომლებიც ფაქტობრივად ცდილობდნენ „უსაზღვრო კაპიტალიზმის გავრცელებას“, რომლისთვისაც „აღმოსავლეთ ევროპა იქნებოდა ფართობი, როგორც უდაბნო ცეცხლისთვის“ (Der Spiegel 51/1998: 100 ff). ჰანს პეტერ მარტინი ჟურნალისტური თემებით ეხმიანება შესაძლო პროცესს და აღნიშნავს, რომ „მოსალოდნელი იყო ცდუნება ავტორიტარიზმზე“, რისი მატერიალური საფუძვლები აღმოსავლეთ ევროპაში არსებობდა. ამ თემას განიხილავს იურგენ ჰაბერმასი და მოითხოვს დასაბუთებას კაპიტალიზმის იმ ფორმის ლეგიტიმურობაზე, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებებს სთავაზობდნენ – „თუ კაპიტალიზმს პრეტენზია აქვს ლეგიტიმურობაზე, მაშინ უნდა დაამტკიცოს თავისი გამოყენებითი ღირებულება სოციალური, ეკოლოგიური თუ კულტურული თვალსაზრისით“ (1.გვ.242). არანაკლებ საყურადღებოა ულრიხ ბეკის მიერ აღმოსავლეთის ტრანსფორმაციის თემის განხილვა, რაზეც ის „ახალი საშუალო კლასის“ ინტერესებზე და არსებობის უფლებაზე საუბრობს. ბეკი პარალელებს ავლებს 30-იანი წლების გერმანიასთან და აღნიშნავს, რომ „მაშინდელი ხელისუფლების მიერ ამ კლასის ინტერესების არგათვალისწინებით მოხდა ტოტალიტარიზმის გამარჯვება გერმანიაში“ (7. გვ.17). როგორც მისი ნარატივიდან ვიგებთ, არ შეიძლება ამ ფენისთვის ანგარიშის არგანევა, რადგან მათი ინტერესები და პოზიცია არის გადაწყვეტი რეჟიმის არჩევის მომენტში და შემდგომ, დემოკრატიის განვითარებისთვისაც. საბაზრო რადიკალიზმმა შესაძლოა არა მხოლოდ დემოკრატი-

ის დანერგვის პროცესი დააზარალოს, არამედ ბიძგი მისცეს ისეთ განვითარებებს, როგორც არის ნაციონალური თემატიკის საზოგადოების საზიანოდ გამოყენება და საერთოდ, ჩიხში შეიყვანოს ახალ დემოკრატიებში ევროპული საზოგადოებების ჩამოყალიბების პერსპექტივა. კიდევ ერთი მკვლევარი ფრიც შარფი (8. გვ.12) განიხილავს რამდენიმე ალტერნატივას აღმოსავლეთ ევროპაში „დასავლური მოდელის კაპიტალიზმის“ განვითარების შემთხვევაში და ერთ-ერთ თემაში სავარაუდო ოპტიმალურ ვარიანტად გვთავაზობს „კაპიტალიზმის ცივილიზირებას და სოციალურ თემებზე მომართვას“. კაპიტალიზმის კრიტიკოსები, ერთი მხრივ, აკრიტიკებენ ნეოლიბერალიზმის მანკიერებებს და მავნებლობას, რომელმაც შესაძლოა არასასურველი შედეგი მოუტანოს რეგიონის სახელმწიფოებს. მათი აზრით, ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლება დაემართოს აღმოსავლეთ ევროპას, ეს იქნება – ინდიფერენტული გახადოს საზოგადოება დემოკრატიული ღირებულებების მიმართ. მეორე მხრივ კი, მის სრულ უარყოფასაც არ ეთანხმებიან და ეძებენ „ეკონომიკის მოდელს“ კონკრეტულად ახალი დემოკრატიებისთვის. კაპიტალიზმს რომ ზოგადად მსოფლიო მასშტაბით აღიქვამდნენ დემოკრატიისა და კონსტიტუციური წესრიგის ჩამოშლის საფრთხედ, ეს არ ყოფილა ახალი მიდგომა. საფრანგეთში 90-იან წლების დასაწყისში ანტიკაპიტალისტური-ანტიგლობალიზაციური მოძრაობა სოციოლოგ პიერ ბურდიოს თეორიებს ეფუძნება. ამ მიმართულებით კრიტიკა დღემდე არ ცხრება საკმაოდ ძლიერი კაპიტალისტური მეურნეობის მქონე გერმანიაში, სადაც კაპიტალიზმს „კალიების შემოსევას“ ადარებენ (Karl Marx თეორიაზე დაყრდნობით). თუმცა ორივე ქვეყანაში დოვლათი მეურნეობის ამ მოდელმა შექმნა და აქცია ისინი ძლიერ ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებად (აქვე გავითვალისწინოთ, რომ ორივე სოციალური სახელმწიფოა).

მკვლევართა ერთი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ დემოკრატია ჩიხში შევა, საუბრობს კიდევ ერთ შესაძლო ნეგატიურ პროცესზე, რაც „მიტოვებული ადამიანის“ შეგრძნებით იქნება გამონვეული. ეს განცდა საზოგადოებას უბიძგებს მხარი დაუჭიროს ახალ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ (შესაძლო) მოვლენას – „კონსერვატიულ რევოლუციას“, რომელიც მრავალი ფაქტორით იქნება განპირობებული – დანყებული ნეოლიბერალური ეკონომიკის მანკიერი გამოვლინებებით, დასრულებული გადაწყვეტილების მიმღების, ანუ „ავტორიტეტის“ გამოჩენით, შუა ფაზაზე კი დემოკრატიის უმწვავესი კრიზისი იქნება გარანტირებული.

ულრის ბეკი (7.გვ.152) „საბაზრო ანარქიზმის“ განხილვისას დემოკრატიის მთელ რიგ საპირისპირო მოვლენებს განიხილავს და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ლიბერალურმა ეკონომიკამ მინიმალურ სახელმწიფოს კი არა, შესაძლოა ავტორიტარიზმს უბიძგოს. მაშასადამე, დატოვოს ძლიერი და დიდი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც პირველ ეტაპზე მეტ-ნაკლებად მოხდა კიდევ აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ ლანდშაფტებში. ანუ ამ შემთხვევაში ეკონომიკა კი არ იქნება პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა, არამედ „პოლიტიკის პრიმატი“ გაიმარჯვებს ეკონომიკაზე. ეს გაუთავებელი ბრძოლა კი ამ ორ სუბიექტს შორის, უმეტეს შემთხვევაში დასრულდება გლობალური მოთამაშეების გამარჯვებით.

ახალ პოლიტიკურ და სოციალურ სივრცეში კიდევ ერთი სადავო თემა იყო ედამ სმიტის „უხილავი ხელის“ თეორიის ამ ეტაპზე განხორციელების მართებულობა. რადგან ის კალეიდოსკოპური პროცესები რომელიც თავს დაატყდა აღმოსავლეთ ევროპას, ვერ შეძლებდნენ ახლად აღმოცენებული დემოკრატიები გამკლავებას და აღნიშნული თეორიის პრაქტიკაში სწორად განხორციელებას. ანალიტიკოსების მემარცხენისტული ნაწილი მიუთითებდა, რომ „უხილავი ხელის“ პრინციპების სწორად დანერგვის შემთხვევაშიც კი საზოგადოება ნაგებული დარჩებოდა, რადგან „პირადი კეთილდღეობა მნიშვნელოვნად გადანონიდა საზოგადოებრივ კეთილდღეობას“, ანუ აღმოსავლეთ ევროპულ სოციუმში ეს მოდელი განწირული იყო.

ახალი ევროპის განვითარების არაერთ სავარაუდო სქემას ვხვდებით: მემარჯვენისტულ, მემარცხენისტულ თუ ცენტრისტულ ვარიანტებს. მათ შორის აქცენტი კეთდებოდა „ახალი საშუალო“-ს დანერგვაზეც, რომლის პარამეტრებში რამდენიმე ქვეყანა მეტ-ნაკლებად მოექცა. ანალი-

ტიკოსები საუბრობდნენ, რომ ოპტიმალური ვარიანტების ძიება ეკონომიკის განვითარებისა და „დემოკრატიის სიცოცხლის უნარიანობისთვის“ არ იყო მხოლოდ ახალი წესრიგებისთვის დამახასიათებელი, კვლევითი ინსტიტუტები ძველი ევროპის განახლებაზეც მუშაობდნენ. მართლაც, თუ გადავხედავთ 90-იანი და 2000-იანი წლების თანამედროვე ტენდენციებს დასავლეთ ევროპაში, დემოკრატიისთვის არასასურველ პროცესებს აღმოვაჩინოთ. არა მხოლოდ სუსტ დემოკრატიებზე იმარჯვებდნენ რადიკალური ძალები, არამედ რეზისტენტულ დემოკრატიებსაც შეუტიეს ძველი ევროპის სახელმწიფოებში. თუნდაც სილვიო ბერლუსკონის გამარჯვება იტალიაში და იორგ ჰაიდერის პოპულარობა ავსტრიაში, ან კიდევ ნაციონალ-კონსერვატორების ბელგიაში და მემარჯვენე რადიკალების დანინაურება გერმანიაში. დემოკრატიის კრიზისი ფაქტობრივად გამოვლინდა დასავლეთ ევროპაში და ნაკლებად გასაკვირი იყო ის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი წესრიგი ცვალებადი წარმატებით ვითარდებოდა. 90-იანი წლების მთელმა რიგმა სოციო-კულტურულმა პრობლემებმა ხელი შეუწვეს დემოკრატიისთვის არაორგანული პროცესების განვითარებას ევროპის ორივე ნაწილში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ნიადაგი დემოკრატიის განვითარებისთვის“ აღმოსავლეთში არ არსებობდა და იყო მხოლოდ სურვილი „ევროპის საერთო ოჯახში ინტეგრაციით“ განპირობებული, მაშინ სრულიად ლოგიკური ტემპი ჰქონდა აღებული ამ მიმართულებით ტრანსფორმაციას, დატვირთულს კონსტიტუციური წესრიგის დამყარებით, ადამიანის უფლებების დაცვით, დასაქმების პრობლემებზე მუშაობით და ა.შ.

მკვლევარი ბენჯამენ ბენცი აღნიშნავს, რომ „მაგნეტიზმის თეორიის“ (Magnetismustheorie, 1. გვ. 186) თანახმად, დასავლეთ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური ტენდენციები 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის განვითარებასთან კავშირში უნდა იყოს შესწავლილი, სადაც პოლიტიკურად ინკლუზიურ ლოსისძიებებს მიენიჭა უპირატესობა. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპისთვის ეს ერთნაირად სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრანსაქციას წარმოადგენდა. პროცესებს შორის სინქრონზე იქნებოდა დამოკიდებული ორივე ევროპული ნაწილის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რათა ერთიანი ევროპული სივრცე ჩამოყალიბებულიყო. ევროპის ცენტრალურ-აღმოსავლეთი ნაწილის პარტნიორის სტატუსით ინტეგრაცია იმის პერსპექტივას იძლეობდა, რომ ევროპა მიიღებდა სრულფასოვანი მსოფლიო აქტორის სტატუსს. მაგრამ, თუ ეს ვერ მოხდებოდა, ძველი ევროპა ახალი, აფრიკის მსგავსი ღარიბი რეგიონის პატრონობას იტვირთებდა, მისთვის დამახასიათებელი სირთულეებით და მათ შორის, მიგრაციის რთულად შესაკავებელი ტალღებით.

1999 წელს ჰელსინკიში ევროინტეგრაციის მსურველმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას. ჰელსინკიში მაშინ დსთ-ს ქვეყნების შესაძლო პარტნიორობაზეც იმსჯელეს, მაგრამ ინტეგრაციის წინა რიგებში ამ ეტაპზე აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნები ჩანერეს და სრულყოფილი სტრატეგიული გეგმა მათ შესთავაზეს.

1992 წლის მასტრიხტის შეთანხმების მიხედვით (Artikel O, Absatz 1 EUV –M), პოტენციური ნევროპის კანდიდატები გეოგრაფიულად ევროპის სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, თითოეულს უნდა დაეკმაყოფილებინა ევროინტეგრაციის მოთხოვნები, რომლებიც 1993 წლის ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებში“ იყო განხილული. 1997 წელს ამსტერდამში ამ კრიტერიუმების (Artikel 49 EUV-A) პრიორიტეტული პუნქტები განსაზღვრეს და ჩასწორებებიც შეიტანეს (Artikel 6).

თითოეული ნევროპის კანდიდატი სურვილს და მზადყოფნას აცხადებდა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე, რაც იმ მომენტისთვის მათი პოტენციალის გათვალისწინებით საკმაოდ რთულ ამოცანებს შეიცავდა.

„კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ ევროპის კავშირის აღმოსავლეთ გაფართოებაში მონაწილეთაგან შემდეგი პუნქტების შესრულებას მოითხოვდა:

ა. ევროკავშირში ინტეგრაციის გეგმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის:

1. პოლიტიკური სტაბილურობა და ინსტიტუციური განვითარება: დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლებები, უმცირესობების უფლებების დაცვა;

2. „Aquis Communautaire“-ს მიღება – სამართლიანობა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში მონაწილეობის გაცნობიერება;

3. ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკის გამართვა – კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა და საბაზრო ძალების მომზადება.

**ბ.** ევროკავშირის განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა: გაფართოება ინსტიტუციური დინამიკის შენარჩუნებით.

„კოპენჰაგენის კრიტერიუმებში“ განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ადამიანის უფლებებზე, რომელიც უხეშად ირღვეოდა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის რესპუბლიკებში, მით უმეტეს გათელილი იყო უმცირესობების უფლებები.

ეკონომიკური განვითარების ნაწილში მოთხოვნა იყო არა ფორმალურად გაცხადებულ „საბაზრო ეკონომიკაზე“, არამედ ფუნქციონალური ეკონომიკის მშენებლობა. ევროპის კავშირი აანონსებდა, რომ დათქმულ დროზე აპირებდა საერთო ვალუტის ამოქმედებას და სხვადასხვა მიმართულებით ახალ ერთობლივ ღონისძიებებზე გადასვლას. შესაბამისად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს სამართლებრივი და ეკონომიკური სფეროები უნდა მიეყვანათ იმ კონდიციებამდე, რომ სამომავლოდ მათი ჩართვა ამ სექტორებში პერსპექტიული ყოფილიყო.

სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისას უნდა გათვალისწინებულიყო სოციალურ და შრომით ურთიერთობებში ევროპული კანონმდებლობის მიდგომები. ასევე, მხედველობაში მიეღოთ – დასაქმების ბაზრის სენსიტიურობა, კოლექტიური მოლაპარაკებების როლი, სოციალური დაცვის სისტემების/პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში რეგულირება, სოციალური კონფლიქტების პრევენცირება და ამ მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა. უმთავრეს თემად მაინც ევროპის ბაზრისთვის ახალი წევრების ეკონომიკების მონაწილეობის შესაძლებლობა ითვლებოდა და თითოეულის პოტენციალიდან გამომდინარე, მშპ-ს ოპტიმალური ნიშნულების დადგენა.

პირველ ეტაპზე მოთხოვნათა შორის დასახელებული იქნა ქვეყნის ადმინისტრირების მიმართულებით რეფორმების განხორციელება და ინსტიტუციური განვითარება, რაზეც პასუხისმგებლობა დაეკისრათ ახალ პოლიტიკურ ძალებს. გარდა ამისა, ევროკავშირი მიუთითებდა ინფრასტრუქტურული განახლების აუცილებლობაზე, რაშიც თავადაც ენერგიულად ჩაერთო როგორც რეკომენდაციული, ასევე ფინანსური მონაწილეობის სახით.

ევროპის კავშირის ამ პერიოდის მიზნებისა და აქტივობების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია ასეთი მოტივირებული „სიახლეების მიმართ“ ჯერ არ ყოფილა. ეს განწყობა კი რამდენიმე ფაქტორით აიხსნება – ერთ-ერთი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის ეიფორიით გამოწვეული სურვილი ევროპის გაერთიანებაზე. მაგრამ, აქვე შეიძლება დასახელდეს ყველაზე მთავარი, რომ – თავად ევროპის კავშირს სჭირდებოდა განვითარებისთვის ახალი სივრცე, როგორც „ახალი სისხლი გადასარჩენად“. „კარის გაღებაზე“ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული მიზანით იყო გამართლებული, მიუხედავად იმ „ტვირთისა რასაც აღმოსავლეთ ევროპის სახით აიკიდებდა“ ეს ორგანიზაცია.

მას ასე, მუშაობა ინტეგრაციისთვის უნდა წარმართულიყო სამი ღერძის – პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის მიმართულებით, თითოეულს კიდევ რამდენიმე განშტოება ჰქონდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გაჩნდა კითხვა იმის შესახებ, რომ – პოლიტიკური ლიდერები რამდენად სწორად წარმართავდნენ პოლიტიკურ ტრანსფორმაციას და ხომ არ იქნებოდა ცდუნება ავტორიტარიზმზე?! ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ, დემოკრატია არ გაიმართებოდა და თუ, სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდებოდა. სამოქალაქო საზოგადოებას კი სჭირდებოდა მთავარი მამოძრავებელი ძალა – საშუალო ფენა, რომელიც ვერ

გაჩნდებოდა მატერიალური საფუძვლების გარეშე. ლოგიკურად გადაბმული აღმოჩნდა ეს სამი სფერო ერთმანეთზე და აუცილებლობას წარმოადგენდა თითოეულზე ენერჯის (რეკომენდაციები, კანონმდებლობა, ფინანსები) თანაბრად გადანაწილება.

აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებებში, მიუხედავად იმისა, რომ დისიდენტები და ინტელექტუალები არ აკლდათ, შეინიშნებოდა პრაქტიკოსების სიმცირე. საკანონმდებლო ორგანოებში ერთმანეთზე უკეთესი გამოსვლები ჰქონდათ ინტელექტუალ ან ყოფილ დისიდენტ დეპუტატებს. ციტირებდნენ ანტიკური თუ თანამედროვე პერიოდის ფილოსოფოსების თეორიებიდან, მოჰყავდათ გამარჯვებული დემოკრატიების მაგალითები, მაგრამ ამ ახალ პოლიტიკურ ელიტას ძალიან უჭირდა პრაქტიკაში მოქმედება. ამიტომ მოხდა, რომ წამყვან თანამდებობებზე კვლავ ძველი რეჟიმის ჩინოვნიკები დაინიშნენ. მათ „დემოკრატები“ დაირქვეს და ახალი სისტემის პირობებშიც შეძლეს მაღალი თანამდებობის დაკავება. პოლიტიკური ძალების ამ ნაწილს შეეძლო მართვა, სხვა თემა როგორ მართვადნენ და რამდენად კანონთან შესაბამისობაში იყო მათ მიერ გატარებული ღონისძიებები. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე რიგ ქვეყნებში, შემდგომ პერიოდებში და დღესაც, ისინი მართვის სადავეებთან გვხვდებიან.

„დემოკრატიული ტრანზიციის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამოქმედდა პოლიტიკური ტრანსფორმაციის მიმართულებით მთავარი სტარტეგიული გეგმა:

- კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და გამყარება;
- პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა;
- ძალთა მონაწილეობის შესაძლებლობები პოლიტიკურ პროცესებში.

ეს იყო პარტნიორების მხრიდან მოწოდება პლურალისტური სისტემის შექმნასა და კონსტიტუციური წესრიგის დაცვაზე. ამ ყველაფერზე კი მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც დაიცავდა წესრიგს ძველ რეჟიმთან ასოცირებული პოლიტიკოსების გადაცდომებისგან.

თუ გადავხედავთ ძველი რეჟიმის პერიოდის საზოგადოების ისტორიას, ე.წ. „საზოგადოებრივი გაერთიანებები“ არსებობდა აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირშიც (ბუნებრივია, შერწყმული ხელისუფლებასთან). ეს ნაწილი ჩართული იყო პოლიტიკურ პროცესებში და იმ რეჟიმის დასაყდენს წარმოადგენდა. მაგ., მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა გაერთიანებები, პროფკავშირები, ქარხანა-ფარიკების კოლექტიური კრებები და იქ პროფესიული საკითხების განხილვასთან ერთად კომუნისტური საზოგადოების „შემარცხვენელი“ პირების გაკიცხვაც მიმდინარეობდა. ასე რომ, წინარე ისტორია ამ ელემენტს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰქონდა, თუმცა არასწორი ფუნქციით და არ შეიძლება მას „სამოქალაქო საზოგადოება“ ეწოდოს.

საწყის ნერტილს მაინც საზოგადოების ცნობიერების ტრანსფორმირება წარმოადგენდა. დასავლეთში მუდმივად კეთდებოდა აქცენტი იმაზე, რომ მოკლე დროში უნდა ჩამოყალიბებულიყო სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, სამწუხაროდ, დემოკრატიული წესრიგისათვის დამაზიანებლად წელი ტემპით ვითარდებოდა. საზოგადოება ძველ რეჟიმთან მიმართებაში მიუთითებდა, რომ – ადრე ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ეწყობოდა მათ წინააღმდეგ რეპრესიები, არ ჰქონდათ აზრის თავისუფლად დაფიქსირების საშუალება და კმაყოფილდებოდა იმით, რაც დღეს მოიპოვა. ანუ უმრავლესობისთვის დემოკრატია უკვე დამყარებული იყო, მაგრამ ამავდროულად საზოგადოების ეს ნაწილი ვერ იღებდა ახალი სისტემის მიერ შემოთავაზებულ „საბაზრო ეკონომიკას“, ინდივიდუალიზმს და გმობდა მის თანმდევ პროცესებს. როდესაც დაიწყო ე.წ. ეკონომიკური ტრანსფორმაცია და მოქალაქეთა უმრავლესობას დასაქმების პრობლემა შეექმნა, ამ მომენტში იფეთქა უკმაყოფილებამ ახალი რეჟიმის მიმართ. აღმოსავლეთ გერმანელებს ე.წ. „ნოსტალგია“ დაემართათ და ძველი რეჟიმის გამართლება სცადეს იმ ნაწილში, რომ – სახელმწიფო ადრე ზრუნავდა მათ დასაქმებაზე, სოციალურ საკითხებზე, ჯანდაცვაზე და უგვარებდა პირველად პრობლემებს. იგივე სიმპტომები გაჩნდა აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებებში და დაგმეს კაპიტა-

ლიზმი, როგორც სოციალურად მჩაგვრელი და მძარცველი სისტემა. ამის თაობაზე ერნს-ჟორის ჰუსტერი წერს, რომ – „დაიშალა აღმოსავლეთის ბლოკი და პირველი დარტყმა მიიღო ისედაც სუსტმა, ფაქტობრივად ჩამოშლილმა ეკონომიკამ, რამაც საზოგადოებას მიანიშნა, რომ სოციალური უსაფრთხოება გამოეცალა. ეს უკმაყოფილება იქამდე მივიდოდა, რომ ახალი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის საკითხს თავად ეს საზოგადოება დააყენებდა“ (9. გვ. 214). აღნიშნული პრობლემა უნდა დაგაეჭრათ სწრაფად და პირველ რიგში დამხმარე ძალად შეექმნათ „სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც გაიზიარებდა იდეას რომ – „პირადი კეთილდღეობის გარდა მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი ინტერესები, თავის მხრივ კი, სახელმწიფო საზოგადოების ინტერესების დამცველი უნდა იყოს!“ მიზნიდან გამომდინარე, დასავლეთის ხელშეწყობით, შეიქმნა და დაფინანსდა ახალი თუ უკვე არსებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, აღმოსავლეთში შევიდნენ კვლევითი ინსტიტუტები და გააჩაღეს მუშაობა როგორც ეკონომიკური, ასევე დემოკრატიის ინდექსის ასამაღლებლად.

აღმოსავლეთ ევროპულ საზოგადოებებში არსებობდა იმის ალბათობაც, თუ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ეკონომიკური სექტორიც არ გაძლიერდებოდა, არა მხოლოდ დემოკრატია დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ, არამედ საზოგადოებრივი აზრის მართვა ნაციონალისტური ან სხვა ფუნდამენტალიზმის პრინციპებზე მოწყობილი ჯგუფების ხელში გადავიდოდა. ისინი უკვე ცდილობდნენ ესარგებლათ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური სირთულეებით, შექმნილი სოციალური ფონით და კონსტიტუციური წესრიგისათვის საფრთხის შემცველ ფორმირებებს აყალიბებდნენ. შექმნილი ვითარებით კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ მთავრობები და დასავლეთიც, რომ საჭირო იყო ეკონომიკური ლანდშაფტის სწრაფი გაჯანსაღება, რაც სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია იქნებოდა.

90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანამ „ეკონომიკური სტრესი“ განიცადა. ყოფილი „ვარშავის პაქტის“ წევრ ქვეყნებში ეკონომისტები და პოლიტიკოსებიც აღიარებდნენ, რომ მათი მთავარი დონორი და მამოძრავებელი ძალა საბჭოთა კავშირი იყო (თუნდაც ბაზრის თვალსაზრისით). ვერც ერთი ქვეყანა დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად ახალი ეკონომიკური მოდელის გამართვას ვერ შეძლებდა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. პირველ ეტაპზე დამანგრეველი იყო ტრენდული „შოკური თერაპიის“ შედეგები: პრივატიზაცია, დერეგულირების ფონზე გაზრდილი უმუშევრობა, სოციალური დაცვის სისტემის შესუსტება და ის გამოწვევები, რომლებზეც მხოლოდ თეორიული წარმოდგენა ჰქონდათ მანამდე. ე.წ. პრივატიზაციის პროცესი, რომელსაც ეკონომიკა უნდა გამოეყვანა ჩიხიდან, ერთეულების სასიკეთოდ წარიმართა. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ჯონ ლოკის თეორია „მოიწონეს და გაიგეს“, რომ – „ქონების ფლობა და მისი ნებისმიერი გზით დაგროვება ადამიანის ბუნებრივი უფლებაა.“ 90-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიაღწია კორუფციის მაჩვენებელმა, მოხდა ბაზრის კრიმინალიზაცია, გახშირდა ეკონომიკური დანაშაულებები და გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სხვა ნეგატიური მოვლენები ამ სექტორში. მაგრამ, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემები მაინც ფრაგმენტული იყო და ეს ქვეყნები მალე გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან, რასაც ვერ ვიტყვით ბულგარეთსა და რუმინეთთან მიმართებაში.

90-იანი წლების მეორე ნახევარში საერთო აღმოსავლეთ ევროპული სურათის მიხედვით სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა დადებითისკენ, ეკონომიკური თავისუფლებისა და დემოკრატიის ინდექსის მიხედვით ყოფილი „ვარშავის პაქტის“ წევრი ქვეყნები საგრძობლად დანინაურდნენ. ეკონომიკური ლანდშაფტის გაჯანსაღებამ და უმუშევრობის პრობლემის მეტ-ნაკლებად შემცირებამ „სოციალური აფეთქების“ თემა მოხსნა, პარალელურად დასავლეთის ინიციატივით არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ამოქმედდა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად.

ახალი ევროპული სახელმწიფოების ტრანსფორმაციის შესახებ საკმაოდ საინტერესო მოსაზ-

რებები გამოითქვა „Agenda 2000“-ზე. ტრანსფორმაციის შემფასებელმა-ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და ბალტიის სამ რესპუბლიკას „ევროპულ სივრცეში“ ინტეგრაციის შანსი აქვთ. ხოლო განევრიანების მსურველ დანარჩენ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს, პარტნიორობისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში განიხილავდნენ.

ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებამდე და შემდეგაც, ექსპერტთა შეფასებებთან ერთად, ძველი ევროპის ლიდერთა პოზიციები და პროგნოზები არაერთგვაროვანი იყო. მათი ნაწილი მაინც სკეპტიკურად იყო განწყობილი ახალი დემოკრატიების მიმართ. ასე მაგალითად, გერმანიის მაშინდელი კანცლერი გერჰარდ შროდერი აღნიშნავდა, რომ „ახალ წევრებს შემოერთების შემდეგ 25 წელი მაინც დასჭირდებათ იმისათვის, რომ რეალურად ევროპელებად იქცნენ...“ (Zit. Der Spiegel 1999:86).

2004 წელს ევროკავშირის მეხუთე გაფართოებაზე აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები (ბულგარეთისა და რუმინეთის გამოკლებით, ესენი განევრიანდნენ 2008 წელს) ამ ორგანიზაციის წევრები გახდნენ. მაშინ ორივე ევროპული ნაწილი შეთანხმდა იმ აზრზე, რომ სისტემის ცვლილებით და ტრანსფორმაციული პროცესების წარმართვით „ევროპის სრულფასოვანი წევრობის საკითხი არ დასრულებულა“ და გაცილებით ხანგრძლივი სოციო-პოლიტიკური მუშაობა იქნებოდა საჭირო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Benz, Benjamin; Boeckh, Jürgen; Huster, Ernst-Ulrich, Sozialraum Europa – ökonomische und politische Transformation in Ost und West, Opladen, 2004;
2. Opfer-Klinger, Björn, Die Ungeliebte EU-Südosterweiterung, Osnabrück, 2007;
3. Hobauer, Hannes; X. Noack, David, Slowakei – Der mühsame Weg nach Westen, Wien, 2014;
4. Bahlcke, Joachim, Geschichte Tschechiens, München, 2014;
5. Mochtarova, Monika, Erfolgriecher Geschäfte im östlichen Mitteleuropa, Bonn, 2012;
6. Chwalba, Andrzej, Kurze Geschichte der Dritten Republik Polen – 1989-2005, Wiesbaden, 2010;
7. Beck, Ulrich, Macht und Gegenmacht im globalen Zeitalter – Neue weltpolitische Ökonomie, Bonn, 1997;
8. Scharpf, Fritz W, Optionen des Foederalismus in Deutschland und Europa, Frankfurt a.M, 1994;
9. Huster, Ernts – Ulrich, Armut in Europa, Opladen, 1997; 2010;
10. Der Spiegel 51/1998: 100 ff, და 1999:86, Deutschland.

ედისერ გვენეტაძე  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## კომუნისტური ნომენკლატურა და საბჭოთა კავშირის დაშლის ზოგიერთი საკითხი

### ანოტაცია

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვის კლანმა კრემლის „ტახტისათვის“ გამართულ სისხლიან ბრძოლაში ლ. ბერიას დახვრეტით და ამ უკანასკნელის კლანის დაპატიმრებით შეძლო გამარჯვების მოპოვება, მიაღწია იმას, რომ სკკპ მე-20 ყრილობაზე წარმოაჩინა პიროვნების კულტი, გაიმყარა თავისი პოზიცია და დაიწყო უზარმაზარი იმპერიის მართვა. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობამ დაადასტურა ანბანური ქვეყნობის სულებების ხელისუფლებაში ყოფნის თაობაზე.

შემდეგ ყურადღება გამახვილებულია იმ ჩრდილოვან ეკონომიკაზე, რომელმაც ძირს დასცა საბჭოთა სისტემა. ყოველივე ამ პროცესების შედეგად სოციალურმა კოროზიამ მოიცვა მთელი საზოგადოება. აღნიშნული მოვლენები მოწმობდა იმას, რომ საბჭოთა სისტემა დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა, ხოლო მისი მმართველი ფენა კომუნისტური ნომენკლატურის სახით გაიხრწნა და მთელი არსებით გადაეშვა კორუფციის მორევში. საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის დაშლა განპირობებული იყო იმ კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში შექმნა კომუნისტურმა ნომენკლატურამ, რასაც ემატებოდა აგრეთვე გარე ფაქტორებიც. სავსებით სწორი იყო ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი უ. ჩერჩილი, რომელმაც 1964 წელს განაცხადა: „ამჟამად ცოცხალია ადამიანი, რომელმაც საბჭოთა ქვეყანას იმაზე 1000-ჯერ მეტი ზიანი მიაყენა ვიდრე მე. ესაა ნიკიტა ხრუშჩოვი. მოდით ტაში დავეუკრათ მას“.

**Edisher Gvenetadze**  
*Associate Professor of*  
*New Higher Education Institute*

## COMMUNIST NOMENCLATURE AND SOME ISSUES OF THE SOVIET UNION COLLAPSE

### Abstract

The work notes that after the Khrushchov clan in a bloody battle between the Kremlin's "throne" Beria was shot and managed to secure victory by arresting the clan of the latter, achieving the position of the personality cult on the 20th congress of the SCP, strengthened his position and began to manage a huge empire. Nikita Khrushchov's governance has confirmed alphabetical truth about the stupidity of power.

Then the focus is on the shadow economy that has undermined the Soviet system. All these processes resulted in the social corrosion of the entire society. These events testified that the Soviet system did not meet the demands of time, and its ruling layer became a communist nomenclature, and in all its essence he was driven into corruption. In the end, the collapse of the Soviet Union was due to the crisis of socio-economic and political situation created in the modernized Soviet empire by the Communist nomenclature, which also added external factors. Well-known English politician Churchill, who said in 1964: "At present, a man who has inflicted a thousand times more damage to the Soviet state than me. This is Nikita Khrushchev. Let's applaud him."



## კომუნისტური ნომეკლატურა და საბჭოთა კავშირის დაშლის ზოგიერთი საკითხი

მას შემდეგ რაც ხრუშჩოვის კლანმა კრემლის „ტახტისათვის“ გამართულ სისხლიან ბრძოლაში ლ. ბერიას დახვრეკით და ამ უკანასკნელის კლანის დაპატიმრებით შეძლო გამარჯვების მოპოვება, მიაღწია იმას, რომ სკკპ მე-20 ყრილობაზე წარმოაჩინა პიროვნების კულტი, გაიმყარა თავისი პოზიცია და დაიწყო უზარმაზარი იმპერიის მართვა. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობამ დაადასტურა ანბანური ჭეშმარიტება სულელების ხელისუფლებაში ყოფნის თაობაზე.

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული ყოველი მომდევნო დღე იმაზე მეტყველებდა, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურად კოროზირებული იყო და მისი დაშლა მხოლოდ დროის საქმე იყო.

1966 წელს აშშ-ს კონგრესმა გამოაქვეყნა ხუთტომიანი კვლევა „ახალი მიმართულება საბჭოთა ეკონომიკაში“, სადაც ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული საბჭოთა კავშირში დაწყებული ეკონომიკური რეფორმების ეფექტურობა. სწორედ 1966 წელს მოიმკა საბჭოთა კავშირმა ხრუშჩოვის გაუაზრებელი რეფორმების შედეგები, რაც იმით გამოიხატა, რომ ფაშისტურ გერმანიათან ომის დამთავრებიდან პირველად მიუახლოვდა ბიუჯეტი დეფიციტს [1]. უფრო მეტიც, მთავრობა იძულებული იყო გაეთვალისწინებინა დეფიციტი 1967 წლის ბიუჯეტში.

ასეთ პირობებში, აკად. ნ. ფედორენკოს მოგონებით, მისდამი რწმუნებულ ეკონომიკისა და მათემატიკის ცენტრალურ ინსტიტუტში გაკეთებული იქნა პროგნოზი საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ნათელი მომავლის, კომუნიზმის ნაცვლად, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის აზრით, უნდა დამდგარიყო 1981 წელს ქვეყანას ელოდა განვითარების ტემპების შენელება და 1980-იანი წლების დასაწყისისათვის ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი [2, 182-186].

გაეცნო რა ამ გამოკვლევას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბაიბაკოვი, თანამშრომლების წინაშე განაცხადა, რომ ჩატარებული სამუშაოს შედეგები წინააღმდეგობაშია პარტიის პროგრამასთან, ამიტომაც სანქციები მოეღოთ არა მარტო მის შემქმნელებს, არამედ მთელ ინსტიტუტს. გამოცდილმა პარტიულმა და საბჭოთა ფუნქციონერმა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ მ. კელდიშთან მოთათბირების შემდეგ აიძულა, თავად ფედორენკო გაეტანა უკან მის ინსტიტუტში მომზადებული შენიშვნები და გაენადგურებინა ისინი [2, 182-186].

მიუხედავად უმძიმესი სიტუაციისა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში იმყოფებოდნენ ადამიანები, რომელთაც ანუხებდათ არსებული სინამდვილე. 1967 წლის ივლისში სკკპ ცკ-ის სამდივნოს ერთ-ერთ თათბირზე მანქანათმშენებლობის განყოფილების ხელმძღვანელმა მ. სოლომენცევმა წამოაყენა წინადადება „ცკ-ის უახლოეს პლენუმზე განხილულიყო ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური მდგომარეობისა და მისი პროგრესის საკითხი“ [3, 336]. წინადადებას მიუღია მხარდაჭერა, მაგრამ პარტიული ნომეკლატურის წინააღმდეგობის გამო ვერ განხორციელდა. ინიციატივა ჩაიკარგა პარტიული კაბინეტების ლაბირინთებში.

ბრეჟნევი ხელისუფლებაში მოსვლის დროს ხვდებოდა, რომ საჭირო იყო რეფორმები. პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას ხელთ ჰქონდა გლუშაკოვისა და ვააგას დამუშავებული ეკონომიკური რეფორმის პროექტი, რომელსაც უნოდებდნენ ერთნი „ლიბერმანის“, ხოლო სხვები „კოსიგინის“ პროექტს. როგორც წყაროები მონიშნავენ, თავდაპირველად ამ რეფორმის მომზადება დაამუხრუჭა ა. კოსიგინმა. მხოლოდ ხრუშჩოვის საბოლოოდ მოცილების შემდეგ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ა. კორობოვი. კომისიამ აქცენტი აიღო ლ. ვააგას პროექტზე.

სკკპ გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ დაინ-

ყო თავისი პოზიციების განმტკიცება. ამ მიზნით მან დაიწყო სუკი-ს, არმიისა და პარტიული აპარატის შემოკრება. ბრეჟნევი თავის უპირველეს მოწინააღმდეგედ თვლიდა ა. შელეპინს. არმიის მას ჰყავდა თავისი კაცი თავდაცვის მინისტრი რ. მალინოვსკი, შედარებით მძიმე მდგომარეობა ჰქონდა გენერალურ მდივანს სუკ-ში, რომლის სათავეში შელეპინის კაცი სემიჩასტინი იდგა. მალე ეს საკითხიც დადებითად მოაგვარა და ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოს თავმჯდომარედ ახალმა გენერალურმა მდივანმა ი. ანდროპოვი დანიშნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი სათავეში ედგა მისი ძველი ნაცნობი და მეგობარი ნ. შჩოლოკოვი, რომელიც მანამდე მუშაობდა მოლდავეთის კომპარტიის მეორე მდივანად.

შელეპინის ერთგული ხალხი გაამგზავრეს საზღვარგარეთ – ტიკუნოვი რუმინეთში, მესიაცევი ავსტრალიაში, გრიგორიანი ფერ-ში. სემიჩასტინი შჩერბიცკის მეთვალყურეობით უკრაინაში დანიშნეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ეს უკანასკნელი კი ბრეჟნევის მხეს ფიცულობდა. ასე რომ, ბრეჟნევემა ადვილად მოიცილა კომკავშირიდან მოსული შელეპინი, რომელსაც პარტიის ცკ-ში მყოფი სხვა მოხუცებიც ვერ იტანდნენ.

საბჭოთა კავშირში დაიწყო ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავება. 1960-იანი წლებიდან ფართოდ გაიშალა ე.წ. „მინერები“. საყოველთაოდ ცნობილია ე. წ. „ბამბის მინერები“ ყაზახეთში. ამ მოვლენამ მასობრივი გავრცელება პოვა მეურნეობის სხვა დარგებში: მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში, მომსახურების სფეროში, კულტურაში. მინერები გახდა ცხოვრების წესი. როგორც 1980-იანი წლების ერთ-ერთი სამეურნეო ფუნქციონერი აღნიშნავდა, „შემონებებისას ხუთიდან ოთხ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მინერებს“ [4]. მინერები ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგალითად, თუ ავიღებთ ბამბეულის წარმოების სფეროს: 1956-1960 წწ. იგი შეადგენდა 5, 2%-ს, 1961-1965 წწ 7, 7%-ს, 1966-1970 წწ 8, 1%-ს, 1971-1975 წწ 8, 3%-ს, 1975-1980 წწ 14, 3%-ს; 1981-1985 წწ 16, 9%-ს [5].

კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ 1988 წლისათვის მინერებმა შეადგინა 150 მლრდ. მანეთი, ანუ საერთო პროდუქტის 10%.

სპეციალისტებმა 1980-იან წლებში კოსმოსური გადაღებების მეშვეობით დაადგინეს, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრებში იყო მინის ადგილები, რომლებიც აღნიშნული არ იყო რუკებზე. მაგალითად, ალუნერელი მინები ასტრახანის, პოსტოვის ოლქებსა და კრასნოდარის მხარეში შეადგენდა 6-დან 12 პროცენტამდე. ხოლო კალმიკიაში ოფიციალურად ნაჩვენებმა სარწყავმა მინებმა შეადგინა არსებულის 50%-ი. ასეთივე ფაქტები იყო თათრეთის ასსრ-ში, თურქმენეთში და სხვა რეგიონებში. ანუ მინების შემცირების ჩვენება გახდა ჩვეულებრივი მოვლენა [6, 65-67].

ჩრდილოვანმა ეკონომიკამ მოიცვა მთელი ქვეყანა. დადგენილია, რომ მხოლოდ 1988 წლისათვის მშენებლობასა და რემონტთან დაკავშირებულ სფეროებში ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსავალი შეადგენდა 50 მლრდ. მანეთს. ამ პროდუქციის ნაწილი ხმარდებოდა თავად შიგნით მეურნეობას, ნაწილი კი გადიოდა „შავ ბაზარზე“ [7].

მეზალე ამხანაგობები ათიდან ცხრა შემთხვევაში მშენებლობის მასალებს იძენდნენ არა მაღაზიებში, არამედ კერძო პირებისაგან. ყოველი მესამე მეზალის ამხანაგობის სახლი იგებოდა არალეგალური ტექნიკის მეშვეობით. ავტომობილების მფლობელთა ნახევარი სათადარიგო ნაწილებს ყიდულობდა კერძო პირებთან სპეკულაციურ ფასებში. ნახევარზე მეტი იმავე ავტომფლობელთა სანვავს იძენდა „მარცხენა“ შემოსავლიდან. ამ სამი სახის საქონლიდან „ჩრდილოვანი შემოსავალი“ შეადგენდა 8 მლრდ. მანეთს [8, 67].

გარდა ამისა, ჩრდილოვანი ეკონომიკას შეადგენდა: სასოფლო სამეურნეო პროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები, ნარკოტიკები და სხვა საქონელი. ამას ემატებოდა უცხოური ვალუტით ვაჭრობა.

უმნიშვნელოვანესი სფერო ჩრდილოვანი ეკონომიკისა იყო არალეგალური მომსახურება: ბინის მიღება და არენდა, ტრანსპორტის რემონტი და სატრანსპორტო გადაზიდვები. ტანსაცმლის

ინდივიდუალური კერვა, ბინების გაცვლა და რემონტი. ყოველივე აქედან ჩრდილოვანი ეკონომიკა მოიპოვებდა 14 და 16 მლრდამდე მანეთს [9, 60-65; 10, 67].

ჩვეულებრივი მოვლენა იყო მომხმარებლის მოტყუება. მონაცემები ცხადყოფენ, რომ მომხმარებელთა ყოველწლიური მოტყუების შედეგად შემოსავალი 6 მლრდ. მანეთს აღწევდა [11].

ჩრდილოვანი ეკონომიკა ყველაზე მეტად გამოვლენილი იყო სპეკულაციის სახით. ერთ-ერთი იმდროინდელი საბჭოთა კვლევითი ინსტიტუტის შეფასებით, 1980-იან წლებში სპეკულანტებისაგან მოსახლეობა ყიდულობდა 4-4,5 მლრდ. მანეთის ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და გარდერობის სხვადასხვა ნივთებს [12, 67] ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით მხოლოდ მეურნეობის ამ დარგში ჩრდილოვანი ეკონომიკის მთლიანი ბრუნვა შეადგენდა მინიმუმ 10 მლრდ მანეთს [13, 50].

აქედან გამომდინარე, ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი საბჭოთა ეკონომიკაში 1980-იანი წლების შუა პერიოდისათვის შეადგენდა 200-300 მლრდ მანეთს.

კორუფცია გავრცელებული იყო ყველა სფეროში. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის სამძებროს სისხლის სამართლის მთავარი სამმართველოს უფროსი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „თევზის საქმეზე“ ძიებამ იგი მიიყვანა სკკ. ცკ-ის წევრ საკავშირო თევზის მრეწველობის მინისტრის კაბინეტამდე [14, 372-373]. „ტრეგუბოვის საქმემ“ უჩვენა, რომ მასში მონაწილეობდა მოსკოვში ვაჭრობაში მომუშავე 300 ათასი მუშაკი [15, 59]. შექმნილი იყო ე.წ. ჯაჭვი, რომელიც მიდიოდა უმაღლეს სახელმწიფო და პარტიულ პირებამდე. ასეთივე ვითარება იყო მთელ საბჭოთა კავშირში. კატასტროფულ ვითარებაზე მიუთითებს ის, რომ ცხრა წლის განმავლობაში მექრთამეობის, დატაცების, გაფლანგვებისა და სხვა სამეურნეო თუ ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებისათვის პარტიიდან გაირიცხა თითქმის მილიონამდე ადამიანი. იყო შემთხვევა, როდესაც მინისტრმა ფურცევამ საკუთარი აგარაკი ააშენა იმ მასალებით, რომლებიც გამოყოფილი იყო დიდი თეატრის რეკონსტრუქციისათვის, როდესაც ამისათვის მას უსაყვედურეს პოლიტიუროზე, ის გაბრაზდა და იქ მყოფებს პირში მიახალა: „ჩემს დადანაშაულებამდე საკუთარ თავში ჩაიხედეთ“ [15, 205].

ბევრ საბჭოთა რესპუბლიკაში პარტიის წევრად გახდომაში ფულს იხდიდნენ. დანესებული იყო სხვადასხვა თანხები თანამდებობებზე. ქალაქკომის მდივნობა ღირდა ნახევარი მილიონი მანეთი შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსობა 300 ათასი, ხოლო სახელმწიფო ავტონისპექციაში მუშაობის დანყება სამი ათასი [15, 62; 16, 290-291].

70- 80 წლებში კრიმინალურ იტაკვემეთს თავისი ხალხი ჰყავდა საქალაქო და საოლქო, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში, რომლებთაგან ზოგიერთი შემდეგ გადავიდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცკ-ში.

კორუფცია მიძინარებდა საგარეო ვაჭრობაში. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 1961-1985 წლებში სსრკ-მა შეისყიდა 150 მლნ. დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქტები [17, 172-173]. თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ვაჭრობა, კარგად გამოჩნდა მ. გორბაჩოვის სიტყვაში 1986 წელს: „ჩვენ ვუხდით აშშ. 160 დოლარს ერთ ტონა ხორბალში, ხოლო სსრკ-ში იგი ღირს 111 დოლარი. ასე რომ 50 ოქროს მანეთს ვკარგავთ ჩვენ ყოველ ტონაზე“. სხვა მონაცემებით, შიდა ბაზარზე ტონა ხორბალი ღირდა 100 მანეთი, ხოლო საზღვარგარეთ ყიდულობდნენ 225 დოლარად.

ამის მიზეზი იყო ხორბლის იმპორტის სისტემაში სახელმწიფო სტრუქტურული მაფიის ჩამოყალიბება.

1980-იანი წლების შუა ხანებში სსრკ-ში მოიპოვებოდა მთელი მსოფლიოს ალმასის მეოთხედი. სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1960 წელს გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება ამ სფეროში ინგლისურ ფირმა „დე ბრისტან“, რომლის შედეგადაც სსრკ-მ გაიტანა საზღვარგარეთ 4,8 მლრდ. სავალუტო მანეთის ალმასი. ხოლო „დე ბრისტან“ მხოლოდ ორი 1977-1978 წლის განმავლობაში ისრაელში გაყიდული საბჭოთა ალმასების შედეგად მიიღო 2,6 მლრდ. დოლარი [18, 9]. საქმე

შემდეგში მდგომარეობდა, რომ აღმასი ასჯერ იაფი ღირდა, ვიდრე ბრილიანტი. ამიტომაც ხელისუფლებამ ბევრჯერ აღძრა საკითხი გაეკეთებინათ ადგილზე ბრილიანტები, მაგრამ საკითხი სულ მუდამ ვარდებოდა იმის საბაბით, რომ მათთვის ხელსაყრელი არ იყო ბრილიანტების წარმოების განვითარება.

კოროზია მოედო საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს სუკ-ს. მასობრივად იწყეს ამ მეთვალყურე და დამსჯელი ორგანოს წარმომადგენლებმა გაქცევა-გადაბარება მონინალმდეგის ბანაკში. ძალიან მაგრად მუშაობდა დასავლეთის აგენტურა. მაგალითად, სუკი-ს გენერალი წერს: „ყოფილი ამერიკელი მზვერავები გვეუბნებოდნენ: თქვენ კარგი ბიჭები ხართ, ჩვენ ვიცით, რომ გქონდათ წარმატებები და გაქვთ უფლება იამაყოთ ამით.....მაგრამ მოვა დრო და გაიგებთ, როგორი აგენტურა ჰყავდა ცსს და სახელმწიფო დეპარტამენტს თქვენთან ზემოთ“ [19, 246].

ყოველივე ამ პროცესების შედეგი იყო რომ სოციალურმა კოროზიამ მოიცვა მთლიანად ზედა ფენები. ქვეყნისა და მოსკოვის ელიტა იკრიბებოდა რესტორან „არხანგელსკ“-ში, სადაც იმართებოდა თავანყვეტილი ღრეობები და ორგები. დილამდე მიმდინარეობდა „მომხიბლავი სეირნობები“. აქ იყვნენ სახელმწიფო ჩინოვნიკები, სუკი-ს თანამშრომლები, კინოს მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები, საქმოსნები. იყო კიდევ ერთი კატეგორია იმ ხალხის ქალიშვილებისა და ვაჟების, რომელთა მშობლები მაღალი ტრიბუნებიდან და ტელევიზიიდან მოუწოდებდნენ ხალხს, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ პატიოსნად და კომუნისტური საქმისადმი ერთგულებით.

აღნიშნული ფაქტები მოწმობს იმას, რომ საბჭოთა სისტემა დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა, ხოლო მისი მმართველი ფენა კომუნისტური ნომეკლატურის სახით გაიხრნა და მთელი არსებით გადაეშვა კორუფციის მორევში.

ცნობილი საბჭოთა დისიდენტი ა. ზინოვიევი წერდა, რომ 1979 წელს საზღვარგარეთ ემიგრაციის დროს მას დაუსვეს შეკითხვა, რა ადგილია საბჭოთა კავშირში ყველაზე მოწყვლადი. მე საერთო ჰომერული ხარხარის ფონზე ვუპასუხე: „.....ყველაზე საიმედო ადგილად ითვლება სკკპ აპარატი, მასში-ცკ, შემდეგ პოლიტიბიურო, ხოლო ბოლოა გენერალური მდივანი. მოიყვანეთ თქვენი კაცი ამ თანამდებობაზე და ის რამდენიმე თვეში დაშლის პარტიულ აპარატს.... დაიწყება ჯაჭვური რეაქცია ხელისუფლებისა და მმართველობის დაშლის. თუ ვერწმუნებით ა. ზინოვიეს, მას რამდენიმე ხნის შემდეგ ჰქონია საუბარი ერთ-ერთ „ინტელიდჯივენსის“ მომსახურების ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომელსაც მისთვის განუცხადებია, რომ ისინი მალე საბჭოთა ტახტზე დასვავენ თავიანთ კაცს [20, 181-182]. არ უხსენებიათ მისთვის ამ ადამიანის გვარი დისიდენტისათვის, მაგრამ ავტორს მიაჩნია, რომ ეს კაცი იყო მ. გორბაჩოვი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დაშლა განპირობებული იყო იმ კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში შექმნა კომუნისტურმა ნომეკლატურამ, რასაც ემატებოდა აგრეთვე გარე ფაქტორებიც. სავსებით სწორი იყო ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი უ. ჩერჩილი, რომელმაც 1964 წელს განაცხადა: „ამჟამად ცოცხალია ადამიანი, რომელმაც საბჭოთა ქვეყანას იმაზე 1000-ჯერ მეტი ზიანი მიაყენა ვიდრე მესაა ნიკიტა ხრუშჩოვი. მოდით ტაში დავუკრათ მას“.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Байбаков Н. К. // Сайт «Международный объединенный биографический центр» (<http://www.biograph.ru/bank/baibakov-nk.htm>).
2. Федоренко Н.П. Из воспоминаний // Россия и современный мир. 1998. № 1(18).
3. Соломенцев М. С. Верю в Россию. М., 2003.
4. Лысенко В. Обман: председатель КНК РСФСР В.Ф Кононов о борьбе с приписками // Советская Россия. 1986. 26 октября.).
5. Хлопководство. 2 изд. М., 1983. С. 98. Народное хозяйство СССР в [1956–1985] году. Статистический сборник. М., 1957–1986.
6. Виноградов Б. Проверка из космоса // Коммунист. 1988. № 3.
7. Тимофеев Л. Технология черного рынка как политическая система. Публицистическое исследование. М., 1993.
8. Колесникова Е. Подпольные миллионеры в теневой экономике // Правительственный вестник. 1990. № 4.
9. Корягина Т.И. Услуги теневые и легальные //Эко. 1989. № 2.
10. Колесникова Е. Подпольные миллионеры в теневой экономике // Правительственный вестник. 1990. № 4.
11. Модестов Н. Наживаются // Правда, 1990, 6 января.
12. Колесникова Е. Подпольные миллионеры в теневой экономике // Правительственный вестник. 1990. № 4.
13. Народное хозяйство СССР в 1990.
14. Алидин В.И. Государственная безопасность и время. 1951–1986. 2-е изд. 2001.
15. Гуров А.И. Красная мафия. М., 1995.
16. Восленский М. Номенклатура.
17. Гайдар Е.Т. Гибель империи.
18. Стерлигов А.Н. Опальный генерал свидетельствует.
19. Дроздов Ю.И. Вымысел исключен. Записки начальника нелегальной разведки КГБ СССР. М., 2005.
20. Зиновьев А. Как иголкой убить слона // Наш современник. 2005. № 10.

**გიორგი ჩხიკვიშვილი**

სტუ -ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ლია ხარჩილავა**

სტუ -ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის დოქტორანტი

## აშშ-ისრაელის თანამედროვე ურთიერთობები

### ანოტაცია

სტატიაში განხილულია აშშ-სა და ისრაელის თანამედროვე ურთიერთობები და აშშ-ს სახელმწიფო ინტერესები ამ რეგიონში, რომელიც განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორით, როგორცაა ანტიამერიკული განწყობის რეგიონში ისრაელის, როგორც ერთადერთი დემოკრატიული სახელმწიფოს და როგორც სანდო მოკავშირის ყოლის შედეგად მიღებული გეოსტრატეგიული სარგებელი.

განალიზებულია ამ ქვეყნების ორმხრივი ინტერესი, რაც მათი ურთიერთობების სიმყარისა და შეუქცევადობის გარანტიაა და რაც გამოიხატება დემოკრატიული ფასეულობების, რელიგიური აღმსარებლობისა და უშიშროების საკითხების თანმთხვევაში.

ნაჩვენებია აშშ-ს პრეზიდენტების – ჯორჯ ბუში უმცროსის, ბარაკ ობამასა და დონალდ ჯონ ტრამპის მიერ ისრაელის მხარდასაჭერად განხორციელებული სხვადასხვა სახის აქტივობები, იქნებოდა ეს ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების მცდელობები, ისრაელისათვის სამხედრო დახმარების განწევა თუ მისი საკითხის ლობირება. ამ უკანასკნელის განხილვის დროს ავტორებს განსაკუთრებით აქვთ გამოკვეთილი ებრაული ლობის როლი აშშ-ს პოლიტიკურ ხედვებზე გავლენის მოხდენასთან დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს.

**Giorgi Chkhikvishvili**

*Associate Professor of the Faculty of Law and International Relations,  
Georgian Technical University*

**Lia Kharchilava**

*PhD Student of the Faculty of Law and International Relations,  
Georgian Technical University*

## US – ISRAEL MODERN RELATIONSHIPS

### Abstract

The article reveals the modern relations between the United States and Israel and the US interests in this region, which is due to such an important factor as the geostrategic benefits obtained by Israel as a single democratic state and as a reliable ally in the anti-American sentiment in the region. The bilateral interest of these countries is analyzed, which is the guarantee of firmness and irreversibility of their relationships, which is distinguished in the context of democratic values, religious beliefs and security issues. Various activities carried out by US Presidents – George Bush Jr., Barack Hussein Obama and Donald John Trump for supporting Israel are revealed, would be attempts to regulate the Israeli-Palestinian conflict, announcing the military support to Israel or its issue lobbying. In the last review, the authors are particularly concerned about the role of the Jewish lobby while making political decisions concerning the impact of US political views.

## აზრ-ისრაელის თანამედროვე ურთიერთობები

1948 წლის 14 მაისს პალესტინის ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შედეგად შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რამაც ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი პოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბებას მისცა დასაბამი. ებრაელები სახელმწიფოს შექმნისას აპელირებენ ორი ათასი წლის წინანდელ ისტორიაზე, ისტორიულ მითებზე „ისტორიულ სამშობლოსა და ბიბლიაზე, რომელსაც მსოფლიოს დიდი ნაწილი „წმინდა წიგნად“ მიიჩნევს. ბიბლიის მიხედვით, ძვ.წ. აღრიცხვით I საუკუნეში დღევანდელი ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოები იყო განთავსებული. ებრაელები თავიანთ მიწას სხვადასხვა სახელს ეძახდნენ, მათ შორის ისრაელს, ქანაანს, სამარიას, გალილევას და ა.შ. მათ სწამდათ, რომ ღმერთმა ეს მიწები გადასცა უძველეს ებრაელებს – მოსეს, აბრაამს და მის შთამომავლობას. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, როგორც მათთვის აღთქმულ მიწაზე და უამრავი ომი გამოიარეს ტერიტორიის შესანარჩუნებლად. მას შემდეგ ის მიწა, რომელზეც ისრაელი მდებარეობს, უამრავმა სახელმწიფომ დაიპყრო, მათ შორის მიდიამ, სპარსეთმა, რომმა და ა.შ. რომის იმპერიის მიერ აღნიშნული ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ, ახ.წ. აღ-ით 70 წელს, ებრაელებს იძულებით დაატოვებინეს იერუსალიმი, როგორც სასჯელი რომის იმპერიისადმი აჯანყებისთვის. მოგვიანებით კი მათმა უმეტესობამ პალესტინის ტერიტორიებიც მიატოვა, ამჯერად ნებაყოფლობით და სხვა ქვეყნებში მიგრირდნენ. დღესდღეობით პალესტინის მიწებზე არაბი მოსახლეობა სახლობს, რომელიც აქ ხალიფატის მიერ დაპყრობის შემდეგ, მერვე საუკუნეში, გადმოვიდა, ამიტომაც მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა მათ შორის ებრაული სახელმწიფოს გაჩენა, რამაც, თავის მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ასიათასობით ებრაელის სამშობლოსაკენ დაძვრის ობიექტური პროცესი გამოიწვია.

არაბული სამყაროს გაღიზიანებასა და ნეგატიურად განწყობაში უდიდესი როლი შეასრულა, ერთის მხრივ, „ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიღებამ, რომლის თანახმადაც ისრაელი ცხადდება არა მხოლოდ ებრაულ, არამედ „სიონისტურ სახელმწიფოდ“, ანუ მთელი მსოფლიოს ებრაელთა სახელმწიფოდ. სიონისტური კონცეფცია კი, როგორც ცნობილია, „რჩეული ხალხის აღთქმულ ქვეყანაში“ დაბრუნებას ისახავდა მიზნად და მოუწოდებდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ ებრაელებს ისრაელისაკენ უწყვეტ ნაკადებად დაძვრისა და ისრაელის მიწების ათვისებისკენ და, მეორე მხრივ, არაბული სამყარო გააღიზიანა ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის ოკუპაციამ, სადაც ყველა მუსულმანისათვის ერთ-ერთი უწმინდესი ადგილი – ალ-აქსას უდიდესი მეჩეთი მდებარეობს.

ვეთანხმებით პროფ. რევაზ გაჩეჩილაძეს, რომ ისტორიულ მითებს სახელმწიფოს მშენებლობისას სარგებლობის მოტანასთან ერთად პრობლემების შექმნაც შეუძლია. ერთის მხრივ, „დომინოს პრინციპის“ თანახმად, ამან შეიძლება სახიფათო პროცესები გამოიწვიოს მთელ მსოფლიოში (1. 486). მაგალითისათვის, 15 საუკუნის წინ ბრიტანეთში ცხოვრობდნენ კელტები და არა ანგლო-საქსები, საფრანგეთში – გალები და არა ფრანკები, სტამბოლში – ბერძნები და არა თურქები, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში ევროპელებს არ იცნობდნენ. ბრიტების შთამომავლებმა რომ მოითხოვონ ანგლო-საქსების მიერ ლონდონის დაცლა, ბერძნებმა – კონსტანტინოპოლის, ლენაპეს ტომის ინდიელებმა – ნიუ-იორკის და ა.შ., ბოლოსდა ბოლოს ჩვენ, ქართველებმა რომ მოვითხოვოთ ჩვენი ყოფილი ისტორიული ტერიტორიის ნაწილიც კი, დარწმუნებული ვარ, ამას მსოფლიო გაგებით არ შეხვდება.

მეორე მხრივ, ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს რომ აღინიშნოს, ისიც რომ არც ერთ ზემო ჩამოთვლილ ერს არ შეხებია ჰოლოკოსტი და არ განუცდია მსგავსი ტანჯვა-წამება. სწორედ მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა ჰოლოკოსტის გიგანტური მასშტაბები. ევროპაში გაჩენილმა „სირცხვილის სინდრომმა“ საშუალება მისცა სიონისტებს მოეპოვებინათ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და შეექმნათ პატარა და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა თანამედროვე ეტაპზე „ისტორიული სამშობლოს“ მოთხოვნა გარკვეული რისკების შემცველია, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღიარებას ორი გიგანტური ქვეყნის – აშშ-სა და სსრკ-ს მიერ. ორივე ქვეყანას თავისი ინტერესი ამოძრავებდათ – მათ სურდათ საკუთარი საყრდენი ჰქონოდათ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სახით, ამიტომ ორივე ქვეყანამ ხელი შეუწყო მისი ლეგიტიმაციის პროცესს და 1948 წლის 14 მაისს ორივე მათგანმა ცნო ისრაელის სახელმწიფო. სსრკ-ის შემთხვევაში მალევე გამოჩნდა, რომ კრემლის იმედები უსაფუძვლო იყო და ახლადშექმნილი ისრაელის სახელმწიფო არ აპირებდა კრემლის სატელიტად გადაქცევას. ებრაელმა ეთნოსმა, რომელიც მეოცე საუკუნის შუა ხანებში ლამის სრული გაქრობის პირას იყო, შეძლო რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ სამხედრო დიდების მწვერვალზე ასვლა. მან შეძლო მანამდე, სტალინის ნებართვით ჩეხოსლოვაკიის მიერ მისთვის მიყიდული ტანკებისა და „მესერშიტის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავების, ხოლო მოგვიანებით 1952 წლიდან დასავლეთ გერმანიის მიერ რეპარაციების სახით გადახდილი 40 მილიარდზე მეტი გერმანული მარკის საშუალებით ახლო აღმოსავლეთში უძლიერესი არმიის, ძლიერი ეკონომიკისა და სამხედრო მრეწველობის მქონე ქვეყნად გადაქცეულიყო. მეოცე საუკუნეში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის წარმოებული ხუთი ომიდან (1948-49, 1956, 1967, 1973, 1982 წლებში) ისრაელს არც ერთი არ წაუგია. უფრო მეტიც, მან სირიას ჩამოართვა გოლანის მაღლობი, იორდანისას – აღმოსავლეთ იერუსალიმი და ორივე ტერიტორიის ანექსია და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაწილის სამხედრო ოკუპაცია მოახდინა.

ისრაელის წარმატებულ სახელმწიფოდ გადაქცევაში ლომის წილი მიუძღვის რეგიონული კონტექსტის ტრანსფორმაციულ პროცესებს, რაც ცივი ომის დასრულებისა და სპარსეთი ყურის ომში აშშ-ს გამარჯვების შედეგი იყო. ამ პროცესებმა უპრეცედენტო სიმაღლეზე აიყვანა აშშ-ს პრესტიჟი, რომელიც ისრაელის დამოუკიდებლობის მთავარი მომხრე და საერთაშორისო არენაზე მისი სუვერენიტეტის მთავარი გარანტი იყო. მათი კავშირი ემყარება დემოკრატიულ ფასეულობებს, რელიგიურ აღმსარებლობასა და უშიშროების საკითხებს. კონგრესი უზრუნველყოფს სამხედრო დახმარებას ისრაელისათვის და გამოსცა კანონმდებლობა მისი უშიშროების მხარდასაჭერად. ურთიერთობა განვითარდა ეკონომიკური, მეცნიერული და სამხედრო შეთანხმებებისა და ვაჭრობის მეშვეობით. ისრაელი აშშ-ს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ისრაელში იმპორტირებული საქონლის 22.4% და ექსპორტირებულის 42.1 სწორედ აშშ-ზე მოდის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელები ებრაელებს ყოველწლიურად 2.4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის სამხედრო დახმარებას უწევს, რაც ისრაელის სამხედრო დანახარჯების 24.5%-ის ტოლფასია. ამ ციფრების მაგალითიდან ჩანს, რომ ისრაელი აშშ-ის ინტერესების ამკარა გამტარებელია რეგიონში (2). ისრაელი ყოველთვის ამერიკის ერთგული მოკავშირე იყო, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, რომლებიც ამერიკისგან ფინანსურ დახმარებას წლების განმავლობაში იღებენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ამერიკას ერთგულებით არ პასუხობდნენ. აშშ-სათვის კი ისრაელისა და ამერიკის მჭიდრო კავშირი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის გავლენის მტკიცედ დაბრუნებას ნიშნავს. ამიტომაც აშშ-ს პრეზიდენტები ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ისრაელთან.

თავდაპირველად ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მედიატორის როლი აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა იტვირთა. 1973 წლის ომის დროს და შემდეგ იგი მიმართავდა ცნობილ მაქოსებურ დიპლომატიას (shuttle diplomacy), აქტიურ მოლაპარაკებებს მართავდა კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან – ისრაელთან, ეგვიპტესთან, იორდანისთან, სირიასთან და რეგიონის სხვა



სახელმწიფოებთან ცეცხლის შეწყვეტასა და სხვა საკითხების შესახებ, რისი შედეგიც იყო ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ამ მიმართულებით ისრაელსა და ეგვიპტეს შორის – კემპ-დევიდის შეთანხმება (Camp David Accords) 1979 წელს. შეთანხმებას ხელი მოაწერეს ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მენაჰემ ბეგინმა და აშშ პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა. ეგვიპტე გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ისრაელთან მშვიდობა დაამყარა და რომელიც მთლიანად პასუხობდა ფორმულას „მინა მშვიდობის სანაცვლოდ“. (ამ შეთანხმებით ეგვიპტემ დაიბრუნა 1967 წლის ომის დროს დაკარგული სინაის ნახევარკუნძული.)

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში გარკვეული უთანხმოებების მიუხედავად ისრაელთან ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული აშშ-ს 43-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაცია, უწევდა სამხედრო დახმარებას და მისი დარეგულირების მრავალი მცდელობა ჰქონდა. ასევე მიაწოდა აშშ-მ ისრაელს სამხედრო იარაღები ლიბანთან კონფლიქტისას 2006 წელს და მყარად უჭერდა მხარს ისრაელის კამპანიას, როდესაც ლიბანმა სთხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს ცეცხლის შეწყვეტა რეგიონში, რაც უარყოფილ იქნა.

აშშ-ს 44-ე პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავდაპირველად განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მან მხარი დაუჭირა ამ რეგიონში „თანაბარი პოლიტიკის“ გატარებასა და „ორი სახელმწიფოს“ – ისრაელისა და პალესტინის არსებობის იდეას. ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს, ობამამ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა და ძირეულ რეფორმებს დაჰპირდა. 2009 წელს, როდესაც მან დაიწყო ვიზიტები ცენტრალურ აზიაში, იგი ესტუმრა თურქეთსა და ეგვიპტეს, მაგრამ გამოტოვა ისრაელი და ეს გამოტოვება 4 წელი გაგრძელდა, რადგანაც იგი თვლიდა, რომ მისი წინამორბედი პრეზიდენტი ზედმეტად ახლოს იყო ისრაელთან, ხოლო მუსულმანურ სამყაროსთან შერიგება უფრო დაბალანსებულ მიდგომას მოითხოვდა. ამიტომაც მან სცადა ისრაელისაგან დისტანცირება. 2009 წლის თებერვლის ისრაელის არჩევნებში, ობამა იმედოვნებდა ციპი ლივნის, კადიმას ცენტრისტული პარტიის ლიდერის, გამარჯვებას. თუმცა ნეთანიაჰუ უფრო წარმატებული აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ამ ორ პიროვნებას განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიები ამოძრავებთ, კერძოდ, ობამა იყო მემარცხენე ლიბერალ-დემოკრატი, ნეთანიაჰუ კი მემარჯვენე კონსერვატორი, მათ შორის ურთიერთობა მალევე გაფუჭდა. პირველად ეს გამოიხატა იმაში, რომ ობამას ადმინისტრაციამ ღიად გააკრიტიკა ისრაელის მემარჯვენე მთავრობის პოლიტიკა „დასავლეთ ნაპირზე“ ებრაული ახალშენების გაფართოების გამო, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას და კატეგორიულად მოითხოვდა ისრაელის დასახლებების მთლიანად დაკონსერვება. ნეთანიაჰუს მთავრობა კი ამას კატეგორიულად არ დაეთანხმა. ამ საკითხზე ისრაელში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ობამას ისრაელის მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები უჭერდა მხარს (3. 592). ეს ორი ქვეყანა ვერც ირანის ატომური იარაღის საკითხზე თანხმდებოდა და უფრო მეტიც, ისრაელს შენიშნებდაც ჰქონდა ვაშინგტონის დამოკიდებულებაზე „არაბული გაზაფხულის“ მიმართ.

პირველი ტერმის დროს ობამამ პირადად სტუმრობის მაგივრად პრემიერ-მინისტრი გაუშვა ისრაელში ურთიერთობის გამოსასწორებლად, რის შემდეგაც ისრაელმა ახალი მშენებლობის გეგმა დაამტკიცა იერუსალიმის მეზობლად. აშშ-მ ეს ქმედება ანტი-ამერიკულ პროვოკაციად აღიქვა. 2012 წლის აშშ-ს არჩევნებისას, ნეთანიაჰუმ ობამას მიმართ ბრაზი, მისი მოწინააღმდეგის მით რომნის მხარდაჭერით გამოხატა. საპასუხოდ, ამ კანდიდატმა ობამა ისრაელთან ურთიერთობის დაძაბვისა და ისრაელში არ ჩასვლისათვის გააკრიტიკა.

მიუხედავად ამისა, 2012 წელს ობამამ მხარი დაუჭირა ისრაელის სამხედრო მოქმედებას ჰამასის წინააღმდეგ, ხოლო პალესტინისათვის არა-სახელმწიფო დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე იმ რამდენიმე მსოფლიოს ლიდერს შორის იყო, ვინც არ დაუჭირა მას მხარი. 2013 წლის მარტში განხორციელებული ობამას ვიზიტი ისრაელში ახალი ფურცლის დასაწყისი იყო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ამჯერად ნეთანიაჰუს მთავრობისათვის მხარ-

დაჭერის გამოცხადება (ისიც ობამას მსგავსად ახალი არჩეული იყო მეორე ვადით) და ისრაელის საზოგადოებასთან უფრო უშუალო კონტაქტის დამყარება. ისრაელისათვის ახალი შეიარაღების მიყიდვასთან დაკავშირებით სახელმწიფო მდივანი კერი რამოდენიმეჯერ იყო ვიზიტით ისრაელში, როგორც პრეზიდენტ ობამასთან ერთად, ასევე დამოუკიდებლად. ექს სახელმწიფო მდივნის – ჰილარი კლინტონისაგან განსხვავებით, კერი პირდაპირ და თანმიმდევრულად აპირებდა ჩართვას სამშვიდობო პროცესში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი ამ შეხვედრების დროს ირანის საკითხი იყო.

ობამამ შესთავაზა ისრაელს სრულიად მინდობოდა აშშ-ს თეირანის ატომური იარაღის მოპოვების თავიდან აცილებაში და სცადა დაერწმუნებინა, რომ სანქციების ამოწურვის შემდეგ იგი ყველაფერს გააკეთებდა რაც საჭიროა, (რაშიც სამხედრო კამპანია იგულისხმებოდა). ამ დროს როგორც ობამას ადმინისტრაციაში ასევე ნეთანიაუს საკოალიციო მთავრობაში ცვლილებები მოხდა. ობამას იმედი გაუჩნდა, რომ ოპორტუნისტები მინისტრების მოსვლასთან ერთად ისრაელის საგარეო პოლიტიკაც შეიცვლებოდა. ობამას ვიზიტი კი იდეალური შესაძლებლობა იყო ორივე მხარისათვის გაეცნოთ ახალი მინისტრები და ობამას ადმინისტრაციისა და ისრაელის ახალი კოალიციური მთავრობის მიმართულებები განეხილათ. ნეთანიაუს სხვა გზა არ ჰქონდა და იგი დათანხმდა ობამას შემოთავაზებას. ამ ვიზიტთან ერთად აშშ-ს პრეზიდენტი ესტუმრა პალესტინის პრეზიდენტსა და იორდანის მეფეს, რითაც მედიატორის როლის შესრულება დაიწყო პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში. მოლაპარაკებები თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა, თუმცა ისევ უშედეგოდ დასრულდა. 2014 წლის დეკემბერში ამერიკამ და ისრაელმა შეიმუშავეს საპასუხო დრაფტი გაეროს რეზოლუციაზე, რომელიც მიზნად ისახავს 2-წლიან განრიგს ისრაელი-პალესტინის სამშვიდობო შეთანხმებაზე. საბოლოოდ კი აშშ-მ პალესტინის რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა, რის შედეგადაც რეზოლუცია არ მიიღეს.

2016 წელს სკანდალური წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ აშშ-ს 45-ე პრეზიდენტი გახდა ნეოკონსერვატორი დონალდ ჯონ ტრამპი, რომელმაც ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს დაანონსა ისრაელში აშშ-ს საელჩოს გადატანა თელ-ავივიდან იერუსალიმში. დასაწყისში ეს მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება ეგონათ, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტრამპმა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო ამ მიმართულებით – 2017 წლის 6 დეკემბერს ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმი ოფიციალურად აღიარა და აშშ-ს საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის პროცედურა დაიწყო. ეს გადაწყვეტილება, მართლაც, უპრეცედენტო იყო.

ისრაელი იერუსალიმს საკუთარ დედაქალაქად 1967 წლიდან თვლის მას შემდეგ, რაც არაბულ ქვეყნებთან (ეგვიპტე, იორდანია, სირია) ექვსდღიანი ომის შედეგად მისი აღმოსავლეთ ნაწილის სამხედრო ოკუპაცია მოახდინა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო და სხვადასხვა სამინისტროები აქ მდებარეობს. 1980 წელს ქნესეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, იერუსალიმის მთლიანი ტერიტორია სამართლებრივად დედაქალაქად გამოცხადდა და ქალაქის ოკუპაცია ანექსიით შეიცვალა.

ისრაელის გადაწყვეტილება საერთაშორისო საზოგადოებამ არ ცნო. იგი 1947 წელს დიდი ბრიტანეთის მიერ ინიცირებულ გაეროს პალესტინის დაყოფის გეგმის ჩანაწერს აღიარებს, სადაც იერუსალიმი საერთაშორისო ზონად არის გამოცხადებული. თავის დროზე ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს იერუსალიმში იუდეველებისა და მუსლიმების დაპირისპირების თავიდან ასარიდებლად. საერთაშორისო ზონა გაეროს ნდობით აღჭურვილ საბჭოს უნდა ემართა, მაგრამ 1967 წლიდან ეს აღარ ხორციელდება. გაერო ისრაელის მიერ იერუსალიმთან დაკავშირებით მიღებულ საკანონმდებლო აქტებს არავალიდურად ცნობს, რომლებსაც არ შეუძლიათ ქალაქის სტატუსის შეცვლა. ისრაელსა და პალესტინას შორის პირველ სამშვიდობო შეთანხმებისას – 1993 წლის ოსლოს ხელშეკრულების დადებისას – იერუსალიმის სტატუსი კვლავ სადავო დარჩა.

იერუსალიმში მდებარეობს სამი ყველაზე დიდი მონოთეისტური რელიგიის წმინდა ადგილები: იუდეველებისთვის გოდების კედელი, მუსლიმებისთვის ალ-აქსას მეჩეთი, რომელიც მექასა და

მედინას შემდეგ პირველია წმინდა ადგილებს შორის და ქრისტიანებისთვის ქრისტეს აღდგომის ტაძარი. 1994 წელს ისრაელსა და იორდანისას შორის გაფორმებული სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით, იერუსალიმში მუსლიმური და ქრისტიანული ტაძრების მცველი იორდანიაა. 2013 წელს იორდანის ამ სტატუსის ვერბალური მხარდაჭერა პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმაც გამოხატა. მსოფლიოს ქვეყნებს, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოს ცნობენ, საკუთარი საელჩო იერუსალიმის ნაცვლად თელ-ავივში აქვთ განთავსებული. 1995 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო აქტი, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის საკუთარი საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში ოთხი წლის შემდგომ, 1999 წლისთვის, უნდა გადაეტანა. მაგრამ აქტი იყო ჩანაწერი, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღების ექვსი თვით გადავადებას ითვალისწინებდა (4). მას შემდეგ მოყოლებული აშშ-ის ვერცერთმა პრეზიდენტმა ტრამპამდე ამ გადაწყვეტილების ხმამაღლა გახმოვანება ვერ გაბედა.

„ისრაელი სუვერენული სახელმწიფოა და როგორც ყველა დამოუკიდებელ ქვეყანას მასაც აქვს უფლება ჰქონდეს დედაქალაქი“, – განაცხადა პრეზიდენტმა ტრამპმა და ყველა პარტიის მისი გადაწყვეტილების მხარდაჭერისკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაფინანსების შეწყვეტით დაიმუქრა. რა თქმა უნდა, ამ განცხადებას უკმაყოფილებით შეხვდა ოფიციალური პალესტინა. პალესტინის ორივე წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ ფათჰიმ და ჰამასმა მოსახლეობას ახალი ინტიფადისკენ მოუწოდა (ინტიფადა პალესტინელების ისრაელის ოკუპაციის მიმართ დამოურჩილებლობის და წინააღმდეგობის სახალხო მოძრაობებია. პირველი ინტიფადა 1987, ხოლო მეორე 2000 წელს დაიწყო, რომელთაც რამდენიმე ათასი პალესტინელის და ასეულობის ებრაელის სიცოცხლე ემსხვერპლა). მართლაც, მრავალრიცხოვანი გაფიცვები მოეწყო პალესტინური ქალაქის სხვადასხვა ქუჩებში. აშშ-ის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას იორდანის მეფე აბდულა, ეგვიპტის პრეზიდენტი აბდელ ფატა ალ-სისი, ერაყის პრემიერი ჰაიდარ ალ-აბადი, საუდის არაბეთის მეფე სალმანმი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ტაიპ ერდოღანიც შეენიანაღმდეგენ. ამ უკანასკნელის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 2017 წლის 16 დეკემბერს სტამბოლის საგანგებო კონგრესზე შეიკრიბა ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები და პირველად ერთსულოვნად სოლიდარობა გამოუცხადეს რა პალესტინას, იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებელი ტრამპის გადაწყვეტილება ბათილად სცნეს, ხოლო მისი წინააღმდეგოდ ხმების დიდი უმრავლესობით აღმოსავლეთ იერუსალიმის პალესტინის დედაქალაქად აღიარების რეზოლუცია მიიღეს, რომელიც შემდეგ გაეროს გენერალურ სესიაზეც ხმის უმრავლესობით იქნა მიღებული. ამით ისლამური სამყარო უძრაობის და უმოქმედობის პერიოდიდან პირველად გამოვიდა და 200 წლიანი დუმის შემდეგ მკაცრად დაუპირისპირდა ამერიკა-ისრაელის ტანდემს. მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის წინ ვაშინგტონი თითის ქნევით დაიმუქრა, მისი მხარე მხოლოდ ათიოდე ქვეყანამ დაიკავა, დანარჩენებმა მის წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო იმ მითოლოგიური და ფსიქოლოგიური ბარიერის გადაკვეთა, რომლითაც ვითომც და მუსულმანებს არ შეეძლოთ აშშ-სა და ისრაელის წინაშე ერთიანი გამოსვლა და დაპირისპირება.

თუმცაღა საპირისპირო შეხედულებებიც არსებობს. ანალიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ არაბული სამყაროს მუქარა, ვერ შეუქმნის ტრამპს პრობლემებს, რადგან სრულდება პერიოდი, როდესაც არაბულ სამყაროს ამერიკის დაშანტაჟება ენერგორესურსებით შეეძლო. ამერიკას აქვს საკუთარი რეზერვები, 10-15 წელიწადში იგი ნავთობსა თუ გაზს ალტერნატიული წყაროებით სრულად ჩაანაცვლებს. მათი აზრით, იერუსალიმის დედაქალაქად აღიარების შემდეგ ისრაელსა და პალესტინას შორის, მართალია, მოლაპარაკებების ძაფი გაწყდა, მაგრამ შეიძლება მოხდეს პირიქით – ამ პროცესმა ხელს შეუწყობს ყინულის დაძვრას (5).

ტრამპის გადაწყვეტილების გამო შეშფოთება გამოხატა რუსეთმაც, რომელმაც „ადრე ისრაელის დედაქალაქად დასავლეთ იერუსალიმი და აღმოსავლეთ იერუსალიმი პალესტინის დედაქალაქად აღიარა“ (6).

რაც ყველაზე მთავარია, ტრამპის გადანყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ევროკავშირისა და გაეროსათვისაც. ტრამპის გადანყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს ევროკავშირის პირველმა დიპლომატმა **ფედერიკა მოგერინიმ**, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **ტერეზა მეიმ** და გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა**.

„ჩვენ გვჯერა, რომ ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტს ერთადერთი რეალისტური გადანყვეტა ეფუძნება ორ ქვეყანას და იერუსალიმს, როგორც ორივე მხარის დედაქალაქს,» – განაცხადა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა **ფედერიკა მოგერინიმ** (7).

**გაერომ** კი უშიშროების საბჭოს სხდომა მოინვია იერუსალიმის სტატუსის შესახებ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს, მან იპოვა გამოსავალი და გაეროს რეზოლუციის კენჭისყრაზე არ გამოცხადდა. მისი გადანყვეტილება განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ იგი მოერიდა აშშ-ს განაწყენებას, რადგან აშშ საქართველოს ყველაზე ერთგული მოკავშირეა, რაც არაერთხელ გამოჩნდა კრიტიკულ მომენტებში.

ტრამპის განცხადებამდე ერთი თვით ადრე თეთრი სახლის ადმინისტრაციასა და პალესტინის ხელისუფლებას შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ჯერ კიდევ სექტემბერში მაჰმუდ აბასმა გაეროში სიტყვით გამოსვლისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს **მოუწოდდა** ისრაელის ლიდერების პალესტინელი ხალხისთვის მიყენებული ზარალის გამო მათზე გამოძიება დაენყო. ამ წინადადების გაჟღერების სანაცვლოდ აშშ-მ გადანყვიტა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის (PLO) აშშ-ის ოფისისთვის მანდატი აღარ გაეხანგრძლივებინა. აბასმა საპასუხოდ, ორგანიზაციის წევრებს ამერიკულ ხელისუფლებასთან ყოველგვარი კონტაქტი აუკრძალა. უკვე ნოემბერში მაჰმუდ აბასმა ჯარედ კუშნერთან, რომელიც გარდა იმისა, რომ არის ტრამპის სიძე, იყო ასევე სამშვიდობო პროცესის მოდერატორი, სატელეფონო საუბარზე უარი განაცხადა. გარდა ამისა, ზოგიერთი ამერიკელი და ებრაელი ანალიტიკოსის მოსაზრებით, დონალდ ტრამპის მიერ ამგვარი გადანყვეტილების მიღება შიდაპოლიტიკური მიზეზებითაც იყო განპირობებული. საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის სავარაუდო ჩარევის საკითხებთან დაკავშირებით ტრამპს ვაშინგტონში პოზიციების გამყარება ესაჭიროებოდა, ამიტომ იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადებით იგი ცდილობდა ებრაული ლობის და ისრაელის ამერიკელ მხარდაჭერთა გულის მოგებას.

როგორც ცნობილია, ამერიკაში ებრაული ლობი განსაკუთრებით ძლიერი და გავლენიანია. იგი უკვე დიდი ხანია ცნობადი ბრენდი გახდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ებრაული ლობი ერთიანი ორგანიზაცია კი არ არის. იგი უფრო ცალკეული გაერთიანებების კოალიციაა (როგორც ებრაულის, ასევე ქრისტიანულისაც), რომლის მთავარი მიზანი ისრაელის ინტერესების დაცვაა ამერიკაში. ისრაელის მოხელეები აქტიურად აკვირდებიან აშშ-ს ქმედებებს და კონსულტაციებს გადიან აშშ-სთან, რათა გავლენა მოახდინონ ამერიკის რეგიონალურ საკითხებში ჩართულობის მომავალ ბუნებასა და ხედვაზე. სხვადასხვა მეცნიერები კითხვაზე, თუ რატომ უყვარს ასე ძალიან აშშ-ს ისრაელი და ასე რატომ ეხმარებიან წლების განმავლობაში, პასუხად სწორედ ლობისტების აქტიურობას ასახელებენ. მაგალითისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები – ჯონ მერშაიმერი და სტივენ უოლტი ნიგნში: „ისრაელის ლობი და აშშ-ს საგარეო პოლიტიკა“ (9) საუბრობენ გავლენაზე, რომელსაც ახდენენ ამერიკა – ისრაელის საზოგადოებრივ საქმეთა საბჭო და ებრაული წარმომავლობის ამერიკელები აშშ-ს მიერ ისრაელის მხარდაჭერისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გატარებულ პოლიტიკაზე. მეცნიერთა აზრით, აშშ-ს მიერ თითქმის უპირობო მხარდაჭერა ისრაელის მიმართ განპირობებულია პოლიტიკური ძალაუფლებით, რომელსაც ფლობს ისრაელის ლობი – იმ ჯგუფებისა და პირების კოალიცია, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ისრაელის სასარგებლოდ სხვადასხვა არხებით: საარჩევნო კამპანიების დონორი ებრაული წარმომადგენლების, ამომრჩეველთა გაერთიანებების, საგარეო პოლიტიკის სფეროში მაღალ თანამდებობაზე მომუშავე ისრაელის მხარდამჭერების საშუალებითა თუ კონგრესში ლობირებით.

ამერიკაში მოქმედი ყველაზე გავლენიანი ლობისტური ორგანიზაციაა საზოგადოებრივი კავშირების ამერიკულ-ებრაული კომიტეტი – AIPAC. კონგრესმენები, სენატორები, ადმინისტრაციის მინისტრები, ვიცე-პრეზიდენტები და პრეზიდენტებიც კი პატივად მიიჩნევენ მის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ღონისძიებებზე დასწრებას. AIPAC-ის ვებ-გვერდი საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას აწვდის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ და სტუმრებს ისრაელის მხარდაჭერისკენ აქტიურად მოუწოდებს. ასე რომ, შესაძლებლობები ლობისტებს, მართლაც, შთამბეჭდავი აქვთ. ჯერ კიდევ კანდიდატთა ნამოყენების ეტაპზე თითქმის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე, ლობისტები გამოარჩევენ იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავენ და იზიარებენ მათ შეხედულებებს ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. რჩეულებს ლობისტები აკურატულად ეხმარებიან, აცნობენ მათ გულუხვ დონორებს, რომლებიც საარჩევნო კამპანიებს დაუფინანსებთ, ყურნალისტებს, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის შესახებ მომგებიან ქრილში მოყვნენ ამბავი და პოლიტოლოგებს, რომლებსაც აუცილებლობის შემთხვევაში საქმიანი რჩევის მიცემა შეუძლიათ.

ამავე დროს, სისტემა რევერსული რეჟიმითაც მოქმედებს. ადამიანი, რომელსაც ისრაელთან მიმართებაში „არასწორ“ აზროვნებაში გამოიჭერენ, ლობის დიდი მონდომებით, მოულოდნელ სირთულეებს გადაწყდება. მაგალისთვისთვის, არჩევნებზე მისი მეტოქე სრულიად მოულოდნელად მიიღებს მსხვილ შემონირულობას ან გავლენიანი გაზეთი მასზე რაიმე უსიამოვნო ისტორიას მოიძიებს. ამ კომიტეტთან და კომპანიასთან კამათი ყველაზე პოპულარული კონგრესმენებისა და სენატორებისთვისაც კი არასასურველია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ოლქში ებრაელები არ ცხოვრობენ. ადამიანი, რომელიც ლობისტებს დაუპირისპირდება, კონგრესში თითქმის მომენტალურად გადაიქცევა პერსონა ნონ გრატად. სხვა პარლამენტარები ისე შეეცდებიან მისთვის თავის არიდებას, თითქოს კეთროვანი იყოს, მის კანონ-პროექტებს მიღების შანსი არ ექნება და პარლამენტში მისი ყოფნა სრულიად უსარგებლო გახდება. თავისი ამომრჩევლისთვის ის უკვე ველარაფრის გაკეთებას შეძლებს, რაც მას არჩევნებში ხელმეორედ გამარჯვების შანსს მოუსპობს. ამავე დროს, ყოველთვის გამოიძენება კონგრესში მოხვედრის სხვა პრეტენდენტი, რომლისთვისაც ისრაელზე ზრუნვა ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭირვეული დეპუტატებისა და ჩინოვნიკების სამაგალითო დასჯის შემთხვევები არც ისე ბევრია.

ლობისტები არა მხოლოდ ვაშინგტონის ელიტასთან მუშაობენ გულმოდგინედ, არამედ ბეჯითად ზრუნავენ იმაზეც, რომ რიგით ამერიკელებს ისრაელზე კარგი წარმოდგენა ჰქონდეთ. აშშ-ში არსებობს „უთვალავი“ ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურად იმისთვის შეიქმნა, რომ ადგილობრივ მედიას გაუწიოს მონიტორინგი და მათგან არაბულ-ებრაული კონფლიქტის და საერთოდაც საერთაშორისო საქმეების ობიექტურად გაშუქება მოითხოვოს. მათი მიზანია, რომ ისრაელმა, მისმა ხელმძღვანელობამ, შეიარაღებულმა ძალებმა და სპეცსამსახურებმა რიგით მკითხველებსა თუ მაყურებლებში ანტიპატია და გალიზიანება არ გამოიწვიონ.

დაახლოებით ასეთივე სქემა მოქმედებს აკადემიურ სფეროშიც. უნივერსიტეტების კამპუსებში ისრაელის მხარდაჭერი ჯგუფები არსებობს, რომლებიც ცდილობენ, სტუდენტებს ამ ქვეყნის შესახებ დადებითი შთაბეჭდილება შეუქმნან, სტუდენტები ხომ მომავალი სპეციალისტები არიან. მეცნიერებს, რომლებიც ვაშინგტონის მიერ იერუსალიმის უპირობო მხარდაჭერას ეჭვქვეშ აყენებენ, ობსტრუქციის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, რაც მათ სერიოზული პროფესიონალის რეპუტაციის სამუდამოდ დაკარგვამდე მიიყვანს.

ებრაული ლობის მიერ გამოჩენილი ძალისხმევის შედეგად, ამერიკული საზოგადოება საკმაოდ დადებითად არის განწყობილი ისრაელის მიმართ. ასეთ ვითარებაში პოლიტიკოსის გამოჩენა, რომელსაც ისრაელის საწინააღმდეგო იდეები ექნება, რთული წარმოსადგენია. ბარაკ ობამას შემთხვევაში, ობამამ „გადატვირთვის პოლიტიკიდან“ გამომდინარე, ჩათვალა, რომ მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობების დათბობის მიზნით, უფრო რელევანტური იყო მათთვის „პატარა თავლაკვერის“ მიცემა და „მოლტისგან“ თავის შეკავება. ამიტომ დაპირისპირება ებრაულ ლობსა

და ადმინისტრაციას შორის გარდუვალი იყო და მოხდა კიდევ ირანის საკითხზე ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. სანამ ობამა და ებრაული ლობი თეირანთან მიმართებაში ერთ აზრზე იდგნენ, ისინი მეგობრულად მუშაობდნენ სანქციების გაძლიერებაზე; მაგრამ მოგვიანებით, როცა აშშ-ს პრეზიდენტმა შესაძლებლად მიიჩნია თეირანთან მოლაპარაკება, რათა საშუალება ჰქონოდა, რომ მისი ბირთვული პროგრამა მკაცრი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მოექცია და ირანი ცივილიზებული ქვეყნების რიცხვში დაებრუნებინა, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. (9) ერთმანეთს პრეზიდენტი ობამა და ებრაული ლობი დაუპირისპირდა განსაკუთრებით ისრაელის საკითხთან დაკავშირებით, რაც ამერიკელ და ქართველ ექსპერტთა ნაწილის აზრით, ბარაკ ობამას ტაქტიკის შეცვლის ერთ-ერთ მიზეზი გახდა. მათი აზრით, პრეზიდენტზე მისი განცხადების შემდეგ, რომ „თუკი ისრაელი 1967 წლის საზღვრებს არ დაუბრუნდება, პალესტინაში მშვიდობა ვერ დამყარდება“, განხორციელდა წარმოუდგენლად დიდი ზენოლა აშშ-ში ისრაელის ლობისტების მხრიდან, რომლებიც დაიმუქრნენ, რომ აღარ დააფინანსებდნენ ობამას მომავალ საარჩევნო კამპანიას, თუკი იგი თავისი განცხადების დეჟავუირებას არ მოახდენდა. ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ გადაჭრით განაცხადა უარი, განეხილა 1967 წლის საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები. ობამა იძულებული გახდა უკან წაეღო თავისი სიტყვები და ახსნა-განმარტება მიეცა შეერთებულ შტატებში მოქმედი უმძლავრესი ებრაული სტრუქტურის – AIPAC-ისათვის. მან მთელი 180 გრადუსით შემოაბრუნა თავისივე სიტყვები და განაცხადა: „ისრაელი და პალესტინელები მოლაპარაკებებს განახორციელებენ სხვა საზღვრების საფუძველზე, ვიდრე 1967 წელს არსებობდა. ეს ცნობილი ფორმულირებაა, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს, მხედველობაში იქნას მიღებული ბოლო 44 წლის მანძილზე მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებები“... ასეთი წარმატებული ზენოლა პრეზიდენტზე ამერიკის ისრაული ლობისტების მხრიდან პირველად არ მომხდარა (10). გვინდა აღვნიშნოთ, რომ აშშ-ს მომქმედი პრეზიდენტიც საკმაოდ დაახლოებულია ებრაულ ლობთან. მისი სიძე კუშნერი, ეროვნებით ებრაელია, მისმა ქალიშვილმა ივანკა ტრამპმა, იუდაიზმი მიიღო და ებრაული ტრადიციებით მოინათლა. ორივე მათგანს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოსტები უკავია და აქტიურად მონაწილეობენ აშშ-ს პოლიტიკაში. დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი ებრაული კაპიტალია ჩადებული იმ ამერიკელი ებრალების მხრიდან, რომელთაც პალესტინის მიმართ რადიკალური დამოკიდებულება აქვთ.

ამგვარად, აშშ-სა და ისრაელს შორის თანამედროვე ურთიერთობები ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს, რელიგიურ აღმსარებლობასა და უშიშროების საკითხებს, ეს ორმხრივი ინტერესი მისი სიმყარისა და შეუქცევადობის გარანტიაა.

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყანაა სამხედრო თვალსაზრისით და ამასთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი. მას ჰყავს მტერი – ისლამური სახელმწიფო და წლების განმავლობაში ჰქონდა კონფლიქტები სხვადასხვა მუსულმანურ სახელმწიფოებთან. ეს ყველაფერი კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ისრაელთან ურთიერთობისათვის, რომლის მთავარი პრობლემა უშიშროებისა და სტატუსის საკითხებია საერთაშორისო ასპარეზზე. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ დაარსების დღიდანვე იგი პერმანენტურ ომში იმყოფება პალესტინელებთან და ამასთანავე, ერთი მუსულმანური დაჯგუფების მოწინააღმდეგეობა პირდაპირ ნიშნავს სხვა მუსულმანურ ქვეყნებთან თუ ომს და სამხედრო კონფლიქტს არა, დაპირისპირებას მაინც, ნათელი გახდება რომ ისრაელისთვის, როგორც სხვა არცერთი სახელმწიფოსათვის, ყველაზე პრიორიტეტული გადარჩენაა და მის ზურგს უკან ისეთი ძლიერი მოთამაშე, როგორცაა აშშ, ძალიან ბევრს ნიშნავს. ამიტომაც ისრაელი ყოველთვის ამერიკის ერთგული მოკავშირე იყო, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, რომლებიც ამერიკისგან ფინანსურ დახმარებას წლების განმავლობაში იღებენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ამერიკას ერთგულებით არ პასუხობდნენ. აშშ-სათვის კი ისრაელისა და ამერიკის მჭიდრო კავშირი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის გავლენის მტკიცედ დაბრუნებას ნიშნავს. •ამიტომაც აშშ-ს პრეზიდენ-

ტები ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ისრაელთან.

ამ ურთიერთობაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს განსაკუთრებული როლი ენიჭება ებრაულ ლობს, თუმცაღა ვფიქრობთ, არც მისი როლის გადაჭარბებული შეფასებაა სწორი, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ებრაული ლობის გარდა ამერიკის მხრიდან ისრაელის მხარდაჭერის პოლიტიკა ეყრდნობა არანაკლებ მნიშვნელოვან არგუმენტს – აშშ-ს სახელმწიფო ინტერესს ამ რეგიონში, რომელიც განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორით, როგორცაა ანტიამერიკული განწყობის რეგიონში ისრაელის, როგორც ერთადერთი დემოკრატიული სახელმწიფოს და როგორც სანდო მოკავშირის ყოლის შედეგად მიღებული გეოსტრატეგიული სარგებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბ., 2017.
2. <http://intermedia.ge/%E1%83%A1%>.
3. ბ. ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბ., 2015.
4. შ.თხეღელიძე, იერუსალიმის წყევლა, <https://1tv.ge/analytics/ierusalimis-wyvela/>
5. რ. შელია, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2017 წლის 25 დეკემბერი.
6. დ. მუსელიანი, [www.accentnews.ge/ge/news/details/43823](http://www.accentnews.ge/ge/news/details/43823).
7. შ. თხეღელიძე, იერუსალიმის წყევლა, 2017, <https://1tv.ge/analytics/ierusalimis-wyvela/>
8. John J. Meajsheimer and Stephen M. Walt, *The Israel Lobby and U.S. Foreign Policy* (New York: Farrar, Straus and Ciroux, 2007).
9. ბრაკ ობამა Vშ სიონისტური ორდენი, 10 ნოემბერი, 2013. [24blog.ge/weekend/story/41174-barak-obama-vs-sionisturi-ordeni](http://24blog.ge/weekend/story/41174-barak-obama-vs-sionisturi-ordeni)
10. ებრაელი ტროცკისტები და ფაშიზმის გამართლება, პოლიტფორუმი, ევრაზიის ინსტიტუტის საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი, <http://politforumi.com/geo/944/ebraeli-trockistebi-da-fashizmis-gamartleba.html#>

ქეთი ჯიჯეიშვილი

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის პროფესორი

პაპუნა მაჩაიძე

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის დოქტორანტი

## პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციონირების ანალიზი გერმანიასა და საქართველოში

### ანოტაცია

წარმოდგენილ სტატიაში „პრეზიდენტთა არჩევის წესის თავისებურებანი გერმანიასა და საქართველოში“ ავტორებმა: ქ. ჯიჯეიშვილმა და პ. მაჩაიძემ დაწვრილებით განიხილეს გერმანიისა და საქართველოს პრეზიდენტთა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მსგავსებისა და განსხვავებების საკითხები; გაანალიზეს ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტების მსგავსი შეზღუდული და ფორმალური ფუნქციების ქონის შემთხვევაში, მათი განსხვავებული როლი და გავლენა საგარეო პოლიტიკურ პროცესებზე; მისცეს ამ პროცესებს პოლიტიკური შეფასება, ერთი მხრივ, გერმანიის საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირების საკმაოდ დიდი გამოცდილების (პირველი ბუნდესპრეზიდენტი თეოდორ ჰოისი იქნა არჩეული 1949 წელს) და, მეორე მხრივ, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის, მათდამი ნაკლები პოლიტიკური ნდობის, ერთპალატიანი პარლამენტის არსებობისა და სახელისუფლო პარტიის სიძლიერის გათვალისწინებით. დასარულს, შეეცადნენ გამოეკვეთათ ის დილემები, რომლებსაც საქართველოს პოლიტიკური სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ჩამოეყალიბებინათ საკუთარი ხედვები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების და განმტკიცების სტადიაში მყოფი ქართული დემოკრატიის პირობებში გერმანული მოდელის კოპირების საფრთხეების შესახებ.





**Keti Jijeishvili**

*Professor of The Faculty of Law and International Relations of  
Georgian Technical University*

**Papuna Machaidze**

*PhD Student of The Faculty of Law and International Relations of  
Georgian Technical University*

## **COMPARATIVE ANALYSIS OF PRESIDENTIAL INSTITUTE IN GERMANY AND GEORGIA**

### **Abstract**

In the article, „Comparative Analysis of Presidential Institute in Germany and Georgia“, the authors, Jijeishvili K. and Machaidze P. discuss in detail the similarities and differences of the functions and responsibilities of the Presidents in both countries. The authors provide an analysis of different roles performed by the Presidents and diverse influence they can have on a course of foreign policy in the case of exercising the similar limited and formal functions/powers. While evaluating these political processes, the authors have considered a long history of functioning of Germany’s presidential institution (*Theodor Heuss* was the first president elected to the German Bundestag in 1949) and Georgia’s context, (in particular, the country’s unicameral parliament, a considerable power of the ruling parties, weak democratic institutions and a lack of political trust towards these institutions). In the end, the authors highlight the challenging issues existing on a Georgian political agenda which have remained unresolved due to the peculiarities of Georgian political system. Considering that Georgia is still in a process of a democratic consolidation, the authors also voice their positions on a threat of copying the German model in Georgia’s context.

## პრეზიდენტის ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი გერმანიასა და საქართველოში

საქართველოში გახორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი ძირითადად მორგებულია გერმანულ მოდელზე, მაგრამ ჩვენი რეალობისაგან განსხვავებით გერმანიის პრეზიდენტს სხვადასხვა ფორმით საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ დაწვრილებით გაგვეანალიზებინა გერმანიისა და საქართველოს პრეზიდენტთა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მსგავსებანი და განსხვავებანი; ამასთანავე გამოგვეკვეთა და შეგვეფასებინა ის დილემები და გამოწვევები, რომლებსაც საქართველოს პოლიტიკური სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გერმანიაშიც, ისევე როგორც ჩვენთან, პრეზიდენტის ფუნქციები ძირითადად, ფორმალურია და საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ძალაუფლება მათ არ გააჩნია, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი რეალობისაგან განსხვავებით გერმანიის პრეზიდენტს საჯარო სივრცეში ღია დისკუსიის წამოწყების გზით საზოგადოებრივი პროცესების გააქტიურება და, შესაბამისად, საგარეო პოლიტიკაში გარკვეული კორექტირების შეტანა შეუძლია, რადგანაც მათ საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირების საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ – პირველი ბუნდესპრეზიდენტი თეოდორ ჰოისი იქნა არჩეული 1949 წელს. კანონმორჩილი გერმანელები პატივს სცემენ პრეზიდენტის ინსტიტუტს, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის ევროპულ ღირებულებებზე. გერმანელები, ერთი მხრივ, პატივს სცემენ პრეზიდენტის ინსტიტუტს და პრეზიდენტის პოლიტიკურ მესიჯებზე ხშირ შემთხვევაში აკეთებენ სწორებას, მაგრამ, მეორე მხრივ, პრეზიდენტს არ პატიობენ კანონგადაცდენას, როგორც ვულფის შემთხვევაში მოხდა, და ეროვნული ღირსების შელახვას, როგორც ეს ჩათვალეს კოლერის დროს. გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველო ჯერჯერობით, კისინჯერის პერიფრაზას თუ მოვახდენთ, ის ქვეყანაა, სადაც აპატიმრებენ და პასუხს თხოვენ მხოლოდ პოსტის დატოვების შემდეგ.

გერმანიის მეცხრე ბუნდესპრეზიდენტს ჰორსტ კოლერს, თანამდებობის დატოვება საკამათო კომენტარის გამო მოუხდა, რომელიც ავღანეთში გერმანული არმიის (ბუნდესვერის) როლს ეხებოდა. ავღანეთში ვიზიტის შემდეგ მან გააკეთა განცხადება, რომლითაც გამოკვეთა არმიის როლი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვაში. მისი თქმით, გერმანიის სამხედრო მისიები საზღვარგარეთ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს იცავდა. გერმანიის ერთ-ერთი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში კელერმა თქვა, რომ ექსპორტზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის, როგორც გერმანიაა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ზოგჯერ აუცილებელია შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გაგზავნა. ქვეყნის ინტერესების მაგალითად მან თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა დაასახელა. პრეზიდენტის მილიტარისტული განცხადება გერმანიაში აღიქვეს როგორც მოწოდება ბიზნეს ინტერესების მხარდაჭერისთვის ომში ჩართვისაკენ, რომელმაც ქვეყნის მემარცხენე ძალებში პროტესტი გამოიწვია. კელერი აგრესიული დიპლომატიის პროპაგანდაში დაადანაშაულეს. გასათვალისწინებელია, რომ მმართველი პარტიების არც ერთი წარმომადგენელი არ გამოექომაგა პრეზიდენტს. თვით ანგელა მერკელსაც კი, რომელიც კელერის მოკავშირედ მოიაზრებოდა, ამ განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

პრეზიდენტის პრესმდივნის თქმით, კელერის განცხადება არასწორად გაიგეს. თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერაში ის გულისხმობდა აფრიკის რქის ნახევარკუნძულთან ჩასატარებელ სამხედრო ოპერაციას სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ და არა ავღანეთის ომს. გერმანიის

კანცლერის, ანგელა მერკელის განცხადებით, მისთვის პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა და მცდელობის მიუხედავად ვერ გადააფიქრებინა პოსტის დატოვება (1).

კრისტიან ვულფის, გერმანიის მეათე ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის, თანამდებობაზე ყოფნის ვადა ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ მალე გაპრეზიდენტებიდან ვულფი ერთდროულად რამოდენიმე სკანდალში აღმოჩნდა გარეული. 2011 წლის ზაფხულში იგი ცდილობდა აეძულებინა ერთ-ერთი გაზეთი არ გამოექვეყნებინა სტატია, რომელიც ეხებოდა პრეზიდენტის ბავშვობას და მის ურთიერთობას საკუთარ დასთან. გაზეთის რედაქცია ირწმუნება, რომ სტატიის ავტორი დაიბარეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, იქ კი მას პირადად პრეზიდენტმა უთხრა, რომ სტატიის გამოქვეყნებას ავტორისთვის და გაზეთისთვის არასასიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა. აღნიშნულის მიუხედავად სტატია გამოქვეყნდა. გერმანიის მეორე პოპულარული გაზეთის *ბილდ-ის* რედაქციამაც დაადასტურა, რომ კრისტიან ვულფი შეეცადა გაზეთისთვის ხელი შეეშალა პუბლიკაციის გამოქვეყნებაში. ამჯერად ლაპარაკი იყო 2008 წელს ვულფის მიერ ნაცნობი ბიზნესმენის მეუღლისგან 500 000 ევროს ოდენობის შეღავათიანი კრედიტის მიღებაზე (2008-ში ვულფი ქვემო საქსონიის მთავრობის მეთაური იყო). თან დამატებით დეკემბრის შუა რიცხვებში გაზეთის მთავარ რედაქტორს თითქოსდა პირადად პრეზიდენტმა გაუგზავნა შეტყობინება, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში *ბილდ-ის* წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავდა (2). ბოლო სკანდალი ეხებოდა ქვედა საქსონიის პრემიერობის დროს ძალაუფლების გადამეტებასა და ადგილობრივ ბიზნესმენებთან შეუფერებელ კავშირებს. გამომძიებლებმა ბუნდესტაგს კორუფციული ბრალდებების გამო მისი იმუნიტეტის შეჩერება მოსთხოვა. გერმანულ მედიაში მის პატივსაცემად ნეოლოგიზმიც გაჩნდა, რომელიც აშკარა ტყუილის თქმის გარეშე არაპირდაპირობას აღნიშნავდა. სამარცხვინო დასასრულის გარდა, კრისტიან ვულფის პრეზიდენტობა ღირსშესანიშნავი იქნება მისი განცხადებით. პოლიტიკოსმა თქვა, ისლამი ქრისტიანობასთან და იუდაიზმთან ერთად გერმანიის ნაწილიაო. ამით ვულფმა მულტიკულტურალიზმის მომხრეთა სიმპათიები და კონსერვატორთა რისხვა დაიმსახურა. საბოლოოდ იგი კორუფციული სკანდალის გამო გადადგა.

მეთერთმეტე პრეზიდენტი, ყოფილი დისიდენტი, პროტესტანტი პასტორი და ადამიანის უფლებების აქტივისტი იოაჰიმ გაუკი, ერთ-ერთი თვალსაჩინო პირი იყო მშვიდობიან საპროტესტო მოძრაობაში, რომელმაც ბერლინის კედლის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ გაუკი ფედერალურ სააგენტოს ჩაუდგა სათავეში. ეს უწყება აღმოსავლეთ გერმანიის სადაზვერვო სამსახურის არქივების კვლევას შეუდგა. მან ძველი რეჟიმის წარსული დანაშაულების გამოაშკარავებით სამართლიანობისთვის მეზობლის რეპუტაცია მოიპოვა. იოაჰიმ გაუკი ცნობილია თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით რუსეთის ხელისუფლებისადმი. 2012 წელს პრეზიდენტად არჩევის შემდგომ ის ოფიციალური ვიზიტით ერთხელაც არ წვევია რუსეთის ფედერაციას, 2012 წლის ივნისში ვლადიმერ პუტინთან დაგეგმილი შეხვედრა კი გადატვირთული გრაფიკის მოტივით ჩაშალა. იგი პროტესტის ნიშნად არც სოჭის ზამთრის ოლიმპიადას არ დაესწრო რუსეთში 2014 წელის თებერვალში. *მისი ბიოკოტის მიზეზი იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა და ოპოზიციის შევიწროვება. გერმანიის პრეზიდენტის პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთში რამდენიმე თვის წინ მიღებული კანონიცაა, რომელიც „ჰომოსექსუალობის პროპაგანდას“ კრძალავს. გაუკი თავის წიგნში უმთავრეს პოლიტიკურ ფასეულობად თავისუფლებას აღიარებს. იგი იცავს კაპიტალიზმს, როგორც სისტემას, რომელსაც საკუთარი შეცდომების გამოსწორება შეუძლია. ანტიკაპიტალისტებს პოლიტიკოსი რომანტიკოსებს უწოდებს. მერკელს გაუკთან პირადი მეგობრობა*

და კომუნისტურ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილება აკავშირებს, ასე რომ, იოაჰიმ გაუკის პრეზიდენტობისას, გერმანიის გაერთიანებიდან 21-ე წლისთავზე, ქვეყნის ორ მთავარ თანამდებობაზე აღმოსავლეთ გერმანელები იყვნენ. მოვლენათა ამგვარ განვითარებას, სახელმწიფო ტელევიზიამ „პოლიტიკური სასწაული“ უწოდა (3).

იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ გერმანიის პრეზიდენტებს, თანამედროვე ქართული რეალობისაგან განსხვავებით, საკუთარი მოსაზრების საჯაროდ გამოხატვით თავისი წვლილი შეაქვთ პოლიტიკურ პროცესში, შეიძლება მოვიყვანოთ პრეზიდენტი იოაჰიმ გაუკის მიერ სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებისგან თავშეკავება, რითიც მან თავისი პოლიტიკური პოზიცია დააფიქსირა. ასევე ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ მიუნხენის ფაქტის დასადასტურებლად, რომ გერმანიის პრეზიდენტებს, თანამედროვე ქართული რეალობისაგან განსხვავებით, საკუთარი მოსაზრების საჯაროდ გამოხატვით თავისი წვლილი შეაქვთ პოლიტიკურ პროცესში, შეიძლება მოვიყვანოთ პრეზიდენტი იოაჰიმ გაუკის მიერ სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებისგან თავშეკავება, რითაც მან თავისი პოლიტიკური პოზიცია დააფიქსირა. ასევე ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე მისი გამოსვლა, რომელშიც გაუკმა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საყრდენი პრინციპის გადახედვის საკითხი წამოჭრა. პრეზიდენტი შეეხო სამხედრო ოპერაციებისა და უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებით გერმანიის უკიდურესად ფრთხილ მიდგომას, რომელსაც ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე „სამხედრო თავშეკავებულობის კულტურას“ უწოდებდა. მისი მთავარი გზავნილი გერმანული პოლიტიკური ელიტისადმი ის იყო, რომ დროა გერმანია საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ახალი, დამოუკიდებელი, ძლიერი მოთამაშის როლში გამოვიდეს. იოაჰიმ გაუკის მიმართვა, რომელსაც Wall Street Journal-მა „ადამიანი ობობას დოქტრინა“ უწოდა (4).

მოკლედ, მართლაც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს, – „დიდი ძალა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს“. გერმანიის პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ მისმა ქვეყანამ მიიღო სარგებელი გლობალური ეკონომიკური სისტემიდან, ევროპული ინტეგრაციიდან, აშშ-ის უშიშროების ქოლგიდან და ახლა გერმანია მზად უნდა იყოს უშიშროების გარანტირებისთვის, რომლითაც ათწლეულობის განმავლობაში თავად სარგებლობდა. გერმანიის პრეზიდენტმა ისაუბრა უშიშროების საკითხებისადმი გერმანული საზოგადოების ტრადიციულ, ფრთხილ დამოკიდებულებაზეც და აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანული პაციფიზმი პასიურობის ფარად ან ქვეყნის მსოფლიო პროცესებიდან გამოთიშვისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული. ის რომ გერმანიის პრეზიდენტის სიტყვას წონა აქვს გერმანული საზოგადოებისათვის დასტურდება იმ ფაქტით, რომ მის სიტყვას უმალ მხარდამჭერი განცხადებები მოჰყვა მმართველი გუნდის ნევრების მხრიდან და რეალურად დაიწყო საუბარი საერთაშორისო კრიზისებში მეტ ჩართულობასა და სამხედრო მისიების, მაგალითად, აფრიკაში საფრანგეთის მხარდასაჭერად გააქტიურებაზე, სამხედრო კონტინგენტის ზრდაზე, თუმცაღა საბრძოლო მისიების შესრულების მანდატის გარეშე. სწორედ გერმანიის პრეზიდენტის გზავნილსა და მის მიერ მიუნხენის უშიშროების კონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს მოჰყვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და ლორან ფაბიუსისა და გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრისა და დღევანდელი პრეზიდენტის ფრაკ-ვალტერ შტაინმაიერის 21 იანვრის ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ისინი თანხმდებიან ევროკავშირის სამიტებამდე ერთმანეთთან კონსულტაციის გავლაზე, ერთობლივი საგარეო ვიზიტების განხორციელებაზე, საერთაშორისო კრიზისების იდენტიფიცირებასა და პრევენციაზე, ერთობლივ მუშაობაზე.

გერმანიის დღევანდელი პრეზიდენტი ფრაკ-ვალტერ შტაინმაიერი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. ექსპიცეკანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი შრიოდერის პოლიტიკის

გამგრძელებლად მიიჩნევა. 2007 წელს მან განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს ევროკომისიის შეთავაზებას ენერგეტიკულ ქსელებზე საკუთრების უფლების დაყოფასთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ფარგლებში შტაინმაიერმა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სამეცნიერო გეგმა წარადგინა. პირველი ეტაპი თბილისსა და სოხუმს შორის ნდობის გაზრდა იყო. მეორე ეტაპი ბერლინში დონორთა კონფერენციით აფხაზეთის ეკონომიკურ რეკონსტრუქციას ითვალისწინებდა. მესამე ეტაპი კი აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვა იყო. სამწუხაროდ, შტაინმაიერის გეგმა აფხაზური მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამრიგად, პრეზიდენტი გერმანულ საპარლამენტო მოდელში ნიშნავს მმართველობას ავტორიტეტის ძალით და არა – ძალის ავტორიტეტით, როგორცაა საქართველოში, თუმცა არის მსგავსებაც. საქართველოში, ისევე როგორც გერმანიაში, პრეზიდენტი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი, არ უნდა იყოს ქარიზმატული ლიდერი, ის უნდა იყოს აკადემიური ტიპის მოღვაწე, არბიტრი, გააჩნდეს ისეთივე სტატუსი და უფლებამოსილებანი, როგორც აქვს პრეზიდენტს კლასიკური საპარლამენტო მოწყობის ქვეყანაში – გერმანიაში. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, პრეზიდენტს ჩამოეჭრა რიგი უფლებამოსილებანი, პრეზიდენტს აღარ გააჩნია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფორმალურ-იურიდიული, კონსტიტუციური სტატუსი. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში (5), აგრეთვე საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი (6). პრეზიდენტის ფუნქციები და უფლებამოსილებები პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსთან უნდა იყოს შესაბამისობაში, ამიტომ, სახელმწიფოს მეთაურის სტატუსიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტმა უნდა შეასრულოს ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტიისა და სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირების უზრუნველყოფი არბიტრის ფუნქციები. საქართველოს პრეზიდენტი აღიქმება, როგორ „საქართველოს ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“, რომელიც უკვე აღარ „წარმართავს და განახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას“ (7). მისი სტატუსიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში უნდა გააჩნდეს სხვა განმტკიცებულ გავლენისა და ზემოქმედების მექანიზმები, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს ამ განმტკიცებათა ფუნქციების განხორციელების ძირითადი უფლებამოსილებები. პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი საკანონმდებლო უფლებამოსილებები. პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პარლამენტზე ზეგავლენის ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება განხილული იყოს პრეზიდენტის შეყოვნებითი (სუსპენსიური) ვეტოს უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი რედაქციის მიხედვით ეს ვეტო არსებულთან შედარებით უფრო „რბილია“, მისი გამოყენებით ან გამოყენების მუქარით, პრეზიდენტმა შეიძლება ააცილოს ქვეყანას ნაჩქარევად ან ცუდად გააზრებული კანონის მიღება. თუმცა ამ ეტაპამდე პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადება უფრო სიმბოლური ხასიათი მიეცა, მაგრამ იმედი გვაქვს, საპრეზიდენტო ინსტიტუტის დემოკრატიული ტრადიციების განვითარებასთან ერთად, ვეტო ქმედითი მექანიზმი გახდება და მისი გადალახვა პარლამენტის მიერ ასე ერთსულოვნად ვერ მიიღწევა. მაგალითისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ დე ლანო რუზველტმა 631-ჯერ გამოიყენა ვეტო და კონგრესმა მხოლოდ 9-ჯერ მოახერხა მისი გადალახვა, ბილ კლინტონმა 38-ჯერ და კონგრესმა მხოლოდ ორჯერ გადალახა მისი ვეტო (8).

გამომდინარე პრეზიდენტის ახალი სტატუსიდან – იგი აღარ არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, შესუსტდა მისი წამყვანი როლი როგორც საგარეო პო-

ლიტიკის განსაზღვრის, აგრეთვე განხორციელების სფეროში და მისი აქტივობა ამ სფეროში ხელისუფლების უფრო მეტად თანამშრომლობის და არა შეკავება-განონანსწორების კომპონენტით არის ნაკარნახევი. ეს გამოიხატება იმაში, რომ პრეზიდენტი სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით ახორციელებს. აგრეთვე, მთავრობასთან შეთანხმებით მას შეუძლია, დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება. თუ ადრე საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივითა და პარლამენტის თანხმობით ნიშნავდა საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ახალი რედაქციის მიხედვით აღარ არის საჭირო პარლამენტის თანხმობა, მაგრამ დასანიშნად ან გასათავისუფლებად კანდიდატურებს მას მთავრობა წარუდგენს. დამოუკიდებლად საქართველოს პრეზიდენტი ვერც სხვა სახელმწიფოთა ელჩებისა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენელთა აკრედიტაციას მიიღებს – ამისათვის სავალდებულოა მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება. თანამდებობის პირთა დანიშვნის, გათავისუფლების და ასარჩევად, დასანიშნად თუ დასამტკიცებლად წარდგენის სფეროში პრეზიდენტის კომპეტენციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განიცადა და მისი დისკრეციული უფლებები საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიყურება, რაც მას გავლენისა და ზეგავლენის გარკვეულ საშუალებებს აძლევს. ესენია: – პრეზიდენტის უფლება, დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები; – უფლება, დანიშნოს ან თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. რადგანაც პრეზიდენტის ფუნქციები უნდა გამომდინარეობდეს მისი სტატუსიდან, უფლებამოსილებები – ფუნქციებიდან და, შესაბამისად, სამივეს შორის უნდა არსებობდეს სისტემური ურთიერთკავშირები, ამიტომაც იცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი და ნაცვლად პირდაპირი და საყოველთაო არჩევნებისა, პრეზიდენტი აირჩევა კოლეგიის 300 წევრის მეშვეობით, რათა მას არ ჰქონდეს კონსტიტუციაში განერილი უფლებების შეუსაბამო ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი. მაგრამ ქართულ პრაქტიკაში, განსხვავებით გერმანულისაგან, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტესა და მათდამი ნაკლები პოლიტიკური ნდობის არსებობას, ასევე თავად პარლამენტის შემადგენლობასა და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას დაფიქსირებულ პრაქტიკულ პრობლემებს, რაც მმართველი გუნდის დომინირებას იწვევს, საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან რთული იქნება ამ წესით არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ გერმანული მოდელის გადმოღება საქართველოში სხვა პრობლემებთანაცაა დაკავშირებული. ზოგადად, პოლიტიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ ნაკლებად არის გამართლებული ერთპალატიანი პარლამენტის პირობებში. ერთპალატიანი, პროპორციული საარჩევნო სისტემით ფორმირებული პარლამენტის მიერ გადანყვეტილებების მიღება ნიშნავს, უმრავლესობის მქონე პოლიტიკური ძალის გადანყვეტილების დომინირებას. ორპალატიანი სისტემების პირობებში აღნიშნული საფრთხე შედარებით შემცირებულია რეგიონალური წარმომადგენლობების დამოუკიდებელი პალატის არსებობით. პალატების უფლებამოსილების განსხვავებული ვადები და შემადგენლობის პერიოდული განახლება დამატებით უზრუნველყოფს უფრო მეტ წარმომადგენლობითობას, განსხვავებული და შედარებით ფართო დიპაზონის პოზიციების ასახვას პრეზიდენტის ამრჩევთა შორის.

საქართველოს შემთხვევაში, მართალია, პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით სპეციალურად შექმნილი კოლეგია აირჩევს და არა ერთპალატიანი პარლამენტი, მაგრამ თავად პარლამენტის შემადგენლობა და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას დაფიქსირებული ის პრაქტიკული პრობლემები, რაც მმართველი გუნდის დომინირებას იწვევს, საბოლოო ჯამში ალბათ მაინც

ვერ უზრუნველყოფს ამ წესით არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ავტორიტარული გადაცდომების საფრთხე მაღალია. არასამთავრობო ორგანიზაციათა მოსაზრებით, „მართალია ეს მოდელი უზრუნველყოფს პრეზიდენტის არჩევის პროცესში განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფების ჩართულობასა და აზრთა მრავალფეროვნებას, თუმცა ეს არ არის გარანტირებული, რადგან საქართველოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, პარლამენტსა და ადგილობრივ ხელისუფლებაში ერთი და იგივე ძალა დომინირებს. ეს გამომდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების საარჩევნო სისტემის ხარვეზიდან, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მმართველ გუნდს მიიღოს მეტი მანდატები, ვიდრე იმსახურებს ამომრჩეველთა მხარდაჭერიდან, რაც იწვევს ერთი პარტიის მონოპოლიას“, – ნათქვამია ვენეციის კომისიისადმი არასამთავრობოთა (ISFED, GYLA, TI, OSGF) • მიმართვაში. ამრიგად, შესაძლოა შეიქმნას ვითარება, როცა მთელი პოლიტიკური ხელისუფლების მოქცევა მოხდეს ერთი პარტიის გავლენის ქვეშ და პოლიტიკური ხელისუფლების (საკანონმდებლო და აღმასრულებელი) შტოები სრულად გააკონტროლოს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა, უმრავლესობის მქონე პარტიამ. ამ შემთხვევაში გამარჯვებულ პარტიას საშუალება ეძლევა ირიბად გააკონტროლოს სასამართლო ხელისუფლებაც, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლება პრეზიდენტთან ერთად მონაწილეობას იღებს სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა გამწესებაში – საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ნაწილის შერჩევა, რომელიც თავის მხრივ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევას უზრუნველყოფს.

ასეთ ვითარებაში, დიდი ალბათობით, პრეზიდენტის სახით შესაძლოა მივიღოთ ერთი კონკრეტული პარტიის მიერ კონტროლირებადი ფიგურა, რომელიც ლოიალური იქნება მისი ამრჩევი უმრავლესობის მიმართ. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ განმეორებით არჩევის შესაძლებლობას, საფიქრებელია, რომ პრეზიდენტი არ მოისურვებს პარლამენტის იმ უმრავლესობასთან დაპირისპირებას, თუნდაც ამის საფუძვლიანი მიზეზი არსებობდეს, რომლის ხელშიც მისი ხელმეორედ არჩევის მექანიზმია. მეორე მხრივ, რადგან პრეზიდენტის ხელშია პარლამენტის დათხოვნის ბერკეტი, ქვეყნის მეთაურის კანდიდატურის შერჩევისას პარლამენტი იზრუნებს იმაზე, რომ მაქსიმალურად მისაღები და ლოიალური ფიგურა შეარჩიოს. ამგვარად, შესაძლებელია არაპირდაპირი წესით პრეზიდენტის არჩევისას უმაღლესი ხელისუფლების დონეზე არ დარჩეს ორგანო, რომელიც პარტიული გავლენის მიღმა იარსებებს.

საგულისხმოა, რომ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი მოქმედებს საპარლამენტო მმართველობის მოდელის მქონე ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში. პირდაპირი, საყოველთაო არჩევნები არის იმის გარანტია, რომ არჩეული პირი, სახელმწიფოს მეთაური, მთელი ქვეყნის პრეზიდენტი იქნება და არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელი.

ბუნებრივია, არც ერთი წესი არ არის პანაცეა. კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს ამ ქვეყნის თავისებურებებს და ადგილობრივ გამოცდილებას, უნდა პასუხობდეს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებას. ამდენად, საქართველოში არსებული მდგომარეობის, დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის, მათდამი ნაკლები პოლიტიკური ნდობის არსებობის, ერთპალატიანი პარლამენტის არსებობისა და სახელისუფლო პარტიის სიძლიერის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ არ არის სასურველი გერმანული მოდელის კოპირება და პირდაპირი დემოკრატიის შესუსტება. ჩვენი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების და განმტკიცების სტადიაში მყოფი დემოკრატიის პირობებში, ქვეყნის პირველი პირის პირდაპირი არჩევის წესის შენარჩუნება საშუალებას იძლევა, ისედაც მცირე უფ-

ლებამოსილებების მქონე პრეზიდენტი, არ იქცევს კონკრეტული პარტიის გავლენის მძევლად და, როგორც ქვეყნის მეთაური, რეალურად მოქმედებდეს ამომრჩეველთა უმრავლესობის მანდატით, იყოს სახელმწიფოს და არა კონკრეტული პოლიტიკური ძალის/პარტიის პრეზიდენტი, პოლიტიკური კრიზისისა და პარტიული დაპირისპირების პირობებში შეძლოს არბიტრის ფუნქციის შესრულება, პრინციპულობის გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის წინაშე სანინაალმდეგო პოზიციის დაცვა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გერმანიის პრეზიდენტი გადადგა, *ჟურნ. ტაბულა*, 2010 წლის 7 ივნისი, <http://www.tabula.ge/ge/story/52660-germaniis-prezidenti-gadadga>
2. ი. ჩგუნია, ჩერმანიის შემდეგი პასტორი პრეზიდენტი, *ჟურნ. ტაბულა*, 2012 წლის 4 იანვარი, <http://www.google.com/search?q>.
3. Der Spiegel: გერმანიის პრეზიდენტი სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს უცხადებს, <http://www.tabula.ge/ge/story/77910>.
4. გ. ნასრაშვილი, გერმანიის აღმოსავლეთ – ევროპული პოლიტიკა, <http://www.tabula.ge/ge/story/81146-germaniis-aghmosavlet-evropuli-politika>
5. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 69.
6. მოქმედ რედაქციაში საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი, ახალ რედაქციაში – 69-ე.
7. ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრის დასკვნა, CDL-AD(2010)028, პუნქტი 35.
8. Pierre Ractet et Ferdinand Melin-Soucranien. Droit constitutionnel. Paris, Dalloz, 2009, p. 228.



**ქეთევან კვიციანი**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის  
სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული ასისტენტი

**ქალთა უფლებების ცალკეული თავისებურებანი ისლამურ სამართალში****ანოტაცია**

თანამედროვე საზოგადოებაში ქალის ადგილის, როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას გააჩნია საყოველთაო და პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. პრობლემის აქტუალობა იხსნება მსოფლიოში მიმდინარე სამართლებრივი რეგულირების ფემინიზაციის პროცესებით, რომლებიც გარკვეულწილად, თუმცა, მნიშვნელოვნად ნაკლებად სხვა რეგიონებთან შედარებით, გავლენას ახდენს ისლამურ სამყაროზე.

თანამედროვე პირობებში ქალთა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული აქტივობის ობიექტური ზრდის ფონზე აქტუალურია გენდერული თანასწორობის, სქესობრივი და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის პრობლემები. ქალს გააჩნია თავისი სპეციფიკური თავისებურებები და ინტერესები, რომელთა სრული გამოვლენა, გაგება და გათვალისწინება წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების მნიშვნელოვან რეზერვს.

ქალთა უფლებები საჭიროებს შესაბამის დაცვასა და რეგლამენტაციას, რადგან ისტორიულად ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კონცეფცია წარმოადგენს შედარებით ახალ სოციალურ ინსტიტუტს. საზოგადოებამ, რომელიც ზრუნავს მომავალზე, ყოველთვის უნდა უზრუნველყოს ქალის განსაკუთრებული უფლებები და განსაკუთრებული დაცვა.

სტატიაში მოცემულია ისლამურ სამართალში არსებული ცალკეული თავისებურებანი, რომელიც განასხვავებს მუსულმან ქალს, მის უფლებრივ სტატუსს ევროპელი ქალის სამართლებრივი მდგომარეობისაგან.

**Ketevan Kvitsaridze**

*Law PhD Candidate at Georgian-American University  
Affiliated Assistant of the New Higher Education Institute*

**INDIVIDUAL PECULIARITIES OF WOMEN'S RIGHTS IN ISLAMIC LAW****Abstract**

The definition of women's place, role and importance in modern society has universal and political-legal significance. The problem is solved by the world's current legal regulation feminization processes that are somewhat influenced by the Islamic world.

In modern conditions, women's social, political and cultural activities are very important in the context of gender equality, sex and other discrimination problems. The woman has its own specific characteristics and interests, the complete identification, understanding and consideration of which is a significant reserve of socio-economic and spiritual development of society.

Women's rights require appropriate protection and regulation because the concept of equality between women and men is a relatively new social institution, society that cares about the future and must always provide women with special rights and special protection.

The article emphasizes the individual peculiarities in Islamic law, which distinguishes a Muslim woman's legal status from the legal status of the European woman.

## ქალთა უფლებების ცალკეული თავისებურებანი ისლამურ სამართალში

სამართლებრივი მდგომარეობა იწვევს მწვავე დისკუსიებს, რადგან მსოფლმხედველობის ისლამური კონცეფცია არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაზე, ხოლო რიგ ქვეყანაში მას გააჩნია განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს ქალთა სამართლებრივ მდგომარეობას მუსულმანურ სახელმწიფოებში დაჩაგრულად. სხვები ამტკიცებენ საპირისპიროს: ისლამი არის „სიცოცხლის რელიგია“<sup>1</sup> და ქალებს გააჩნიათ გაცილებით მეტი უფლება ისლამური სამართლის სისტემაში, ვიდრე დასავლურ საზოგადოებაში.

მუსულმანი ქალების სამართლებრივი მდგომარეობის პრობლემა შეიძლება განხილული იყოს ზოგადად, როგორც ქალების სამართლებრივი მდგომარეობის პრობლემის შემადგენელი ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას და საჭიროებს დეტალურ საერთაშორისო-სამართლებრივ რეგულირებას. დღესდღეობით, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მიღებულია და მოქმედებს საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების კომპლექსი, რომელიც იცავს ქალთა უფლებებსა და თავისუფლებას, კერძოდ: 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966 წელი), კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (1979 წელი) და სხვა.

ისლამურ სამართალში ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის პრობლემის გადაწყვეტის სირთულე განპირობებულია მრავალი სოციალური, კულტურული და იურიდიული პრობლემით. ერთ-ერთ ასეთ დაბრკოლებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, საერთაშორისო და ისლამური სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, და, მეორე მხრივ, ამ სისტემების შორის ნორმების გამოყენების თავისებურებები. საერთაშორისო და ისლამური სამართლის შესაბამისობის საკითხი საკმაოდ რთულია ამ მოვლენების განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე. საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციების, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ ხალხს, კოორდინირებულ ნებას, რომელსაც აქვს წმინდა საერო და კონსესუალური ბუნება. ისლამური სამართლის საფუძველი არის საკრალური ნორმები და მან თავისი ბუნებით არ შეიძლება განიცადოს არსებითი ცვლილებები. ისტორიული თვალსაზრისით ისლამური საერთაშორისო სამართალი განსხვავდება ქრისტიანულისგან იმით, რომ თუ უკანასკნელი არეგულირებდა ურთიერთობებს ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის, ისლამური უპირატესად ადგენდა მუსულმანებსა და არამუსულმანებს შორის ურთიერთობის ნორმებს.

ისლამური სამართალი შეიცავს კომპლექსურ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ მუსულმანის ცხოვრების მთელ წესს, მათ შორის – ქალთა სამართლებრივ მდგომარეობას. იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენს ისლამი, განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქცევის რელიგიური წესები, და არა სახელმწიფოს საერო კანონები, განსაზღვრავდა მუსულმანური სამყაროს საზოგადოებრივ წყობას. რიგ ქვეყანაში ეს ტენდენცია გარკვეულწილად დღესაც ნარჩუნდება. მაგალითად, ავღანეთის 2004 წლის კონსტიტუციის 130-ე მუხლში ნახსენებია: „სასამართლოები მართლმსაჯულების შესრულებისას ასრულებენ წინამდებარე კონსტიტუციისა და სხვა კანონების ნორმებს. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციაში და სხვა კანონებში არ არის მითითებული შესაბამისი ნორმა, სასამართლოები წყვეტენ საქმეს ხანაფიტური სკოლის ფიკჰის მოთხოვნების მიხედვით და წინამდებარე კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> *Рубина И.Е.* Международная защита прав женщин, Дисс.... канд. юрид. наук / Петрозаводск, 2001, 15.

<sup>2</sup> The Constitution of Afghanistan <http://www.afghanembassy.com.pl/afg/images/pliki/TheConstitution.pdf> 12.06.2016.

ევროპული გაგებით, ქალის დაჩაგრული, შეზღუდული მდგომარეობა მამაკაცის სტატუსთან შედარებით მუსულმანურ ქვეყნებში ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანის უფლებების ისლამური კონცეფციის ტრადიციულ განმასხვავებელ ნიშანს. მაგალითად, მუსულმანი ქალი არ განიხილებოდა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნება იმ გაგებით, როგორაც მას განიხილავდნენ თანამედროვე დასავლურ სამყაროში: „ქალი წარმოადგენს ცოცხალ არსებას, რომელსაც გააჩნია ზუსტად მამაკაცისნაირი სული...“<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი წყობის ისლამური კონცეფციის თანახმად ითვლება, რომ ქალის სათანადო როლი არის ცოლ-ქმრობასა და ბავშვთა აღზრდაში და თუმცა ღიად არ არის აკრძალული ქალის გამოჩენა საზოგადოებრივ ადგილებში, მათთვის რეკომენდებული არ არის მამაკაცებთან ურთიერთობა, რომლებიც მათ ნათესავებად არ ეკუთვნით. ყურანში, სურამი „დაჯგუფებები“ ნახსენებია შემდეგნაირად: „არ არის მათდა ცოდვა (თავსაფრის გარეშე) მათი მამების, ძეების, ძმების, ძმისწულების, დისწულების, ქალების და იმათ წინაშე, ვინც მათმა მარჯვენამ მოიპოვა. გეშინოდეთ ალლაჰის, რამეთუ იგი ყოვლისმომწეა!“<sup>2</sup> კონტაქტები სხვა მამაკაცებთან არ არის რეკომენდებული „აკრძალული განმარტოების“ საფრთხის გამო, რომელიც ტრადიციულად ითვლებოდა თემისთვის ისეთივე სახიფათოდ, როგორიც იყო განდგომილება.

ოჯახის ღირსებისთვის ცხოვრების მორალური ნესის დაცვის მოვალეობა არაბულ კლანში აკისრია ყველა წევრს სქესის მიუხედავად და არა მხოლოდ ქალებს. თუმცა ქალის ქცევა არაბულ კლანში საფუძვლად უდევს გვარის ღირსების ცნებას, ქალების ქცევაზე პასუხისმგებელი არიან მათი ქმრები, ხოლო შარიათის თანახმად, ყველა მამაკაც ნათესავს აკისრია მოვალეობა და აქვს ძალაუფლება გამოასწოროს ნებისმიერი ნათესავი ქალის ქცევა იმ შემთხვევაში, თუ საუბარია მთელი გვარის ღირსებაზე.

ზოგიერთ საზოგადოებაში ეს მოვალეობა ვრცელდება მთლიან უმაზე. საუდის არაბეთში, მაგალითად, ალ-მუტავინს (რელიგიური პოლიცია ან მორალის პოლიცია) უფლება აქვს დააპატიმროს ქალი თანმხლების გარეშე მოძრაობისას და დაადანაშაულოს ის პროსტიტუციაში,<sup>3</sup> თუმცა მორალის ასეთი სიმკაცრე უფრო გამონაკლისს წარმოადგენს.

ისლამური ტრადიცია, რომელიც მოითხოვს გარეგნობის დაფარვას იმ მამაკაცების თანდასწრებით, რომლებიც არ ეკუთვნიან მას ნათესავებად, უპირატესად წარმოიშობა სუნდან და არაბული ადათიდან.<sup>4</sup> ყურანი ითხოვს მხოლოდ იმას, რათა ქალი იყოს თავმდაბალი და ღიად არსად არ არის დაფიქსირებული, რომ მან აბსოლუტურად სრულად უნდა დაფაროს თავი ან ატაროს ჩადრი. ჩადრის ტარება გამოხატავს ისლამურ მორალურ დანერგებას, საზოგადოებაში სქესობრივი სეგრეგაციის დადგენის შესახებ, რომლის დროსაც ქალები ასრულებენ საოჯახო შრომას, ხოლო მამაკაცები მოღვაწეობენ საზოგადოებრივ სფეროში. ამრიგად, ქალებს, რომლებიც წარმოადგენენ ღირსების შემნახველებს უფრო მსხვილ სოციალურ წარმონაქმნებში, არასდროს არ აქვთ ურთიერთობა მამაკაცებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ მათ ნათესავეებს. ჩადრი საშუალებას აძლევს მუსულმან ქალებს, გამოჩნდნენ საზოგადოებრივ ადგილებში საზოგადოებრივი განკითხვის გამონკვევის გარეშე და, აქედან გამომდინარე, ეს წარმოადგენს მუსულმანი ქალების უფლებების აუცილებელ ელემენტს.

თუ დაუქორწინებელ მუსულმან მამაკაცსა და ქალს ერთად აღმოაჩენენ, მათ დასჯიან ყურანში მითითებული სანქციის თანახმად – 100 სახალხო დარტყმა მათარხით, თუ ოთხი ადამიანი მისცემს ჩვენებას, რომ ერთ-ერთი მათგანი დაკავებული იყო „მრუშობით“. თუ ერთ-ერთი მათგანი დაქორწინებულია, ისინი უფრო მკაცრად დაისჯებიან. სუნას მიხედვით ეს ისჯება სახალხო ჩა-


<sup>1</sup> *Magomed K. T., Праведная мусульманка 2-е изд, доп \_ Дагестан, 2003, 34.*

<sup>2</sup> ყურანი, 33, 55.

<sup>3</sup> *Peter W., ქობონ A., Question of Interest The Paralysis of Saudi Banking Westview Press, 1991, 188.*

<sup>4</sup> *Azizah al-Hibn, Islam, Law and Custom Redefining Muslim Women's Rights, 12 AM U J INT'L L & POL'Y 1, 118, 211.*

ქოლვით,<sup>1</sup> რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციის წამების წინააღმდეგ აშკარა დარღვევას. ქვემოთ მოყვანილია იმ ქვეყნების რუკა, სადაც 2018 წლის მონაცემებით, ჩაქოლვა სასჯელის ერთ-ერთი სახეა<sup>2</sup>.



თეორიულად დანაშაულზე პასუხისმგებლობა ერთნაირია ქალისა და მამაკაცისთვის და ორივე სქესი უნდა იქცეოდეს თავმდაბლურად. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დანაშაულის ოთხი მოწმე, მამაკაცი არ შეიძლება დაისაჯოს, თუ იგი თავისი ნებით არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. რაც შეეხება ქალს, მისი დანაშაულის საკმარის მტკიცებას წარმოადგენს ორსულობა. ქალები აგრეთვე ექვემდებარებიან დამატებით შეზღუდვებს: ყურანის მიხედვით უხამსი ქალები მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა იმყოფებოდნენ ციხეში, ხოლო მამაკაცებზე ეს წესი არ ვრცელდება.<sup>3</sup> უფრო მეტიც, მუსულმან მამაკაცებს აქვთ მონა გოგონებთან და იმ ქალებთან კონტაქტის უფლება, რომლებსაც „მათი მარჯვენა აქვთ მოპოვებული“, რაც შეიძლება მოსამსახურეებსაც მოიცავდეს.<sup>4</sup>

ისლამური სამართალი არ მოიცავს ცალკე ფორმალურ კატეგორიას გაუპატიურებაზე და არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ სასჯელს მამაკაცისთვის, რომელსაც აქვს სექსუალური ურთიერთობა დაშვებულ ქალთან მისი თანხმობის გარეშე და არ არის პასუხისმგებელი ასეთი კავშირის შედეგად დაბადებულ ბავშვზე, თუ მოქმედი სამართალი არ ჩაერევა.

ყურანი არ მიესალმება სუსტებისა და უმწეოების საწინააღმდეგოდ ძალის გამოყენებას, რომელიც, სავარაუდოდ, მოიცავს ქალებსაც. შარიათი უშვებს გარკვეული ხარისხის პირადი ავტონომიის შესაძლებლობას, თუმცა ეს ავტონომია განიხილება უფრო მსხვილი წარმონაქმნის, საზოგადოების ინტერესებში, და მიეკუთვნება ისეთ ცნებებს, როგორიცაა: ღირსება, სირცხვილი და რეპუტაცია. თუ გაუპატიურება მოხდა, ეს ითვლება დანაშაულად. თუმცა ამ შემთხვევაში, დანაშაული ჩადენილად ითვლება უპირატესად არა ქალის წინააღმდეგ, არამედ ქალის ოჯახისა და საზოგადოების წინააღმდეგ. ყურანის კანონი სამაგიეროს მიზლის შესახებ ითხოვს, რომ თავისმა ოჯახმა (უფრო სწორად, მამრობითი სქესის ნათესავები ხუთ მამრობით ხაზში) იძიოს შური ან მოითხოვოს თანხა მის ნაცვლად: „ო, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, წერილ არს თქვენდა შურისგება მოკლულ-

<sup>1</sup> **ABDULLAH YUSUF ALI** THE MEANING OF THE HOLY QURAN (Amana Corp, 1989), 24 2 at FN 2954  
<sup>2</sup> [https://www.reddit.com/r/MapPorn/comments/8q2b05/countries\\_which\\_practice\\_the\\_punishment\\_of/](https://www.reddit.com/r/MapPorn/comments/8q2b05/countries_which_practice_the_punishment_of/) (16.01.2019)  
<sup>3</sup> ყურანი, 4,15.  
<sup>4</sup> **ABDULLAH YUSUF ALL** THE MEANING OF THE HOLY QURAN (Amana Corp., 1989).

თა გამო: თავისუფალი – თავისუფლისა წილ, მონა – მონისა წილ, ქალი – ქალისა წილ. ხოლო იმას, ვისაც მიეტევება თვისი მოძმისაგან, (რაიმე) სიკეთის ქმნა და სიკეთით გადახდა (ევალეება), ეს არის შემსუბუქება თქვენი უფლისაგან და წყალობა; ხოლო ვინც შესცოდავს ამის შემდგომ, მას – სასჯელი მტანჯველი“.<sup>1</sup> ყურანის მიხედვით სამაგიეროს მიზლვა ან თანხის გადახდა არის სასჯელი მკვლელობისთვის. ძველი არაბული საერთო წესი ითხოვს სამაგიეროს აუცილებელ მიზლვას. ეს ღირეტივია იმდენად სრულად გამოხატავს სიტუაციას, რომ თუ მკვლელი ქვეყნის მოქმედი კანონის თანახმად სიკვდილით დასჯილია, არაბული წესი, ყურანსა და სუნაში გათვალისწინებული, ითხოვს, რომ მსხვერპლის მამრობითი ხაზით ნათესავებმა შური იძიონ მკვლელის თემის წევრზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და სამართლის ჩარევა არ ითვლება, თუ მსხვერპლის ნათესავებმა პირადად არ დასაჯეს მკვლელის ნათესავები.<sup>2</sup> მუსულმან მამაკაცებს აქვთ ცალმხრივი განქორწინების უფლება: მამაკაცი სამჯერ იმეორებს სიტყვა „ტალაქ“-ს.<sup>3</sup> ეს სიტყვა, გამეორებული მესამეჯერ, იწვევს იურიდიულად ვალდებულ განქორწინებას.

რაც შეეხება ქალებს, შარიათის მიხედვით მათ არ აქვთ ისეთივე ფართო განქორწინების უფლებები, როგორც მამაკაცებს, მაგრამ ცოლს შეუძლია ცოლ-ქმრობის ანუღირება მრავალი მიზეზით: თუ ქმარი არ ინახავს მას; ან მისი ხელმოკლეობის შემთხვევაში; აგრეთვე მისი სტერილურობის ან იმპოტენციის შემთხვევაში; ან თუ მან მიატოვა თავისი ცოლი, განდგომილების, ხოლო ხანდახან – სისასტიკის ან აღზრდისას ზედმეტი ძალისხმევის გამოც.<sup>4</sup> თუ ქალი გამოდის განქორწინების ინიციატივით, მან შეიძლება დაკარგოს უფლებები მზითვის ნაწილზე. ეს წესები განსხვავდება ადგილობრივი რიტუალებისა და ადათების შესაბამისად. ყურანის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ყურანი აღიარებს და მიესალმება გათხოვილი ქალების იურიდიულ უფლებას ფლობდნენ კაცისაგან დამოუკიდებელ საკუთრებას. ქალის ასეთი უფლება, დიდი ხნის წინ დაფიქსირებული ისლამში, დასავლეთში აღიარეს მხოლოდ წინა საუკუნეში. შარიათში არ არის ლაპარაკი ერთობლივ საკუთრებაზე, მაგრამ განქორწინების შემდეგ მუსულმანი ქალი იტოვებს უფლებას ფლობდეს განცალკევებულ საკუთრებას, მათ შორის სახლებს, ისარგებლოს თავისი მზითვის ფლობის ყველა კანონიერი უფლებით და ზოგ შემთხვევაში მიიღოს შენახვის თანხა ქმრისგან.<sup>5</sup> მამაკაცი იტოვებს თავის სახლს და მთელ თავის საკუთრებას. თეორიულად, ყოფილი ცოლი არის ბავშვების მეურვე 7 წლის ასაკის მიღწევამდე ბიჭებისთვის და 9 წლის ასაკამდე გოგონებისთვის (ზუსტი ასაკი დამოკიდებულია ადათებზე). ამის შემდეგ მეურვეს უფლებები გადაეცემა ყოფილ ქმარს.<sup>6</sup>

ტუნისის კანონმდებლობა განსხვავებულად ადგენს განქორწინების საკითხს, კერძოდ, განქორწინება შესაძლებელია ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე. თუკი არ არსებობს ორმხრივი შეთანხმება, რომელიმე მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით.

ისლამური ქვეყნების უმრავლესობის მთავარი წესი არის ის, რომ ქალს არ შეუძლია თავისი ნებით გათხოვდეს. მას უნდა ჰყავდეს „wali“ (ვალი), რომელიც ძირითადად არის ქალიშვილის მამა. ეს წესი რამდენიმე არამუსლიმურ ქვეყანაშიც გამოიყენება და არის ამის ტრადიცია, თუმცა მუსლიმურ ქვეყნებში ეს წესი სამართლებრივი მოთხოვნაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მუსლიმი ქალი ვერ დაქორწინდება.<sup>7</sup>

თუმცა ამ წესიდანაც არის გამონაკლისები. კერძოდ, მაროკოს კანონმდებლობა ითვალისწინ

<sup>1</sup> ყურანი, 2, 178.

<sup>2</sup> Patai Raphael. The Arab Mind. New York: Scribner, 1976, 80.

<sup>3</sup> ყურანი, 2, 230.

<sup>4</sup> იხ. მაგ: REYNOLDS & FLORES, FOREIGN LAW: CURRENT SOURCES OF CODES AND BASIC LEGISLATION IN JURISDICTIONS OF THE WORLD.

<sup>5</sup> ყურანი, 2, 241.

<sup>6</sup> Kimberly Younce Schooley Cultural Sovereignty, Islam, and Human Rights Toward a Communitarian Revision, 25 CUMB L REV 651 (1994-1995), 674.

<sup>7</sup> Azizah al-Hibri – Islam, Law and Custom: Redefining Muslim Women's Rights 1997.

ნებს ამ დათქმის გვერდის ავლით ქორწინებას, თუ ქალი არის სრულწლოვანი და მას არ ჰყავს მამა.

იორდანის კანონმდებლობა ახალგაზრდა განქორწინებულ ქალს (18 წელს მიღწეულს) აძლევს უფლებას, ხელმეორედ იქორწინოს სავალდებულო მეურვის გარეშე, თუმცა პირველი ქორწინება აუცილებლად ვალის მიერ უნდა იყოს დაშვებული.<sup>1</sup>

რაც შეეხება ქუვეითს, იქ კანონმდებლობაში შემდეგი დათქმა წერია: განქორწინებაში მყოფ ან 25 წელს მიღწეულ ქალს უფლება აქვს გათხოვდეს სავალდებულო მეურვის გარეშე, მაგრამ კანონი იქვე აკონკრეტებს, რომ ქორწინება ვალის გარეშე მაინც არ გაფორმდება.<sup>2</sup>

ოჯახის შენახვის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ მამაკაცს. ეს წესი დაფუძნებულია შემდეგ ადათზე: „და კაცები დგანან ქალთა ზემოთ იმით, რითაც ალაჰმა გამოარჩია ისინი ერთმანეთისაგან და იმით, რასაც (კაცები) ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან“.<sup>3</sup>

აღრე ყველა ისლამური ქვეყნის კანონმდებლობა ავალდებულებდა ქალს, დამორჩილებოდა მეუღლეს. თუმცა დღევანდელ მსოფლიოში ამ საკითხის სხვადასხვაგვარად დარეგულირება დაიწყო ამა თუ იმ ქვეყანამ, კერძოდ:

ტუნისის კანონები აღარ სთხოვენ ქალს ქმრისადმი სრულ მორჩილებას, თუმცა ქმარს განსაზღვრავენ, როგორც „ოჯახის უფროსს“.

ქმრის მორჩილება ანუ ta'ah (თააჰი) მოიცავს, როგორც აღვნიშნეთ, სახლიდან გაუსვლელობის ვალდებულებას მეუღლის თანხმობის გარეშე. ეს წესი ითვალისწინებს მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისს. მაგ: ქალს შეუძლია დატოვოს სახლი იმ შემთხვევაში, თუკი იგი თავისი ოჯახის მოსანახულებლად გადის. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კი მუშაობის მიზნით ქალის მიერ სახლის დატოვებასაც თვლის დასაშვებად.

ისლამური ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება განათლება. უნისეფის მიერ მომზადებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ არაბულ სამყაროში ნელ-ნელა მცირდება საგანმანათლებლო გენდერული უფსკრული. ამის მაგალითად მოყვანილია იორდანი, ქუვეითი და ბაჰრეინი. ხოლო ამავე დასკვნაში ნათქვამია, რომ გაერთიანებულ ემირატებში ეს უფსკრული საერთოდ ამოივსო.<sup>4</sup>

დასკვნაში ნათქვამია, რომ საგანმანათლებლო გენდერული უფსკრული არსებობს არაბულ ქვეყნებში, რომელიც გამონეწეულია სიღარიბით, პატრიარქალური საფუძვლებით.

ფრანგულ ჟურნალ „Le monde“-ში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ითქვა, რომ მას შემდეგ, რაც ავღანეთში შეიარაღებულმა დაჯგუფებამ აიღო ავღანისტანი, ქალებს აეკრძალათ განათლების მიღების უფლება.

როდესაც ვსაუბრობთ განათლების შესაძლებლობასა და უფლებაზე, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ **მალალა იუსაფზაი** – პუშტუნი პაკისტანელი უფლებადამცველი გოგონა, რომელიც მთელს მსოფლიოში მუსლიმი ქალებისათვის განათლებაზე ხელმისაწვდომობისათვის გამოდის. იგი დაიბადა 1997 წლის 12 ივლისს.<sup>5</sup> მალალა, მისი უფლებათადამცველის საქმიანობის გამო, 2012 წლის 9 octobers ძლიერად იქნა დაჭრილი ტერორისტული მოძრაობა „ტეჰრიკ-ი-თალიბან პაკისტან“-ის მეზობლების მიერ. მალალა აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ მეტი განათლება მიიღონ მუსლიმმა ქალებმა. ის თვლის, რომ განათლების მიღების შედეგად ქალთა უფლებების დაცვა მუსლიმურ სამყაროში ბევრად ადვილი იქნება.

ისლამში ქალის როლის განხილვისას, აუცილებელია იმ დადებით ძვრებზეც ვისაუბროთ, რომელიც ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება აღმოსავლეთის ქვეყნების სამართლებრივ ბაზებში. ამისათვის მოვიყვანოთ მაროკოს მაგალითი.

<sup>1</sup> Leila Hanafi and Danielle Hites – Women's Rights in Morocco: Balancing domestic and international law (Oct 12, 2017).

<sup>2</sup> Azizah al-Hibri – Islam Law and Custom- Redefining Muslim Womens Rights (1997).

<sup>3</sup> ყურანი, 4, 34.

<sup>4</sup> Azizah al-Hibri – Islam Law and Custom- Redefining Muslim Womens Rights (1997).

<sup>5</sup> <https://www.malala.org/malalas-story> 12.02.2014

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, მაროკოელი ქალები სარგებლობენ საკმაოდ ძლიერი ქალთა უფლებებით, ტუნისის მერე. ეს კი არის მუდავანას რეფორმის შედეგი. კერძოდ, მუდავანა წარმოადგენს პერსონალური სტატუსის შესახებ კოდექსს, უფრო დანვრილებით კი საოჯახო კანონმდებლობას, რომელმაც სრულიად შეცვალა ქალის მდგომარეობა მაროკოში. იგი მოიცავს ისეთ სამართლებრივ საკითხებს, როგორებიცაა ქორწინება, განქორწინება, ბავშვის მეურვეობა და მემკვიდრეობა.<sup>1</sup>

ისლამურ სამართალში ქალთა უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებების შესახებ დასავლური სწავლებისა და ისლამური სამართლის ღრმა კონფლიქტის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, რომელსაც იგი ორგანულად არ იღებს. ეს განპირობებულია ორივე მხარის მსოფლმხედველობის თავისებურებებით. ამ წინააღმდეგობების გადაწყვეტა წარმოადგენს ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ სოციალურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ ამოცანას.

ამრიგად, შეიძლება იმის კონსტანტაცია, რომ ისლამურ სამართალში ჩამოყალიბდა და მოქმედებს განსაკუთრებული სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც არეგულირებს მუსულმანურ საზოგადოებაში ქალების სტატუსსა და სამართლებრივ მდგომარეობას და შედგება იურიდიული ნორმების რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული „ბლოკისაგან“. ეს „ბლოკები“ დაფიქსირებულია როგორც ისლამური სამართლის საკრალურ წყაროებში, აგრეთვე მუსულმანური სახელმწიფოების კანონმდებლობაში. ეს ინსტიტუტი მოიცავს ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ:

- ქალის სტატუსს და სამართლებრივ მდგომარეობას ოჯახურ ურთიერთობებში, დაქორწინების და განქორწინების საკითხებს, ქალის სტატუსს ქორწინებამდე, ქვრივების სტატუსს, ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებებს ბავშვებთან მიმართებაში;

- ქალთა სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებებს გარიგებებში, საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში;

- ქალის პროცესუალური მდგომარეობის თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებს იყოს მოსარჩლე, მოპასუხე სასამართლოში, აგრეთვე ეჭვმიტანილი და დაზარალებული სისხლის სამართლის წარმოებისას;

- ქალის სტატუსის თავისებურებებს შრომით, პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც არ არის დაკავშირებული ოჯახურ ურთიერთობებთან და ბავშვთა აღზრდასთან;

ამრიგად, შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ ქალთა უფლებების და მოვალეობების კომპლექსი ისლამურ სამართალში არსებითად განსხვავდება დასავლურ სამართლებრივ სისტემებში მისი ანალოგისგან. ძირითად ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ქალთა სამართლებრივ მდგომარეობას ისლამურ სამართალში, წარმოადგენს მუსულმანურ საზოგადოებაში ქალის სოციალური როლის მკვეთრი დაფიქსირება, რომელიც დაკავშირებულია ოჯახურ ვალდებულებებთან, ამ როლის ფარგლების მიღმა გასვლის მცდელობები პირდაპირი ან ირიბი გზით ისჯება, როგორც პოზიტიური სამართლის დონეზე, აგრეთვე სამართლებრივი ადათების დონეზე. ამრიგად, ქალთა უფლებების საერთაშორისო აქტების კომპლექსური იმპლემენტაცია ისლამური სამართლის განვითარების ამ ეტაპზე იწვევს სერიოზულ, ხშირად გადაულახავ დაბრკოლებებს ერთი მხრივ, ისლამური სამართლის საკრალური წყაროების მხრიდან, და, მეორე მხრივ, ამ წყაროებზე ორიენტირებული ისლამური აღმასრულებელი პირებისგან. ამის გარდა, საყოველთაოდ გავრცელებული სამართლებრივი სისტემა, რომელიც არეგულირებს ქალთა უფლებებს, არ შეესაბამება ცხოვრების ისლამურ წესს, რომელსაც გამოაქვს ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით აღჭურვის პრობლემა სამართლებრივი სფეროდან.

ამ თემის განხილვის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გამოტანა იმის შესა-

<sup>1</sup> Virkama Anna – Discussing moudawana: Perspectives on family code reform, Gender equality and societ change in Morocco (2009)

ხეხ, რომ უფლებებისა და მოვალეობების კომპლექსი, რომლითაც აღჭურვილია ქალები ისლამურ სამართალში, არსებითად განსხვავდება მისი ანალოგისგან სხვა სამართლებრივ ოჯახებში და აგრეთვე ქალთა უფლებების კომპლექსისგან, რომელიც დაფიქსირებულია საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროებში. სირთულეები, რომლებიც წარმოიქმნება ისლამური სახელმწიფოების მიერ იმ ძირითადი ნორმების განხორციელებისას, რომლებიც აფიქსირებენ ქალის სტატუსს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, ატარებენ ობიექტურ ხასიათს და უნდა აღიარებული იყოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ, როგორც ფაქტორი, იმანენტურად დამახასიათებელი ისლამური ცივილიზაციისთვის.



**თამარ კოპალეიშვილი**  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო  
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული ასისტენტი

## **ქალთა ტერორიზმის ფენომენი და მისი ინტერპრეტაციის პრობლემები საზოგადოებაში**

### **ანოტაცია**

სტატიაში „ქალთა ტერორიზმის ფენომენი და მისი ინტერპრეტაციის პრობლემები საზოგადოებაში“ განხილული პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან ტერორიზმი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას, რის გამოც ეს ფენომენი სოციოლოგების, პოლიტოლოგებისა და ფსიქოლოგების მიერ ინტენსიური შემოწმების ობიექტი გახდა.

წარმოდგენილ სტატიაში ტერორისტ ქალთა თემატიკისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების, პრესისა და ინტერნეტ მასალის შესწავლის შედეგად მოცემულია გენდერული აგრესიის სპეციფიკის ანალიზი, გამოკვეთილია ტერორისტებისა და მათი თანამზრახველების მოტივირების საკითხები და ექსტრემისტულ საქმიანობაში ჩართულ ტერორისტ ქალთა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ფაქტორები. კერძოდ, განხილულია ქალი ტერორისტის, როგორც ტერორისტული ბრძოლის ახალი იარაღის ფაქტორი და ისლამის, მათი ტრადიციებისა და განვითარების სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის როლი ქალების ტერორისტებად ქცევაში; ასევე გაანალიზებულია ქალი ტერორისტების მოტივაცია, მისი ზოგადი და სპეციფიკური მახასიათებლები და სხვა საკითხები, რომელთა ცოდნაც ქალი ტერორისტის ფსიქოლოგიური პორტრეტის უფრო მკაფიოდ წარმოადგენის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური პროფილაქტიკური საშუალებები, დესტრუქციული ქცევისა და იდეოლოგიის პრევენციის რეკომენდაციების შემუშავებას შეუწყობს ხელს.

**Tamar Kopaleishvili**

*Candidate of Doctoral Educational Program  
in Political Science at Caucasus International University,  
Affiliated Assistant of the New Higher Education Institute.*

## **THE PHENOMENON OF WOMEN'S TERRORISM AND THE PROBLEMS OF ITS INTERPRETATION IN SOCIETY**

### **Abstract**

In the article, the problem phenomenon of “women’s terrorism and the problems of its interpretation in society” is quite relevant, as terrorism threatens the government’s security, and this phenomenon becomes an object of intensive examination of sociologists, political scientists and psychologists.

In the presented article, the study of the publications, press and Internet material dedicated to terrorist women’s themes is analyzed in the specifications of gender aggression, the motivation of terrorists and their accomplices and the individual psychological factors of terrorist women involved in extremist activity, In

particular, it is considered a factor of new terrorism as a terrorist battle and the role of Islam, their traditions and the socio-political context of the development of women as terrorists;

It also analyzes the motivation of women terrorists, the general and specific characteristics, and other issues of being a woman terrorist psychological portrait clearly the method gave and, therefore, an effective prophylactic opportunities against terrorism and destructive behavior of inputs and recommendations for the prevention of ideology contribute.

## ქალთა ტერორიზმის ფენომენი და მისი ინტერპრეტაციის პრობლემები საზოგადოებაში

თანამედროვე საზოგადოების განვითარებამ მოითხოვა არსებული მასკულიზური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლა, აგრეთვე ქალური სანქსის, როგორც ინერტული და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპის ახლებურად გააზრება. ამ პროცესის დინამიკის ანალიზის, მისი შედეგის განსაზღვრისა და მასზე ზემოქმედების ზომების შემუშავების დროს სოციოლოგები წააწყდნენ სქესის კატეგორიების კონცეპტუალური დასაბუთების აუცილებლობას.

ტერორიზმი წარმოადგენს თანამედროვეობის ერთ-ერთ სახიფათო და რთულ მოვლენას, რომელიც იღებს უფრო სახიფათო მასშტაბს. ბოლო წლების ტრაგიკულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ ექსტრემალურმა სიტუაციამ შეიძლება მიაღწიოს საერთაშორისო მასშტაბებს, შეცვალოს თანამედროვე მსოფლიო. განუსაზღვრელია მისი განვითარების საზღვარი და ზღვარი, რომელიც ჩადებულია ადამიანში დესტრუქციულად, თუმცა მასშტაბის მიუხედავად და ტერორიზმის განსაკუთრებულად მძიმე შედეგებით, ასევე მისი პროფილაქტიკური მეთოდებით. ამ კავშირში მნიშვნელოვანი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს ტერორისტების კვლევის სამოტივაციო საფუძველს. ამ კავშირს გამოყენებითი მნიშვნელობა გააჩნია ტერორისტების სამოტივაციო საფუძვლის კვლევის დროს. ეს განპირობებულია იმით, რომ ტერორისტული მოქმედების თანამოვლენას არსებითი სპეციფიკა გააჩნია, რომელიც გამომდინარეობს ზოგადად მიღებული სამოტივაციო და ქმედითი ჩარჩოების სტანდარტიდან.

„ეფექტური ანტიტერორისტული პოლიტიკა“, ამერიკელი მკვლევრის დ. ხაზარდის აზრით, დამოკიდებულია იმის გაგებით, თუ რაზე ფიქრობენ ტერორისტები, და იმაზე, თუ რატომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ. თუ ჩვენს თავზე ავიღებთ მოდელის ხარისხით, ტერორისტების ქმედება მოგვეჩვენება აუხსნელად.

წინამდებარე სტატიის ამოცანა არის ქალი ტერორისტების მოტივაცია, მათი ზოგადი თუ სპეციფიკური მახასიათებლების განხილვა და გენდერული აგრესიის სპეციფიკის ანალიზი. მიგვაჩინია, რომ ეს პრობლემა არის საკმაოდ აქტუალური მით უფრო, რომ ქალთა ტერორიზმის ფენომენი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

„შაჰიდი, თვითმკვლევები, ცოცხალი ბომბები“ – ამ ქალებს სხვადასხვაგვარად უწოდებენ, მაგრამ მათი ქმედებების სქემა ყოველთვის ერთნაირია: ფეთქებადი ქამარი, ხალხმრავალი ადგილი, მომაკვდინებელი აფეთქება. შედეგი – ასობით უდანაშაულო ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა.<sup>1</sup> თუმცა, ცოტა ხნის წინ ქალთა ტერორიზმი გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი, შესაბამისად, არ იყო აღიარებული სამეცნიერო საზოგადოებაში, როგორც სპეციალური ფენომენი, რომე-

<sup>1</sup> Женское лицо террора. Призрачный рай для шахидок [Электронный ресурс] / С. Хакимова. – 2011. – Режим доступа: <http://tajmigrant.com/zhenskoe-lico-terrora-prizrachnyj-raj-dlya-shaxidok.html>

ლიც მოითხოვდა სპეციალურ შესწავლას. ასე რომ, 1960-იან და 1970-იან წლებში გამოიცა მთელი რიგი კვლევები, რომელთა ავტორები აცხადებდნენ, რომ „...ფსიქიკურად ჯანმრთელ ქალებს არ შეიძლება მოუვიდეს აზრად უდანაშაულო ადამიანების, მათ შორის ბავშვების მკვლელობა ბარბაროსული ტერორისტული მეთოდების დახმარებით“.<sup>1</sup> მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში ქალთა როლი ტერორისტულ სტრუქტურებში შემოიფარგლებოდა შემონირულობების შეგროვებაზე, უსაფრთხო სახლების ორგანიზებასა და ფურცლების გავრცელებაზე, მაგრამ დღესდღეობით ყველა ტერორისტული ორგანიზაცია ქალებს სამხედრო ქმედებების დროს იყენებს.<sup>2</sup>

პირველი შემთხვევა, როდესაც დააფიქსირეს ქალის გამოყენება ტერორისტად, იყო 1985 წლის 9 აპრილს, როდესაც 16 წლის გოგონა ჰაიადე სანას სახელით, შეუვარდა ისრაელის სამხედრო კოლონის სატვირთო ავტომობილს.

დაიღუპა ორი ჯარისკაცი, ტერორისტი იყო სირიის სოციალისტური ნაციონალური პარტიის წევრი.<sup>3</sup> გახმაურებულ საქმეებს შორის არის ტერორისტი ქალი, რომელმაც მოკლა ინდირა განდის შვილი, რომელიც თავად გახდა თავისი მცველების მსხვერპლი, 1984 წ.

2004 წლის 14 იანვარს 22 წლის რიმ ალ-რეიაში სამედიცინო დახმარების საბაბით მიუახლოვდა ისრაელის გამშვებ პუნქტს და აამუშავა 5 კილოგრამიანი ასფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დამზადებული იყო „შაიბებით“ და ჭანჭიკებით. რიმ ალ-რეიაში გახდა პირველი თვითმკვლელი ქალი, რომელმაც სახლში დატოვა 3 წლის ვაჟი და ერთი წლის გოგონა. საზოგადოებაში არსებობს მყარი სტერეოტიპი, რომ ქალი შემწყნარებელია, თანამგრძობი და სუსტი, ვიდრე კაცი. ამასთან ქალი ასოცირდება დედის და მეუღლის როლში. ამიტომაც არის რომ მსოფლიოში ტერორისტი – ქალმა გამოიწვია აფეთქებული ბომბის ეფექტი საზოგადოებაში.

ტერორისტი ქალის ფენომენის შესწავლისას მისი ნამდვილი მიზეზები და თანამედროვე ტენდენციები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს საშუალებას მოგვცემს შევიშუაოთ მასთან ბრძოლის სტრატეგიები.

ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც მოახდინა გავლენა ტერორისტ გოგონებზე არ არის ადვილი, გადარჩენილები თითქმის არ არსებობენ და ვინც არიან, არ საუბრობენ.

მეცნიერი სტატისტიკური კვლევების ცენტრიდან იოფფე ტელ-ავივსკი იორამ შვეიცერის უნივერსიტეტიდან, ავტორი წიგნისა „ტერორის გლობალიზაცია“, ვარაუდობს, რომ ტერორისტები გამოიყენებენ ქალებს, როგორც სიმბოლოს იმისა, რომ მათი სახით ბრძოლაში მონაწილეობას იღებს მთელი საზოგადოება. მისი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მოტივი ქალთა ტერორიზმისა ყოველთვის იყო და დარჩება – პირადი შურისძიება, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული მეუღლის, შვილის და ძმის გამო. ამით ის ადასტურებს, რომ „მათი პირადი მოტივაცია მანიპულირებულია, გაამართლონ მათი რისხვა და ის, თუ რა უბიძგებს ტერაქტისადმი“. კარლა კანიგემი, ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი, „საერთაშორისო ტენდენცია ქალური ტერორიზმის“ კვლევის ავტორი, თვლის, რომ მრავალ საზოგადოებაში პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის მიუღებლობა უბიძგებს მათ ტერორიზმისკენ: „ქალი არ არის გავლენიანი, მაგრამ მისი როლი ცხოვრებაში უხილავია“. სწორედ ეს „უხილავობა“ ხდის ტერორისტ ქალს განსაკუთრებულად მიმზიდველს. ქალთა აგრესია, გამობატული ტერორიზმის სახით, განსხვავდება მამაკაცის აგრესიისგან. მამაკაცის ტერორიზმის საფუძველი არის ინსტრუმენტული აგრესია, ხოლო ქალის ტერორიზმის საფუძველი ემოციურია.

2002 წელს ისლამური წანააღმდეგობის მოძრაობა „ჰამასის“ -სულიერმა ლიდერმა შეიხაჰმედ იასინმა განაცხადა: „ჰამასისათვის მიუღებელია ომში ქალების ჩართვა.“ თუმცა მან თავისი პოზიცია შეცვალა 2004 წლის 14 იანვრის შემდეგ, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა პირველად განახორციელა შეტევა „ჰამასის“ სახელით. აჰმედ იასინმა მათი ეს ქმედება „ბრძოლის

<sup>1</sup> Женщины и террор [Электронный ресурс] / Криминал. – 2004. – Режим доступа: <http://javot.net/uadoc/nitka/7.htm>

<sup>2</sup> Женщины и террор [Электронный ресурс] / Криминал. – 2004. – Режим доступа: <http://javot.net/uadoc/nitka/7.htm>

<sup>3</sup> Попов И. М., У терроризма женское лицо [Электронный ресурс] / И.М. Попов (Неопубликованная статья, октябрь 2004 г.). – Режим доступа: <http://www.milresource.ru/Article-1.html>

ევოლუციით“ ახსნა: „მებრძოლი მამაკაცები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან, ქალებს კი უფრო ადვილად შეუძლიათ თავდასხმის ობიექტთან მიახლოება, ქალები ერთგვარი სარეზერვო არმიია – როდესაც დგება საჭიროება ჩვენ მათ ვიყენებთ“.

საინტერესოა, თუ რა ამოძრავებს ქალს, რა აიძულებს დაადგეს ამ გზას. მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალებისათვის ამგვარი ქმედება ემანსიპაციის ხერხიცაა. ამგვარი სიკვდილი მათ აძლევთ საშუალებას გახდნენ კაცების თანასწორნი. სულიერი ლიდერები მათ აიმედებენ, რომ მონამებრივი სიკვდილისათვის ქალებისა და მამაკაცების ჯილდო თანაბრად უხვია.

2002 წლის მარტში 18 წლის მუსლიმმა ქალმა თავი აიფეთქა ისრაელის სუპერმარკეტში და ორი ადამიანი მოკლა. ახლო აღმოსავლეთის საკითხების მკვლევარმა პროფესორმა ჯაბერმა განაცხადა: „ვშიშობ, თუ ასე გაგრძელდება ტერორისტები სულ უფრო მეტ ახალგაზრდა ქალს გადაიბირებენ. თუ ისინი ერთხელ გადალახავენ დასაშვებ ზღვარს, არ დარჩება არავითარი ბარიერი“.

პალესტინელი ტერორისტული დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ ისრაელის წინააღმდეგ ამ სახიფათო სიახლეს. ტერორისტ ქალს, რადგან უფრო ეადვილება მოკვლა, ტერაქტებში მისი გამოყენება უფრო მომგებიანია.

ქალები ყოველთვის სარგებლობენ იმ უპირატესობით, რასაც ზოგადად საზოგადოება იჩენს ხოლმე ქალის, როგორც სუსტი არსების მიმართ.

დღეს უკვე, მართლაც, აღარ არსებობს არანაირი ბარიერი, ყოველდღე იზრდება ტერორისტ ქალთა რიცხვი. ტერორისტული დაჯგუფებები ყოველთვის ცდილობენ შეცვალონ და განავითარონ ბრძოლის ტაქტიკა, ქალ ტერორისტთა გამოჩენა კი შეიძლება ჩაითვალოს ბრძოლის ახალ იარაღად.<sup>1</sup>

სადისერტაციო კლევის ავტორი „ქალური ტერორიზმი თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში“ ადამოვა მ. ა. აღნიშნავს, რომ ქალები ინვევენ ნაკლებ ეჭვს სპეც-სამსახურებში. მათი მომზადება ადვილია თვითმკვლელის როლში, ვინაიდან ისინი მეტად მართულები არიან, ვიდრე კაცები. ფსიქოლოგიური გავლენა ტერაქტებზე საზოგადოებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უჩვეულოდ მაღალია. ქალის მიერ განხორციელებული ტერაქტი ინვესს უფრო მეტ პროპაგანდულ ეფექტს საზოგადოებაში.<sup>2</sup>

ტერმინი „გადადებული მსხვერპლი“ გამოიყენება აფეთქების მსხვერპლთან დაკავშირებით, არა მათ მიმართ, ვინც ადგილზე გარდაიცვალა, არამედ მათ მიმართ, ვინც გარდაიცვალა საავადმყოფოში რამდენიმე ხნის შემდეგ. ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ტრაგედიის ადგილზე, მაგრამ ყოველდღიურად არიან მოვლენების კურსში ტელე-რადიომაუწყებლობით, განიცდიან შიშს და საშინელებას პროვოცირებულები ტრანსლაციით, რომელთაც მიიღეს გულის შეტევა და სხვადასხვა მძიმე დაავადებები, იმავე ტერორისტული ჯგუფის მიერ თვითმკვლელობის აფეთქების მსხვერპლად ითვლებიან.<sup>3</sup>

თავის ნამუშევარში მ. ა. ადამოვამ დაადგინა, რომ განსაკუთრებულობა ჩრდილოეთ კავკასიის ქალთა ტერორიზმში არის ის, რომ „რელიგიური მრწამსი ნაკლებად აისახება ტერორისტულ მოტივაციაზე“, ვინაიდან ძირითადად ქალის მონაწილეობა ტერორისტულ ქმედებაში გამოწვეულია ცხოვრების დაბალი დონით, მძიმე სოციალური პირობებით და პირადი პრობლემების გამო ცუდი ურთიერთობის პირობებით ახლობლებთან და ნათესავებთან.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ს. ჩქოფოია, საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები, 2017.

Торопова Т., Сварцевич В. // Аргументы и факты. – 2003. – №51. – С.5.

<sup>2</sup> Адамова М.А. Женский терроризм в современном политическом процессе: автореф. дис. ... канд. политич. наук: 23.00.02 / Адамова Мария Анатольевна. – Пятигорск, 2007.

<sup>3</sup> Попов И.М. У терроризма женское лицо [Электронный ресурс] / И.М. Попов (Неопубликованная статья, октябрь 2004 г.). – Режим доступа: <http://www.milresource.ru/Article-1.html>

<sup>4</sup> Адамова М.А. Женский терроризм в современном политическом процессе: автореф. дис. ... канд. политич. наук: 23.00.02 / Адамова Мария Анатольевна. – Пятигорск, 2007.

რუსეთში “ალლაჰის პატარძლებს”, როგორც თავად აცხადებენ, 2000 წლიდან მხოლოდ დივერსიულ ოპერაციებში იყენებდნენ. მართლაც, ინტერპოლის მონაცემების თანახმად, დღემდე თვითმკვლელი ტერორისტების ნახევარზე მეტი ქალია.

საბოლოო ჯამში, თვითმკვლი ქალის მომზადება მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას, პოტენციური ტერორისტი – ეს, როგორც წესი, რეპრესირებული ქალებია, რომლებიც უკიდურესად მძიმე სიტუაციაში არიან, თავდახსნის მიზნით ისინი მზად არიან ნებისმიერ ფასად – თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან.

ჩვენი აზრით, ემოციური აგრესია არის ქალთა ტერორიზმის უშუალო მოტივაცია, რომლის მთავარი თვისებაა დაზარალებულისთვის ზიანის მიყენება. ეს სურვილი ნაკარნახევია იმით, რომ ქალი ტერორისტი ეგზისტენციალურ მიზანს ასრულებენ. ტერორისტული აქტი ქალისთვის, არის წინააღმდეგობა საკუთარი “მე” საფრთხის გამო – კონცეფცია საკუთარი ძალის და კონტროლის შეგრძნების, საკუთარი სოციალური სტატუსის ამაღლება.<sup>1</sup>

ტერაქტის მოხდენა – დემოსტრირება საკუთარი ძალის, კომპეტენტურობის, მტკიცება საკუთარი დომინირებული პოზიციის. ქალი ტერორისტი თავიანთ დანაშაულებს აღიქვამენ, როგორც საშუალებას თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად, პირადი იმიჯისა და ავტორიტეტისათვის საზოგადოებაში. ქრისტიან ლოხტის აზრით, რომელიც ხელმძღვანელობს ჰამბურგის ფედერალურ უსაფრთხოების სააგენტოს განაცხადა, ქალებს სურთ დაამტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ იმოქმედონ მამაკაცების თანასწორად, ამიტომ ისინი უფრო დაუნდობელი არიან. ექსპერტები – საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ ამტკიცებენ, რომ ქალი, რომელმაც ხელში იარაღი აიღო, საშიშია, ვიდრე მისი თანამოაზრე მამაკაცი.<sup>2</sup>

თვითმკვლელი ქალები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი შედგება “შავი ქვრივებისაგან”, რომლებმაც დაკარგეს ქმრები და ძმები. ისინი, როგორც წესი, პირდაპირ მიდიან ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია გამოიყოს შემდეგი მოტივი „შავი ქვრივების“: სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური.

სოციალური მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც წესი, მამაკაცი-მარჩენლის დაკარგვის შედეგად ირღვევა მუსლიმი ქალისთვის მიღებული კომფორტულობა სოციალურ გარემოსთან ურთიერთობაში. შესაბამისად, ქმარი დაიღუპა მუსლიმი ქალისთვის იგივეა, რაც საკუთარი სიკვდილი. ამიტომ ის არის მიმართული შურისძიებისაკენ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც. შესაბამისად, წამყვანი როლი ქალთა ტერორიზმში არის თვითრეალიზება, მამაკაცში – სწრაფვა ბატონობისკენ ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობის.

სოციალურად ფსიქოლოგიური მოტივაცია მდგომარეობს იმაში, რომ „მარჩენალი – ქმრის“ დაკარგვა არის ფრუსტრატორი (იმედგაცრუებული), ვინაიდან ირღვევა ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნილება – უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნილების. ეს ქმნის დარწმუნებულობას საკუთარი პიროვნების ღირებულებისა და უძღურების განცდას, ღირებული ორიენტირის სიცოცხლის მნიშვნელობის დაკარგვას. ამრიგად „შავი ქვრივები“ ცდილობენ თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებას იმიტომ, რომ გაიღრმანონ საკუთარი იდენტობის შეგრძნება. შურისძიება არის შესაძლებლობა თვითმყოფადობის, რომელიც სიცოცხლის აზრის მნიშვნელობას პოულობს ტერორისტულ ბრძოლაში, საკუთარი მნიშვნელობის (თვითმყოფადობის) შეგრძნებით.<sup>3</sup>

მეორე ჯგუფში შედიან ისინი, ვისაც კამიკაძეებად გადააქცევენ „დამვერობკებლები“. ისინი ცდილობენ დაიყოლიონ ქალი თანამშრომლობაზე საკუთარი ნებით, წინააღმდეგობის შემთხვევაში ემუქრებიან ნათესავების მოკვლით.

<sup>1</sup> Торопова Т., Сварцевич В. // Аргументы и факты. – 2003. – №51. – С.5.

<sup>2</sup> Уколов Р., Плугатерева И. Женское лицо страха // Новое время. – 2003. – №32. – С.32.

<sup>3</sup> Уколов Р., Плугатерева И. Женское лицо страха // Новое время. – 2003. – №32. – С.32.

ცნობილია ასევე შემთხვევები, როცა ქალს სურს ჩამორეცხოს ოჯახს სირცხვილი და ამასთან მისი სოციალური სტატუსი, თვითონ ეძებს კონტაქტს ექსტრემისტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ერთ-ერთი მათგანია 24 წლის ჩეჩენი ზარემა მუჟახოევა, რომელმაც ტერორისტული თავდასხმა ვერ შეძლო. გოგონამ აღიარა, რომ ის ვაჰაბისტებს დაუკავშირდა შეგნებულად. მუჟახოევამ თავად გადაწყვიტა თავის შეწირვა, ამით სირცხვილის ჩამორეცხდა და ვალსაც მოიხდიდა ნათესავების წინაშე.

გადაბირებული შეიძლება იყვნენ ნათესავი – მამაკაცებიც. ტერორიზმთან ბრძოლის ფედერალური უშიშროების სამსახურის დეპარტამენტის ცნობით, თვითმკვლელი ტერორისტი, რომელმაც ააფეთქა საერთაშორისო სასტუმრო „ნაციონალი“, ქმარმა მიყიდა ექსტრემისტებს.<sup>1</sup>

ჩვენ მიერ განხილულ პრობლემას აქვს მნიშვნელოვანი გამოყენებითი მნიშვნელობა ანტიტერორისტული მოქმედებებისათვის, ვინაიდან ტერორისტის მოტივაციის ცოდნა საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ წარმოადგინოს თავისი ფსიქოლოგიური პორტრეტი და შემუშავდეს უფრო ეფექტური პროფილაქტიკური საშუალებები ტერორიზმის წინააღმდეგ.

---

<sup>1</sup> Торопова Т., Сварцевич В. // Аргументы и факты. – 2003. – №51. – С.5.



# ეკონომიკისა და ბიზნესის აღმინისტრირების ვიკარტულა

**მარინა ლუარსაბიშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
ახალი სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული  
ასოცირებული პროფესორი

## ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ფუნქციები და წესები

### ანოტაცია

ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, საჭირო, სრული და დროული ინფორმაციის მისაღებად ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა კომპლექსურად უნდა იქნას გამოყენებული. ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის გამიჯვნა კომერციული საიდუმლოებების დაცვის და იმავდროულად გარე მომხმარებლებისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობით არის განპირობებული, რომელსაც მხოლოდ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს. ფინანსური აღრიცხვა რჩება ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ბაზად, მაგრამ იგი, როგორც მართვის ინსტრუმენტი, საკმაოდ შეზღუდულია დროსა და სივრცეში. აღნიშნული ხაზს უსვამს მმართველობითი აღრიცხვის მნიშვნელობას, რომელიც ავსებს ფინანსურ აღრიცხვას, მოიცავს ბიუჯეტსა და მომავალი საქმიანობის პროგნოზს, ამავე დროს წარმოადგენს წარსულში მომხდარი მოვლენების ჩანაწერს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მზადდება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელსაც შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს, ბანკებსა და ფინანსურ ანალიტიკოსებს, მიიღონ საუკეთესო გადაწყვეტილება კაპიტალის განთავსების თვალსაზრისით ყველაზე საიმედო კომპანიებში, ხოლო კაპიტალის ეფექტური განაწილება კი წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების საიმედო საფუძველს.

ბიზნესის ყოველდღიური ცხოვრების სწორად დაგეგმვისათვის მენეჯერებს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, ხშირად მრავალი დამატებითი ბუღალტრული მონაცემი სჭირდებათ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით კი მიღებული ინფორმაცია შიგა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ შესაბამისი დოკუმენტები მზადდება მმართველთათვის საჭირო ფორმით და არ საჭიროებს ფინანსური აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების გათვალისწინებას.

**Marina Luarsabishvili**

*Academic Doctor of Economy, Affiliated Professor of  
New Higher Education Institute*

## **FUNCTIONS AND RULES OF FINANCIAL AND MANAGEMENT ACCOUNTING**

### **Abstract**

Despite the difference between financial and management accounting, financial and management accounting should be used as a complex to obtain the necessary and complete information for making management decisions. The separation of financial and management accounting is based on the need to protect commercial secrets and at the same time provide information to external customers, which includes only financial statements.

Financial accounting remains a platform for analysis and decision making, but it is very limited in time and space. This underlines the importance of management accounting, which complements financial accounting, includes budget and future activities, and at the same time records events that have occurred in the past.

The laws of Georgia are in accordance with financial statements prepared in accordance with International Financial Reporting Standards, which provides an opportunity for investors, banks and financial analysts to make the best decision for the capital of the most reliable companies in distributing effective capital from reliable development ekonomikis.

Managers should have a lot of additional accounting data, as well as their financial reports for proper planning of daily business life. Based on these data, the information obtained is intended for domestic consumption, therefore the preparation of relevant documents is necessary in the form of managers and does not require the adoption of generally accepted accounting principles.



## ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ფუნქციები და წესები

სააღრიცხვო სისტემის ამოცანას წარმოადგენს მიღებული ინფორმაციის შესაფერისად გაფორმება და შემდეგ თითოეული დაინტერესებული პირისათვის მიწოდება. მომხმარებელთათვის საჭირო ინფორმაციის ტიპი დამოკიდებულია მათ მიერ მისაღები გადანაცვტილებების სახეზე. ამ თვალსაზრისით აღრიცხვის პროცესი შეიძლება დაიყოს ორ მთავარ ნაწილად: ფინანსური აღრიცხვა და მმართველობითი აღრიცხვა. ფინანსური აღრიცხვა ეხება საწარმოს მოღვაწეობის მთელ პროცესს და გამიზნულია გარე მომხმარებლებისათვის (აქციონერები, მომწოდებლები, კრედიტორები და ა.შ.). ფინანსური აღრიცხვა აისახება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც წარმოადგენს იძლევიან საწარმოს მოღვაწეობაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მათი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა მაჩვენებლის (კოეფიციენტების) გამოთვლა და ამით საწარმოს საქმიანობის საკმაოდ ზუსტი დახასიათება. მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა ფინანსური აღრიცხვისაგან განსხვავებით გამიზნულია შიდა მოხმარებისათვის. ფინანსური აღრიცხვა ასახავს წარსულს და განიხილავს საწარმოს, როგორც ერთ მთლიანს. მმართველობითი აღრიცხვა კი განცალკევებულად განიხილავს საწარმოს მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს და საშუალებას იძლევა წარმართოს ბიზნესი გარკვეული მიმართულებით ისე, რომ მიღწეულ იქნას მისი მიზნები. მმართველობითი აღრიცხვის საშუალებით მიღებული ინფორმაცია გამოიყენება საწარმოს მენეჯერების მიერ მმართველურ გადანაცვტილებათა მიღებისას.

ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრულ დოკუმენტთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ისინი იძლევიან დროის განსაზღვრული პერიოდის (თვე, წელი...) განმავლობაში ბიზნესის საქმიანობის შესახებ მოკლე, შეჯამებულ ინფორმაციას და ასახავენ აღნიშნული პერიოდის ბოლოსათვის ამ საქმიანობის შედეგად საწარმოს მიერ მიღწეული ფინანსური მდგომარეობის სურათს. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საშუალებას აძლევს მენეჯერებს სწორად შეაფასონ ბიზნესის არსებული შესაძლებლობები და მომავლის პერსპექტივები, მათზე დაყრდნობით კი კორექტირება გაუკეთონ ძველს და მიიღონ ახალი გადანაცვტილებები. ყოველწლიურად ყველა დიდი კომპანია ამზადებს და ავრცელებს დაინტერესებულ მომხმარებელთა შორის ფინანსურ ანგარიშგებას. აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტები აღრიცხებიან სახელმწიფო რეგულირების ორგანოებში, სადაც მათი გაცნობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სააღრიცხვო სისტემა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ განსხვავებული ტიპის მომხმარებელმა ერთი და იგივე ინფორმაცია ერთნაირად უნდა აღიქვას. იმისათვის, რომ გვესმოდეს ფინანსური დოკუმენტების არსი, თავდაპირველად უნდა გავეცნოთ ფინანსური აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს (ფასმპ, GAAP – Generally Accepted Accounting Principles, (საბუღალტრო პრინციპები)). ეს არის ძირითადი წესები, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალი წლის განმავლობაში პროფესიონალი ბუღალტრების მიერ. ფასმპ წარმოადგენს აღრიცხვის სტანდარტებსა და კონცეფციას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას ფინანსური საქმიანობის შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში. საბუღალტრო პრინციპების თანმიმდევრული გამოყენება შესაძლებელს ხდის, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგება შევადაროთ წინა წლების ანგარიშგებას და აგრეთვე სხვა კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას.

როდესაც ფინანსური ანგარიშგება შესადარია იმის გამო, რომ ისინი ყველა შედგენილია ერთი და იმავე წესების მიხედვით, ეს შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს, ბანკებსა და ფინანსურ ანალიტიკოსებს, მიიღონ საუკეთესო გადანაცვტილება კაპიტალის განთავსების თვალსაზრისით ყველაზე საიმედო კომპანიებში, ხოლო კაპიტალის ეფექტური განაწილება კი წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების საიმედო საფუძველს.

ჩვენ გვჭირდება საბუღალტრო პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღება საიმედო, შესაძარი, არსებითი და აღქმადი ფინანსური ანგარიშგება. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება მზადდება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (ფასს – IAS). მათი მიღების უფლება აქვს ფასს-ის კომიტეტს (IASC). სტანდარტები ითარგმნება და გამოდის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ-ის) მიერ.

სპეციფიური ინფორმაცია საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა, მაგალითად, სანარმოს მიერ ახალი პროდუქციის წარმოების დაწყება, ძველი ქარხნის მოდერნიზაცია თუ ახლის აშენება. ეს ინფორმაცია შიგა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ შესაბამისი დოკუმენტები მზადდება მმართველთათვის საჭირო ფორმით და არ საჭიროებს ფინანსური აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების გათვალისწინებას.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები არიან: მმართველი ხელმძღვანელები, ინვესტორები და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები და პროფკავშირების წარმომადგენლები, სესხის გამცემები, სამთავრობო უწყებები, მომწოდებლები, მყიდველები, კონკურენტები, საზოგადოება.

**ხელმძღვანელობას** აინტერესებს დეტალური ინფორმაცია სანარმოს გასაკონტროლებლად და გეგმების შესამუშავებლად. სანარმოს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ბუღალტერს შუძლია მოამზადოს ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ციფრები, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სანარმოს საბიუჯეტო მონაცემებთან შესადაარებლად. ხელმძღვანელობამ საჭიროა ასევე იცოდეს თითოეული განყოფილებისა და პროდუქტის მომგებიანობა. მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია უნდა მოიცავდეს განახლებულ ინფორმაციას და მზადდებოდეს ყოველთვიურად.

**ინვესტორებს და პოტენციურ ინვესტორებს** აინტერესებთ თავიანთი პოტენციური მოგება და ჩადებული კაპიტალის უსაფრთხოება. მომავალი მოგების გათვლა შესაძლებელია კომპანიის წარსული საქმიანობიდან, რომელიც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაშია ნაჩვენები. ინვესტიციის უსაფრთხოება შეიძლება დადგინდეს კომპანიის ბალანსში.

**დაქირავებულ მუშაკებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს** აინტერესებთ, შეუძლია თუ არა კომპანიას უზრუნველყოს ისინი სტაბილური სამსახურითა და სამსახურებრივი წინსვლით, დროთა განმავლობაში კომპანიის ზრდის შედეგად. ასევე მათ აინტერესებთ ხელფასებისა და იმ სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რომელიც ხელმძღვანელობამ შეიძლება გასცეს. მათ ასევე დააინტერესებთ სანარმოს ნაწილობრივი დახურვის სამიშროების შემთხვევაში, მოგების წილის მიღების შესაძლებლობაც.

**სესხის გამცემებს სურთ** იცოდნენ, დაიბრუნებენ თუ არა გაცემულ სესხებს. ისინი შეისწავლიან ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას, რათა დარწმუნდნენ, რომ კომპანია შეძლებს განსაზღვრულ ვადაში დააბრუნოს სესხი და გადაიხადოს მოთხოვნილი პროცენტები ამ ვადის დადგომამდე. მომხმარებელთა ამ ჯგუფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იცოდეს კომპანიის ფულადი სახსრების ოდენობა და აქტივების ღირებულება, რაც სესხის გადახდის გარანტიას წარმოადგენს. ამ აქტივების ღირებულება მითითებულია ბალანსში.

**სამთავრობო უწყებებს** ფინანსური ინფორმაცია სჭირდებათ ეკონომიკაზე მონიტორინგისა და გადასახადების მოკრების მიზნით. ისინი სააღრიცხვო ინფორმაციას იყენებენ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისას, რათა განსაზღვრონ მთლიანად ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, ხოლო საგადასახადო სამსახურები სააღრიცხვო ინფორმაციას მოგების შესაფასებლად იყენებენ, რომლის მიხედვითაც ანგარიშობენ კომპანიების საგადასახადო ვალდებულებას.

**მომწოდებლებს** აინტერესებთ კომპანია გადახდისუნარიანია თუ არა. ახალი მომწოდებლები შესაძლებელია დაინტერესდნენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობით პროდუქციით მომარაგე-

ბაზე დათანხმებამდე.

**მყიდველებს** აინტერესებთ, შეიძლება თუ არა კომპანია მომავალშიც მათ მომარაგებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დამოკიდებულია განსაკუთრებულ საქონელზე, რომელსაც კომპანია აწვდის.

**კონკურენტებს** სურთ შეადარონ თავიანთი საქმიანობა სხვა კომპანიების საქმიანობას და იცოდნენ, რაც შეიძლება მეტი მათი კონკურენტის შესახებ, რათა შეძლონ სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

**საზოგადოება** შესაძლოა დაინტერესდეს, როგორ გავლენას ახდენს კომპანია ეკონომიკაზე, ეკოლოგიაზე და ადგილობრივი საზოგადოებრიობის წევრებზე. კომპანიას შეუძლია დაეხმაროს ადგილობრივი საზოგადოების ჯგუფებს დასაქმებაში და მფარველობა გაუწიოს მათ. ზოგიერთი კომპანია ჩართულია კორპორაციული პასუხისმგებლობის პროგრამებში, რომელთა დანიშნულებაა ეკოლოგიაზე, ეკონომიკასა და საზოგადოებებზე ზრუნვა და მხარდაჭერა, მაგ. ნარჩენების გადამუშავების პროგრამა.

მმართველობითი აღრიცხვის სააღრიცხვო სისტემაში რეგისტრირდება დიდი მოცულობის ფაქტები (მონაცემები) მასალების, სამუშაო ძალის, დანახარჯებისა და სხვა სამეურნეო ოპერაციების შესახებ. თუ ხელმძღვანელობა ცალ-ცალკე განიხილავდა მასალებთან, სამუშაო ძალასთან, დანახარჯებთან და ა.შ. დაკავშირებულ მუხლებს, ეს მონაცემები არ იქნებოდა მისთვის დიდად ღირებული და სასარგებლო. ზემოაღნიშნული ფაქტები და მონაცემები დახარისხდება და დაჯამდება მმართველობითი ინფორმაციის მისაღებად, ე. ი. იმ ინფორმაციის მისაღებად, რომელსაც ხელმძღვანელობა იყენებს ორგანიზაციის საქმიანობის დასაგეგმად და მასზე კონტროლის განსახორციელებლად.

ხელმძღვანელობას მიწოდებული ინფორმაცია ეხმარება ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვაში, მასზე კონტროლის განხორციელებასა და გადანყვეტილებების მიღებაში. სავარაუდოდ, მმართველობითი გადანყვეტილებები მით უფრო უკეთესია, რაც უფრო ხარისხიან ინფორმაციას ეყრდნობა. საიმედო ინფორმაციას უნდა ახასიათებდეს შემდეგი თვისებები – უნდა იყოს: ზუსტი; სრულყოფილი; დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტური; გასაგები; რელევანტური (საქმესთან დაკავშირებული); ხელმისაწვდომი; დროული; გამოსაყენებლად ადვილი.

**ზუსტი** – ინფორმაცია იმდენად ზუსტი უნდა იყოს, რამდენადაც საჭიროა. სიზუსტის ხარისხი დამოკიდებულია იმ მიზანზე, რისთვისაც ინფორმაცია არის საჭირო. აღრიცხვაში პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშები მზადდება ერთეულის სიზუსტის მონაცემებით (ციფრებით), მენეჯერებს კი ციფრები აინტერესებთ მხოლოდ ასი ათასის ან ათი ათასის სიზუსტით. მეორე მხრივ, როდესაც ქარხანაში წარმოებული პროდუქციის ერთეულზე დანახარჯი იანგარიშება, მენეჯერებს დანახარჯის გამოთვლა შეიძლება ცენტის სიზუსტით სურდეთ.

**სრულყოფილი** – ინფორმაცია იმდენად სრულყოფილი უნდა იყოს, რამდენადაც საჭიროა, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად დეტალიზებული. მენეჯერებს უნდა მიეწოდოს ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროებათ გადანყვეტილების მისაღებად, მაგრამ ხშირად სასარგებლოა მათი ყურადღების მიპყრობა იმაზე, რაც უფრო მნიშვნელოვანი ჩანს. მაგალითად, ანალიტიკურ (მმართველობით) ანგარიშში ფაქტობრივი მონაცემები უდარდება გეგმურს, ხოლო ფაქტობრივ და გეგმურ მონაცემებს შორის განსხვავება მოიხსენიება, როგორც „გადახრა“. ანგარიში, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის მოცემული, მაგ. ძალიან დიდი გადახრების შესახებ, ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ყურადღების გამახვილებას ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგჯერ ხელმძღვანელობას სურს მხოლოდ იმაზე იყოს ინფორმირებული, რაც რაიმე განსაკუთრებული ან არაორდინარულია. ამგვარ საფუძველზე ანგარიშის მომზადებას უწოდებენ ანგარიშგებას „გადახრების შესახებ“.

**დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტური** – ინფორმაციის ღირებულებამ არ უნდა გადააჭარ-

ბოს მისი მომზადებისთვის საჭირო დანახარჯებს. მმართველობით ინფორმაციას ღირებულება აქვს, ვინაიდან მენეჯერს ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. თუ მენეჯერის გადაწყვეტილება განსხვავდება იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელსაც მიიღებდა მოცემული ინფორმაციის გარეშე, ინფორმაციის ღირებულების გაზომვა შესაძლებელია ამის შედეგად დაზოგილი ფულის ოდენობით. ინფორმაციის ღირებულებას განაპირობებს გადაწყვეტილების მიმღები პირის მოქმედებები, რომელიც ინფორმაციას იყენებს მომგებიანობის გასაუმჯობესებლად. ეს ღირებულება უნდა იყოს იმ დანახარჯებზე მეტი, რომელიც საჭიროა მის მოსაპოვებლად.

**გასაგები** – ინფორმაცია გასაგები უნდა იყოს. მენეჯერმა უნდა შეძლოს იმის გაგება, რა ინფორმაცია მიაწოდეს. თუ ის ამას ვერ გაიგებს, ვერც გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენებს. თუ არასწორად გაიგებს, შეიძლება არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს. აქ შეიძლება პრობლემა არსებობდეს ტექნიკური ენის გამოყენების საკითხშიც („პროფესიული ჟარგონი“) და აღმრიცხველი ყოველთვის სიფრთხილით უნდა ირჩევდეს იმ საშუალებებს, რომლის მეშვეობითაც ფინანსურ ინფორმაციას წარუდგენს არაფინანსური ქვედანაყოფების მენეჯერებს.

**რელევანტური** – ინფორმაციას მიზანი უნდა ჰქონდეს და ამ მიზნის შესაფერისი უნდა იყოს. აზრი არა აქვს მენეჯერისთვის ისეთი ანგარიშის მიწოდებას, თუ მენეჯერს არ ეცოდინება, რა მიზნით გადასცეს ეს ანგარიში, ან რაში უნდა გამოიყენოს. ანალოგიურად, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის მიზანს და არ უნდა შეიცავდეს ისეთ დეტალებს, რომლის იგნორირებაც შესაძლებელია.

**ხელმისაწვდომი** – ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაფერისი საკომუნიკაციო არხებისა და ადამიანების მეშვეობით. „საინფორმაციო“ არხი აღნიშნავს იმ საშუალებას, მეთოდს, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის მიწოდება, მაგალითად, საუბარი, ოფიციალური წერილობითი ანგარიში, არაოფიციალური წერილობითი ანგარიში, ელექტრონული ფოსტა და ა.შ. ეს ცნება ეხება აგრეთვე იმ პიროვნებას, ან განყოფილებას, ან სხვა გარე ორგანიზაციას, რომელიც ინფორმაციას გადასცემს. სხვადასხვა გარემოებებში და ინფორმაციის ბუნებიდან გამომდინარე შესაფერისი საკომუნიკაციო არხი სხვადასხვანაირი იქნება. მაგალითად, ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად არის საჭირო ინფორმაცია, რა რაოდენობის ინფორმაცია არის გადასაცემი, რამდენად შორს უნდა გაიგზავნოს ინფორმაცია და რა ჯდება მისი სხვადასხვა საშუალებით გაგზავნა. სანარმოში მმართველობითი ინფორმაცია ორიენტირებული უნდა იყოს იმ მენეჯერზე ან მენეჯერებზე, რომელთაც შეუძლიათ მისი გამოყენება და ამ ინფორმაციით რაიმეს გაკეთება. აღრიცხვაზე პასუხისმგებლობის კონტექსტში, ინფორმაცია დანახარჯებისა და შემოსავლების შესახებ უნდა მიენდოს იმ პასუხისმგებელ მენეჯერს, რომელიც თანამდებობრივად აკონტროლებს მათ. ნაკლები სარგებლობის მომტანი იქნება ამგვარი ანგარიშის ჩაბარება იმ მენეჯერისთვის, რომელიც არ აკონტროლებს დანახარჯებსა და შემოსავლებს.

**დროული** – ინფორმაცია დროული უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია დროულად უნდა მიენდოს მენეჯერს, რათა მან გამოიყენოს. მაგალითად, დავუშვათ, სანარმოში იქმნება ყოველთვიური ოპერატიული ანგარიშები დანახარჯთა ცენტრებისათვის და მათში X დანახარჯთა ცენტრის მენეჯერმა ანგარიში მიიღო ცენტრის მიერ იანვარში განეული ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ. ეს ინფორმაცია სამი თვით ძველია და დანახარჯთა ცენტრის მენეჯერი, ალბათ, მას ყურადღებას აღარ მიაქცევს, ვინაიდან ეს ინფორმაცია უკვე აღარ არის რელევანტური ამჟამინდელი სიტუაციისათვის. ანალოგიურად, დავუშვათ, უფროს მენეჯერთა ჯგუფს სურს სტრატეგიის განსაზღვრა საზღვარგარეთ საქმიანობის გაფართოებისათვის და ანგარიშს ითხოვს სამხრეთ აფრიკის საბაზრო პირობების შესახებ. თუ მათ გადაწყვეტილების მიღება თებერვალში სურთ, მარტში მოწოდებულ ანგარიშს ფასი არ ექნება, ვინაიდან ამ დროს გადაწყვეტილება უკვე მიღებული უნდა იყოს.

მმართველობითი აღრიცხვა სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად სხვადასხვა მეთოდებისა

და ხერხების არჩევანის მეტ შესაძლებლობებს იძლევა. მაგალითად, როცა ლაპარაკია არაპირდაპირი ხარჯების განაწილებაზე, ბუღალტერმა უნდა გადანყვიტოს და აირჩიოს, რომელი მეთოდი ითვლება უფრო ზუსტად. რადგან ინფორმაცია მხოლოდ შიდა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, ბუღალტერს მის მისაღებად რაიმე მკაცრი ნორმების გამოყენების აუცილებლობა არა აქვს.

ფინანსური აღრიცხვისას აღრიცხვისა და ანალიზის ძირითადი ობიექტი, საწარმოს ფინანსური მდგომარეობაა. იგი განზოგადებულია ბუღალტრულ ბალანსსა და ანგარიშგებაში მოგებისა და ზარალის შესახებ. ფინანსური აღრიცხვისაგან განსხვავებით მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს ცალკეული ქვედანაყოფების (დანახარჯების, ცენტრების,) ცვლილებებსა და ანალიზს, ან მათი საქმიანობის რომელიმე მხარეს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდება და წარედგინება ინფორმაციის გარე მომხმარებელს რეგულარულად, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ: კვარტალი, წელი. მმართველობით აღრიცხვაში კი ანგარიშგებები შეიძლება შედგეს ასევე თანაბარზომიერად, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. მთავარია, რომ იგი მომხმარებლისათვის სასარგებლო იყოს, ამიტომ მომხმარებელს მისივე მოთხოვნით, მისთვის აუცილებელ და საჭირო დროს უნდა წარედგინოს.

ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ინფორმაცია მხოლოდ ფაქტობრივი (ისტორიული) მონაცემებია. იგი დამთავრებულ ოპერაციებს ასახავს, ამიტომ ობიექტურ ხასიათს ატარებს და ექვემდებარება შემოწმებას. მმართველობითი აღრიცხვა, უმთავრესად, მოიცავს შიდა ოპერაციების კონტროლსა და დაგეგმვას. დაგეგმვა და სამმართველო გადანყვიტებების მიღება – მომავლის საქმიანობაა. ამასთან, დაგეგმვისას მომავალი, მოსალოდნელი მოვლენების სუბიექტური შეფასებები სჭარბობს.

ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია მომხმარებლებისათვის გასაცნობად პერიოდულად ქვეყნდება, მაშინ, როცა მმართველობითი აღრიცხვის მონაცემებს უშუალო კავშირი აქვს საწარმოს (ფირმის) რენტაბელობასთან და განკუთვნილია მხოლოდ ადმინისტრაციისათვის. ამგვარი ინფორმაციის გაჟონვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლას, ამიტომ იგი კომერციულ საიდუმლოებად ითვლება და გამჟღავნებას არ ექვემდებარება.

ფინანსურ აღრიცხვას მომხმარებლებზე ინფორმაციის წარდგენის თვალსაზრისით, რიგი შეზღუდვები გააჩნია. საწარმოს საქმიანობის მრავალი მხარე და მათი შედეგები ასახვას ვერ პოუვებენ ფინანსურ ანგარიშგებაში, იგი არ ხსნის პროდუქციის ბუნებას და ხარისხს, მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობას, შრომისნაყოფიერებას, შრომის ანაზღაურების პირობების შეცვლას და ა.შ. რაც ბუნებრივიცაა. აღნიშნული მაჩვენებლები კონკრეტულ ნატურალურ მონაცემებს წარმოადგენენ, ფინანსური აღრიცხვა, ცნობილია, რომ სცნობს მხოლოდ ერთ საზომ ერთეულს – ფულადს. აგრეთვე, იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსურ აღრიცხვაში ასახვას პოუვებს მხოლოდ ისტორიული მონაცემები, ისინი გარე მომხმარებლებამდე ძირითადად მოგვიანებით ხვდებიან, ვინაიდან ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.

ფინანსური აღრიცხვა რჩება ანალიზისა და გადანყვიტებების მიღების ბაზად, მაგრამ იგი, როგორც მართვის ინსტრუმენტი, საკმაოდ შეზღუდულია დროსა და სივრცეში. მომავალი ყოველგვარი პროგნოზირებისათვის აუცილებელია წარსულის ანალიზი და ფინანსური აღრიცხვა ასეთი ანალიზის საშუალებას იძლევა, მაგრამ მისგან უფრო მეტ ინფორმაციას არ შეიძლება ველოდოდ, ვიდრე მას ფინანსური ანგარიშგება შეიცავს. აღნიშნული ხაზს უსვამს მმართველობითი აღრიცხვის, როგორც მართვის ძირითადი ინსტრუმენტის მნიშვნელობას, რომელიც ავსებს ფინანსურ აღრიცხვას. მმართველობითი ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნას შიდა მომხმარებლებისათვის მოსახერხებელი და აუცილებელი სახით, მათთვის საჭირო დროს, რაც მას კონკრეტულობას და ოპერატიულობას ანიჭებს. იგი აყალიბებს ბალანსის რიგი მუხლების შეფასების ბაზას, განმარტავს საერთო ფინანსური შედეგების ფაქტორებსა და პოზიციებს (რომლებიც ასახულია ანგარიშგებაში მოგება-ზარალის შესახებ) შემოსავლებისა და ხარჯების შედარების გზით, პროდუქციის

ცალკეული სახეების მიხედვით.

ამ ორი სახის აღრიცხვის შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, მმართველობითი გადნყვეტილებების მიღების მიზნით, საჭირო, სრული და დროული ინფორმაციის მისაღებად, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა კომპლექსურად უნდა იქნას გამოყენებული. ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის გამიჯვნა კომერციული საიდუმლოებების დაცვის და იმავდროულად, გარე მომხმარებლებისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობით არის განპირობებული, რომელსაც მხოლოდ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ACCA -ს წიგნი F2 და F3 (ფინანსური აღრიცხვა და მმართველობითი აღრიცხვა); საერთაშორისო სტანდარტები ბაფი Kaplan Limited 2015წ.
2. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2007.
3. ზ. ნიკვაშვილი, მენეჯერული აღრიცხვა, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბ., 2011.

**აირატ იზმაილოვი**  
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
სამარის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**დინარა გილმანოვა**  
სამარის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მესამე კურსის სტუდენტი

## **საჯარო სააქციო საზოგადოება „კუზნეცოვის“ საქმიანობის ანალიზი**

### **ანოტაცია**

წარმოდგენილ სტატიაში ავტორის მიერ განხილულია რუსეთის ფედერაციის სამარის ოლქში განთავსებული საჯარო სააქციო საზოგადოება „კუზნეცოვის“ საქმიანობის ძირითადი პრობლემები. განხილვის ძირითადი ინსტრუმენტი არის SWOT-ანალიზი.

ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოკვეთილია საწარმოს განვითარების საკვანძო პრობლემები, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ კომპანიის სხვადასხვა პროცესების ფუნქციონირებაზე. ერთერთი ძირითადი პრობლემა არის წარმოების ხანგრძლივი ციკლი, რომელიც გამოხატულია დაბალი ბრუნვადობით, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე. ამ საწარმოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა განვითარების სტრატეგიის არ ქონა, რაც იწვევს შემდგომში მართვის ორგანიზაციის არაეფექტურობას და უთანხმოებას ქვედანაყოფებს შორის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში. SWOT-ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები პირდაპირ კავშირშია საწარმოს საქმიანობის ინოვაციურ პრობლემებთან.

### **Candidate of Economic Sciences**

*Izmailov Ayrat Maratovich*  
*Samara State University of Economics*

### **Gilmanova Dinara Rakhimzhanovna**

*Third Year Student of Samara State*  
*University of Economics*

## **Analysis of the Activities of PJSC “KUZNETSOV»**

### **Abstract**

This study investigates the main problems of Public Jointed Stock Company “Kuznetsov”, which is located in Samara region. The main instrument used in this research is the SWOT analysis. According to the results of the analysis, the key problem of development is identified.

The article is part of a series of scientific works devoted to the analysis of the innovative potential of Samara region. The studied enterprise is one of the largest enterprises in the region, it has the most important defense value and accumulates the most advanced innovative technologies.

**Key words:** analysis; industrial enterprise; analysis of development problems; Samara region.

## ANALYSIS OF THE ACTIVITIES OF PJSC “KUZNETSOV»

“Kuznetsov” Corporation is a part of the United Engine Corporation. It is the leading enterprise in Russia on development, production, technical support in operation and repair of gas turbine aircraft, liquid rocket engines, gas turbine units for ground use in the gas industry, energy.

The history of the company dates back to the autumn 1912, when in Moscow, on Nikolayev street (now Tkatskaya), on the basis of artisanal workshops, a small mechanical plant of the French society “Gnome” was opened for the Assembly of aviation star-shaped seven-cylinder rotary air-cooled engines “Gnome”.

The government has an increasing influence on various areas of business. And for “Kuznetsov” Corporation this influence is positive, as the company’s activities are aimed at the development of the military-industrial complex of the country. Lots of strategically important projects are being realized in this enterprise, the implementation of which is impossible without public funding. Within the framework of the industry in which Kuznetsov Corporation operates, the state program of the Russian Federation “development of the military-industrial complex” is being developed.

The company carries out measures to improve the environmental situation, but at the moment they are not very effective, so this entails the payment of appropriate fines. Possible tightening of standards on harmful emissions into the soil and atmosphere may lead to growth of penalties.

To identify the strengths and weaknesses of Kuznetsov Corporation, determine the problem area and the impact of opportunities and threats from the external environment, a SWOT analysis was conducted (table 1).

Table 1

<b>Strength</b>	<b>Weakness</b>
1. monopoly position in the production of engines for Soyuz series rocket carriers and strategic aviation; 2. a huge production area; 3. extensive experience of scientific research; 4. significant state support for the reconstruction of production facilities; 5. compliance with modern requirements to quality of products; 6. permanent customer base; 7. high qualification of industrial and production personnel; 8. high innovative potential of the enterprise.	1. long production cycle; 2. high wear of buildings, structures, plant and machinery; 3. technological lagging behind the world level of production capacity development; 4. high cost of production; 5. lack of self-financing; 6. lack of risk management system; 7. lack of development strategy; 8. low innovation activity in the industry on a national scale; 9. lack of stimulation of innovative activity both from the management and from the state.
<b>Opportunities</b>	<b>Threats</b>
1. growing demand for goods due to the military and political situation in the world; 2. the reduction of the key rate of the Central Bank; 3. formation of demand for new models of rocket and aircraft engines in foreign markets (USA, France, India); 4. state grants for realization of innovative potential of the enterprise.	1. the increase in the key rate of the Central Bank; 2. the growth of raw material price; 3. development of the rocket engine of JSC NPO Energomash, which could launch people into space; 4. tightening of the environmental regulations; 5. entering the Russian market of foreign competitors.



Results of the SWOT-analysis indicates that the company has great prospects for further development and improvement of its activities. This potential can be considered on the basis of concept “company’s competence”. It is a set of characteristics that allows company to operate successfully in the market.

According to the “Kuznetsov” Corporation these characteristics include, firstly, a monopoly position in the industry and the uniqueness of the product, which create serious barriers to entry into the market of new players. Secondly, high governmental support, which is expressed in the financing of the company, the provision of concessional loans and in the direct participation in particularly important projects, because the state is the main customer of the enterprise. Thirdly, highly qualified personnel, which is important aspect of the successful implementation of innovative and investment projects provided by the company.

According to these findings, the key competence of “Kuznetsov” Corporation can be identified: it is the strategic importance of the enterprise for the military-industrial complex of the country. This key competence is the basis for creating sustainable advantages of the company. Activity of the enterprise is especially actual now, in connection with a tense political situation in the world that is characterized by increase in demand for military production, including engines for strategic aircraft.

Despite all the advantages, the company has a number of problems, both internal and external, which adversely affect the functioning of various processes within the company. Domestic problems consist of, firstly, long cycle of production, which is expressed in low turnover and directly affects the solvency of the company. The following one is wear of buildings, constructions and the equipment. This aspect strongly affects production potential of the enterprise and does not allow it to work at full capacity, it is also necessary to note that this problem demands considerable financial investments, both on reconstruction and on repair. Another important problem is the lack of development strategy, which entails inefficient management of the organization as a whole and disagreements in management decisions between departments.

What is more there are macroeconomic factors that have a negative impact on the activities of Kuznetsov Corporation. Here it should be said about the change in the key rate of the Central Bank, with increasing of which the growth of loans will start, and this will lead to additional losses. It is also important to talk about the technological gap between Russian and foreign engine building, where private capital is successfully attracted, and excursion routes to space are developing at full speed. In the current circumstances, in order to reach this level, Russian companies will need huge investments and a long period of time.

In order to maintain the key competence of the company, it is necessary to ensure the advanced (on a global scale) development of the product line and to reduce the production cycle by improving technologies. These directions require the introduction of both product and process innovations. According to the results of the SWOT analysis, the identified weaknesses, in accordance with the specifics of the studied industry, provide an exit to the key problem associated with the organization and management of innovation activities at “Kuznetsov” Corporation.

### References:

1. Ryazanova O. E., Levchenko L. V. Investment climate as a condition for the development of innovative economy. *Economics*. 2014. No. 114. P. 14-28.
2. Levchenko L. V. Higher professional education in the system of economic security of Russia. *Economic and legal issues*. 2011. No. 35. S. 205-210.
3. Levchenko O. V., Prokhorenko O. D. on the interaction of educational institutions and enterprises in the innovative economy. *Economics*. 2010. No. 65. S. 231-234.

ასმათ შამუგია  
ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ავილირებული ასისტენტ პროფესორი,

## ქოუჩინგის როლი HR გუნდის განვითარებისთვის

### ანოტაცია

ეს სტატია ეფუძნება თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძვლებს. გამოვლენილია, რომ ქოუჩინგი გასაქანს აძლევს ადამიანის პოტენციალს მისი წარმადობის მაქსიმუმის მისაღწევად. ქოუჩინგი არ ასწავლის, არამედ ეხმარება ადამიანს თავად ისწავლოს. ქოუჩინგი აძლიერებს ადამიანის როგორც პროფესიონალის როლს და წარმოადგენს განვითარების ხელშესახებ შესაძლებლობას, რომლის მიზანია შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს განვითარებას პროფესიულ ცხოვრებაში, იზრუნოს პროფესიული საჭიროებების გასარკვევად და უზრუნველყოფს კომპეტენციების განვითარებას ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ავტორის მიერ შესწავლილი ინოვაციური კომპეტენციების გაანალიზება. როდესაც საქმე ეხება ქოუჩინგს, პროცესის წარმატება და ხარისხი პირველ რიგში დამოკიდებულია კადრების მოტივაციასა და მზაობაზე არ დაიშურონ ძალისხმევა იმ საკითხებზე სამუშაოდ, რომლებიც თვითონვე განსაზღვრეს. ქოუჩინგის საქმეა დაეხმაროს პერსონალს უკეთ გაიაზროს გართულებული პრობლემები, ასევე შეხედოს მდგომარეობას ახალი, განსხვავებული კუთხიდან. ქოუჩინგის მიერ პროფესიონალურად დასმული შეკითხვები და აქტიური მოსმენის უნარები, თანამშრომელს ეხმარება იპოვოს საკუთარ თავში ძალა და შესაძლებლობა სპეციფიკური პრობლემის გადაწყვეტისთვის.

მოცემულ სტატიაში მკაფიოდ ჩანს, რომ, რაც მთავარია, ქოუჩინგი მუშაობს! ყოველივე ამის დემონსტრირება მუდმივად ხდება პიროვნულ და პროფესიულ ცხოვრებაში უკვე მრავალი წელია. ქოუჩინგი შესაძლოა იყოს როგორც დამოუკიდებელი, ისე ტრენინგის შემდგომი პროცესი, რომელიც დაეხმარება კადრებს ეფექტიანად განახორციელონ წვრთნის დროს შეძენილი უნარები რეალურ პირობებში. რადგანაც ქოუჩინგი უაღრესად პიროვნული პროცესია, მოცემულ სტატიაში, შემოთავაზებულია ინდივიდუალური და გუნდური ქოუჩინგის გადაწყვეტილებები, ყოველთვის მორგებული პროცესით, უფროსი და ახალგაზრდა პოტენციური მენეჯერებისთვის.

მსოფლიოში ყველა წარმატებულ ადამიანს ჰყავს პერსონალური ქოუჩინგი. ქოუჩინგი პიროვნების ზრდის და განვითარების კატალიზატორს წარმოადგენს. პრიორიტეტების განსაზღვრა, მიზნის სწორად დასახვა, დაგეგმვა, მიღწევა. თვითდისციპლინა და საჭირო ჩვევების გამომუშავება; შიშებისგან, ეჭვებისგან და შინაგანი ბლოკებისგან განთავისუფლება; წინააღმდეგობებთან, პრობლემებთან მუშაობა; დანიშნულებაში გარკვევა; საკუთარ ნიჭზე, უნარებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იმ საქმის პოვნა, რომელიც აავსებს კადრს ენერჯით და გაიყვანს შემოსავლებზე. პოზიტიური აზროვნების განვითარება, სწორი დამოკიდებულებების გამომუშავება, თვითშეფასების ამაღლება, საკუთარ თავსა და ძალებში რწმენა; პოტენციალის მაქსიმალურად გახსნა, როდესაც გრძნობ, რომ მეტი შეგიძლია და არ იცი როგორ და რანაირად გააკეთო ეს.

ამრიგად, ქოუჩინგი წარმოადგენს მომსახურების სფეროს, რომელსაც რადიკალურად შეუძლია სასიკეთოდ შეცვალოს ადამიანის ცხოვრება, გადაიყვანოს ახალ, ხარისხობრივად უფრო მაღალ საფეხურზე, დაეხმაროს მასშივე ჩადებული პოტენციალის მიგნებაში, მაქსიმალურად გახსნაში, ეფექტიანობის გაზრდასა და გამოყენებაში. ქოუჩინგი ეხმარება კადრს მოაგვარებინოს ურთიერთობები და მყარი საფუძვლის ჩაყრით (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფასეულობები, სწორი დამოკიდებულება, პოზიტიური აზროვნება, საკუთარ თავსა და ძალებში რწმენა, თვითშეფასების ამაღლება...) მიაღწევიან ნებისმიერ წარმატებას, რასაც მიზნად დაისახავს ცხოვრებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქოუჩინგი, როლი, HR, მენეჯერი, თანამშრომელი, ორგანიზაცია.

**Asmat Shamugia**

*Academic Doctor of Economics,  
Affiliated Assistant Professor of  
New Higher Education Institute*

## **THE ROLE OF COACHING FOR THE DEVELOPMENT OF HR TEAM**

### **Abstract**

This article is based on the basics of theoretical and empirical research. It has been revealed that coaching makes it possible for human potential to achieve maximum performance. Coaching does not teach, it does not help anyone to learn. Coaching strengthens the role of a professional as a human being and is a developmental possibility that aims to maintain and promote development in professional life, to take care of professional needs and ensure the development of competences to meet these needs.

The purpose of the work is to analyze an innovative competences studied by an author. When it comes to coaching, the success and quality of the process first depends on the motivation and willingness of the staff to make efforts to work on an issues themselves. Coach's job is to help staff better understand difficult problems, help to see the situation from a new, different angle. Professionally asked questions and active listening skills by Coach helps employees find the power and possibility of solving a specific problem.

This article shows that the most important thing is doing work! This is demonstrated permanently for personal and professional sheep for many years. Coaching can be as an independent process as well as a further training process that will enable the staff to effectively implement the skills acquired during the training in real terms. Since choosing is a highly personalized process, an article offers solutions for individual and team coaching, always with the tailor-made process for the senior and potential managers.

All successful people in the world have a personal coach. Coaching is a personality growth and development catalyst. Determine the priorities, set the goal correctly, plan, and achieve; Self-discipline and work skills needed; Exemption from fear, doubts and internal blocks; Work with obstacles, problems to find out the purpose; Based on their talents, skills and experiences, find the case that will fill the video with energy and gain revenue; To develop positive thinking, to develop appropriate attitudes, to increase self-esteem, to believe in self and in strength. You have the ability to open the potential when you can get more and do not know how and how to do it.

Thus, Coaching is a service area that can radically change the lives of people. Convert to a new, qualitatively higher level, to help maximize the potential of its ability to maximize efficiency and use. Coaching is capable of removing relationships and solid foundation (as described above, values, correct attitude, positive thinking, belief in self and strength, self-esteem...) to achieve any success in life.

**Keywords:** Coaching, Role, HR, Manager, Employee, Organization.

## THE ROLE OF COACHING FOR THE DEVELOPMENT OF HR TEAM

Human resources staff and managers need to get on board as coaches or miss this exciting opportunity to influence the next evolution of your organization's management potential.

The agreement the HR professional develops with each manager can be different. The coaching role must be agreed upon to work.

Most importantly, the HR specialist pushes the window with each manager to assist her to grow professionally to promote the success of the organization and of the individual.

The HR professional is a resource for managers who seek out her services. She does not control the relationship or the actions and decisions of the person she is coaching. At best, the HR manager forms a partnership with the coached manager that results in good choices for the organization and personal growth for the manager.

The manager, however, makes the final decision about what she will do in any given situation.

Your knowledge, your effectiveness as a communicator, your developed relationship with the manager and your perceived competence will impact a manager's willingness to use your coaching input.



Use these six steps to provide effective supportive coaching to your reporting employees.

- Show confidence in the employee's ability and willingness to solve the problem. Ask him or her for help in solving the problem or improving their performance. Ask the employee to join in with you with the goal of increasing the employees' effectiveness as a contributor to your organization.
- Describe the performance problem to the employee. Focus on the problem or behavior that needs improvement, not on the person. Use descriptions of the behavior with examples so that you and the employee share meaning.



Ask for the employee`s view of the situation. Do they see the same problem or opportunity that you do?

- Determine whether issues exist that limit the employee`s ability to perform the task or accomplish the objectives. Four common barriers are time, training, tools, and temperament. Determine how to remove these barriers. Determine whether the employee needs your help to remove the barriers—a key role of a manager—or if he is able to tackle them by himself.
- Discuss potential solutions to the problem or improvement actions to take. Ask the employee for ideas on how to correct the problem, or prevent it from happening again. With a high performing employee, talk about continuous improvement.
- Agree on a written action plan that lists what the employee, the manager, and possibly, the HR professional, will do to correct the problem or improve the situation. Identify the core goals that the employee must meet to achieve the appropriate level of performance that the organization needs.
- Set a date and time for follow-up. Determine if a critical feedback path is needed, so the manager knows how the employee is progressing. Offer positive encouragement. Express confidence in the employee`s ability to improve. Recognize, however, that the only person who is in charge of their performance improvement is the employee. As much as you try to help, he is the one in charge.

You can help your reporting employees improve their current performance, or in the case of an already effective employee, help them become more effective. Performance coaching is a powerful tool when managers take advantage of its usefulness.



The manager is a job title that is used in organizations to denote an employee who has certain duties and responsibilities to lead functions or departments and/or employees. The manager is assigned to a particular level on an organizational chart. Employees who have the job title of manager have diverse duties and job responsibilities for people and functions.

The job description of a manager varies from organization to organization depending on the specific responsibilities that are assigned to the job function. In some organizations, the title, manager, is only assigned to employees who have other employees reporting to them as seen on an organizational chart.

In other organizations, the title of manager is also assigned to employees who manage a functional area. For example, David has the job title of manager. She has no reporting staff but she is responsible for expanding sales to international markets.

The manager's role and job description are at a pay grade or job classification level of the organization that integrates functions and departments for implementation success. The manager who is responsible for a department normally has directly reporting employees for whom he or she has leadership responsibility.

Larger organizations may also have senior managers or managers of managers who report to either the director level or the vice president level, depending, usually, on the size of the organization.

We down offer Career Growth and Development Opportunities.



When most employees think about their careers, they have not thought past their current job or the next promotion that they'd like to receive. They need to broaden their short-term thinking. As employees are promoted up the organization chart, fewer jobs become available, yet continuing to grow skills and experience should still be a priority for people obtaining value from and adding value to their career.

You can continue to experience career growth by taking the lead in investing in your career development and progress. Here are a few ways in which you can collaborate with your boss to manage your career.

- Job shadow other employees in your company to learn about different jobs.
- Explore lateral moves to broaden and deepen your experience.
- Attend classes and training sessions to increase your knowledge.
- Hold book clubs at work to develop knowledge, and share terminology, concepts, and team building with coworkers.
- Seek a mentor from a different department that you'd like to explore.



Here are additional thoughts about career management. We recommend five additional career management strategies.

1. Could your career development and management use help to gain momentum? People who are the most successful and satisfied in their careers have proactively determined what they want from work. Once they've decided on their goals, they make a plan to accomplish the goals.

2. Developing a timeline with career goals and expected milestones is also an effective way to manage your career. Bringing your boss and his or her sponsorship and mentoring into the picture will ensure that you have an internal mentor who will help you manage your career.


1. Some companies have formal programs to help employees develop their careers. In others, you will need to informally pursue your career development. Companies with programs generally focus energy on helping employees develop and follow a career path.

2. The career path is discussed at several meetings bi-annually with the employee's boss. The company doesn't own the career path; the employee does. But, the company demonstrates its deep commitment to its employees by assisting where possible with resources of time and dollars.

1. Career paths are recommended for the same reason that goals are recommended. They are the written plan that can help each employee take charge of what is most important to his or her fulfillment and success. Without a plan, you can feel rudderless and you have no benchmark against which you can measure your progress.

We recommend these additional career management strategies.

Succeeding in a demanding, changing workplace requires a strategic career management plan. Employers want to attract, hire and retain employees who provide the best value. So consider yourself a business with a product to sell, and create a strategy for marketing your workplace value.





We suggest the following five career management strategies:

1. Proactively engage your manager in a discussion about your career goals, and collaborate to create a career development plan. The most significant opportunity to exert influence is to involve your manager in the career planning process.
2. Investigate short- and long-term skill requirements. If your goal is to become the Vice President of Human Resources, understand the education, skills, technology, and experience requirements, and develop interim career plans for achieving your long-term career goal.



1. To increase your knowledge of career options, request one-on-one informational meetings with colleagues and managers. The purpose of these brief meetings is to gather information to help you make educated career decisions. People are generally willing to share their success stories and advice.
2. Volunteer to complete challenging projects and assignments. One of the best ways to advance your career is to identify an organizational problem and propose a solution. By offering to implement the solution, you will not only increase your visibility as a problem-solver in the organization, but you might also expand your skills in the process.
1. Consult the Human Resources department to learn about career development and job opportunities such as tuition reimbursement for a college degree or certification, in-house technical or professional training courses and available job openings. Take advantage of available opportunities. Maintain your momentum and commit to continuous skill building and improvement. By planning your career strategy,



you are increasing your chances of staying employable and achieving your long-term career goals.

Each of us has a certain number of years to invest in working and making a living. Having a job is fine, but creating a career will maximize your opportunities for success. To have a successful career requires that you pursue career management strategies like these.



A successful career doesn't happen unthinkingly. It needs planning, tending, and frequent review. Are you ready to pursue these career development strategies?

We Down Offer Additional Resources For Career Development:

- Methods for Developing Employees for You to Consider
- The 12 Best Ways to Do On-the-Job Training
- If you're an experienced Human Resources professional, you probably think coaching is just another name for what you've already been doing for years—helping managers and executives increase their capabilities and knowledge in dealing with people.
  - If you feel this way, you are encouraged to think again. The skill of coaching, as coaching is taught and practiced today, has the potential to revolutionize the Human Resources relationship with organization managers and executives.
    - What is Coaching?
    - Coaching is providing feedback, usually to executives, senior managers, and managers, about how to reach their personal best in their organizational leadership role. In their capacity as coach, the Human Resources professional will do everything from active listening through providing test results that highlight a manager's strengths and weaknesses.
      - While a business coach usually works with high potential managers, the HR coach may work with every manager and supervisor at every level in the organization. This is what makes the Human Resources coaching role so challenging.
        - The Traditional HR Coaching Role
        - The traditional Human Resources coaching role focused on helping managers address issues and opportunities organizationally. Additionally, talented HR professionals have always provided feedback to managers about the impact of their personal and behavioral style on others.
          - Most frequently, the HR coach is asking an organizational leader to reflect on how she handled a particular situation. The HR coach asks hard questions and provides advice about actions that may have been more effective than the course of action the manager chose. People have different reactions to feedback, and even the most carefully chosen words can create an unexpected negative reaction.
            - Thus, the HR coach practices a blend of politically deft observations with a frankness that will help the manager develop in their capacity to lead people and personally excel.

- The Coaching Role

- In the coaching role, which HR professionals are urged to pursue, the HR person partners with the manager and focuses specifically on his development. Few internal HR people are working in this new coaching arena. Organizations have most frequently hired external coaches and consultants.

- But they don't always need to do so if their HR professionals are prepared to take on this new coaching role. In fact, an HR professional is missing a career-enhancing opportunity if she declines to develop these coaching relationships.

- An executive might feel embarrassed admitting he needs help or worry that the HR person might tell others in the organization. To help, she said, the HR person must be extremely credible with executives. You obtain credibility from how you conduct yourself, from the ideas that you have, and your own political savvy.

- Don't expect to coach unless your credentials, reputation, and standing in your organization are impeccable. The person participating in the coaching has to feel that you are looking out for his best interests and maintaining confidentiality at all times. This is the only way in which you can expect managers and executives to seek the coaching interaction.

- What Skills and Knowledge Does the HR Coach Bring to the Role?

- One of the most important factors the internal HR person brings to the coaching role is her knowledge of the organization and the impact of the manager on that environment. This is also one of the reasons HR coaches fail to attract internal clients for these new relationships.

- Beyond the issue of complete confidentiality, the coaching assistance she is providing to the executive must contribute more than organizational feedback to help the executive further develop his potential.

- Human Resources coaches must be knowledgeable about surveys and other feedback instruments to provide impartial feedback to the manager. Coaching often takes the place of training for individuals who are advanced in their careers. So, the HR professional must be well versed in management and behavioral theory and practices.

- She must know about and have access to a variety of resources for the executive as well. Goal setting strategies, follow-up, organization, and highly advanced communication skills are necessary for the HR coach to succeed at coaching executives.

- The HR Coaching Role Extends Beyond Coaching Individual Managers

- As a larger organizational issue, the HR manager can serve as a resource to coordinate and unify the process of coaching. She can monitor the expenditure of resources, check out the credentials of external coaches and assist with the measurement and determination of coaching results.

- She can also attach the concept of coaching to help leaders understand the importance of sponsoring and mentoring employees to increase the organization's knowledge and capability.

- In the next feature, the essential skills and capabilities that the HR professional needs to bring to the coaching role are discussed. We down offer Tips for Effective Coaching.

At the same time, regular coaching brings performance issues to an employee's attention when they are minor. Your coaching feedback assists the employee to correct these issues before they become significant detractions from her performance.

The goal of performance coaching is not to make the employee feel bad, nor is it provided to show how much the HR professional or manager know. The goal of coaching is to work with the employee to solve performance problems and to improve the work of the employee, the team, and the department.



Employees who respond positively to coaching and improve their performance can become valued contributors to the success of the business. Employees who fail to improve will find themselves placed on a formal performance improvement plan, known as a PIP. This sets up a formal process wherein the manager meets regularly with the underperforming employee to provide coaching and feedback.

At the meetings, they also evaluate how well the employee is performing in achieving the performance goals that were enumerated in the PIP. Generally, by the time an employee has received a PIP, Human Resources staff are significantly involved in both the meetings and in the review of the employee's progress and performance.

Employees who fail to improve when on the PIP are likely to find their employment terminated.

In a second example of the use of performance coaching, managers can use performance coaching to help employees who are effective contributors improve and become even more effective contributors. Done well, coaching can help an employee continuously improve their skills, experience, and ability to contribute.

From years of observing managers coaching, the time managers spend in performance coaching with their best, most contributing employees is time well spent. It is more likely to produce increasing results for the organization and for the manager's department and priorities.

It is ironic that many managers find that they spend the majority of their time with their troubled, or underperforming employees. This is despite the fact that the most significant value from their time and energy investment comes from the opposite priority.

Therefore, Coaching is an effective tool for managers to deploy in their efforts to help employees succeed, and especially help employees increase their skills and their potential opportunities for promotion or lateral moves to more interesting positions.





## References:

1. Amarakoon U., Weerawardena J., Verreyne M., (2013, September 8), „Competitive Advantage Through HR Innovation,“ INNOVATION, STRATEGY & MANAGEMENT, Talent Management
2. <https://trainingindustry.com/top-training-companies/leadership/2017-top-leadership-training-companies/>
3. Peter Cappelli. Talent Management for the Twenty-First Century. Harvard Business Review, Vol. 86 issue 3, Mar. 2008
4. Collings D.G. and Mellahi K. „Strategic Talent Management: A review and research agenda“. Human Resource Management Review 19. 4, 2009.
5. <https://www.fiacoaching.com/webinar-2-register>
6. <https://en.wikipedia.org/wiki/Coaching>
7. <https://www.skillsyouneed.com/learn/coaching.html>
8. <http://new.coachingnetwork.org.uk/information-portal/what-are-coaching-and-mentoring/>

კინდაევი ალექსანდრე

პენზის სახელმწიფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის  
სამეცნიერო კვლევების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი,  
რუსეთი, ქ. პენზა. (რუსულიდან თარგმნა ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის აფილირებულმა პროფესორმა ანნა მარუაშვილმა)

## სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის რისკების მოდელის უმჯობესი თავისებურებები

### ანოტაცია

სტატიაში განიხილება სადაზღვევო პროცესის გარკვეული თავისებურებების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მოცემული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა და მარცვლეული კულტურის მოყვანის ზარალის რისკის მოდელი.

ავტორის მიერ შემუშავებულია და მოყვანილია აგრეთვე მარცვლეული კულტურის დაზღვევის ზარალის გამოთვლის საკუთარი მოდელი. ამ მოდელის გამოყენება მისცემს საშუალებას სოფლის მეურნეობით დაკავებულ მენარმეებს, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები მარცვლეული კულტურის მოყვანისას და წარმოების პროცესში აღმოცენებული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინდივიდუალური დაზღვევის ზარალის რისკების მოდელირებას, აგრეთვე მარცვლეული კულტურის მოყვანის რისკებს.

**საკვანძო სიტყვები:** დაზღვევა, სოფლის მეურნეობა, მარცვლეული კულტურის მოყვანა, რეგიონული ეკონომიკა.

**Kindaev A.Yu.**

*Junior Researcher, Research Department,  
Penza State Technological University  
Penza, Russia*

## FEATURES OF BUILDING A RISK MODEL IN AGRICULTURAL INSURANCE

### Abstract

The article discusses certain features of the insurance process in agriculture, in particular, the probability of an insured event and the Risk Model for losses of growing crops.

**Keywords:** insurance, agriculture, grain crops, regional economy.

## სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის რისკების მოდელის შემდგომი თავისებურებები

დაზღვევა არის იმ ზიანის შერბილების მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც წარმოიქმნება სამეურნეო საქმიანობისას. სადაზღვევო სტატისტიკური მონაცემების არასაკმარისობის პირობებში სადაზღვევო ტარიფების დასაბუთების ძირითადი ელემენტი არის დაზღვევის მოდელი. სოფლის მეურნეობაში დაზღვევისას ინდივიდუალური რისკის ხარვეზად რჩება ის ფაქტი, რომ ამ დანაკარგების ინდივიდუალური მოდელირება რჩებოდა განხილვის მიღმა. სტატია მიმართულია ამ მოცემული სივრცის შესავსებად, აგრეთვე ისეთი ინფორმაციული სისტემის აგებაზე, რომელიც მისცემს საშუალებას სოფლის მეურნეობით დაკავებულ მენარმეებს, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები მარცვლეული კულტურის მოყვანისას და წარმოების პროცესში აღმოცენებული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინდივიდუალური დაზღვევის ზარალის რისკების მოდელირებას, აგრეთვე მარცვლეული კულტურის მოყვანის რისკებს.

ინდივიდუალური დანაკარგების აღწერისათვის განვიხილოთ კლასიკური მიდგომა [1]

$$X = I \cdot Y, \quad (1.1)$$

სადაც:  $I$  – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ინდიკატორული ფუნქცია;

$Y$  – სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვევის კომპენსაციის ოდენობა.

სადაზღვევო კომპენსაციის საშუალო ოდენობა (*mean severity*) არის შემთხვევითი ცვლადის მათემატიკური მოლოდინი  $X$  სიდიდე:

$$m = E X = P\{I = 1\} \cdot E Y. \quad (1.2)$$

სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის ზარალის დაზღვევის რეალიზაციისას, თანახმად [2], სადაზღვევო შემთხვევის დადგომის კრიტერიუმად ( $I = 1$ ) გამოიყენება მოცემული კულტურის მოსავლიანობის  $\alpha$  შემცირება ამ რეგიონში წინა ხუთი წლის მოსავლიანობის საშუალო მნიშვნელობიდან:

$$\frac{\sum_{K=i-5}^{i-1} U_K - 5 \cdot U_i}{\sum_{K=i-5}^{i-1} U_K} > \alpha, \quad (1.4)$$

სადაც  $U_i$  – სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა  $i$ -წელს.

აღსანიშნავია, რომ მოსავლიანობა  $U$ , ფორმირდება მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით, რომელთაგანაც ზოგიერთი შემთხვევითი ხასიათისაა (ნალექის რაოდენობა, ვეგეტაციის პერიოდში დღის საშუალო ტემპერატურა), თუმცა არსებობს დეტერმინირებული ფაქტორებიც (ხარისხიანობა, შეტანილი სასუქის რაოდენობა და სხვ.) [3]. ასე რომ, მოსავლიანობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია ორი ჯგუფის ფაქტორზე: დეტერმინირებულსა და სტოქასტიურზე

$$U = f(A, B), \quad (1.5)$$

სადაც  $A$  – დეტერმინირებული ფაქტორების კრებულია, რომელიც განსაზღვრავს მოსავლიანობას;

$B$  – სტოქასტიური ფაქტორების კრებულია, რომელიც განსაზღვრავს მოსავლიანობას.

თუ ვივარაუდებთ  $f$  ფუნქციის წრფივ ხასიათს და საკმარის რაოდენობრივ ფაქტორებს  $B$  კრებულში, მაშინ ცენტრალური ზღვარის თეორიის თანახმად, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ

შემთხვევით სიდიდეს  $U$  აქვს ნორმალური გადანაწილება სიმკვრივის ფუნქციასთან:

$$p_u(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}\sigma} e^{-\frac{(x-a)^2}{2\sigma^2}}, \quad (1.3)$$

სადაც  $a$  – მათემატიკური მოლოდინი  $U$ ;

$\sigma$  – სტანდარტული გადახრა  $U$ .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვახდინოთ სიდიდე  $U$ -ს მოდელირება (1.3.) გადანაწილების თანახმად. გამოვიანგარიშოთ მოვლენის ალბათობა  $I=1$  (1.2.) გამოყენებით:

$$P\{I = 1\} = P\left\{(1-\alpha) \sum_{K=i-5}^{i-1} U_K > 5U_i\right\} = P\left\{(1-\alpha) \sum_{K=i-5}^{i-1} U_K - 5U_i > 0\right\}. \quad (1.4)$$

შემთხვევითი სიდიდე  $\xi = (1-\alpha) \sum_{K=i-5}^{i-1} U_K - 5U_i$  აქვს ნორმალური გადანაწილება მათემატიკური მოლოდინით  $E \xi = (1-\alpha) \cdot 5EU - 5EU = -5\alpha EU$  და სტანდარტული გადახრით  $\sigma_\xi = \sqrt{(1-\alpha)^2 \cdot 25\sigma_U^2 + 25\sigma_U^2} = 5\sigma_U \cdot \sqrt{1+(1-\alpha)^2}$ . (1.4)-ში მიღებულის გათვალისწინებით ვღებულობთ:

$$P\left\{(1-\alpha) \sum_{K=i-5}^{i-1} U_K - 5U_i > 0\right\} = 0,5 - \Phi\left(\frac{\alpha EU}{\sigma_U \sqrt{1+(1-\alpha)^2}}\right), \quad (1.5)$$

სადაც  $\Phi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^x e^{-\frac{t^2}{2}} dt$  – ლაპლასის ფუნქციაა.

აღსანიშნავია, რომ დამოკიდებულება  $\frac{\sigma_U}{EU}$  არის ვარიაციის კოეფიციენტი  $V$  მოსავლისა. ამიტომ, თუ ავიღებთ მნიშვნელობა  $\alpha = 0,3$ , მაშინ შედეგი (1.5) ჩაინერება:

$$P\{I = 1\} = 0,5 - \Phi\left(\frac{0,3}{V\sqrt{2,69}}\right) \quad (1.6)$$

განვიხილოთ ზარალის გადანაწილების მოდელი. გამომდინარე იქედან, თუ როდის დადგა დაზღვევის შემთხვევა, ზარალი განისაზღვრება შემდეგი სიდიდით:

$$Y = \frac{P}{10} \cdot S \cdot \left(\frac{\sum_{K=i-5}^{i-1} U_K}{5} - U_i\right), \quad (1.7)$$

სადაც  $P$  – წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის პროდუქციის 1 ტონის ღირებულებაა, რომელიც შექმნილია რფ-სუბიექტში ერთი წლის მანძილზე  $i$ -წელს დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებით ფედერალური სამსახურის სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე.

$S$  – სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათესი ფართობი.

თუ  $P$  და  $S$  სიდიდეებს ჩავთვლით დეტერმინირებულად, მაშინ (1.7.) ფორმულით მოცე-

მული სიდიდის გადანაწილება განისაზღვრება შემთხვევითი სიდიდით  $\frac{\sum_{K=i-5}^{i-1} U_K}{5} - U_i$ . რადგანაც, ყველა  $U_i$  დამოუკიდებელი ერთნაირად გადანაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია,

ამიტომ სიდიდეს  $\frac{\sum_{K=i-5}^{i-1} U_K}{5} - U_i$  აქვს ნორმალური გადანაწილება პარამეტრებით:

$$a = \frac{1}{5} \sum_{K=i-5}^{i-1} EU_K - EU_i = 0 \text{ და } \sigma = \sqrt{\frac{1}{25} \sum_{K=i-5}^{i-1} DU_K + DU_i} = \sigma_D \sqrt{\frac{6}{5}}.$$

სიდიდე  $Y$ -სთვის მივიღებთ ნორმალური გადანაწილების შემდეგ პარამეტრებს:  $a = 0$ ,  $\sigma = \sqrt{\frac{6}{5}} \cdot \frac{P \cdot S}{10} \cdot \sigma_U$ . შემთხვევითი  $X$  სიდიდის გადანაწილების ფუნქცია ჩავწეროთ შემდეგი თანასწორობით:

$$F_X(x) = P\{X \leq x\} = P\{I \cdot Y \leq x\} = P\{I \cdot Y \leq x | I = 0\} \cdot P\{I = 0\} + P\{I \cdot Y \leq x | I = 1\} \cdot P\{I = 1\} = P\{0 \leq x\} \cdot P\{I = 0\} + P\{Y \leq x | I = 1\} \cdot P\{I = 1\} \quad (1.8)$$

განვიხილოთ (1.8) გამოთვლის შედეგი  $x$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის.

$x < 0$ -სთვის, მივიღებთ:

$$F_X(x) = 0 \cdot P\{I = 0\} + P\{Y \leq x | I = 1\} \cdot P\{I = 1\} = 0. \quad (1.9)$$

$x \geq 0$ -სთვის, მივიღებთ:

$$F_X(x) = 1 \cdot P\{I = 0\} + P\{Y \leq x | I = 1\} \cdot P\{I = 1\} = 0,75 + \left( 0,5 - \Phi\left(\frac{10\sqrt{5} \cdot x}{P \cdot S \cdot \sigma_U \sqrt{6}}\right) \right) \cdot \Phi\left(\frac{\alpha}{V \sqrt{1 + (1 + \alpha)^2}}\right) + 0,5\Phi\left(\frac{10\sqrt{5} \cdot x}{P \cdot S \cdot \sigma_U \sqrt{6}}\right). \quad (1.10)$$

შემთხვევითი სიდიდე  $X$ -ის გადანაწილების ფუნქციის გამოთვლისას გამოყენებული იქნა შემთხვევითი სიდიდე  $Y$ -ის გადანაწილების ფუნქცია:


$$F_Y(x) = 0,5 + \Phi\left(\frac{10\sqrt{5} \cdot x}{\sqrt{6} \cdot P \cdot S \cdot \sigma_U}\right) \quad (1.11)$$

და პირობითი გადანაწილების ფუნქცია  $Y$  შემთხვევითი სიდიდისა

$$F_Y(x|I=1) = \begin{cases} 0, & x \leq 0 \\ 0,5 + \Phi\left(\frac{10\sqrt{5} \cdot x}{\sqrt{6} \cdot P \cdot S \cdot \sigma_U}\right), & x > 0 \end{cases} \quad (1.12)$$

ნახ.1 წარმოდგენილია ინდივიდუალური დანაკარგების გადანაწილების გრაფიკი:  $P = 1$  თ.პყბ.,  $S = 1000$  რა,  $\sigma_U = 5,25$  უ/რა,  $V = 0,2904$  -პარამეტრების დროს.





ნახ.1. ინდივიდუალური ზარალის გადანაწილების ფუნქცია შვრიის დაზღვევისას

მოსავლიანობის პარამეტრების მნიშვნელობა შეესაბამება პენზის ოლქის ბაშმაკოვსკის რაიონში შვრიის მოსავლიანობის პარამეტრებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Киндаев А.Ю. Особенности управления сельскохозяйственными рисками в страховом деле // В сборнике: Менеджмент предпринимательской деятельности. – 2016. – С.92-95.
2. Страхование урожая сельскохозяйственных культур и посадок многолетних насаждений с государственной поддержкой: актуарная экспертиза / В.Н. Баскаков, Е.К. Крылова, А.В. Селиванова и др.; по ред. д.ф.-м.н., проф. В.Н. Баскакова. – 2016. – 320 с.
3. Павлов А.Ю. Состояние и перспективы государственной поддержки малых форм хозяйствования в аграрном секторе Пензенской области / А.Ю. Павлов, А.А. Кудрявцев // Экономика сельскохозяйственных и перерабатывающих предприятий. – 2013. – № 3. – С. 58-60.
4. Моисеев А.В. Генерация многомерной случайной величины для моделирования страхования аграрных рисков / А.В. Моисеев, А.Ю. Киндаев // Математическое моделирование в экономике и управлении рисками. – 2014. – С. 308-314
5. Киндаев А.Ю. Моделирование процессов страхования в сельском хозяйстве // Модели, системы, сети в экономике, технике, природе и обществе. – 2014. – № 2 (10). – С. 91-96.

**ვასილ ლიპარტელიანი**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**მურად ფახურიძე**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მონვეული სპეციალისტი

## მარკეტინგის არსი და მნიშვნელობა სპორტული ორგანიზაციების მენეჯმენტში

### ანოტაცია

ბიზნეს სექტორმა უკვე დიდი ხანია აღიარა მარკეტინგის მნიშვნელობა ფინანსურ წარმატებაში. გამომდინარე აქედან, სპორტულმა სექტორმაც დაიწყო მარკეტინგული არხების სარგებლობის აღიარება. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მარკეტინგული სტრატეგიის გარეშე სპორტი ვერ განვითარდება, ვერ იქნება წარმატებული და შემოსავლიანი სფერო. შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სპორტულ ორგანიზაციებშიც დაიწყო სწორი მარკეტინგული მუშაობა და სტრატეგიის დაგეგმვა, რადგან მარკეტინგი სპორტული ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია. სპორტის მენეჯმენტში, მარკეტინგის კომპონენტის მნიშვნელობა დიდია, რადგან შეუძლებელია დაგეგმო სპორტული ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობა, სწორი მარკეტინგული სტრატეგიის გარეშე.

**Vasil Liparteliani**

*Associate Professor,  
Georgia State Teaching University of  
Physical Education and Sport*

**Murad Pakhuridze**

*MA Student,  
Georgia State Teaching University of  
Physical Education and Sport*

## CONCEPT AND IMPORTANCE OF MARKETING IN SPORT ORGANIZATIONS MANAGEMENT

### Abstract

Business sector has already proved the importance of marketing for financial success for a long time. Consequently, Sport sector has started to approve the profitability of marketing channels. There are many researchers who claim that it is impossible to make sport successful and profitable sphere without marketing strategies. Consequently, it is very important to start correct marketing activities and strategic planning since marketing is an essential element of sport. The importance of component of marketing in sport management is rather huge because it is impossible to plan successful activities of a sport organization without correct marketing strategies.

## მარკეტინგის არსი და მნიშვნელობა სპორტული ორგანიზაციების მენეჯმენტში

### შესავალი

ბიზნესბაზარი ეს არის ორგანიზაციული სისტემა, რომლის საშუალებითაც მყიდველები და გამყიდველები ცვლიან საქონელსა და მომსახურებას, მენეჯერებისათვის კი ყველა მსგავსი საკითხი მარკეტინგად ითვლება. სპორტი, ეს არის ბიზნესის ფართო არეალი, რომლის განვითარებაში და წარმატებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მარკეტინგი, თუ გავარჩევთ და ჩავუღრმავდებით, წარმატებაც და წარუმატებლობაც გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობიდან. ყველა მიმართულებაში და სპორტის ყველა სახეობაში საჭიროა ფასდებოდეს ფინანსების ეფექტური გამოყენება, თავის მხრივ სპორტული მიღწევები საშუალებას იძლევა ხელი შეუწყოს ახალი ბიზნესიდეების გენერირებასა და შემოსავლების ზრდას. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ სპორტი და ბიზნესი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

დღეს სპორტული ინდუსტრია, არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის გავლენის ქვეშ, ის ასევე იმყოფება ხისტ კონკურენციაში სხვა გასართობი ბიზნესსფეროს წარმომადგენლებთან და ფაქტია, რომ თანამედროვე სამყაროში პროფესიონალური სპორტი გასართობი ინდუსტრიის ნაწილია.

ათწლეულების უკან, სპორტულ მენეჯერებს ფაქტობრივად არანაირი ძალისხმევა არ სჭირდებოდათ მარკეტინგული არხების დასაგეგმად, მაგრამ დღეს კომპანიების საქმიანობის ორგანიზება საჭიროებს პროფესიონალურ მიდგომას, რათა მოუგოს კონკურენცია სხვა გასართობი ინდუსტრიის წარმომადგენლებს, რომ გახადოს თავისი პროდუქტი მომგებიანი და გაყიდვადი, უნდა შეეცადონ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ ყველაზე მომთხოვნი ადამიანის სურვილებიც კი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სპორტის სფეროში მკვეთრად იზრდება მარკეტინგის მნიშვნელობა. სპორტული მარკეტინგის მიზანია შექმნას გუნდში ინვესტირებისთვის ხელსაყრელი გარემო და პირობები, შეფუთოს და გაყიდოს პროდუქტი, მოიზიდოს მაყურებელი ღონისძიებაზე, დააინტერესოს სპონსორები და მედია, ხელი შეუწყოს გაყიდვების ზრდას და ა.შ. არსებობს მარკეტინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ სპორტისათვის. კლასიკურ თეორიასთან შედარებით, იგი უფრო ეფექტურად ატარებს მარკეტინგის პრინციპებს სპორტში. [1]

### კვლევის შედეგები

PwC-ის კვლევის თანახმად, გლობალური სპორტული ინდუსტრიის შემოსავლებმა 2015 წელს \$145 მილიარდს გადააჭარბა, ბილეთების გაყიდვამ სპორტს \$44 მილიარდი მოუტანა, ტელეტრანსლაციებმა – \$35 მილიარდი, სპონსორებმა – \$35 მილიარდი, ხოლო მერჩენდაიზინგმა – \$20 მილიარდი. [2]

თანამედროვე სპორტული მარკეტინგის ფუძემდებლად ითვლება პატრიკ ნეილი, რომელიც 1970-იან წლებში სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციებისთვის ეძებდა სპონსორებს. დიდი ხნის განმავლობაში სპორტული მარკეტინგის ცნება არ არსებობდა, რადგანაც მიიჩნეოდა, რომ სპორტი არაკომერციული სფეროა და მასზე ეკონომიკისა და ბიზნესის საბაზრო კანონები არ ვრცელდებოდა.

1960-70-იან წლებში სპორტული შემოსავლების 95%-ი ბილეთების გაყიდვიდან შემოდიოდა და მხოლოდ 5%-ი ტელე და რადიო ტრანსლაციებიდან. 1980-იან წლებში სპორტის სამენეჯერო რგოლში გამოჩნდა ახალგაზრდა სპორტული მენეჯერი და მარკეტოლოგი დევიდ სტერნი, [3] რო-

მელმაც რადიკალურად შეცვალა მიდგომა სპორტის მენეჯმენტის და მარკეტინგის კუთხით, ის იყო მარკეტოლოგი, რომელმაც ამერიკულ NBA-ი გალატაკებული ლიგიდან წარმატებულ ბიზნესად აქცია, პირველმა მოიფიქრა, რომ ლიგას უნდა ჰქონდეს საკუთარი სატელევიზიო არხი და საკუთარი გადაცემები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მთელი მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებში მოვიდნენ სათავეში პროფესიონალი და რისკიანი სპორტული მენეჯერები.

მარკეტინგი (ინგლ. marketing < market „ბაზარი“) – სოციალური და მმართველობითი პროცესია, რომელიც მოწოდებულია გაცვლის მეშვეობით ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. მარკეტინგი არის მიმართულება, რომელიც ეხმარება კომპანიას საკუთარი ბრენდის იდენტიფიკაციაში, ახდენს დახარისხებას და ახერხებს ამა თუ იმ ბრენდის იდენტიფიცირებისათვის საჭირო დეტალების დიფერენცირებას, რაც შემდგომში კომპანიას აძლევს საშუალებას იყოს შემჩნევადი და მონინავე პროდუქტის გაყიდვების სფეროში [4].

## მიმოხილვა

ნებისმიერი სპორტული ორგანიზაციის მარკეტინგის მიზანია შექმნას ინვესტირებისთვის ხელსაყრელი გარემო და პირობები, მოიზიდოს მაცურებელი ღონისძიებაზე, ხელი შეუწყოს გაყიდვების ზრდას.

ამისათვის სპორტულმა მარკეტოლოგმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ასპექტები:

- სპორტის, სახეობის, სახელის ბრენდად ქცევა, რომელიც იქნება დაყრდნობილი ისტორიებსა და ტრადიციებზე;
- სპონსორების მოზიდვა და ჩართვა პროცესში, თითოეული დეტალის გავლა და შეთანხმება, რითაც ინვესტორს უჩნდება იმის მოტივაცია, რომ ისინი არიან ერთი დიდი საქმის ნაწილი;
- მედიასთან ურთიერთობა და მათი უწყვეტი ინფორმირებულობა, ჩართვა ყოველდღიურ საქმიანობაში;
- გულშემატკივრებთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც იმუშავებს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ გულშემატკივრებთან, რათა ისინი დაინტერესდნენ სპორტით;
- ინფორმაციული არხის შექმნა, სადაც ყველაფერი იქნება განთავსებული, დაგეგმილი და გასამართი სპორტული ღონისძიების შესახებ, რომელზეც სრული წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ პირს, რათა ისინი ფლობდნენ მუდმივ ინფორმაციას ყველა მათთვის საჭირო საკითხზე;

მომხმარებლის გადანყვეტილებაზე გავლენას ახდენს პროდუქტით მიღებული სარგებელი. გადანყვეტილება დამოკიდებულია არა მხოლოდ მიღებულ სარგებელზე, არამედ სარგებელისა და ხარჯის ფარდობაზე, რასაც მარკეტინგში მომხმარებლისთვის მიწოდებულ ფასეულობას ეძახიან. მომხმარებელი ყოველთვის ირჩევს ისეთ ალტერნატივას, რომლის ფასეულობაც მისთვის უფრო მაღალია. მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომხმარებლების მოზიდვა და შენარჩუნება მათთვის საჭირო პროდუქტების შეთავაზებით. მარკეტინგული სტრატეგია – ორგანიზაციის შესაძლებლობების შესწავლა და რესურსების სწორად გამოყენება.

სპორტული ორგანიზაციის მარკეტინგი უნდა იყოს თანხვედრაში მენეჯმენტის საერთო ხედვასთან. მარკეტინგული არხები უნდა იყოს სპორტული კომპანიის ერთიანი სტრატეგიული გეგმის განუყოფელი ნაწილი. სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მარკეტინგულ გეგმას, აქვთ უპირატესობა. დაგეგმარება არის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, ორიენტირებული არის მოკლევადიან ან გრძელვადიან პერიოდ-

ზე. ასეთი დაგეგმარების გარეშე სპორტულმა ორგანიზაციამ შესაძლოა დაკარგოს განვითარების ვექტორი. დაგეგმარება ორგანიზაციას აძლევს საშუალებას წინასწარ შეაფასოს თავისი ძალა, სისუსტეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (სვოტ-ანალიზი). დაგეგმარება ორგანიზაციას ხელს უწყობს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტურ გამოყენებას.[5]

## დასკვნა

მერჩენდაიზინგი არის მარკეტინგული პროცესის განუყოფელი ნაწილი. სპორტული მერჩენდაიზინგი არის პროდუქცია, რომელიც იწარმოება სპორტული კლუბის, სპორტული ჩემპიონატის ან სპორტული ორგანიზაციის სიმბოლიკის გამოყენებით. ასევე, მერჩენდაიზინგს ეძახიან სპორტული ორგანიზაციის სიმბოლიკით წარმოდგენილი პროდუქციის წარმოების და საცალო გაყიდვების პროცესს. მერჩენდაიზინგს აქვს ორი მიზანი – სპორტული ორგანიზაციის შემოსავლების მაქსიმიზაცია და სპორტული ბრენდის გაფართოება სპორტული შემადგენელის გარეთ, სპორტული ინდუსტრიის შემოსავლების დაახლოებით 14%-ს მერჩენდაიზინგი წარმოადგენს. [6]

მარკეტინგი, ეს არის მართვის პროცესი, რომლის ძირითადი ფუნქცია არის მომხმარებლის დაკმაყოფილება, პროგნოზების გაკეთება და შესაბამისი ბიზნესისათვის მოგების განსაზღვრა. რაც, რა თქმა უნდა, კონკრეტული კომპანიის სასარგებლოდაა მიმართული.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.amazon.co.uk/Marketing-Sport-John-Beech/dp/027368826X>
2. <https://www.pwc.com/gx/en/industries/hospitality-leisure/publications/changing-the-game-outlook-for-the-global-sports-market-to-2015.html>
3. <https://books.google.ge/books?id=HrWIAwAAQBAJ&pg=PP1&lpg=PP1&dq=david+j+stern+sport+marketing&source=bl&ots=y8EQsXF-80&sig=Gm3uWgdnXCgpiInqVUBixRxEDw&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwiB1qjptbdAhXLiCwKHTp-AJgQ6AEwDXoECAMQAQ#v=onepage&q=david%20j%20stern%20sport%20marketing&f=false>
4. <file:///C:/Users/New%20Uni/Downloads/The%20Business%20of%20Sport%20Management.pdf>
5. <https://www.amazon.com/Sport-Marketing-3rd-Bernard-Mullin/dp/0736060529>
6. <https://www.forbes.com/sites/marketshare/2013/02/06/the-power-of-global-sports-brand-merchandising/#78f1d6f876ac>

**გულნარა იმედაშვილი**  
ბიზნესის მართვის დოქტორი,  
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის  
აფილირებული პროფესორი

**დავით გეფერიძე**  
სამართლის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

## თანამედროვე სამართაშორისო საჰაერო ტრანსპორტის პრობლემებისა და პერსპექტივების ანალიზი

### ანოტაცია

სანამ ეკონომისტები, იურისტები და პოლიტიკოსები მსოფლიო საჰაერო ტრანსპორტის სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრობენ და საავიაციო ინდუსტრიის სამომავლო პერსპექტივებს განიხილავენ, შესაძლებელია მეცნიერებამ სრული გადატრიალება მოახდინოს საავიაციო ინდუსტრიაში და ჩვენ ვბჭობდეთ არათუ დაბალდანახარჯიან ავიაკომპანიებზე ან ბრექსიტის როლზე ავიაციაში, არამედ იმაზე, თუ როგორ მოვახერხოთ ხალხის გადაყვანა ერთი პლანეტიდან მეორეზე.

„ვინ იცის, იქნებ მოვესწროთ იმ დროს, როცა აეროპორტში ადგილობრივი დიქტორი გამოაცხადებს: „ყურადღება! მგზავრებს მიმავალთ მარსის მიმართულებით რეისზე SX 0001, გთხოვთ გამოცხადდეთ გასასვლელთან №100X“. [1]

სავიაციო ინდუსტრია დღითიდღე ვითარდება და იზრდება. იზრდება ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა სურთ. იზრდება ავიაკომპანიებისა და აეროპორტების რიცხვი თუ მოცულობა. მცირდება სავიზო რეჟიმები ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით კი ევროპაში. იზრდება სხვადასხვა კავშირებისა და საერთო სივრცეების რაოდენობა, რაც ამარტივებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს და ცნებას „თავისუფალი გადაადგილება“ მეტ რეალიზმს სძენს.



**Gulnara Imedashvili**

*Doctor of Business Management*

*Affiliated Professor of Georgia Aviation University*

**Davit Geperidze**

*Doctor of Law*

*Affiliated Professor of Gori State Teaching University*

## **ANALYSIS OF MODERN INTERNATIONAL AIR TRANSPORT PROBLEMS AND PERSPECTIVES**

### **Abstract**

The aviation industry is constantly developing and growing. The number of people who want to move from one country to another is increasing as well. Accordingly, the number and volume of airlines and airports are increasing. Visa regimes between countries, especially in Europe, are declining. There is considerable growth in the variety of unions and the total number of common spaces, making it easier to trade between the countries and the concept of „free movement” is getting more realistic.

While economists and politicians debate over the problems existing in air transport and discuss the future prospects of aviation industry, science may achieve a breakthrough and instead of scrutinizing over low cost airlines and Brexit role in aviation, we may consider taking our passengers from one planet to another.

“Who knows, maybe we witness to hear the voice of an announcer at an airport lounge: „Attention please, passengers traveling to Mars with the flight SX0001, please proceed to the gate #100X”.

## თანამედროვე საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის პრობლემებისა და პერსპექტივების ანალიზი

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (IATA) გამოყოფს საავიაციო ინდუსტრიის 5 რეგიონს: ევროპა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, აფრიკა და შუა აღმოსავლეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ აზია და აზია – წყნარი ოკეანის. მიუხედავად იმისა, რომ IATA ამერიკის ორივე კონტინენტს ერთ რეგიონად განიხილავს, საავიაციო ინდუსტრიის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. მეტიც, ვერც კანადა და მითუმეტეს ვერც მექსიკა ვერ უწევს კონკურენციას აშშ-ს საავიაციო ბაზარს. ძლიერი მენეჯმენტი, ფინანსების მიზანმიმართული მართვა, ეფექტური და პროდუქტიული სამუშაო ძალა, შეუჩრებელი ფრენები, ხარჯების ეფექტური მართვა და გამართული სამარშრუტო სისტემა არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს აშშ-ს ავიაკომპანიების წარმატებას და სხვა ქვეყნების ავიაკომპანიებთან მიმართებაში კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

კვლავ მძიმე მდგომარეობაა აფრიკაში საავიაციო ინდუსტრიის განვითარების თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ აფრიკა „მდიდარია“ ყველაზე ღარიბი სახელმწიფოებით, ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან საავიაციო ინდუსტრიის განვითარებას ცხელ კონტინენტზე შემდეგია: საერთაშორისო ფრენების სიმცირე, კონტინენტის ქვეყნებს შორის სავიზო შეზღუდვების არსებობა. მიუხედავად ამისა, შუა აღმოსავლეთთან მჭიდრო კავშირი და ტურიზმის განვითარება სამომავლოდ აფრიკის ავიაციას ნათელ მომავალს უქადის.

შუა აღმოსავლეთის ავიაკომპანიებმა ბოლო წლებში იმაზე მეტი მოგება მიიღეს, ვიდრე ეს ევროპულმა ავიაკომპანიებმა შეძლეს. ბოლო წლებში სწორედ ამ რეგიონის საავიაციო ინდუსტრია გახდა ყველაზე სწრაფად მზარდი მსოფლიოში. უმთავრესი მიზეზი კი ისევდაისევ რეგიონში დიდი რაოდენობით ნავთობის არსებობაა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მომსახურების მრავალფეროვნებაა.

„შუა აღმოსავლეთში შევხვდებით უმაღლესი ხარისხისა და კლასის ავიაკომპანიებს, (მაგ. Qatar–Airways) რომელთა მომსახურების ფასიც საკმაოდ მაღალია და ასევე შევხვდებით დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიებს (მაგ. flydubai), რომელთა მთავარ სტრატეგიას დაბალი დანახარჯებით ლიდერობა წარმოადგენს“. [2]

როგორც ყველა სფეროში, საავიაციო ინდუსტრიაშიც ჩინეთის საბაზრო წილი მსოფლიოს მამუტაბით სწრაფად მზარდია და, როგორც ეკონომისტები ვარაუდობენ, უახლოეს წლებში გადაასწრებს აშშ-სას. ჩინეთის გარდა მსოფლიოს საავიაციო ინდუსტრიაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს ინდოეთიც. ცხადია, უმთავრესი მიზეზი მგზავრთა ძალიან დიდი რაოდენობის არსებობაა ამ ქვეყნებში.

„ევროკავშირის არსებობა ამარტივებს ავიაკომპანიათა საქმიანობას და შესაბამისად მგზავრთა გადაყვანა ერთი ქვეყნიდან მეორეში იმაზე ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ეს სხვა კონტინენტებზე ხდება“. [4]


ცხადია, ეს ბენეფიტები უნდა განაპირობებდნენ ევროპული ავიაკომპანიების კონკურენტულ უპირატესობას სხვა ავიაკომპანიებთან მიმართებაში და ხშირ შემთხვევაში ასეცაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგანან ევროპული ავიაკომპანიები.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს საავიაციო ბაზარზე ყველაზე დიდ წილს იკავებს აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ, შესაბამისად მისი გავლენა ევროპის საავიაციო ინდუსტრიაზე ძალიან დიდია.

ევროკავშირის ნევერ ქვეყნებში საავიაციო ინდუსტრია ემყარება საერთო წესებსა და პოლიტიკას, აგებულია ერთ საერთო საკანონმდებლო სისტემაზე. ამიტომ დიდ გაურკვევლობას იწვევს „ბრექსიტი“. როგორ გაგრძელდება ევროკავშირისა და ბრიტანეთის ურთიერთობა, რა გავლენა



ექნება ბრექსიტს, როგორც თავად ბრიტანეთის ავიაბაზარზე, ისე ევროკავშირის საავიაციო სივრცეზე, ამას მომავალი გვიჩვენებს. შესაძლოა ორმხრივ რეგულირებაზე შეთანხმება გაფორმდეს დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის ან დიდი ბრიტანეთი ევროპის საერთო საჰაერო სივრცის (ECAA) წევრი დარჩეს.



„ყველაზე ნათელი მაგალითი ევროკავშირისა და შვეიცარიის ურთიერთობაა. შვეიცარია არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, თუმცა ეს ხელს არ უშლის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან საავიაციო ურთიერთობების დამყარებას. ორმაგი რეგულირება გულისხმობს მთელი რიგი ახალი რეგულაციებისა და შეთანხმებების მიღწევას ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის, რომელშიც მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ ორივე მხარის ინტერესები“.[3]

„ევროპის საერთო საავიაციო სივრცე გულისხმობს შეთანხმებას ევროკავშირის ქვეყნებსა და ევროპის რამდენიმე სხვა ქვეყანას შორის, რომელიც ითვალისწინებს საავიაციო ბაზრის ლიბერალიზაციას და ნებას რთავს სხვადასხვა ქვეყნის ავიაკომპანიებს განახორციელონ ფრენები შეუზღუდავად. ასეთ პირობებში ბრიტანეთი შეძლებს თავი აარიდოს ევროკავშირის რეგულაციებს და ამავედროულად შეინარჩუნოს ის მდგომარეობა საავიაციო ბაზარზე, რაც ბრექსიტამდე ჰქონდა“.[5]

ბრექსიტს გავლენა აქვს საქართველოზეც. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ევროკავშირისკენ მიიღწევის და უვიზო რეჟიმი ამოქმედდა ევროპის ბევრ ქვეყანასთან, ჩვენთვის რთულად მისაწვდომი რჩება დიდი ბრიტანეთი, რითაც ვკარგავთ წვდომას მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საავიაციო ბაზარზე.

თანამედროვე ავიაციაში დღითიდღე ფეხს იკიდებს ავიაკომპანიების შერწყმისა თუ დიდი ავიაკომპანიების მიერ მცირე მოცულობის ავიაკომპანიების შეძენის ტენდენცია. ევროპის საავიაციო ბაზრის 40%-ს აკონტროლებს ევროპის 4 უმსხვილესი კომპანია: Ryanair, Lufthansa, Air France-KLM და IAG (International Airlines Group). ამერიკის ბაზარზე კი თითქმის 80%-ს აკონტროლებს 4 მთავარი გადამზიდავი: „Southwest“, „Delt“ა, „United“ და „American Airlines“. მთავარი პრობლემა, რომელიც ასეთ კონსოლიდაციას თან ახლავს არის ის, რომ ხდება საავიაციო ბაზრის გაერთოფეროვნება, ფეხს ვეღარ იკიდებენ ახალი ავიაკომპანიები და ხდება მსხვილი კომპანიების მიერ მგზავრთა ყველა სეგმენტის მოზიდვა. ცხადია, ეს ზრდის ამ ავიაკომპანიების შემოსავალს, მაგრამ

მცირდება კონკურენცია ავიაკომპანიებს შორის. საჭიროა ახალშექმნილ ან პატარა და საშუალო ავიაკომპანიებს მიეცეთ შესაძლებლობა გაზარდონ თავიანთი სეგმენტი და მეტი მგზავრი მოიზიდონ, რათა გაუნიონ კონკურენცია უკვე არსებულ და მყარად მდგარ ავიაკომპანიებს, რაც თავის მხრივ მიგვიყვანს ხარისხის გაუმჯობესა და ფასების შემცირებასთან, ეს უკანასკნელი კი გარანტიანაა გაზრდილი მგზავრთნაკადისა, გაზრდილი მგზავრთნაკადი კი იმაზე მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე ბაზარზე ერთი ავიაკომპანიის ლიდერობა.

მომხმარებლის გადმოსახედიდან დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების ზრდა დადებითი მოვლენაა, მაგრამ მთლიანად ბაზარისთვის – არა. ვგულისხმობთ იმას, რომ ავიაკომპანიების გარკვეული ნაწილი დაკარგული სეგმენტის მოსაპოვებლად შეეცდება დანახარჯების შემცირებას, რაც, ცხადია, მიგვიყვანს ხარისხის გაუარესებასთან. მას შემდეგ, როგორც დაბალბიუჯეტიანი, ისე სხვა ავიაკომპანიების გარკვეული ნაწილი შეამცირებენ დანახარჯებსა და შესაბამისად ბილეთის ფასს, კონკურენცია მკვეთრად გაიზრდება ავიაკომპანიებს შორის და შესაძლოა ხარისხი და ფასი უკვე დაბალბიუჯეტიანმა ავიაკომპანიებმაც გაზარდონ. შესაბამისად მივიღებთ გაზრდილ თვითღირებულებას უკვე დაბალბიუჯეტიან ავიაკომპანიებში, ბევრ მგზავრს უბიძგებს შეიცვალოს ავიაკომპანია, ან ტრანსპორტის სახეობა, ან საერთოდ მგზავრობისგან თავი შეიკავოს.

საჰაერო ტრანსპორტზე მოთხოვნა იზრდება, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე საქართველოში. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლის თანახმად „საქართველოს აეროპორტებიდან გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 2017 წელს, წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა და შეადგენს 4 მილიონზე მეტ მგზავრს, ზრდა გახლავთ 43%. შესაბამისად გაიზარდა თითოეული აეროპორტის მიერ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობაც. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ზრდა შეადგენს 40%-ს, ქუთაისის – 49%-ს, ბათუმის – 58%-ს და მესტიის აეროპორტში 72%-ს“. [7] გაზრდილი მოთხოვნა ან ზრდის არსებული ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას, ან ახალ ავიაკომპანიებს იზიდავს ქართულ საავიაციო ბაზარზე. მთავარი პრობლემა კი სწორედ აქ ჩნდება.

ქართული და უცხოური ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების წილი კვლავ კონტრასტულია და 90%/ 10%-ზე რჩება უცხოური ავიაკომპანიების სასარგებლოდ. ამ 10%-დან კი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს „საქართველოს ავიახაზების“ მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. ქართული სამოქალაქო ავიაციის უმთავრეს გამონკვევად კვლავ რჩება ეროვნული ავიაკომპანიების სიმცირე. სანამ ქართულ ავიაბაზარზე ახალი და კონკურენტული ეროვნული ავიაკომპანია არ გამოჩნდება, მონოპოლიას თავს ვერ დავაღწევთ. დღეს ერთადერთ ეროვნულ ავიაკომპანიას კონკურენციის არ არსებობის გამო, შეუძლია ბაზარზე მანიპულირება და ტარიფების ზრდა. სასიამოვნო სიახლე გაისმა წლის დასაწყისში ახალი ქართული ავიაკომპანიის ბაზარზე შემოსვლასთან დაკავშირებით. MyWay Airlines-მა უკვე დაიწყო ბაზარზე ოპერირება, თუმცა ჯერ მხოლოდ ჩარტერულ რეისებს ასრულებს. იმედია, რომ სწორედ ეს ავიაკომპანია იქნება ის კონკურენტული ძალა, რომელიც დაასრულებს მონოპოლიას ქართულ საავიაციო ბაზარზე და გაზრდის მომსახურების ხარისხს და შეამცირებს ფასებს.

საავიაციო ინდუსტრია გამოირჩევა ძალიან დიდი დანახარჯებით, შესაბამისად მნიშვნელოვანი და დიდი ინსვესტიციის გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტული ავიაკომპანიის ჩამოყალიბება. გარდა სანავის ფასისა და ლიზინგის ხარჯისა, რომელიც თითქმის ყველა ავიაკომპანიისთვის უმთავრესია, მნიშვნელოვანია ასევე სააეროპორტო დანახარჯები. საქართველოს შემთხვევაში, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერირების უფლება თურქეთში დაფუძნებულ კომპანია „TAV“-ს ეკუთვნის. როგორც ქართულ, ისე უცხოურ ავიაკომპანიებს უწევთ სააეროპორტო მომსახურების გადახდა „ტავ ურბან ჯორჯია“-სათვის, რომელიც ერთ მგზავრზე შეადგენს დაახლოებით 20-30 \$-ს. ტავის არსებობა ქართულ ბაზარზე იწვევს ავიაკომპანიების დანახარჯების ზრდას და შესაბამისად ბილეთის მაღალ ფასს. ავიაბაზარზე დიდ გავლენას ახდენს

მონოპოლისტი კომპანიები. ვსაუბრობთ საქართველოს ავიახაზებზე, როგორც ერთადერთ ეროვნულ ავიაკომპანიაზე, რომელიც ახორციელებს რეგულარულ რეისებს და ტავ უბან ჯორჯიაზე, როგორც აეროპორტების ერთადერთ ოპერატორზე. ორივე კომპანიას თავისუფლად შეუძლია ბაზარზე მანიპულირება, მათ შეუძლიათ ტარიფების ზრდა, ხარისხის შემცირება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მგზავრთნაკადი არ შეუმცირდებათ მანამ, სანამ კონკურენტული ძალა არ გამოჩნდება ქართულ ავიაბაზარზე. კონკურენტულ ძალად კი შეიძლება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი და Wizzair მივიჩნიოთ (მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ავიაკომპანია არაა), რომელთაც გაცილებით დაბალი ტარიფები გააჩნიათ, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ დედაქალაქისგან დაშორებულია და მგზავრებს დამატებითი დროითი და სივრცითი დანახარჯების განევა უნევთ, ამიტომ ზოგჯერ ამჯობინებენ ისევ ბილეთის მაღალი ფასი გადაიხადონ და იმგზავრონ თბილისის აეროპორტიდან.

IATA-ს დავალებით „საერთაშორისო მომავლის სკოლამ“ გამოსცა დოკუმენტი „საავიაციო ინდუსტრიის მომავალი 2035“, რომელშიც ასახულია ის საფრთხეები და შესაძლებლობები, რის წინაშეც საავიაციო ინდუსტრია შეიძლება აღმოჩნდეს სამომავლოდ. ფაქტორები, რომლებიც ავიაციის განვითარებაზე გავლენას მომავალშიც მოახდენენ შემდეგია:

- ალტერნატიული საწვავისა და ენერჯის წყაროები;
- კიბერუსაფრთხოება, მონაცემთა დაცვა და მეთვალყურეობა;
- გარემო პირობების ცვალებადობა – გლობალური დათბობა;
- გლობალური ეკონომიკის სიძლიერე და ცვალებადობა;
- გეოპოლიტიკური (არა) სტაბილურობა – ომი თუ მშვიდობა;
- ინფექციური დაავადებები და პანდემიები;
- ტერორიზმი – იგი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეა ავიაციისთვის;
- საერთაშორისო რეგულაციები დაბინძურებასა და ხმაურზე.

საავიაციო ინდუსტრია დღითიდღე ვითარდება და იზრდება. იზრდება ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა სურთ. იზრდება ავიაკომპანიების და აეროპორტების რიცხვი და მოცულობა. მცირდება სავიზო რეჟიმები ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით კი ევროპაში. იზრდება სხვადასხვა კავშირებისა და საერთო სივრცეების რაოდენობა, რაც ამარტივებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს და ცნებას „თავისუფალი გადაადგილება“ მეტ რეალიზმს სძენს. ამის პარალელურად ჩნდება გარკვეული სახის პრობლემები: იზრდება ქვეყნებს შორის კედლების რაოდენობა, ტერორიზმისა და ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე, იზრდება საწვავის ფასი, ასევე შორეული მანძილის დაფარვის მოთხოვნილება, ტექნოლოგიები ყოველდღიურად ვითარდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Futures of Airline Industry 2035*“, <https://www.iata.org/policy/Documents/iata-future-airline-industry.pdf>
2. ალექს დისტერი (McKinsey & Company-ის დირექტორი), სიბრენ ჰაპნი, დომინიკ მაცსველი – „ზამთარი მოდის: ევროპული ავიაციის მომავალი და თუ როგორ გადავურჩეთ მას“ <https://www.mckinsey.com/industries/travel-transport-and-logistics/our-insights/winter-is-coming-the-future-of-european-aviation-and-how-to-survive-it>
3. ჰენრიკ ჰოლოლეი (Mobility and Transport-ის გენერალური დირექტორი) – „რა მომავალი ელის ევროპულ ავიაციას?“ <https://www.internationalairportreview.com/article/34929/henrik-hololei-european-aviation/>
4. ჰასან ელ-ჰური (ეროვნული საავიაციო სერვისის (NAS) აღმასრულებელი დირექტორი – „აფრიკის საავიაციო ინდუსტრიას პრობლემა აქვს, მაგრამ ეს შეიძლება იყოს მომავალი“ <https://www.cnbc.com/africa/zdnl-mc/2018/02/16/africas-aviation-industry-problem-future/>
5. ჯოშუა უარნერი (მარკეტოლოგი) – „როგორ გავლენას მოახდენს ბრექსიტი საავიაციო ინდუსტრიაზე?“ <https://www.ig.com/en-ch/shares-news/how-will-brexite-impact-airlines-and-the-wider-aviation-industry--180316>
6. Official Airline Guide (OAG)-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ევროპის საავიაციო ინდუსტრიასთან დაკავშირებით 2018 წლის კვარტლის მონაცემებით <https://www.routesonline.com/news/29/breaking-news/274109/europes-aviation-industry-by-numbers-q1-2018-update/>
7. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები 2017 წელს საქართველოში გადაყვანილ მგაერთა რაოდენობის შესახებ <http://www.gcaa.ge/geo/regular.php>
8. „სავიაციო ინდუსტრიის გამოწვევები“ <http://www.tts.com/blog/challenges-for-the-airline-industry/>



## კუპანიტარული მუხნიარებაის მიმართულება

გიორგი კალანდია  
ისტორიულ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

### ტიუდორების სამეფო კანცელარიის დოკუმენტები საქართველოს შესახებ

#### ანოტაცია

ტიუდორების სამეფო კანცელარიის დოკუმენტები საქართველოს შესახებ საქართველოს ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი უკვე ორი წელია მუშაობს ირლანდიისა და ინგლისის ბიბლიოთეკებში დაცულ იმ საარქივო მასალებზე, რომლებიც საქართველოს შეეხება. პროექტის პირველი ეტაპის შედეგად შესწავლილი იქნა XVII-XVIII საუკუნეების გაზეთებსა და წიგნებში დაცული ცნობები საქართველოსა და მეფე ერეკლეს შესახებ. „ქართუ“ ფონდის მხარდაჭერით გამოიცა კიდევ 200 გვერდიანი მონოგრაფია „მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში“. ამჯერად რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ბრიტანეთის და ირლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკებიდან ჩამოტანილი ახალი საარქივო დოკუმენტების შესწავლა, კერძოდ, ეს არის დიდი ბრიტანეთის მონარქთა სახელმწიფო კანცელარიის დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ელისაბედ I-ის, ჰენრი VIII-ის, მერი ტიუდორის და სხვათა მიმონერას, საქმიან ქალაქებს, დაზვერვის მიერ გაგზავნილ ცნობებს, საერთაშორისო შეთანხმებებს და ასე შემდეგ. ინგლისის სამეფო კანცელარიის დოკუმენტები, რომლებშიც საქართველო მოიხსენება სულ 20 ერთეულს, მოიცავს და ძირითადად მე-XVI საუკუნით თარიღდება. მათი უმეტესობა ელისაბედ I-ის მეფობის პერიოდს განეკუთვნება.

Giorgi Kalandia  
Doctor of Historical  
Sciences, Professor

### DOCUMENTS OF THE TUDORS' ROYAL CHANCELLERY ABOUT GEORGIA

#### Abstract

It has been two years since a group of scientists of the Art Palace of Georgia has been working on the archive materials concerning Georgia and preserved in the British and Irish National Libraries. As a result of the project's first stage, documents and sources referring to the Georgian King Heraclius has been studied from the newspapers and books dated back to XVII-XVIII centuries. The 200-page monographic work „Prince Heraclius in British & Irish Press“ has been published by the support of „Cartu Fund“.

This time, new archival documents, brought from the national libraries of the Great Britain and Ireland are being studied by the support of „Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia“. The materials encompass documents of the Royal Chancellor of the Great Britain, consisting of the correspondences of Elizabeth I, Henry VIII, Mary Tudor and others; also, reports, documents sent by intelligence service, international agreements and etc. The documents of Royal Chancellery, where Georgia is mentioned 20 times date back to the XVI century and most of them belong to the reign of Elizabeth I.

## ტიუდორების სამეფო კანცელარიის დოკუმენტები საქართველოს შესახებ

საქართველოს ხელოვნების სასახლის მეცნიერთა ჯგუფი უკვე ორი წელია მუშაობს ირლანდიისა და ინგლისის ბიბლიოთეკებში დაცულ იმ საარქივო მასალებზე, რომლებიც საქართველოს შეეხება. პროექტის პირველი ეტაპის შედეგად შესწავლილი იქნა XVII-XVIII საუკუნეების გაზეთებსა და წიგნებში დაცული ცნობები საქართველოსა და მეფე ერეკლეს შესახებ. „ქართუ“ ფონდის მხარდაჭერით გამოიცა კიდევ 200 გვერდიანი მონოგრაფია „მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში“. ამჯერად რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს ბრიტანეთის და ირლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკებიდან ჩამოტანილი ახალი საარქივო დოკუმენტების შესწავლა, კერძოდ, ეს არის დიდი ბრიტანეთის მონარქთა სახელმწიფო კანცელარიის დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ელისაბედ I-ის, ჰენრი VIII-ის, მერი ტიუდორის და სხვათა მიმონერას, საქმიან ქალაქებს, დაზვერვის მიერ გაგზავნილ ცნობებს, საერთაშორისო შეთანხმებებს და ასე შემდეგ. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გადაუხადო ხელოვნების სასახლის თანამშრომლებს მერი ხარაიშვილსა და თამარ თოლორდავას, რომლებიც ჩემთან ერთად ჩართულნი არიან ამ ურთულესი ტექსტების თარგმნაში, გაშიფვრასა და სათანადოდ კომენტირებაში. ინგლისის სამეფო კანცელარიის დოკუმენტები რომლებშიც საქართველო მოიხსენება სულ 20 ერთეულს, მოიცავს და ძირითადად მე-XVI საუკუნით თარიღდება. მათი უმეტესობა ელისაბედ I-ის მეფობის პერიოდს განეკუთვნება.

ამ მხრივ საყურადღებოა დოკუმენტი, რომელიც ზემოხსენებულ არქივში ინახება და, ჩვენის აზრით საქართველოს ევროპული ისტორიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. წარმოდგენილი ტექსტი ჰენრი VIII-ის სამეფო კანცელარიაში ირიცხება, ანუ ამ პერიოდის ინგლისის სახელმწიფოს საგარეო და საშინაო საქმეების შემადგენელი დოკუმენტია. ტექსტი დაწერილია 1517 წელს, ლათინურ ენაზე და, სავარაუდოდ, წარმოადგენს 1532 წელს ინგლისის მონარქ ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ს შორის ქალაქ კალესში (Calais) გაფორმებული ანტითურქული შეთანხმების პროექტს. დოკუმენტს, როგორც ჩანს, ინგლისის მონარქი პირადად გაეცნო და სწორედ ამიტომაც არის იგი სამეფო კანცელარიის საქმეში დაცული.

თავად შეთანხმების ორიგინალი მისი უკეთილშობილესობის ვაინეს (W.W.E Wynne, Esq., M.P) მფლობელობაშია და წარმოადგენს რაიმერის დიდი ეროვნული კოლექციის ნაწილს. თომას რაიმერი (Thomas Rymer) (1643-1713) ინგლისელი ანტიკვარი და ისტორიკოსი იყო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ისტორიული დოკუმენტების შესწავლის საქმეში, მან 16 ტომად გამოსცა ინგლისის თვითმპყრობელობასა და სხვა სახელმწიფოებს შორის გაფორმებული შეთანხმებები. რა თქმა უნდა, რაიმერისათვის აღნიშნული შეთანხმება და მისი აღწერა ცნობილი იყო. თუმცა დოკუმენტის ტექსტი პირველად სრულად გამოაქვეყნა, მეცნიერულად შეისწავლა და სათანადოდ გამოკვლევა უძღვნა ჯოზეფ ბარტმა (1)

დოკუმენტი უაღრესად საინტერესოა როგორც ევროპის, ისე მსოფლიო დიპლომატიის ისტორიის შესასწავლად, თუმცა ჩვენთვის ღირებულია ის ფაქტი, რომ ევროპის უდიდეს მონარქთა შეთანხმებაში საქართველოს სახელი ფიქსირდება. ეს მოვლენა კარგად მიუთითებს დასავლური სამყაროსათვის ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე.

რატომ, რა გარემოებაში და რა მიზნების მისაღწევად შეიქმნა დოკუმენტი?!- ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი მკითხველს ვთავაზობთ ჰენრი VIII-ის სამეფო კანცელარიაში დაცული შეთანხმების პროექტის ტექსტს:

**„ექსპედიცია თურქთა წინააღმდეგ**

ყველა ქრისტიან ხელისუფალს შორის უნდა დამყარდეს დროებითი ზავი 5 წლის ხანგრძლივო-



ბით. ორი არმია 60 ათასი კაცის შემადგენლობით და სრული აღჭურვილობით მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იქნება. ერთისთვის სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში გამოყენებული იქნება ხმელთაშუა ზღვა, მეორესთვის კი მდინარე დუნაი. ხარჯები ანაზღაურდება ქრისტიანთა მიწებიდან, ამ საქმეს მხარს დაუჭერს ევროპის ყველა ქრისტიანი პრინცი, რომელთა საერთო რაოდენობა ოცია და ექვსი სამხედრო ორდენი. მათ თანხლებაში უნდა იყოს ორი ბერძენი დევნილი (აქ სავარაუდოდ სიტყვა exile (n) გამოყენებულია როგორც (expulsion from country) (αποστομή) εξορία οὖς θηξ) რაც გაადვილებს ხალხის ჩვენს მხარეს მოქცევას. ერთი წინასწარ დანიშნული უმაღლესი კაპიტანი, რომელიც იქნება პაპის ლეგატთან ერთად. ჩრდილოეთიდან ნავარაუდები არმიის კონტიგენტს უხელმძღვანელებს კაპიტანი ლეგატთან ერთად, რომელიც მას დაეხმარება კიდეც. განეული ხარჯები ნაწილობრივ საბერძნეთში მიღებული ნაალაფართი ანაზღაურდება. შეიქმნება პუნქტები კომუნეკაციის მოსაწყობად. არმიები იმოდრავებენ განსაზღვრულ დროს მითითებული მარშუტით. ყველა შექენა და გარიგება უნდა განხორციელდეს კონფედერაციის სახელით, 5 წლის განმავლობაში დაუშვებელია კონფედერაციაში ახალი წევრის მიღება.

ანატოლია უნდა დარჩეთ სეფიანებს თუ ისინი მეკავშირეები გახდებიან, საბერძნეთი კი ქრისტიანებს უნდა ერგოთ და თუ შესაძლებელია ისინი აქ უპირატესნი უნდა გახდნენ. ქრისტიანთა მეშვეობით დაიწყოს ურთიერთობა საქართველოს მეფესთან, თურქთა დამხმარე ეგვიპტის სულთანს კი ხელის შეშლის მიზნით გაეგზავნოს შეტყობინება ინდოეთის გზით, ეს გზა ხელთ უჭყრია პორტუგალიის მეფეს, ამასთანავე ეცნობოს ექსპედიციის შესახებ პრესვიტერ იოანეს (Prester John), რომელსაც ენოდება დე ლას ინდიას, და რომელიც არის ნუბიისა და ეთიოპიის მეფე. ის ქრისტიანობისადმი კეთილგანწყობილია და საქართველოს მეფესთან ერთად მოწინააღმდეგეობა მიიღო უკანასკნელ ფლორენციის კრებაზე“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექსტი წარმოადგენს ინგლისის მეფე ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის ხელმწიფე ფრანსუა I-ს შორის გაფორმებული შეთანხმების პროექტს, ამიტომ აქ თანმიმდევრობით, პუნქტებადაა ჩამოთვლილი განსახორციელებელი მიზნები. ცალსახაა რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების ლიდერები თუ ტექსტის შემქმნელი დიპლომატები საქართველოს მეფეს ჩაფიქრებული ქრისტიანული კონფედერაციის საჭირო და მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევენ, სწორედ ამიტომაც შეთანხმების ტექსტში ერთ-ერთ ვალდებულებად ქრისტიანთა მეშვეობით საქართველოს მეფესთან ურთიერთობის დამყარება დაუსახავთ, რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობა საბოლოოდ ალიანსის ჩამოყალიბებას ან სამხედრო კავშირ-ურთიერთობების გაღრმავებას ისახავდა მიზნად. ჩნდება კითხვა, რით იყო განპირობებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების ესოდენი ინტერესი საქართველოს მეფის მიმართ XVI საუკუნეში?

ეს ის პერიოდია როცა ოსმალეთის იმპერია სულეიმან I-ის მეთაურობით განუზომელ ძლევამოსილებას აღწევს. კერძოდ, 1521 წელს დუნაიზე ოსმალთა ჯარებმა დაიკავეს ციხე სიმაგრე შაბაცო და ალყა შემოარტყეს ბელგრადს, იმავე წელს ქალაქი დაეცა. 1522 წელს სულთანს დანებდა როდოსი, 1524 წელს თურქულმა ფლოტმა წითელ ზღვაში პორტუგალიელების ძალები გაანადგურა. 1526 წელს სულეიმან კანუნმა 100 ათას კაციანი არმია უნგრეთის დასაპყრობად გაგზავნა, 29 აგვისტოს მოხაჩთან გამართულ ბრძოლაში ლაიოშ II-ის არმია დამარცხდა, თავად მეფე კი გაქცევის დროს ჭაობში დაიხრჩო. დაიწყო ხანგრძლივი ომები ოსმალეთსა და ავსტრიას შორის. 1527-1528 წლებში სულეიმანის ძალებმა დაიკავეს, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ოსმალთა უზენაესობა აღიარა ტრანსილვანიის მმართველმა იანოშ I-მა. 1529 წელს სულეიმანმა ვენას ალყა შემოარტყა, თურქთა ძალები ბავარიაშიც შეიჭრნენ. ერთი სიტყვით, ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოების ლიდერებს ოსმალთა უზენაესი მმართველი უკვე შიშის ზარს სცემდა.

ამ პერიოდში მძიმე ვითარება სუფევდა ამიერკავკასიაშიც, საქართველო სამეფო სამთავროებად დაშლილიყო, მეფე მთავრები უშედეგოდ ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანებას, თუმცა თავგამოდებით იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ. 1514 წელს სეფიანების სპარსულ სახელმწი-

ფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ომი დაიწყო. ომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დამორჩილება შეადგენდა. ამიტომ დიდი დაპირისპირების დროს ქართველი ხელისუფალნი საკუთარი პოზიციების დაცვას ცდილობდნენ და დამპყრობელთაგან იმის მხარეს გამოდიოდნენ, ვინც მოცემულ მომენტში უფრო ხელსაყრელი იყო. 1515 წელს ოსმალეთის სულთანთან ბრძოლაში დამარცხებულმა სპარსეთის შაჰმა ისმაილ I-მა ანტითურქული კოალიცია შეკრა, აქ შევიდნენ ეგვიპტის სულთანი, ალბისტანისა და მარაშის მფლობელი ალა-ად-დოვლე და სამცხე საათაბაგოს მთავარი ათაბაგი ყვარყვარე III (1515-1535). 1518 წლიდან კი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანების სახელმწიფოს ვასალები გახდნენ. თუმცა ესეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველები ასეთი ვასალური დამოკიდებულები-საგან გათავისუფლებას ცდილობდნენ. 1521 წელს კახეთის მეფე ლევანმა (1518-1574) „გამოიღო თავი მორჩილების უღლიდან, გაითავისუფლა კისერი გამგონეობის საყელოდან“ (2). ქართველთა მონაწილეობა ანტითურქულ კოალიციაში, საქართველოს მეფე მთავრების ბრძოლა ხან სპარსელ, ხან კი ოსმალ დამპყრობლებთან, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ იმ პერიოდის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ელჩებს და მზვერავებს. სწორედ ამიტომაც ანტითურქული კოალიციის შექმნისა თუ ექსპედიციის მოწყობის შემთხვევაში ჰენრი VIII- და ფრანსუა I-ს მიზანშეწონილად მიუჩნევიათ დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა პარტნიორად საქართველოს მეფის აღიარება და მასთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება ერთ-ერთ მთავარ მიზნადაც დაუსახავთ.

XVI საუკუნის I ნახევარში, ანუ შეთანხმების ტექსტის შედგენის დროს საქართველოს ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, იგი სამეფო სამთავროებად იყო დაშლილი. ამიტომ საინტერესოა, ვინ იგულისხმება შეთანხმების ტექსტში ნახსენებ საქართველოს მეფედ. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე პოზიციები ქართლის სამეფოს უკავია. ქართლის მეფე დავით X-მ 1510 წელს მოახერხა და იმერეთის მიერ მიტაცებული ქალაქი გორი და ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიბრუნა, მანვე კახეთის სამეფოს შემოერთება შეძლო. 1524 წელს დავით X-მ სეფიანთა შაჰის ისმაილ I-ის გარდაცვალების შემდეგ თბილისი აიღო და ქართლის საზღვრებში შემოსახლებული თურქმანები განდევნა. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება, დავითის მამას მეფე კონსტანტინე II-ს ევროპაში უკვე იცნობდნენ. ამ უკანასკნელმა 1492-1496 წლებში ხუცესი ნილოსი დესპანად გაუგზავნა ესპანეთის მეფე ფერდინანდს და დედოფალ იზაბელას, ქართლის მეფემ ევროპელ მონარქებს ოსმალეთთან კოალიციური ომი შესთავაზა (3). მართალია, ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროპის ხელისუფალთა წრეებში ამკარა გახდა ქართლის ანტითურქული პოზიციები. ამდენად XVI საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფოს აქტიურობა, ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ქვეყნის განმტკიცებისათვის, ასევე კონსტანტინე მეორის ელჩის ევროპაში ელჩობა უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჰენრი VIII-სა და ფრანსუა I-ს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში ნახსენები ტერმინ „საქართველოს მეფის“ ქვეშ ქართლის ხელისუფლება უნდა იგულისხმებოდეს.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ შეთანხმების ტექსტში საქართველო ორჯერაა ნახსენები, პირველ შემთხვევაში თუ დასახულია მიზანი დამყარდეს კავშირი საქართველოსთან, მეორეგან ნათქვამია, რომ ნუბიისა და ეთიოპიის მეფე საქართველოს მონარქთან ერთად მონაწილეობდა ფლორენციის უკანასკნელ კრებაში.

ლოგიკურია ჩნდება კითხვა, რომელ კრებაზეა საუბარი და სად მიიღო მონაწილეობა ქართველთა ხელმწიფემ!?

ჩვენის აზრით, შეთანხმების ტექსტში ნახსენები ფლორენციის უკანასკნელი კრება 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილი და ფლორენციაში გაგრძელებული „მსოფლიო“ საეკლესიო კრება უნდა იყოს. მაშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის – ლათინელებისა და ბერძნების წარმომადგენლები. ამ საეკლესიო კრებას „თანაბარი უფლებით ესწრებო-



და იბერიის მიტროპოლიტი“. (4). საყურადღებოა ისიც, რომ კრების ოქმში ქართველი სასულიერო მოღვაწე „იბერიის მეფის წარმომადგენელად“ მოიხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ის მეფე ალექსანდრე დიდის წარგზავნილი ქართველი ეპისკოპოსი სოფრონია (5).

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰენრი VIII-ისა და ფრანსუა I-ის შეთანხმების ტექსტში ისტორიული სინამდვილე ნაწილობრივად ასახული, როგორც ჩანს, ტექსტის შემდგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ ფერერა-ფლორენციის კრებას ქართველები, მართლაც, ესწრებოდნენ, ოღონდ გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი უზუსტობა თუ ფაქტების აღრევა დოკუმენტში მაინც გაიპარა. სწორედ ამიტომ კრების მონაწილედ არა ქართველთა მეფის წარგზავნილი ეპისკოპოსი, არამედ თავად მეფეა დასახელებული.

ყოველივე ზემოთქმული კარგად მიუთითებს საქართველოს ისტორიულ მისიასა და როლზე ქრისტიანული სამყაროს წინაშე, ქართველები ისევე როგორც დღეს ისტორიულადაც ყოველთვის მოიაზრებოდნენ დიდი ევროპული სახელმწიფოების მოკავშირეებად და, აქედან გამომდინარე, დასავლური ცივილიზაციის ინტერესების დამცველებად კავკასიასა და აღმოსავლეთში.

ინგლისის სამეფო კანცელარიაში, კერძოდ, XVI საუკუნის საგარეო საქმეთა სახელმწიფო დოკუმენტებში დაცულია ინგლისურ ენაზე 1584-1585 წლებში შედგენილი საინტერესო წერილი, რომელშიც საქართველოზეა საუბარი. წერილის ადრესატი ფრენსის უოლსინგემი(1532-1590), ავტორი კი უილიამ ჰარბორია (1542-1617). დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა კარგად რომ წარმოვაჩინოთ, რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით მოხსენიებულ ისტორიულ პირებზე. უოლსინგემი (Francis Walsingham) ელისაბედ I-ის მინისტრი, საიდუმლო საბჭოს წევრი, ინგლისის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი იყო. სწორედ მის სახელს უკავშირდება მარიამ სტიუარტის შეთქმულების გახსნა, მინისტრმა ინგლისსა და ევროპაში მზვერავთა უძლიერესი ქსელი შექმნა და მუდმივად ხელი მიუწვდებოდა მსოფლიოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. წერილის ავტორი ჰარბორი (William Harbore) კი ცნობილი ვაჭარი და დიპლომატი იყო, იგი ელისაბედმა კონსტანტინოპოლში ინგლისის ელჩად 1582 წელს დანიშნა, ჰარბორის დამსახურებით ინგლისის დედოფალსა და ოსმალეთის სულთან მურად III შორის აქტიური კორესპოდენცია მიმდინარეობდა. აქვე ორიოდ სიტყვით შევჩერდებით წერილის შექმნის ადგილზე, გზავნილში მითითებულია „რაპამატი“. ეს იყო თავისებური ვილა, რომელიც სტამბულის ევროპულ ნაწილში ბეი-ოღლუში მდებარეობდა, მას მე- XVI საუკუნეში პერა ეწოდებოდა.

ახლა კი ინგლისურ ენაზე შედგენილი წერილის შინაარსს დავუბრუნდეთ. გზავნილში ნათქვამია: „ამბობენ, რომ დიდი სულთანი საბერძნეთში უზარმაზარ ძალასთან ერთად არამარტო ბეგთაბეგს გაგზავნის, არამედ ვეზირ ოსმანსაც იმ არმიის თანხლებით, რომელიც განმწესებულია სეფიანთა და ქართველთა წინააღმდეგ. ამ ქვეყანაში მთავარი პრინცი არის საიდის ძმა სიმონი, რომელმაც სპარსეთთან ომის მეორე წელს თბილისი მუსტაფას დაუთმო და მას შემდეგ იგი ხსენებულ ძმასთან ერთად ვაჟაკურად იბრძოდა სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ, თუმცა ახლა თავის 20 წლის შვილთან ერთად „აჯანყდა და შური იძია“, ამიტომაც ორი კვირის წინ პატივით მიიღეს და ოსმანის მფარველობაც მოიპოვა. ვეზირი ხელახლა გახდა თბილისის მმართველი და თავის შვილი დიდ სულთანს მძევლად დაუტოვა. სულთნის ძალების დახმარებით იმედი აქვს, რომ ადვილად შეძლებს ხსენებული ქართველების დამორჩილებას“.

წერილის შინაარსი მკითხველისათვის გასაგები რომ გახდეს, საჭიროა მიმოვიხილოთ იმდროინდელი ეპოქა, განვმარტოთ მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ვინაობა და კარგად გავანალიზოთ საქართველოს როლი მაშინდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში.

1555 წელს სპარსეთის შაჰ თამაზ I-სა და ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ს შორის ქალაქ ამასიაში ზავი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ორ სახელმწიფოს შორის საზღვრები დადგინდა. იმპერიებმა საქართველო და სომხეთი შუაზე გაიყვეს. იმერეთის სამეფო, სამეგრელო, გურიის სამთავრო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა. ქართლისა და კახე-

თის სამეფოები კი სპარსეთის მფლობელობაში მოექცა. საქართველოს არცერთ ნაწილს არ აკმაყოფილებდა ზავის პირობები, მაგრამ თუ სხვა მეფე მთავრები ასე თუ ისე შეურიგდნენ შექმნილ მდგომარეობას, ქართლი ბრძოლას განაგრძობდა. მეფე ლუარსაბი და მის გარშემო შემოკრებილ ქართველ პატრიოტთა მებრძოლი დასი პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს წარმატებით იყენებდა. თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად შეუძლებელი გახდა საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის განხორციელება. ამის მიზეზების საყურადღებო ახსნა აქვს მოცემული ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს. მისი სიტყვით, საქართველოს „იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდ ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ხმალი, იქით იქნიეს და მრავალთ ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რა თავს გაუვიდეს“. ავტორის შეხედულებით, ხონთქარმა და ყაენმა იმიტომ შეძლეს საქართველოს ურთიერთშორის გაყოფა, რომ „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი, მტერნი, ერთმანეთისა მარბენი და მანყინარი“...

ახლა რაც შეეხება უილიამ ჰარბორის წერილის ძირითად შინაარსს, ის მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისისათვის ბრძოლას ასახავს, როგორც ცნობილია, ეს პროცესი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, ქალაქი მაშინ ხელიდან ხელში გადადიოდა, ხან ოსმალების, ხან სპარსელების ხან კი ქართველთა კუთვნილება ხდებოდა... წერილში მოხსენიებული ქართველთა პრინცი, „საიდის ძმა სიმონი“ ქართლის გმირი მეფე უნდა იყოს. იგი ლუარსაბის შემდეგ ტახტზე 19 წლის ასაკში სიმონ I-ის სახელით ავიდა. ახალგაზრდა უფლიწული მამასავით ენერგიული და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. ჰარბორის მიერ სიმონის მისამართით გამოყენებული ფრაზა „სპარსეთთან ომის მეორე წელს თბილისი მუსტაფას დაუთმო და მას შემდეგ იგი ხსნებულ ძმასთან ერთად ვაჟკაცურად იბრძოდა სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ“, შემდეგ ამბავს უნდა გულისხმობდეს: – 1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი და ალამუთის ციხეში გამოკეტილი სიმონი 1578 წელს ირან ოსმალების ომის დაწყებისთანავე შაჰმა ტყვეობიდან გაათავისუფლა, ქართლის მეფობა უბოძა, რაყამი ძმობით მისწერა და ყიზილბაშ სარდალ ალი ყული ხანთან ერთად, 5000 მხედრით და რამდენიმე ქვემეხით საქართველოში გამოგზავნა. 1579 წელს ქართლის მეფემ სპარსელ ხანთან ერთად ოსმალთა გამოგზავნილ დამასკოს ფაშასა და მის 20 ათას კაციან ლაშქარს მართლაც დიდი ზარალი ანახა, ასე რომ ოსმალთა კამპანია ჩავარდა. სულთანმა მურად III იმის გამო რომ საქართველო ვერ დაიმორჩილა მთავარსარდლობიდან ლალა მუსტაფა ფაშა გადააყენა და სინან ფაშა დანიშნა, თუმცა ვერც ამან უშველა ოსმალებს. 1582 წელს სიმონმა მუხრანის ბრძოლაში კიდევ ერთხელ დაამარცხა სულთნის ჯარები. ამდენად ჰარბორისეული ფრაზა „სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ“ სიმონ მეფის ოსმალთა წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლის შესახებ ძირითადად რეალობას ასახავს.

ინგლისელი დიპლომატის ეპისტოლედან ისიც ირკვევა, რომ წერილის შედგენის პერიოდში სიმონს ოსმალთა მფარველობა მოუპოვებია, შვილი სტამბულს მძევლად დაუტოვებია, სულთნის ვეზირი კი თბილისის მმართველი გამხდარა. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ცნობა სიმონის მიერ შვილის (სავარაუდოდ გიორგი X-ის) მძევლად დატოვების შესახებ, მაგრამ ზუსტად ცნობილია ერთი რამ, ქართლის გმირი მეფე ოსმალებს 1588 წელს დაეხავა, მას შემდეგ რაც შაჰსა და სულთან შორის წინასწარი შეთანხმება მოხდა. შეთანხმების მიხედვით სიმონი ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკი ეხადა. სამაგიეროს ოსმალეთი სიმონს ქართლის ქრისტიან მეფედ სცნობდა, აღიარებდა მემკვიდრეობით უფლებას და არ ერეოდა მის შინაურ საქმეებში.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ უილიამ ჰარბორნი ინგლისის უმაღლესი ხელისუფლებისათვის უმეტესწილად სწორი და რეალური ვითარების ამსახველი ინფორმაციის მიწოდებას ახერხებს, ვფიქრობთ, წერილის დათარიღება მცდარია, ეპისტოლე არა 1584-1585 წლებში, არამედ უფრო მოგვიანო დროს, კერძოდ, სიმონ I-ის ოსმალებთან დაზავების

შემდეგ, ანუ 1588 წლისთვისაა შედგენილი. თუმცა ამ შემთხვევაში საყურადღებო უფრო სხვა გარემოებაა. ელისაბედ I-ის უპირველესი მინისტრისადმი განკუთვნილ წერილში სოლომონ მეფის მოხსენიება კარგად ცხადყოფს იმას, რომ იმდროინდელი ქართლის ხელისუფლების ბრძოლა ჯერ ირანელ და შემდეგ ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მხოლოდ ეროვნული მასშტაბებისა არ იყო და ხშირ შემთხვევაში რეგიონალურ დატვირთვას იძენდა. ეს ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ის შორეული ინგლისის უმაღლესი ხელისუფლების და მათ შორის ალბათ თავად დედოფლის ყურადღებასაც იქცევდა. ამიტომაც ქართველთა თავდადებული წინააღმდეგობა აზიის უძლიერესი იმპერიების წინააღმდეგ დასავლური, ანუ ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლებისათვის იმედის მომცემი, არაერთხელ სამაგალითო, ზოგჯერ კი პოლიტიკური თუ დიპლომატიური ქმედებების საფუძველი ხდებოდა. ამ უკანასკნელის საუკეთესო ილუსტრაციაა 1532 წელს ინგლისის მონარქ ჰენრი VIII-სა და საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-ს შორის ქალაქ კალესში (Calais) გაფორმებული ანტიოთურქული შეთანხმების პროექტი, სადაც ევროპელი მონარქები საქართველოს ხელმწიფეს ერთ-ერთ უმთავრეს მოკავშირედ მიიჩნევენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Joseph Burt. Treaty Against The Turks, Between Henry VIII and Francis I, Concluded at Calais in 1532. The Archaeological Journal. Royal Archaeological Institute, 2013. Volume 10. გვ.338-341.
2. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 21.
3. მ.თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 516.
4. ი.ტაბალუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, I, გვ. 101.
5. კრებული: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 281.

ივანე სეხნიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის აფილირებული პროფესორი

## აზრის გამოსატვის თავისუფლება თანამედროვე მედიაში

### ანოტაცია

წინამდებარე სტატიაში „აზრის გამოსატვის თავისუფლება თანამედროვე მედიაში“ საუბარია ქართული მედიის შესახებ, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია, ჯერ კიდევ პოლარიზებულია, არ არსებობს პოლიტიკური დებატებისთვის საჭირო გარემო, მწირია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო საკითხებზე მორგებული თოქ-შოუები (არსებობს მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი).

ბოლო პერიოდში სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო არხებზე თუ დავაკვირდებით, როდესაც ორი ან მეტი სტუმარია მიწვეული ეთერში და საუბარია მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, არ არსებობს პირდაპირი ეთერი მშვიდ ვითარებაში წარიმართოს და გადაცემა ერთმანეთის ლანძღვა-გინებით და ზოგჯერ ხელჩართული ბრძოლით არ დასრულდეს. უხამსობაა განცხადება, რომელიც არ შეიცავს რაიმე კულტურულ, პოლიტიკურ, მხატვრულ ან სამეცნიერო ღირებულებას, უხეშად ლახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და მიზნად ისახავს პირის პატივისა და ღირსების შელახვას.

ჩვენ დღეს შევეცდებით არ შევადაროთ ილიას, ან ივანე მაჩაბელს 21-ე საუკუნის ქართველი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, ექსპერტი, ან ჟურნალისტი, რომლებიც ასე „უხვად“ გამოდიან სხვადასხვა მედიის ეთერში და უხამსი სიტყვებით, მოურიდებლად მიმართავენ ერთმანეთს საჯაროდ, უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე „სიძულელის ენა“, სამწუხაროდ, ძალიან განსხვავდება იმ კრიტიკული წერილებისაგან, რომლებსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში წერდნენ ერთმანეთს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

ჩვენი აზრით, სიძულელის ენის რეგულირება უნდა ხდებოდეს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე მედიამ ყოველთვის უნდა გაიაზროს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს იმას, რასაც ის აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე, გაზეთში თუ ტელევიზიის მეშვეობით.



**Ivane Sekhniashvili**

*Doctor of Philology, Affiliated Professor of  
New Higher Education Institute*

## **FREEDOM OF EXPRESSION IN CONTEMPORARY MEDIA**

### **Abstract**

The presented article, “Freedom of Expression in Contemporary Media” deals with the current situation in Georgian media, which is still in bad condition and is polarized. There is no suitable environment for political debates and there is scarcity of political, economic, social and educational talk-shows (with only a few exceptions).

Currently, if we observe different TV and radio channels, when two or more guests are invited to talk about the current political events in the studio, there is no chance of conducting live show in a calm and peaceful situation and it often ends with swearing and sometimes fighting. A statement is indecent if it does not contain any cultural, political, artistic or scientific value and roughly violates the ethical norms established by the society and aims to harm person’s honor and dignity.

Today we will try not to compare ourselves with Ilia or Ivane Machabeli. The 21st century Georgian political or public figures, experts or journalists, who are “frequently” seen in various media, address each other publicly using the language of harassment and obscene words. We can simply say that the modern “hate speech” is unfortunately very different from the critical letters which have been written by the famous public figures in the last century.

In our opinion, hate speech should be regulated with self-regulatory mechanism. This means, that modern media should always consider the consequences of what is published on its website, newspaper or television.

## აზრის გამოხატვის თავისუფლება თანამედროვე მედიაში

აზრის გამოხატვის თავისუფლება „ადამიანის უფლებათა ლექსიკონის“ მიხედვით არის თავისუფლება, რომელიც აზრის ღიად გამოხატვასთანაა დაკავშირებული. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს, გაავრცელოს იდეები თუ ინფორმაცია (კერძო საუბარში თუ საჯაროდ) ხელისუფლების ჩარევის გარეშე და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. აზრის გამოხატვის თავისუფლებას არა მარტო ხელისუფლება, არამედ ხშირად ოპოზიცია ან ტერორისტული ორგანიზაციებიც ებრძვიან, რომლებიც სხვადასხვა ფორმით უკრძალავენ პრესას, პოლიტიკოსებს, ან ცალკეულ ადამიანებს საკუთარი აზრის ღიად გამოთქმას. დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფალი პრესა, ეფექტური სასამართლო ხელისუფლება და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა აზრის გამოხატვის თავისუფლების გარანტები არიან. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით ამ თავისუფლების მიმართ შესაძლებელია დაწესებულ იქნას შეზღუდვები, თუ ირღვევა სხვათა უფლებები, შელახულია მათი რეპუტაცია, ან თუ აზრის გამოხატვის თავისუფლება საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და წესრიგს, საზოგადოების ჯანმრთელობასა და ზნეობას. (ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, გვ. 128).

აზრის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით არა მხოლოდ მედიის წარმომადგენლები სარგებლობენ, არამედ ის მოქალაქეებიც, რომლებსაც სურთ საჯაროდ გამოხატონ საკუთარი პოზიცია. თუმცა არსებობს საზღვრები, რომელთა დარღვევა ისჯება. კერძოდ კი, კანონი კრძალავს: ცილისწამებას, უხამსობას, პირისპირ შეურაცხყოფას, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას, მუქარას, სახელმწიფო, კომერციული, პირადი ან პროფესიული საიდუმლოს გამხელას.

სამწუხაროდ, ქართული მედია დღეს სავალალო მდგომარეობაშია, ჯერ კიდევ პოლარიზებულია, არ არსებობს პოლიტიკური დებატებისთვის საჭირო გარემო, მწირია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო საკითხებზე მორგებული თოქ-შოუები (არსებობს მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი), პოლიტიკაში ჩართული საჯარო პირები ხშირად თავს არიდებენ საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემას. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია პირდაპირ უკავშირდება გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მიღების ღირებულებას და განაპირობებს მოსახლეობის ინფორმირებულობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რისი საშუალებითაც ხელს უწყობს პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების ჩართულობის ზრდას, კანონის უზენაესობის გამყარებას და სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალე მუშაობას. შესაბამისად მედია გავლენას ახდენს პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგზე, ასევე საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესზე.

ბოლო პერიოდში სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო არხებზე თუ დავაკვირდებით, როდესაც ორი ან მეტი სტუმარია მიწვეული ეთერში და საუბარია მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, არ არსებობს პირდაპირი ეთერი მშვიდ ვითარებაში წარიმართოს და გადაცემა ერთმანეთის ლანძღვა-გინებით და ზოგჯერ ხელჩართული ბრძოლით არ დასრულდეს. ამ ეტაპზე ჩვენ თავს შევიკავებთ იმ მედიის თუ გადაცემების დაკონკრეტებისაგან და „სტუმრების“ გვარების ჩამოთვლისაგან, რომლებმაც არა მხოლოდ უხამსი სიტყვებით შეამკეს, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს ერთმანეთს. აქ საუბარია უკვე ეთიკის შესახებ. ეს უკვე მოდად ქცეული ტელე თუ რადიო ეთერში დაპირისპირებები თუ არ დასრულდება, იქნებ შემცირდეს მაინც, მაგრამ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ტელე თუ რადიო წამყვანების მუშაობის პრინციპი, საუბარია იმ ჟურნალისტებზე, რომლებიც არ იცავენ ეთიკის ნორმებს.

უხამსობა მედიაში – ამ საკითხზე გაიმართა დისკუსია „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტილაში“. ქარტიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია დისკუსიის შესახებ. რა არის უხამსობა, როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, როდესაც რესპონდენტი უცენ-

ზურო სიტყვებს იყენებს და რა ხდება რეალურად ქართულ მედიაში ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ თემებზე „ჟურნალისტური ეთიკის ქარტილაში“ გამართულ დისკუსიაზე იმსჯელებს.

ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი გე“-ს რედაქტორმა მაია მეცხვარიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას სხვადასხვა მაგალითები გააცნო, როდესაც უხამსობა, უცენზურო ან სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამები დაიბეჭდა, ან ეთერში გავიდა.

დისკუსიის განმავლობაში განიხილეს თითოეული ასეთი შემთხვევა და იმსჯელებს, რამდენად შეიძლება უცენზურო გამონათქვამები უხამსობად ჩაითვალოს. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კითხვამ, უნდა გაავრცელოს თუ არა მედიამ უცენზურო სიტყვები ან სიძულვილის შემცველი ფრაზები, როდესაც ამას საჯარო პირი ინტერვიუში იყენებს, თუ უნდა გააკორექტიროს და დამალოს. „ასეთ დროს ჟურნალისტი სრულიად უნდა გაემიჯნოს რესპონდენტის ფრაზეოლოგიას. მნიშვნელოვანია კონტექსტი, რა მიზანს ისახავს ესა თუ ის მასალა. აქცენტი იმაზეა გაკეთებული, როგორ საუბრობს, ვთქვათ, დეპუტატი თუ ჩანს, რომ სტატიის ავტორიც იზიარებს მის ტერმინოლოგიას“, – აღნიშნა მაია მეცხვარიშვილმა.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენელმა ვახუშტი მენაბდემ, დისკუსიის მონაწილეებს უხამსობის შესახებ სამართლებრივი კუთხით ესაუბრა. მან უხამსობის დეფინიციაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ უხამსობაა განცხადება, რომელიც არ შეიცავს რაიმე კულტურულ, პოლიტიკურ, მხატვრულ ან სამეცნიერო ღირებულებას, უხეშად ლახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს და მიზნად ისახავს პირის პატივისა და ღირსების შელახვას. „თუ ორივე კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს, ანუ არ შეიცავს ღირებულებას და არღვევს ეთიკურ ნორმებს, მაშინ უხამსობა არ არის. მთვარი კითხვა სწორედ აქაა – რა არის ღირებულება და რა ეთიკური ნორმა“, – აღნიშნა ვახუშტი მენაბდემ. მისი თქმით, სასამართლოში განსჯადია უხამსობა და ცილისწამება, ზოგიერთ ქვეყანაში ამას ემატება სიძულვილის ენაც, ეს უკანასკნელი საქართველოში მედიის თვითრეგულაციის ნაწილია.

ქართველმა პოლიტიკოსებმა 2015 წელს თავი ფრთიანი გამოთქმებითაც დაგვამახსოვრეს. „აიპრესმა“ 10 ფრაზას მოუყარა თავი, რომელმაც საზოგადოებაში ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს გამონათქვამები სწორედ სხვადასხვა მედიის საშუალებით გავრცელდა.

1. სოსო ჯაჭვლიანი იბიარდზე

22 ივლისს დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის პარლამენტში ნათქვამი ფრაზები ნამდვილად იმსახურებს „წლის ფრაზის“ სტატუსს.

„ქალბატონი ეკა ხერხეულიძეს ჩემი ოჯახის დანგრევის მცდელობა ჰქონდა. მან ამ რამდენიმე თვის წინ ბრძანა, რომ პარლამენტის სესია იმიტომ ჩაიშალა, კვორუმი არ შედგა, სოსო ჯაჭვლიანი იბიარდზე იყო. რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ქალბატონო ეკა? მე იბიარდზე ვერასოდეს ვერ ვიქნები – მე ერთგული მეუღლე ვარ. ეს თქვენი გუნდი დადიოდა ამ „იბიარდზე“ 10 წლის განმავლობაში. ეს „იბიარდობა“ ეტყობა ქვეყანას. ამიტომ ნაიბიარდები ქვეყნის გამოყვანა სტაგნაციიდან ძალიან ძნელია. ჩვენ ვეცდებით სალი აზრების იმპლემენტირება გავაკეთოთ“, – განაცხადა ჯაჭვლიანმა სესიაზე.

ამის გამო დეპუტატი „ბიბისიზეც“ მოხდვა. მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველ დეპუტატს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი ბორდელში აერია.

2. გუგული მალრაძე „სერიოზული მცოდნე ადამიანი საჯარო სამსახურში 2 000 ლარად არ გაგიჩერდება“.

„ადამიანს, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, არ უნდა ჰქონდეს არც ცდუნება და არც გასაჭირი იმისა, იფიქროს იმაზე, ხვალ და ზეგ საიდან იშოვოს ფული ოჯახისთვის. უნდა ჰქონდეს ნორმალური შემოსავალი. დღეს საჯარო სამსახურიდანაც ხდება გადინება. იმიტომ რომ სერიოზული მცოდნე ადამიანი საჯარო სამსახურში 2 000 ლარად არ გაგიჩერდება. თუ საჯარო სამსახურში კარგი სპეციალისტი არ გაჩერდა, მიღებული გადან-

ყვეტილებები იქნება იმდენად არასწორი, რომ ყველას დაგვაკლდება. როცა სხვა ადამიანი ასეთ კადრს 6 000-ს სთავაზობს, მაშინ შენირული უნდა იყოს, რომ თქვას, არ წავალო. მაგარი სპეციალისტი დღეს სახლში არ ზის და დასაქმებულები არიან. ვისაც სამუშაო უნდა, ის ყოველთვის იშოვის“, – აღნიშნა 9 ივნისს გუგული მალრაძემ.

3. გუგული მალრაძე: „ჭკვიანმა დიასახლისმა იცის, როდისაა ხორცი იაფი“

„თუ კარგი დიასახლისია, გეტყვი, რამდენია საჭირო: ადამიანი გავა, იმ დღეს იყიდის ხორცს, როცა იაფია, იმ ხორცს ორად გაყოფს, სუპს გააკეთებს, მერე კიდევ შეურევს სხვა რაღაცებს, მაგალითად, კარტოფილს. ამისთვის სადღაც 20 ლარია საჭირო და შეიძლება კალორიებიც დაიცვა, სჯობს სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო და ა.შ. ამას უნდა კარგი, ჭკვიანი დიასახლისი, რომელმაც იცის, როდის გავიდეს ბაზარში. ესაა მთელი ხელოვნება“. – აცხადებდა 30 ნოემბერს მალრაძე.

4. „რიმა ბერაძის დიეტა“...

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატი რიმა ბერიძე მიიჩნევს, რომ დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკვებად საკმარისია. ამის შესახებ მან რუსთავი 2-ის სიუჟეტში უფასო სასადილოების მენიუზე საუბრისას განაცხადა.

„1 ლარსა და 18 თეთრში თავიდან ბოლომდე გათვლილი კალორიულობა, ის, რაც საჭიროა. ვფიქრობ, რომ ამ ამ კუთხით ჩვენ შენიშვნები არ გავგაჩნია“, – ამბობდა რიმა ბერიძე.

თუმცა საზოგადოებამ ისე აღიქვა, თითქოს რიმა ბერიძე აცხადებდა, რომ ადამიანის საკვებად მთელი დღის მანძილზე საკმარისია ლარი და 18 თეთრი. მოგვიანებით დეპუტატმა კვლავ განმარტა, რომ 2015 წლის თბილისის ბიუჯეტის თანახმად, სოციალურად დაუცველთათვის უფასო სასადილოებში მენიუ თითო კაცზე 1 ლარი და 18 თეთრი ჯდება. თუმცა საზოგადოებაში მისი სიტყვების პარალელურად დამკვიდრდა ფრაზები „რიმას დიეტა“.

5. თემურ ჭკუასელი: „მამაკაცებს უფრო გლობალური აზროვნება აქვთ“.

უმრავლესობის წარმომადგენელმა თემურ ჭკუასელმა პარლამენტში 24 ნოემბერს განსხვავებული სქესის პროპორციულ სიებზე ისაუბრა, სადაც განაცხადა, რომ კაცები უფრო გლობალურად აზროვნებენ.

„მამაკაცებს აქვთ უფრო გლობალურ აზროვნება. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ქალებს აქვთ უფლება მიაქციონ დეტალებს ყურადღება, რომელსაც კაცები ვერ ამჩნევენ... რატომ მეჩხუბებით, რა ვთქვი ისეთი?“

6. მეჭიაური: „ელისაშვილი შემჩნეულია ცილისწამებაში და ამას მისი ცხვირის ზომაც ადასტურებს“. აღნიშნული ფრაზები 2015 წლის 12 დეკემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა თბილისის საკრებულოს დეპუტატ ალექო ელისაშვილზე თქვა.

„ელისაშვილი შემჩნეულია ხშირად ცილისწამებებში და ამას მისი ცხვირის ზომაც ადასტურებს, თანდათან ეზრდება იმდენ ტყუილს ამბობს. იმხელა თანხაზე საუბარი ბინ ლადენი თუ ყავდათ გასაშვები თუ არა აბა ამდენ ფულს ვისში იხდიდნენ?“

7. თამაზ მეჭიაური პრეზიდენტზე: „ის ჩვენი კლასის დამრიგებელი არ არის“

პარლამენტის დეპუტატი თამაზ მეჭიაური წელს პრეზიდენტს ძალიან „ერჩოდა“. 7 ნოემბერს მან ასეთი ფრაზები თქვა გიორგი მარგველაშვილის მისამართით: „ის ჩვენი კლასის დამრიგებელი არ არის, რომ ასე ჩვენს განმარტებებს დიპლომატიური ან არადიპლომატიური უწოდოს“.

8. მეჭიაური პრეზიდენტზე: „ენჯეოელი სოროსელი“, რომელსაც საქსოვი ჩხირები ეჭირა“

„ბიძინა ივანიშვილს დავადანაშაულებ იმაში, რომ მან ერთ „ენჯეოელ სოროსელს“, რომელსაც საქსოვი ჩხირები ეჭირა, ის ხელიდან გააგდებინა და ვეტოთი აღჭურვა, რომლითაც ნერვებს გვიშლის ჩვენც და მოსახლეობასაც“, – განაცხადა 2 სექტემბერს მეჭიაურმა.

9. დავით ნარმანია: „თბილისში ორმოები აღარ გვაქვს...“

„არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც კონტრაქტორმა კომპანიებმა დაინყეს სამუშაოები



და ველარ გააგრძელეს, რადგან მათ ფინანსური და მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდათ. ისინი დაჯარიმდნენ და მათ სხვა კონტრაქტორები ჩაენაცვლნენ. ორ მონაკვეთზე დღესაც მიმდინარებს სამუშაოები. ეს ცოცხალი პროცესია. ამ მხრივ არსებითი პრობლემა ამ ეტაპზე არ არსებობს. რაც შეეხება ორმოების პრობლემას, მინდა გითხრათ, რომ თბილისში ორმოები აღარ გვაქვს, – განაცხადა 12 აგვისტოს ნარმანიამ თბილისში შექმნილი მდგომარეობის შეფასებისას.

10. დავით ნარმანია: “გახშირდა ქალაქში სხვადასხვა ქუჩის, მოედნის, სკვერის თვითნებურად გადათხრის ფაქტები...”

„ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ქალაქში სხვადასხვა ქუჩის, მოედნის, სკვერის თვითნებურად გადათხრის ფაქტები. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ვავალებ, რომ რაიონული სამსახურების მეშვეობით დროულად შეისწავლოს ყველა მსგავსი შემთხვევა, მოგვანოდოს წინადადებები”, – განაცხადა 28 ოქტომბერს დავით ნარმანიამ.

მედია საშუალებები, საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები და მოქალაქეები საზოგადოებაში, სადაც ისედაც მრავლად არის სხვადასხვა სოციალური პრობლემები, ამკვიდრებენ სიძულვილს, რომელსაც დღევანდელი გაგებით, სამწუხაროდ, აზრის გამოხატვის თავისუფლებას უწოდებენ.

დაპირისპირება არც გასულ საუკუნეებში „მოაკლდა“ ქართულ საზოგადოებას. ჯერ კიდევ იმ პერიოდშიც კი როდესაც არც ტელევიზიები და არც სოციალური მედია არსებობდა. აკა მორჩილაძე „ქართულის რვეულები XIX საუკუნის სურათები“-ში ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის კონფლიქტზე საუბრობს.

„ქართველებს არც პარლამენტი ჰქონდათ და არც პარტიები ჰყავდათ და ბანკის სხდომა იყო პაექრობის ადგილი.

მით უმეტეს, რომ დაიბადა წინააღმდეგობა, რომელიც თანდათან გადავიდა ძალიან პიროვნულ წინააღმდეგობაში თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძისა და მის დირექტორს – ივანე მაჩაბელს შორის.

ეს არ იყო ორი თაობის ადამიანის შეუთანხმებლობა, უთანხმოება საბანკო საქმეს მოჰყვა.

ეს იყო წინააღმდეგობა ორ ადამიანს შორის, რომლებსაც ძალიან უყვარდათ და უცებ ძალიან შესძულდათ ერთმანეთი, თუმცა ძალიან დიდი ხნის მანძილზე იკავებდნენ თავს და ამას არ ამჟღავნებდნენ.

ბანკში ისეთი ამბავი იყო, რომ იძულებულნი შეიქნენ სხდომები თეატრში გადაეტანათ. მთავარი გასართობი ქალაქში სწორედ ეს იყო – ბანკი, მაჩაბლისტები და ილიისტები.

მაჩაბლისტები – ოფიციალური ოპოზიცია და ილიისტები – ბანკის მმართველები.

ამბობდნენ, ჭავჭავაძის მომხრე კახელებმა სულ დროშეებითა და ეკიპაჟებით ჩამოიყვანეს კახელები ბანკის სხდომაზე დასასწრებად, მაჩაბლისტებმა კიდეც – ტივებით მოაცურეს ქართლიდან. მთლად ასეც არ იყო, ჭორი ბერავდა ამ ამბავს. მთლად ქართველობაზეც არ იყო. იყვნენ კახელი მაჩაბლები, ოთხი ძმა, რომლებიც მართლაც ჩამოვიდნენ კახეთიდან, ოღონდ ივანე მაჩაბლის მხარდასაჭერად.

ეს იყო სერიოზული კონფლიქტი, რომელიც ორივე მხარეს ძვირად უჯდებოდა. განსაკუთრებით მაჩაბელს, რომელიც ძალიან ემოციური და სივარჯიშე პატიოსანი კაცი იყო. მან მოთმენა არ იცოდა, ღიზიანდებოდა.

ილია ჭავჭავაძემ იცოდა მშვიდი, გაზომილი და ჭკვიანური ლაპარაკი. მაჩაბელმა იცოდა მლელვარე, არეული, თუმცა ძალიან ლოგიკური ლაპარაკი და როცა ეს ორი სტილი ეჯახებოდა, უფრო ხშირად მაჩაბელი კარგავდა თავს და გარბოდა გარეთ და იყო ერთი უბედურება. ისეც მომხდარა, რომ თატრის სცენაზე აცვენილან აქედან კახელები, იქიდან ქართლები, რევოლუციებიც კი დაუძვრიათ.

მტრობა ისეთი ღრმა იყო, რომ მაჩაბელმა თანდათან დატოვა ყველა ის დაწესებულება, სადაც

ილია ჭავჭავაძესთან უნევდა ყოფნა.

მაჩაბელს ყოველთვის შეეძლო ეპოვა საქმე და პოულობდა კიდეც იმისათვის, რომ თავისი ცხოვრება მოეწყო, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ნერვების ფასად უჯდებოდა.

ილია ჭავჭავაძე კი პირიქით, მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს და წინააღმდეგობაშიც მშვიდად შედიოდა, გაზომილად და მორგებულად“ (ა. მორჩილაძე, გვ.91-92).

ჩვენ დღეს არ ვაპირებთ შევადაროთ ილიას, ან ვანო მაჩაბელს 21-ე საუკუნის ქართველი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე, ექსპერტი, ან ჟურნალისტი, რომლებიც ასე „უხვად“ გამოდიან სხვადასხვა მედიის ეთერში და უხამსი სიტყვებით, მოურიდეზლად მიმართავენ ერთმანეთს საჯაროდ, უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე „სიძულვილის ენა“, სამწუხაროდ, ძალიან განსხვავდება იმ კრიტიკული წერილებისაგან, რომლებსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წერდნენ ერთმანეთს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

ჩვენი აზრით, სიძულვილის ენის რეგულირება უნდა ხდებოდეს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე მედიამ ყოველთვის უნდა გაიაზროს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს იმას, რასაც ის აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე, გაზეთში თუ ტელევიზიის მეშვეობით. სწორედ მედიას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ამ პროცესში საზოგადოების აქტიურობას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ხალხის დაკვეთა უნდა იყოს ის, რომ მედიამ იმუშაოს მეტი პასუხისმგებლობითა და ტოლერანტობის პრინციპების დაცვით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფ. საყვარელიძე, ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, თბ., დასი, 1999, გვ. 128.
2. იხ. <https://www.facebook.com/Georgiancharter/posts/483200881729650>
3. იხ. <http://www.ipress.ge/new/21047-tslis-frazebi-2015-politikosebis-fritiani-gamonatqvamebi>
4. ა. მორჩილაძე, ქართულის რვეულები XIX საუკუნის სურათები, თბ., 2014, 2016, გვ. 91-92.



თეა ლორთქიფანიძე

ფილოლოგიის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის აფილირებული პროფესორი

## სახელმწიფო ენის შესწავლიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე

### ანოტაცია

საქართველო მრავალენოვანი ქვეყანაა. გამოანგარიშებულია, რომ მისი მოსახლეობის 13 პროცენტისთვის ქართული სახელმწიფო ენა არ არის პირველი.

სახელმწიფო ენა რომ ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ცხადია, დღეს სადავო არ გახლავთ. სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრა, მისი უფლებების დაცვა, გავრცელების ფორმებზე ზრუნვა, სახელმწიფოს სიმტკიცის ნიშნად აღიქმება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის ქვეყანა საკმაოდ მომთხოვნია საკუთარი სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარებისას, საერთაშორისო თანამეგობრობა გაგებით ეკიდება ამ ფაქტს და აღნიშნულ ღონისძიებებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და სამოქალაქო ერთსულოვნების მიღწევის საშუალებად მიიჩნევს. ენისადმი განსაკუთრებული პოლიტიკური მზრუნველობა იმის მაჩვენებელიც არის, რომ ქვეყანა ან ერი სწორედ სუვერენიტეტის მოპოვების, ან სახელმწიფოებრივი განმტკიცების ფაზაშია, რასაც უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ სიძლიერესთანაც – რაც უფრო ძლიერდება სახელმწიფო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მით უფრო ბუნებრივად ვრცელდება მთელ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ამ სახელმწიფოს ენა.

ამ ფონზე საქართველოს დღევანდელი ენობრივ-სახელმწიფოებრივი სიტუაცია საგულისხმო დასკვნების გამოტანის, ასევე გადაუდებელი ღონისძიებების დასახვის აუცილებლობას გვკარნახობს. ამასთანავე, უაღრესად ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ძირითად მაჩვენებლად დღეს სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნაა მიჩნეული. სახელმწიფო ენის ფლობასა და სამოქალაქო ინტეგრაციის შორის პირდაპირი მიმართება მყარდება. ამ შემთხვევაში იქმნება ერთგვარი საფრთხეც, რომ სახელმწიფო ენის გავრცელებას ეროვნული უმცირესობები თვითმიზნად აღიქვამენ და ეს მათ საზოგადოებრივ განწყობილებებში უკურეაქციას გამოიწვევს. საქმის ამგვარი შემობრუნება კი შეაფერხებს ჭეშმარიტი სამოქალაქო მიზნების მიღწევას. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უპირობოდ მნიშვნელოვანია მხოლოდ კანონმორჩილი მოქალაქეებისა და დემოკრატიული, საერთო ხედვით შეკავშირებული რეგიონების არსებობა. მაგრამ, ენის განსაკუთრებული სოციალურ-კულტურული და ისტორიული ფუნქციებიდან გამომდინარე, „ერთ ენაზე საუბარი,“ ამ სიტყვების პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, უდავოდ სამოქალაქო ერთიანობის მიღწევის გზაა.

ამ შემთხვევაში კორექტული და არათვითმიზნური ფორმით შეთავაზებული ამოცანა ენობრივ სივრცეში გამთლიანებისა თავისთავად გახდება სამოქალაქო მთლიანობის საშუალება.

**Tea Lortkipanidze**

*Doctor of Philology, Affiliated Professor of  
New Higher Education Institute*

## FROM STATE LANGUAGE LEARNING TO CIVIL INTEGRATION

### Abstract

Georgia is a multilingual and multi-ethnic country. It is estimated that thirteen percent of its population does not speak Georgian, the state language, as a first language. It is indisputable that a state language is one of the key elements of national sovereignty. Defining the status of a national language, protecting its rights and devising methods for its dissemination are usually seen as a sign of a state's power. Even if a country is too demanding in certain measures for ensuring knowledge of its own national language, the international community is understanding, assessing it as a way towards strengthening statehood and achieving civil accord. It should be noted that, in particular, political protection of a national language provided by the state indicates that a state or nation is in the process of gaining sovereignty and strengthening statehood, which in its turn is directly linked to indication of economic growth. The more powerful a state becomes politically and economically, the more naturally its language is spread throughout its territory and even outside of it. It is noteworthy, at present knowledge of the state language is considered to be a key of the integration process. In this case, the spreading of the official language appears to be the unique goal of the state, thus giving rise to a negative response from the minorities. This can impede the processes of achieving real civil objectives. In this respect, the existence of close links between law-abiding citizens and democratic regions united by a common vision is of utmost importance. Given the specific sociocultural and historic functions of a language, „speaking one language“ in its direct and indirect meanings is undoubtedly one way to a more united civil society.

Accurate and acceptable proposals for unification in one common language sphere will become the means of achieving civil unity.

## სახელმწიფო ენის შესავლიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. გამოანგარიშებულია, რომ მისი მოსახლეობის 13 პროცენტისთვის ქართული სახელმწიფო ენა არ არის პირველი. სახელმწიფო ენა რომ ნებისმიერი ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ცხადია, დღეს სადავო არ გახლავთ. სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრა, მისი უფლებების დაცვა, გავრცელების ფორმებზე ზრუნვა სახელმწიფოს სიმტკიცის ნიშნად აღიქმება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის ქვეყანა საკმაოდ მომთხოვნია საკუთარი სახელმწიფო ენის ცოდნის უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარებისას, საერთაშორისო თანამეგობრობა გაგებით ეკიდება ამ ფაქტს და აღნიშნულ ღონისძიებებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და სამოქალაქო ერთსულოვნების მიღწევის საშუალებად მიიჩნევს. ენისადმი განსაკუთრებული პოლიტიკური მზრუნველობა იმის მაჩვენებელიც არის, რომ ქვეყანა ან ერთი სწორედ სუვერენიტეტის მოპოვების ან სახელმწიფოებრივი განმტკიცების ფაზაშია, რასაც უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ სიძლიერესთანაც – რაც უფრო ძლიერდება სახელმწიფო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მით უფრო ბუნებრივად ვრცელდება მთელ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ამ სახელმწიფოს ენა.

ამასთანავე, უაღრესად ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ძირითად მაჩვენებლად დღეს სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა მიჩნეული. სახელმწიფო ენის ფლობა-სა და სამოქალაქო ინტეგრაციას შორის პირდაპირი მიმართება მყარდება. ამ შემთხვევაში იქმნება ერთგვარი საფრთხეც, რომ სახელმწიფო ენის გავრცელებას ეროვნული უმცირესობები თვითმიზნად აღიქვამენ და ეს მათ საზოგადოებრივ განწყობილებებში უკურეაქციას გამოიწვევს. საქმის ამგვარი შემობრუნება კი შეაფერხებს ჭეშმარიტი სამოქალაქო მიზნების მიღწევას. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უპირობოდ მნიშვნელოვანია მხოლოდ კანონმორჩილი მოქალაქეებისა და დემოკრატიული, საერთო ხედვით შეკავშირებული რეგიონების არსებობა. მაგრამ, ენის განსაკუთრებული სოციალურ-კულტურული და ისტორიული ფუნქციებიდან გამომდინარე, „ერთ ენაზე საუბარი,“ ამ სიტყვების პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, უდავოდ სამოქალაქო ერთიანობის მიღწევის გზაა. ამ შემთხვევაში კორექტული და არათვითმიზნური ფორმით შეთავაზებული ამოცანა ენობრივ სივრცეში გამთლიანებისა, თავისთავად გახდება სამოქალაქო მთლიანობის საშუალება. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ენის პროპაგანდას და მისი გავრცელებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს უნდა ახლდეს უმცირესობათა ენების უფლებების აღიარებაც, რათა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა იგრძნონ, რომ დაუბრკოლებლად აქვთ საკუთარი ფასეულობების დაცვის საშუალება. სწორედ ამ განცდის საფუძველზე უნდა გაუჩნდეს ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს საერთო სახელმწიფო ფასეულობების დაცვის სურვილი.

საქართველო ატარებს ენობრივ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ენის მნიშვნელობის გაზრდისაკენ ყველა სფეროში. ამ პოლოტიკის მიზანია – ისეთი ვითარების მიღწევა, როდესაც ქართული ენა მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნება გამოყენებული მმართველობაში და აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს შორის კომუნიკაციისათვის. რასაკვირველია, კარგია, რომ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე საუბრის, ზოგადი განათლებისა და ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს: ამ საშუალების უზრუნველყოფა მომავალშიც ქვეყნის ვალია; ამასთანავე, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოფის ოფიციალური ენის

ათვისება და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივ სივრცეში ქვეყნის მოქალაქეების ჩართვა, რადგან ენობრივი და სამოქალაქო იზოლაცია ამ რეგიონებისა და მოსახლეობის მარგინალიზაციას გამოიწვევს, რაც საზიანოა როგორც მოქალაქეებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. მართალია, სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ამოცანების გადაჭრას ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე დღეისათვის ყველაზე სწრაფი ეფექტის მოტანა შეუძლია, მაგრამ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებისათვის უმნიშვნელოვანესად იქნა მიჩნეული საჯარო სამსახურის სფეროც, სადაც სახელმწიფო ენის ცოდნა ამაღლდება, ყურადღება მიექცევა ერთიან სამოქალაქო და პოლიტიკურ სივრცეში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა. ნიშანდობლივია, რომ დღეისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე განახორციელა გარკვეული ქმედითი ღონისძიებები, კერძოდ: შემუშავდა სახელმწიფო ენის (ქართული ენის) სწავლების ახალი სტანდარტები ცალ-ცალკე მისი, როგორც მშობლიური ენისთვის და როგორც მეორე ენისთვის, საშუალება მოგვცა, ორიენტაცია სწავლების შედეგზე გაკეთებულიყო – მეთოდოლოგიური სხვადასხვაობა მშობლიური ენისა და მეორე ენის სწავლების პროცესში უკვე გათვალისწინებულია. არაქართველებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლებისთვის შეიქმნა სახელმწიფო ენის სწავლების სპეციალური მიზნობრივი პროგრამა.

სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე შეთვისება გულისხმობს ქართულის არა მხოლოდ სასწავლო საგნად, არამედ ასევე სწავლების ენად მოაზრებას.

**გაბრიელ ქიქოძე აზროვნების ფორმებისა და კანტის აპრიორიზმის შესახებ****ანოტაცია**

სტატიაში განხილულია სულისა და მატერიის ურთიერთმიმართების საკითხი, გნოსეოლოგიური მოსაზრებანი, ლოგიკის საკითხები, რომლებიც ყოველთვის აქტიურ და საკამათო პრობლემებს წარმოადგენდნენ. გამონაკლის არ წარმოადგენს ამ პრობლემებზე გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებანი. ლოგიკის საკითხები ქიქოძის მოძღვრებაში მჭიდროდ არის შემეცნების თეორიის საკითხთან კავშირში, ლოგიკური პრობლემები გადაჭრილია ზოგადგნოსეოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

განსხვავებით ტრადიციული ლოგიკისგან, აზროვნების ფორმების ანალიზს გ. ქიქოძე იწყებს აზროვნების ისეთი ფორმით, როგორცაა მსჯელობა, შემდეგ დასკვნა, ბოლოს კი ცნება. ამით იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ცნებით კი არ იწყება შემეცნების აბსტრაქტული საფეხური, არამედ მთავრდება შემეცნების გარკვეული ეტაპი. კრიტიკულია მეცნიერის დამოკიდებულება კანტის აპრიორიზმის მიმართ, იგი უკუაგდება კანტის აპრიორულ თეორიას, რომლის მიხედვითაც თითქოს ცნობიერებაში იმთავითვე მოცემულია გარკვეული, ცდისაგან დამოუკიდებელი ცოდნა. აკრიტიკებს რა კანტის თეორიას ანალიზური და სინთეზური მსჯელობების შესახებ, წერს, რომ „ყოველგვარ მსჯელობაში მსჯელობის სუბიექტს მიენერება მხოლოდ ის, რაც უკვე მოცემულია ჩვენს წარმოდგენაში ამ სუბიექტზე და რის აღმოჩენაც ხდება ამ წარმოდგენის ანალიზის შედეგად. ასეთ მსჯელობათა გვერდით კანტი იგონებს, გაბრიელ ქიქოძის აზრით რალაც სხვა სინთეზურ მსჯელობებს, რომლებიც ანალიზური მსჯელობებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ასეთ მსჯელობებში პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ კავშირშია მასთან, სინთეზური მსჯელობების ეს კანტისეული განსაზღვრება თავისთავში აშკარა წინააღმდეგობრივია. გ. ქიქოძის აზრით, არსებობენ ისეთი მსჯელობები, რომლებშიც პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტის მიმართ და ასეთი მსჯელობები უარყოფითი მსჯელობებია, დადებით მსჯელობებში კი მსგავსი რამ შეუძლებელია.

**საკვანძო სიტყვები:** ემპირიზმი, აპრიორიზმი, შემეცნების თეორია, ონტოლოგია, გნოსეოლოგია, ანალიზური და სინთეზური მსჯელობები.

**Roin Rekhviashvili**  
*Samtskhe-Javakheti State*  
*University Lecturer*

## **GABRIEL KIKODZE ABOUT FORMING THOUGHTS AND KANT'S APRIORISM**

### **Abstract**

The article discusses the issue of the relationship between the soul and the matter, the gnostic opinions, the logic issues that are always active and controversial problems. Gabriel Kikodze's opinion is not an exception to this issue. The logic issues in Kikodze's teachings are closely linked to the theory of cognition. Logical problems are solved based on general gnostic logical principles.

Unlike traditional logic, G.Kikodze starts the analysis of thought forms with a way of thinking such as reasoning, then conclusion, and finally the notion. By this, he points to the fact that it does not begin with the abstract level of cognition, but it ends with a certain stage of cognition. The attitude of the scientist towards Kant's A Prioris critical. Kikodze rejects Kant's A Priori Theory, according to which the consciousness of the mind is given from the same experience as independent knowledge.

Criticizing Kant's theory of analytical and synthetic reasoning, Kikodze writes that, "In any discussion, the subjects of the discussion are only attributable to what we present in this view on this subject and what is found in the analysis of this presentation".

In the opinion of Gabriel Kikodze, the latter of such discussions recounts other synthetic conclusions that differ from the analytical reasoning that in such discussions, the predicate is alienated to the subject, even though it is in connection with it, this canonic definition of synthetic reasoning is clearly contradictory.

Gabriel Kikodze believes that there are some discussions in which the predicate is alienated to the subject and such discussions are negative discussions, and in such positive ways it is impossible.





## გაბრიელ ქიქოძე აზროვნების ფორმებისა და კანტის აკრიოროზმის შესახებ

### შესავალი

ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზრის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ. მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ზნეობრივად ამალღებული პიროვნება, დიდი საზოგადო მოღვაწე, ღრმად მოაზროვნე სწავლული პედაგოგი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი. გაბრიელ ქიქოძის მიერ წიგნში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედვრობრივ მოსაზრებებს დიდი შეფასება მოჰყვა მეცნიერულ წრეებში. კარგად იყო ცნობილი მისი მაღალზნეობრივი პათოსით გამსჭვალული საეკლესიო ქადაგებანი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. იაკობ გოგებაშვილი გაბრიელ ქიქოძის შესახებ ამბობს, რომ „გ. ქიქოძის გულში ღვიოდა, ენთო ძლიერი შეურყეველი სარწმუნოება, გონებაში კი საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლება და ორივე – სარწმუნოება და მეცნიერება ჰარმონიულად იყვნენ შეთავსებულნი, შეზრდილნი, შეთანხმებულნი და შეადგენდნენ ერთ რთულს, მომხიბლავ სასულიერო ძალას ინტელექტისა“ (გოგებაშვილი, 1954). „მე არ ვიცი - აღნიშნავდა გ. ქიქოძის მიმართ დიდი ილია – იმისთანა სხვა კაცი, საერო თუ სამღვდლო – რომლის გულშიაც მომეტებული მშვიდობის ყოფნით, მომეტებულის და ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება“ (ჭავჭავაძე, 1903). ილიას მსგავსად ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გ. ქიქოძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუწელებელ ყურადღებას იჩენდა მეცნიერებისადმი და განუხრელად ცდილობდა მეცნიერული მიღწევებით ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებას. ილიასა და იაკობის აქ მოტანილ მოსაზრებებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ისინი ხაზს უსვამდნენ აზრისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის ჰარმონიულად განვითარების შესაძლებლობას.

მსჯელობა ლოგიკის საკითხები თავისი არსით განეკუთვნება შემეცნების თეორიის საკითხთა რიგს, ამიტომ ტრადიციულად ამ საკითხებს ერთმანეთთან ურთიერთმჭიდრო კავშირში განიხილავენ. გ. ქიქოძე ამ ტრადიციის ერთგულ გამგრძელებლად გვევლინება, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მასთან ლოგიკისა და შემეცნების თეორიის საკითხები ურთიერთ მტკიცე კონტაქტში განვიხილოთ და გავაანალიზოთ.

საერთოდ, ცნობილია, რომ შემეცნების პროცესი მეტად რთული და მრავალნახნაგოვანია, მის ძირითად სტრუქტურას შეადგენს ისეთი პრობლემები, როგორიცაა შემეცნების ობიექტის, შემეცნების სუბიექტის, შემეცნების საშუალებებისა და ხერხების პრობლემა.

ზოგადად შემეცნების თეორია ეხება შემეცნების სტრუქტურას მის მთლიანობაში. რაც შეეხება ლოგიკას, იგი განიხილავს შემეცნების სტრუქტურის ისეთ ნაწილს, როგორიცაა შემეცნების საშუალება, შემეცნების მეთოდები და ხერხები.

იმდენად, რამდენადაც ლოგიკური პრობლემების გადაჭრის ხასიათი განპირობებულია ზოგადგნოსეოლოგიური პრობლემების გადაჭრის ხასიათით, აუცილებელია ზოგადგნოსეოლოგიური პრინციპების საფუძველზე ლოგიკურ პრობლემათა გადაჭრა.

ფილოსოფიის ისტორიაში ზოგადად გნოსეოლოგიური და ლოგიკური პრობლემები სხვადასხვაგვარად წყდება. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, როგორაა გადანყვეტილი ფილოსოფიურ სისტემაში ონტოლოგიური პრობლემები ანუ როგორია ეს გადანყვეტა, ემპირიული თუ რაციონალური. ამრიგად, ამა თუ იმ მოღვაწის კონკრეტული ლოგიკური მოსაზრებების ანალიზი უნდა ემყარებოდეს მის ონტოლოგიურ და ზოგად გნოსეოლოგიურ პრინციპებს, რადგანაც პირველები, ანუ ონტოლოგიური პრინციპები, განსაზღვრავენ ზოგადგნოსეოლოგიურ, ანუ შემეცნების თეორიის მი-

მართულებას, ხოლო ამ უკანასკნელზე კონკრეტულად დამოკიდებულია ამა თუ იმ მოაზროვნის შეხედულებანი ლოგიკის საკითხებზე. ასე მაგალითად, არისტოტელეს ლოგიკა განპირობებულია მისი შემეცნების თეორიით, ხოლო ეს უკანასკნელი განსაზღვრულია საერთოდ მისი ფილოსოფიის მოძღვრებით, ონტოლოგიით. ვაჯამებთ რა ზემოთ ნათქვამს, ვასკვნით, რომ ყოველ ფილოსოფიურ მოძღვრებას შეადგენენ მისი ისეთი ძირითადი ნაწილები, როგორცაა ონტოლოგია, ანუ მოძღვრება სინამდვილის არსის შესახებ, გნოსეოლოგია, ანუ შემეცნების თეორია, ლოგიკა, ანუ მოძღვრება შემეცნების, აზროვნების, ფორმებსა და კანონებზე.

მოცემულ დასკვნაზე დაყრდნობით ჩვენ შრომაში ლოგიკურ საკითხებზე გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებებს ვაანალიზებთ მის მიერ ზოგადფილოსოფიურ, ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემათა გადანყვეტის შუქზე.

როგორც ცნობილია სამყაროს არსის ობიექტურ იდეალისტური გაგებიდან გამომდინარეობს შემეცნების, კერძოდ, ლოგიკური შემეცნების თავისებური სახე. ასე მაგალითად, იდეალიზმის მიხედვით სამყაროს არსი მის იდეალურობაში, ანუ სულიერებაშია. შესაბამისად შემეცნების მთლიანი სტრუქტურა განპირობებული და განსაზღვრულია შემეცნების სუბიექტით აბსოლიტური იდეით, მსოფლიო გონებით, ასეთი გაგების მიხედვით ცნობიერების უნარები განაპირობებენ შემეცნების საწყის მის ობიექტს შემეცნების საშუალებებს აზროვნების ლოგიკურ ფორმებს, ცნებებს, მსჯელობებს, დასკვნებს.

ასეთი გაგებით ფაქტობრივად იხსნება შემეცნების სუბიექტის გარეშე, შემეცნების საგნის მისი ობიექტის არსებობის პრობლემა. შესაბამისად შემეცნების ლოგიკური ფორმები ცნება, მსჯელობა, დასკვნა არ წარმოადგენენ შემეცნებელი სუბიექტის გარეთ არსებული რაიმე საგნის შემეცნების საშუალებას.

თითქმის იგივე, მხოლოდ საპირისპირო მხრიდან მიიღება ონტოლოგიური პრობლემის ვულგარულმატერიალისტური გადანყვეტის საფუძველზე, სადაც იდეალური, სულიერი საწყისი ფაქტობრივად დაყვანილია მატერიალურზე, ფიზიკურზე, გრძობებში მისანვდომ საგანზე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შედეგად იწვევს შემეცნების ობიექტის როლის გაზვიადებას, შემეცნების პროცესში შემეცნების სუბიექტის აქტიური როლის დაკნინებასა და უგულებელყოფას. ჩვენი აზრით, გაბრიელ ქიქოძესთან ადგილი არა აქვს ასეთ უკიდურესობებს შემეცნების ობიექტის და შემეცნების სუბიექტის როლის გაგებაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გაბრიელ ქიქოძე დგას მისი თანამედროვე მონინავე მეცნიერ-მოღვაწეთა დონეზე, უფრო მეტიც შემეცნებისა და ლოგიკის საკითხების მისეული გაგება ცოცხლად ეხმაურება საკითხებისადმი თანამედროვე მიდგომას. უდგება რა კრიტიკულად შემეცნებისა და ლოგიკის საკითხებზე მის თანამედროვე რუსეთსა და ევროპაში გავრცელებულ თეორიებს იგი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჭეშმარიტება უმეტეს შემთხვევაში არის შედეგი საგანზე მრავალ შეხედულებათა შეჯერებისა და კამათისა. ერთ ცალკე ალებულ პიროვნებას, რაც არ უნდა განსწავლული და ნიჭიერი იყოს იგი, არ შეუძლია ამა თუ იმ საკითხის მის ყოველმხრიობაში სრულყოფილად განხილვა (ქიქოძე, 1858: 228). თავისი ლოგიკური შემეცნებითი კონცეფციის გადმოცემას გაბრიელ ქიქოძე იწყებს მტკიცე რწმენით იმის შესახებ, რომ ადამიანის გარშემო არსებობს ობიექტური რეალობა.

იგი აღნიშნავს, რომ ჩვენ ურყევად გვწამს გარე სამყაროს ყოფიერება და ის, რომ შევისწავლით, ვიმეცნებთ გარედან საგნებს. ჩვენ გარეშე არსებულ მოვლენებს, განაგრძობს ქიქოძე, გააჩნიათ ძალა იმოქმედონ ჩვენს გრძობათა ორგანოებზე და გამოიწვიონ მათში შთაბეჭდილებები. „ჩვენი შთაბეჭდილებები გარე საგანთა ჩვენზე ზემოქმედების ნაყოფია“ გ. ქიქოძე „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველი“ (ქიქოძე, 1858: 23).

„გარეგანი მიზეზი, რომელიც ჩვენში იწვევს შთაბეჭდილებებს, ნამდვილად არსებობს ბუნებაში. ასე რომ, არ იყოს იძულებული ვიქნებოდით გვემტკიცებინა, რომ შთაბეჭდილებებს ჩვენში ჩვენ

თვითონ ვინვეთ (ქიქოძე, 1858: 80).

„შეგრძნებებს, აღნიშნავს ქიქოძე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე თავის მიზეზად გააჩნია ნამდვილი, რეალური ობიექტური მოვლენები, რომ არ იყოს ჰაერის ტალღისებური რხევები, არ გვეცოდინებოდა სმენითი შეგრძნებები, რომ არ იყოს ატომები, რომლებს არც აქვთ უნარი იმოქმედონ ჩვენი ყნოსვის ორგანოზე არ გვექნებოდა სუნის შეგრძნება. ერთი სიტყვით, ყველა ჩვენი შეგრძნება წარმოადგენს საგანთა ობიექტური თვისების შესწავლის შემეცნების შედეგს (ქიქოძე, 1858: 23). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქიქოძე შემეცნების მიზეზს, წყაროს, ხედავს ობიექტურ სინამდვილეში, მარადიულ მატერიაში. მატერია, აღნიშნავს ქიქოძე, ამოღებულია მოსპობადი მოვლენების რიგიდან. თუ ჩვენ სინამდვილეში, განაგრძობს ქიქოძე, ვამჩნევთ ერთი რიგი მოვლენების მოსპობას და მათ ადგილზე სხვა მოვლენების წარმოშობა-აღმოცენებას, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში სრულიად ისპობა სხეულის შემადგენელი ნაწილები, სინამდვილეში ისპობა ყოფიერების კერძო გამოვლინებანი და არა მისი შინაარსი (ქიქოძე, 1858: 82). წინააღმდეგ ვულგარული მატერიალიზმისა, რომელსაც მეტად მკაცრად და სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს გაბრიელ ქიქოძე, ერთი მეორესაგან თვისობრივად განასხვავებს შემეცნების ობიექტს და შემეცნებელ სუბიექტს, გარე სამყაროს, როგორც შემეცნების ობიექტს ქიქოძე უპირისპირებს ადამიანში არსებულ სულიერ საწყისს, როგორც სინამდვილის შემეცნების საშუალებას. ადამიანში, აღნიშნავს იგი, არსებობს მისი ორგანიზმისაგან სრულიად განსხვავებული საწყისი, ეს არის თავისი ბუნებით არამატერიალური, არამედ იდეალური, საწყისი სუბსტანცია, რომელიც ადამიანში შეგრძნებებს ახორციელებს, ქიქოძის აზრით, სრულიად განსხვავებულია ადამიანის ტვინისაგან და საერთოდ ადამიანის ორგანიზმისაგან. ეს არ არის მატერიალური სუბსტანცია, არამედ სულიერი სუბსტანცია, რომლის ძირითად ძალას წარმოადგენს შეგრძნება (ქიქოძე, 1858: 85).

„სული არის არსება სრულიად არამსგავსი რაიმე მატერიალურისა“ (ქიქოძე, 1858: 33).

ამრიგად, გაბრიელ ქიქოძის თანახმად, მატერია და სული ერთი მეორეს უკავშირდება, როგორც რაღაც ნივთობრივი თვალსაჩინო გარე შეგრძნებების ორგანოებით მისაწვდომი და რაღაც იდეალური, სულიერი, გრძნობებით მიუწვდომელი შემეცნებელი სუბიექტით. ამ შემთხვევაში ობიექტური რეალობა გამოდის როგორც წყარო, გამომწვევი მიზეზი სულით, ანუ ცნობიერების შემეცნებით უნარებისა, „ყველაფერი, რაც მოიპოვება შეგრძნების მეშვეობით წერს გაბრიელ ქიქოძე, წარმოადგენს მთელი ჩვენი შემეცნების მასალას“ გ.ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ქიქოძე, 1858: 52).

„გაბრიელ ქიქოძე აღნიშნავს: „ადამიანი იბადება სულიერი უნარების გარეშე. ეს უნარები მასში თავიდან მხოლოდ პოტენციის სახით არსებობს და მათი გაელვება გამოვლინება ხდება ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც იმით გამოიხატება, რომ ბავშვი იწყებს ყურადღების მიპყრობას სმენისა და სხვა გამაღიზიანებლებზე გ. ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ქიქოძე, 1858: 53).

გაბრიელ ქიქოძე ობიექტურ რეალობას არ მიიჩნევს შემეცნების ერთადერთ საგნად. იგი მასში ხედავს შემეცნების მხოლოდ ერთ-ერთ წყაროს. შემეცნების საგნად გ.ქიქოძე მიიჩნევს ასევე ადამიანის სულიერ სამყაროს. „სულს უნარი აქვს ყურადღება მიაქციოს და შეიმეცნოს თავისი საკუთარი მოქმედებანი. სულს უნარი შესწევს, საკუთარი ყოფიერება აქციოს თავისი მსჯელობისა და დასკვნების ობიექტად. სულის ეს მოქმედება არის ცნობიერების სხვანაირად თვითცნობიერება. განსხვავებას გ. ქიქოძე იმაში ხედავს, რომ ცნობიერება უმთავრესად არის ხილულ საგანთა შემეცნების სფერო, თვითცნობიერება კი ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს მოვლენათა შემეცნების სფერო „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ქიქოძე, 1858: 53).

გ. ქიქოძე თვლის, რომ ადამიანში სულიერი საწყისის არსებობას ადასტურებს ორი რამ, შემეცნება და შემოქმედება (ქიქოძე, 1858: 211). სულის მთავარ უნარს, მთავარ ფუნქციას წარმოადგენს შემეცნების უნარი, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება შეგრძნებებში. შეგრძნებები წარმო-

ადგენენ შემეცნების საწყისს. შეგრძნებები აღმოცენდებიან შთაბეჭდილებათა საფუძველზე. რაც შეეხება შთაბეჭდილებებს, ისინი თავის მხრივ წარმოადგენენ ადამიანის გრძნობის ორგანოებზე საგანთა და მოვლენათა ზემოქმედების შედეგს. გ. ქიქოძის აზრით, „ყოველგვარ შეგრძნებას სამი რამ განაპირობებს ფიზიკური მოვლენა, ანუ გარეგანი მიზეზი, ფიზიოლოგიური შთაბეჭდილება ანუ ცვლილებანი, რასაც ადგილი აქვს სხეულის ორგანოებში და ბოლოს თითონ საკუთრივ შეგრძნება“ (ქიქოძე 1858: 251). „ჩვენი შეგრძნებები თავის მხრივ საწყის საფუძველს უქმნიან ჩვენს აზრებსა და განსჯას“ (ქიქოძე, 1858: 70,71).

სხეულის ყველა ნაწილი და ორგანო უშუალოდ შეხებაშია გარე სამყაროსთან და აწოდებენ მისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ადამიანის თავის ტვინს ნერვების საშუალებით. „ფიზიოლოგიამ ცხადად დაამტკიცა, რომ ყველა შთაბეჭდილება გადაეცემა ტვინს-იქიდან კი სულს (ქიქოძე, 1858: 55).

სულის შემეცნებითი უნარიდან ქიქოძეს გამოყავს სულის ქმედითი უნარი. იგი ამტკიცებს, რომ ადამიანის სული, არის ენერგიული არსება, რომელიც თავის თავში მოიცავს განვითარების და სრულყოფილების ყველა პირობას.

ადამიანის სული იღებს შთაბეჭდილებებს არა მონურად, პასიურად, არამედ აქტიურად ზემოქმედებს მათზე, არკვევს მათ შესაბამისობას ერთი რიგი შთაბეჭდილებების მეშვეობით, ამონმებს სხვა შთაბეჭდილობათა სისწორეს (ქიქოძე, 1858: 59).

სული დაუსრულებლად სრულყოფილდება, ადამიანის აზროვნებას არ აქვს საზღვარი. გონება ყოველი ახალი შემეცნების შედეგად, გაუმაძღარი ხდება, ყოველი ახალი აღმოჩენა სულში ხდება საფუძველი და სტიმიული ახალი მეცნიერული წარმატებისა და აღმოჩენებისა. ის გარემოება, რომ სულის უნარები სუსტდება ადამიანის სიბერეში, სრულიად არ ეწინააღმდეგება აზრს იმის შესახებ, რომ სული უსაზღვროდ ვითარდება. სიბერეში სულის უნარების ერთგვარი დასუსტება გამონვეულია იმით, რომ ადამიანის სხეულის ორგანოები, რომლებიც განიცდიან საგანთა ზემოქმედებას, იღებენ შთაბეჭდილებებს და აწოდებენ მათ ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემას თავის ტვინს, რომელიც წარმოადგენს აზროვნების ორგანოს (ქიქოძე, 1858: 39).

ამრიგად, ქიქოძის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე აუცილებლობით გამოიყვანება დასკვნა იმის შესახებ, რომ გ. ქიქოძის შეხედულებანი შემეცნებისა და ლოგიკის საკითხებში არ თავსდება ობიექტური იდეალიზმის შემეცნების თეორიის ჩარჩოებში, რომელიც გარკვეულად გამოორიცხავს პიროვნების სუბიექტის აქტიურ შემოქმედებით როლს შემეცნების პროცესში, კიდევ უფრო მეტ დაპირისპირებაშია გ. ქიქოძის შეხედულებანი, ამ მხრივ ვულგარულ-მატერიალისტურ შემეცნების თეორიასთან, რომელიც სრულიად უარყოფს პიროვნების, შემეცნების სუბიექტის აქტიურ როლს შემეცნების პროცესში. გ. ქიქოძის წარმოდგენებში შემეცნებისა და ლოგიკის საკითხებზე გამოორიცხულია აგრეთვე სუბიექტური იდეალიზმი, რომელშიაც მეტად გაზვიადებულია პიროვნების, ანუ შემეცნებელი სუბიექტის როლი შემეცნების პროცესში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. ქიქოძის შეხედულებებში უკუგდებულია აგნოსტიციზმის ყოველგვარი სახე. ეს აზრი ნათლად დასტურდება გ.ქიქოძის მსჯელობებში იმის შესახებ, რომ „არ დაგვაფიწყდეს, რომ საგნის დანახვა, ხმის მოსმენა, იმას ნიშნავს, რომ შევიმეცნოთ საგანი, ვიმსჯელოთ ფენომენზე, მოვლენაზე“.

„როცა მე ვეხები ხელით საგანთა სიმჭიდროვეს ან მათ ფიგურას, ამ შემთხვევაში გამოორიცხულია ყოველგვარი ეჭვი, იმის თაობაზე, რომ საგანი მისგან გამონვეული შეგრძნება ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია“ (ქიქოძე, 1858: 17). არსებობენ მსჯელობები, ხაზს უსვამს გ. ქიქოძე, „რომლებიც თავისთავში არ შეიცავენ მცდარობას ჩვენს გარეთ არსებული საგნის არსის მიმართ“ (ქიქოძე, 1858: 87).

ამრიგად, ქიქოძის აქ მოცემული მსჯელობიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ მისი ავტორი უშვებს არა მარტო მოვლენების არამედ მათი არსის შემეცნების შესაძლებლობასაც. გ. ქიქოძის



აზრით, სულის ყოველი შემეცნებითი უნარი ემყარება შეგრძნებებს. „პირველჩანასახებს ჩვენი მომავალი შემეცნებისათვის, წერს გ. ქიქოძე, ვიღებთ შეგრძნებებიდან“ (ქიქოძე, 1858: 88).

სწორედ შეგრძნებები აიძულებენ სულს გამოიჩინოს ყურადღება ამა თუ იმ მიმართულებით. შეგრძნების ღირებულება აღნიშნავს ქიქოძე, იმაშია, რომ ისინი ჩვენში აღძრავენ, ინვევენ ყურადღებას. ადამიანს რომ დახურული ჰქონდეს შეგრძნებათა მიმღები ორგანოები, განაგრძობს გ. ქიქოძე, მაშინ სული აღმოჩნდება გარკვეული მძინარე, მთვლემარ მდგომარეობაში და არაფერი გამოიწვევდა მასში ყურადღებას (ქიქოძე 1858: 55). სწორედ შეგრძნებები, ხაზს უსვამს გ. ქიქოძე, აიძულებენ სულს იაზროვნოს, წარმოიდგინოს, მიმართოს ფანტაზიას იმსჯელოს, აკეთოს დასკვნები, შეიმუშაოს იდეები, ცნებები. გრძნობებით მიღწეული ინოვაცია იდეებად, წარმოდგენებად და ცნებებად. შეგრძნებები უზიდავენ სულს, რათა მან შეიმუშაოს და შეინახოს ცნებები და საჭიროების შემთხვევაში ცდისეული აღქმის და თეორიული გააზრების საფუძველზე მათი მეშვეობით ჩამოაყალიბოს მატერიალური სამყაროს იდეალური სახე. სილის ყველა შემეცნებით უნარს გ. ქიქოძე ყოფს დანყებით და შემდგომ ნაკლებად ზუსტ უფრო მეტად სრულ და უფრო მეტად ზუსტ სახეებად (ქიქოძე, 1858: 90).

სულის შემეცნებით დანყებით უნარს გ. ქიქოძე მიაკუთვნებს შეგრძნებებს და მათ საფუძველზე აღმოცენებულ წარმოდგენებს, ხოლო მეტ-ნაკლებად სრულ და ზუსტ შემეცნების უნარად მიიჩნევს მსჯელობას, განსჯას, დასკვნას, ცნებას... სულის უნარებიდან ყველაზე ადრე აღმოცენდება შეგრძნება, ის წარმოდგენს ყველა სხვა შემეცნებითი უნარის საფუძველს.

მაგრამ გრძნობებს შეუძლიათ, ფიქრობს გ. ქიქოძე, ხშირად შეგვიყვანონ შეცდომაში თუ მათ არ აკონტროლებს, არ ამონებებს განსჯა-აზროვნება გ.ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“. „წარმოდგენებშია, გ. ქიქოძის აზრით, ჩანასახი ყოველგვარი მსჯელობისა“ (ქიქოძე, 1858: 55). ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“. ლოგიკური აზროვნების ისეთი ფორმა, როგორცაა მსჯელობა ნათელს და გააზრებულს ხდის, რაც მეტნაკლებად ცხადადაა მოცემული წარმოდგენაში, ასწორებენ და ავსებენ წარმოდგენით მასალას. წარმოდგენები შემეცნებითობით ძალას იძენენ მას შემდეგ, რაც მათ მსჯელობები ანაწევრებენ (ქიქოძე, 1858: 97). „გრძნობებით მოცემული შთაბეჭდილებანი გ. ქიქოძის აზრით, ყოველთვის უნდა მოწმობდნენ და ანალიზირდებოდნენ გონებით“ (ქიქოძე, 1858: 93). ჩვენი წარმოდგენები საგანზე, როგორც უშუალო შედეგები, ჩვენი შეგრძნებებისა ხშირად არიან მცდარნი არასრული და არასაკმარისნი, „მაგრამ, როცა მას შეეხება გონება ისინი სწორდებიან, რაც მცდარია, მასში ამოვარდება და ჭეშმარიტი რჩება“ (ქიქოძე, 1858: 77). აღნიშნული მსჯელობიდან სრულიად ნათელი ხდება ის გარემოება, რომ იგი აქ მიუთითებს შემეცნების პროცესის ორ ძირითად საფეხურზე, როგორცაა ცოცხალი განჭვრეტა (შემეცნების პირველი საფეხური) და აბსტრაქციული აზროვნება (შემეცნების მეორე საფეხური). „ადამიანი მთელ თავის შემეცნებას იძენს ან ცდით ან გონებრივი გააზრებით“. ქიქოძის აზრით, შემეცნების საფეხურებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობაა, ისინი ერთმანეთის გარეშე არ ფუნქციონირებენ. „ყურადღება არის შემეცნებითი ძალის საწყისი, მოაცილეთ იგი სულს და ნახავთ, რომ იგი ვერანაირ შემეცნებას ვეღარ განახორციელებს“ (ქიქოძე, 1858: 189). ხაზს უსვამს რა შემეცნების აბსტრაქტული საფეხურის როლს, იგი ამავე დროს მიუთითებს შემეცნების გრძნობადი საფეხურის დიდ მნიშვნელობაზე, მისი აზრით, რაც უფრო მაღალია ესა თუ ის საფეხური შემეცნებაში, მით უფრო მეტად მულავნდება მასში სულის, ანუ შემეცნებელი სუბიექტის როლი.

განსჯა, აზროვნება, წერს გ. ქიქოძე, გამომდინარეობს ყურადღებიდან, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ გამომდინარეობს შეგრძნების უნარიდან. განსჯაში აზროვნებაში, როგორც ყურადღებაზე უფრო მაღალ საფეხურში კიდევ უფრო მეტი სიცხადით და ძალით ვლინდება სულის თავისუფლება და აქტივობა (ქიქოძე, 1858: 82).

ეხება რა შემეცნების უმაღლეს საფეხურს, აბსტრაქტულ აზროვნებას, ქიქოძე მის დახასია-

თებას იწყებს ლოგიკური აზროვნების ისეთი ფორმის ანალიზით, როგორცაა მსჯელობა. „მსჯელობა, როგორც გონების გამოვლინება და აზროვნების ფორმა ადგენს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ მსგავსებებს და განასხვავებს, დამოკიდებულებებს საგნებს შორის, საგნებსა და მათ თვისებებს შორის“ (ქიქოძე, 1858: 81). მისი აზრით, „ვინც უფრო სწრაფად და სწორად ადგენს საგანთა შორის მსგავსება-განსხვავებას, ის სჯის და აზროვნებს უკეთესად“ (ქიქოძე, 1858: 20).

მსჯელობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მაშინ, როცა მასში სწორადაა დადგენილი საგანთა და მოვლენათა შორის რეალურად არსებული ურთიერთობანი. მსჯელობა მაშინაა მცდარი, როცა მასში არასწორადაა მოცემული რეალურ საგანთა ნამდვილად არსებული ურთიერთმიმართებანი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გ. ქიქოძე არ მისდევს არისტოტელეს დროიდან დამკვიდრებულ ერთგვარად მცდარ ტრადიციას. აზროვნების ფორმების დახასიათებას იწყებს არა ცნების განმარტებით, არამედ მსჯელობის დახასიათებით.

ტრადიციული ლოგიკის თანახმად, რაც დღესაც ძალაშია, აზროვნების ფორმების ანალიზი იწყება ცნების დახასიათებით, მას მოსდევს მსჯელობის და ბოლოს დასკვნის განხილვა. ასეთ შემთხვევაში გამოდის, თითქოს ცნება აბსტრაქტული აზროვნების ფორმებს შორის უმარტივესია და თითქოს მსჯელობა და დასკვნა მასზე უფრო მაღალი და რთულია. არადა საქმე პირიქითაა. ცნების მეშვეობით ხორციელდება სინამდვილეში არსებულ საგანთა და მოვლენათა არსში წვდომა, საგანთა არსებითი ნიშნების დადგენა, რაც სინამდვილის ლოგიკური გააზრების საწყის ეტაპზე კი არა, ამ გააზრების შედეგად და მის ბოლო საფეხურზე ხორციელდება. ამდენად, საგულისხმოა და გასათვალისწინებელია ავტორის მიერ შემოთავაზებული აზროვნების ფორმების განხილვა-ანალიზის თანმიმდევრობა. რა თქმა უნდა, ლოგიკური აზროვნების ფორმების განხილვა უნდა დავიწყოთ მსჯელობის დახასიათებით შემდეგ გადავიდეთ დასკვნაზე და ბოლოს მოვახდინოთ ცნების, როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმის ანალიზი.

ტრადიციული ლოგიკით დამკვიდრებული თანმიმდევრობა ერთგვარად აბუნდოვნებს კავშირს შემეცნების საფეხურებს შორის, ქიქოძისეულ გაგებაში კი ეს კავშირი ნათლად და სრულყოფილად გამოხატული. იგი მსჯელობას ტრადიციული ლოგიკისგან განსხვავებით არ მიიჩნევს მხოლოდ ცნებათა შეერთება-შეპირისპირებად. ავტორის აზრით, მსჯელობა მჭიდროდაა დაკავშირებული შეგრძნებებთან, აღქმებთან და, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენებთან, ანუ სინამდვილის შემეცნების პირველ საფეხურთან, მის ფორმებთან.

გ. ქიქოძე შემეცნების პირველი საფეხურის ისეთ ფორმაში, როგორცაა წარმოდგენა, ხედავს ყოველგვარი მსჯელობის საფუძველს და აღნიშნავს, რომ წარმოდგენაშია ყოველგვარი მსჯელობის ჩანასახი.

აგრძელებს რა მსჯელობის განხილვას, ქიქოძე აღნიშნავს, რომ „მსჯელობაში საგანს მიენერება ან არ მიენერება რაიმე თვისება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსჯელობაში რაღაც დასტურდება ან არ დასტურდება, ანუ ყოველგვარი მსჯელობა ან დადებითია ან უარყოფითი“ (ქიქოძე, 1858: 99). გ. ქიქოძის მსჯელობებს აკავშირებს არა მხოლოდ წარმოდგენასთან, არამედ ხაზს უსვამს მის კავშირს ცნებებთან. მისი აზრით, მსჯელობებს, რომლებსაც უმეტესად კავშირი აქვთ წარმოდგენასთან, ნაკლები შემეცნებითი ღირებულებისანი არიან. უფრო მეტი ღირებულება გააჩნიათ ამ მხრივ მსჯელობებს, რომლებიც უმეტესად ემყარებიან ცნებებს, აბსტრაქტულ იდეებს ყველაზე მნიშვნელოვანი კეთილნაყოფიერი მოქმედებაა აბსტრაქცია, განყენება. ადამიანების მსჯელობათა უმეტესი ნაწილი დამყარებულია იდეებზე. სიტყვათა უმრავლესობა წარმოადგენს განყენებულ ცნებებს (ქიქოძე, 1858: 100).

გ. ქიქოძე განიხილავს რა ცნებას, მსჯელობას და დასკვნას, ამით იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ცნებით კი არ იწყება შემეცნების აბსტრაქტული საფეხური, არამედ მთავრდება შემეცნების გარკვეული ეტაპი. ცნება შედეგია მთელი რიგი მსჯელობებისა და დასკვნებისა და

ცოცხლად ეხმაურება აზროვნების ფორმათა შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობის და ურთიერთგანპირობებულობის გაგებას თანამედროვე მეცნიერებაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა აღნიშნულ საკითხზე მსოფლიოში კარგად ცნობილი დიდი ქართველი ლოგიკოსის, კოტე ბაქრაძის, მოსაზრებანი. ბაქრაძის აზრით, ცნება ყოველი მეცნიერების საბოლოო მიზანი და შედეგია. ცნება, როგორც შედეგი, რიგი მსჯელობებისა და დასკვნებისა, შემდგომში თვითონ ხდება ახალ მსჯელობათა და დასკვნათა შემადგენელი ნაწილი და ასე ვითარდება სინამდვილის შემეცნების პროცესი, ანუ ხორციელდება გადასვლა ერთი რიგის შედარებით ნაკლები სიღრმის არსიდან, საგანთა უფრო სიღრმისეული არსის შემეცნებაზე. ქიქოძისა და ბაქრაძის მოსაზრებანი თითქმის იდენტურია იმ მხრივაც, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე მოაზროვნე, არ მიიჩნევს მსჯელობას, როგორც მხოლოდ ცნებათა კავშირს, როგორც ერთი, ისე მეორეც, მსჯელობას გარკვეულწილად თვლის შეგრძნების აღქმისა და წარმოდგენის ნაყოფად. მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისათვის ჩვენ აქ გვსურს ერთი მეორის გვერდით მოვიტანოთ საკითხზე გ. ქიქოძისა და კ. ბაქრაძის გამონათქვამები:

გ. ქიქოძე:

„Судить о предмете значит что-либо ему приписать или отрывать от него, значит находить сходство и различие его с другими, или находить отношение одного предмета к другим“ (ქიქოძე, 1858: 95). კ. ბაქრაძე: „Сравнивая вещи и явления их свойства, связи отношения, мы познаем различие между ними так же, как их сходство все эти акты познания выражаются в первую очередь в суждениях“ (ბაქრაძე, 1948: 136).

ქიქოძის მოყვანილი გამონათქვამებიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ მას მსჯელობა არ მიაჩნია მხოლოდ ცნებათა კავშირად, სუბიექტსა და პრედიკატის ურთიერთდამოკიდებულებად, ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ მსჯელობა საგანთა და მოვლენათა ურთიერთმიმართების მაჩვენებელია. რაც შეეხება კოტე ბაქრაძეს, ისიც ასევე თვლის, როგორც ქიქოძე, რომ მსჯელობაში პრედიკატი დასტურდება ან არ დასტურდება საგნის მიმართ და არა მსჯელობის სუბიექტის, როგორც ცნების მიმართ (ქიქოძე, 1858: 136) გამოდის რა ქიქოძის მსგავსად სწორი მოსაზრებიდან, რომ ცნება შედეგია მთელი რიგი მსჯელობებისა და დასკვნებისა, ბაქრაძე შესაძლებლად თვლის აზროვნების ფორმათა შესწავლის დაწყებას არა ცნებიდან, როგორც ეს ტრადიციულ ლოგიკაშია, არამედ მსჯელობიდან, რაც ქიქოძეს განხორციელებული აქვს თავის ნაშრომში 1858 წელს. ამაშია ზოგიერთი იდენტური მომენტი და შეხების წერტილი ქიქოძისა და ბაქრაძის მოსაზრებებში. ეს გარემოება სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბევრი რამ გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებიდან დღესაც არ კარგავს თავის დიდი მნიშვნელობისა და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში გარდაუვალ ღირებულებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გაბრიელ ქიქოძის კრიტიკული დამოკიდებულება კანტის აპრიორიზმის მიმართ. აძლევს რა დიდ შეფასებას კანტს, როგორც დიდ გამოჩენილ მოაზროვნეს, რომელიც, გაბრიელ ქიქოძის აზრით, სხვებზე უკეთ ძლიერად და სწორად ხსნის შემეცნების პრობლემებს, გაბრიელ ქიქოძე ამავე დროს უკუაგდებს კანტის აპრიორულ თეორიას, რომლის მიხედვითაც თითქოს ცნობიერებაში იმთავითვე მოცემულია გარკვეული, ცდისაგან დამოუკიდებელი ცოდნა.

გაბრიელ ქიქოძე თვლის, რომ საყოველთაობისა და აუცილებლობის ნიშნები, რომლებითაც კანტი ახასიათებს მთელი რიგი მსჯელობების აპრიორულობას, სინამდვილეში არ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ცდამდელი ხასიათისაა, „თუ ამ ნიშნებს მივიღებთ მხედველობაში, გაბრიელ ქიქოძის აზრით, მოგვინევს აშკარა ცდისეული მსჯელობების დიდი უმრავლესობა აპრიორულ, ანუ ცდამდელ მსჯელობად მივიჩნიოთ“ (ქიქოძე, 1858: 139) გაბრიელ ქიქოძე ამტკიცებს, რომ საყოველთაობის და აუცილებლობის ნიშნები ახასიათებს მხოლოდ მარტივ მსჯელობებს, ანუ ისეთ მსჯელობებს, რომლებშიც შემასმენელი, ე. ი. პრედიკატი არაფერ იმაზე ახალს არ გამოხატავს, რაც უკვე

მოცემულია ქვემდებარეში, ანუ მსჯელობის სუბიექტში. კანტის მიხედვით გამოდის, რომ სწორედ ასეთი მსჯელობებია აპრიორული, ცდამდელი. გაბრიელ ქიქოძე ყველა ასეთ მსჯელობას ცდისეულ მსჯელობად თვლის.

აკრიტიკებს რა ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებზე კანტის თეორიას, ქიქოძე წერს, რომ „ყოველგვარ მსჯელობაში მსჯელობის სუბიექტს მიენერება მხოლოდ ის, რაც უკვე მოცემულია ჩვენს წარმოდგენაში ამ სუბიექტზე და რის აღმოჩენაც ხდება ამ წარმოდგენის ანალიზის შედეგად. ასეთ მსჯელობათა გვერდით კანტი იგონებს, გაბრიელ ქიქოძის აზრით, რაღაც სხვა სინთეზურ მსჯელობებს, რომლებიც ანალიზური მსჯელობებიდან განსხვავდებიან იმით, რომ ასეთ მსჯელობებში პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ კავშირშია მასთან „სინთეზური მსჯელობების ეს კანტისეული განსაზღვრება, თავისთავში ამკარა წინააღმდეგობრივია. ისეთი მსჯელობა, რომელშიც შემასმენელი, პრედიკატი სრულიად გაუცხოებულია ქვემდებარის, ანუ მსჯელობის სუბიექტის მიმართ, არის მცდარი, არარსებული მსჯელობა. შესაძლებელ და ჭეშმარიტ მსჯელობაში სუბიექტსა და პრედიკატს შორის ყოველთვის უნდა იყოს ნამდვილი დამოკიდებულება, მსგავსება, იგივეობაც კი“ (ქიქოძე, 1858: 140). გაბრიელ ქიქოძის აზრით, არსებობენ ისეთი მსჯელობები, რომლებშიც პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტის მიმართ და ასეთი მსჯელობები უარყოფითი მსჯელობებია, დადებით მსჯელობებში კი მსგავსი რამ შეუძლებელია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაბრიელ ქიქოძე ერთმანეთისგან არ გამორიცხავს ისეთ ლოგიკურ მოქმედებას, როგორცაა ანალიზი და სინთეზი, მეტაფიზიკურად არ აზვიადებს რომელიმე მათგანს, არც წყვეტს მათ ობიექტური სინამდვილიდან, განიხილავს მათ მჭიდრო კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. პირდაპირ მიუთითებს, რომ სინთეზი და ანალიზი წარმოადგენს სულის, ანუ გონების ერთიან, მთლიან მოქმედებას... თუ დავიყვანთ და არ გავაანალიზებთ სხვადასხვა წარმოდგენებს, ჩვენ ვერ შევძლებთ შევადგინოთ მათზე რაიმე მსჯელობა“ (ქიქოძე, 1858: 142). შემეცნების პროცესში, ფიქრობს ქიქოძე, ანალიზს მოსდევს სინთეზი, როგორც მისი აუცილებელი მომენტი და არა საფუძველი რაიმე დამოუკიდებელი განცალკევებული მსჯელობებისა.

გაბრიელ ქიქოძის ზოგიერთი გამონათქვამი ანალიზისა და სინთეზის, ანალიზური და სინთეზური მეთოდების შესახებ გვაფიქრებინებს, რომ თითქოს იგი აზვიადებს ანალიზის როლს და უარყოფს სინთეზის მნიშვნელობას, „ერთადერთ მეთოდს, რაც გვასწავლა ბუნებამ ცხოვრების პირველი დღიდანვე, რითაც ჩვენ ვიძინთ, ვამრავლებთ და ვამოწმებთ მთელ ჩვენს შემეცნებას, წარმოადგენს ანალიზი. ამ აზრს ადასტურებს განათლების მთელი ისტორია, ზუსტი საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებათა წარმატებები, ყველა ისინი ამ წარმატებებში მკაცრ ანალიზს უნდა უმადლოდეს“ (ქიქოძე, 1858: 145). გაბრიელ ქიქოძის ამ სიტყვებში, თითქოს მართლაც გაზვიადებულია ანალიზის როლი და უგულვებელყოფილია სინთეზის მნიშვნელობა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

გნოსეოლოგიურ შემეცნებით ასპექტში გაბრიელ ქიქოძე განიხილავს სინთეზს, როგორც ანალიზის აუცილებელ, თუმცა დაქვემდებარებულ მომენტს, ონტოლოგიურ ასპექტში კი სრულიად გამორიცხავს სინთეზს ანალიზისადმი დაქვემდებარებულობას, რაც ნათლად ჩანს ქვემოთმოყვანილ მის სიტყვებში: „შემოქმედმა უკვე მოაწყო ეს საუცხოო მანქანა ყველა მის ნაწილებში. მან უკვე მოახდინა სინთეზი, ჩვენ გვრჩება ანალიზის მოხდენის მოვალეობა“ (ქიქოძე, 1858: 63).

მსჯელობის შემდეგ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გაბრიელ ქიქოძე გადადის აზროვნების ისეთ ფორმის ანალიზზე, როგორცაა დასკვნა, დასკვნის უნარი, სხვა სიტყვებით, დასაბუთების ხელოვნება, რაც აუცილებელია მეცნიერებაში. მის მიერ მიჩნეულია სულის (ცნობიერების) შემეცნებითი უნარის გამოვლინებად, ადამიანის გონივრულობის გამომხატველად. გაბრიელ ქიქოძის აზრით, ყველა მეცნიერება თავის განვითარებას დასკვნის დასაბუთების უნარს უნდა უმადლოდეს. სწორედ ამ უნარის მეშვეობითაა შესაძლებელი, ხაზს უსვამს გაბრიელ ქიქოძე, სინამდვილის



განვითარების კანონების აღმოჩენა, მოვლენათა ახსნა. დასკვნა იძლევა შესაძლებლობას ერთი რიგი მოვლენების შესწავლის საფუძველზე ვიმსჯელოთ სხვა მოვლენათა შესაძლებლობის და სინამდვილის შესახებ.

გ. ქიქოძის განსაზღვრებით დასკვნა ეს არის მსჯელობათა სისტემა, რომელიც თავის თავში მალავს სხვა მსჯელობებს, უფრო ზუსტად, დასკვნა წარმოადგენს ცხადი მსჯელობებიდან მათში დაფარული მსჯელობების გამოვლინებას. გამოყვანილი მსჯელობები ყოველთვის წარმოადგენენ რალაც ახალს, ანუ დასკვნა აზროვნების ისეთი ფორმაა, რომელსაც მივყავართ ახალ ცოდნასთან. ის აფართოვებს და აღრმავებს ჩვენს ცოდნას ჩვენს ირგვლივ არსებული მატერიალური სინამდვილის და ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ.

მეცნიერებაში დასკვნის ყველაზე გავრცელებულ სახეებად ქიქოძეს მიაჩნია დასკვნა მიზეზიდან შედეგზე და შედეგიდან მიზეზზე.

გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებებს ლოგიკის საკითხებზე ჩვენ დავამთავრებთ აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ ავტორისეული მსჯელობების განხილვით. იგი აზროვნებას განიხილავს როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით მასთან აზროვნების ცნება გულისხმობს ცნობიერებას საერთოდ და მოიცავს ყველა სულიერ-ფსიქიკურ გამოვლინებას. ვიწრო სპეციფიკური გაგებით კი გაბრიელ ქიქოძე გულისხმობს შემეცნებით პროცესებს, რასაც ადგილი აქვს ცნობიერებაში, ანუ სამყაროს გრძნობადი და რაციონალური ათვისების ფორმებს.

„სიტყვა აზროვნება, არის ყველა სულიერი მოქმედების აღმნიშვნელი საერთო სახელი. ვიზუროვნოთ, ნიშნავს მივაქციოთ რამეს ყურადღება, ვიმსჯელოთ, ვიფიქროთ, ვაკეთოთ დასკვნები, შევიშუშაოთ ცნებები, გვექონდეს სურვილები, იმედები, ნებისყოფა, ერთი სიტყვით იაზროვნო ნიშნავს გამოავლინო სულის ყველა უნარი“ (ქიქოძე, 1858: 70). „აზროვნება ზოგადი გამოვლინებაა მთელი სულიერი შემოქმედებისა, კერძოდ კი, აზროვნების ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ცნობიერების მხოლოდ და მხოლოდ შემეცნებითი უნარები, ანუ წარმოდგენები, მსჯელობები დასკვნები და ასე შემდეგ“ (ქიქოძე 1858: 72). იგი აზროვნებას განიხილავს როგორც კანონზომიერ პროცესს, რომელიც ექვემდებარება ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ შემუშავებულ სამ კანონს: იგივეობის, წინააღმდეგობის და გამორიცხული მესამის კანონს. ამ კანონებს შორის გაბრიელ ქიქოძის აზრით, მთავარია წინააღმდეგობის კანონი. ამ კანონების დაცვა, ფიქრობს ქიქოძე, უზრუნველყოფს ჩვენი აზროვნების სისწორის გარანტიას. „აზროვნებას გააჩნია თავისი კანონები, თავისი ფორმები და წესები, რომლებსაც იგი აუცილებლობით ემორჩილება და მათგან გადახვევა ნიშნავს აზროვნებაში შეცდომების დაშვებას“ (ქიქოძე, 1858: 130). უმაღლესი ლოგიკური კანონი, რითაც უნდა შემონდეს ნებისმიერი მსჯელობის ჭეშმარიტება, რომელიც ავლენს ყველა იგივეობრივი მსჯელობის სისწორეს, არის წინააღმდეგობის კანონი... მისი ფორმულაა: არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე საგნის მიმართ რაიმე კიდევაც ვამტკიცოთ და კიდევაც უარყოთ, ანუ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ა არ არის ა. აზროვნების ყველა ეგრეთწოდებული კანონი წარმოადგენს წინააღმდეგობის კანონის სახესხვაობას. ა არის ა სხვანაირად ჩავვარდებით წინააღმდეგობაში, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ა არის და არც არის ა. იგივე ეხება გამორიცხული მესამის კანონს. საგნის მიმართ ან რაიმე უნდა ვამტკიცოთ ან რაიმე უნდა ვუარყოთ სხვა რამ, ანუ მესამე გამორიცხულია. რადგან ეს იქნებოდა წინააღმდეგობის დაშვება“ (ქიქოძე, 1858: 149-150).

გაბრიელ ქიქოძე არაფერს ამბობს საკმაო საფუძვლის ლოგიკურ კანონზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მტკიცედ მისდევს არისტოტელეს გზას და არ აფიქსირებს მას, როგორც აბსტრაქტული აზროვნების კანონს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გადაჭარბებულია ქიქოძის აზრი იმის შესახებ, თითქოს ლოგიკის კანონების დაცვა აზრთა ჭეშმარიტების უტყუარი გარანტიაა. ჩვენი აზრით, ამ კანონების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, გარანტიაა ჩვენი აზროვნების სისწორისა. რაც თავის მხრივ აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ჭეშმარიტი აზროვნების განხორციელებისათვის. ჩვენი

აზრით, დასაზუსტებელია აგრეთვე ქიქოძის მტკიცება იმის შესახებ, რომ აზროვნების კანონების კვლევა ლოგიკის ამოცანაა, ლოგიკა თავის მხრივ ნაწილია ფსიქოლოგიისა, ასეთი გაგება საფუძველს აცლის ლოგიკას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, რისი მტკიცებაც დაუშვებელია.

## დასკვნა

გაბრიელ ქიქოძის მოძღვრება მისი საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური, ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური და ლოგიკური მოსაზრებანი არ თავსდება არც ობიექტური იდეალიზმის ჩარჩოებში, რომელიც უზომოდ აზვიადებს სამყაროს იდეალურ მხარეს, არც სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისით, სადაც გადაჭარბებულადაა შეფასებული პიროვნების როლი. მითუმეტეს შეუსაბამოა გ. ქიქოძის მოძღვრება ვულგარულ-მეტაფიზიკურ, მჭვრეტელობით მატერიალიზთან, რომელშიც პიროვნებისა და იდეური სანყისის როლით თითქმის ნულამდეა დაყვანილი.

## კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდად გამოყენებულია ზოგადფილოსოფიური და მეცნიერული მეთოდი, რის საფუძველზეც ანალიზი უკეთდება გაბრიელ ქიქოძის შრომას „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. ბაქრაძე, ლოგიკა., თბ., 1951.
2. ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 3, თბ., 1954.
3. ე. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, თბ., 1990.
4. ნიკოლეიშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, თბ., 1990.
5. ო. ტაბიძე, ვ. გოგობერიშვილი, გ. ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები, (თარგმანი რუსულიდან), თბ., 1993.
6. გ. ქიქოძე, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები, კიევი, 1858.
7. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, თბ., 1955.

**ხათუნა შტაძე**

პედაგოგიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი,  
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ლანა კიკნაძე**

ჟურნალისტი, პროდიუსერი.

## **მასმედია საზოგადოებასა და პოლიტიკაში**

### **ანოტაცია**

**XXI** საუკუნეში მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და განსაზღვრავს საზოგადოების ხასიათს. ეს საკითხი დავის საგანს აღარ წარმოადგენს. ჩვენ სწორედ ამ აქტუალურ საკითხს მიმოვიხილავთ, თანამედროვეს და მნიშვნელოვანს, მედიის როლს საზოგადოებასა და პოლიტიკაში.

მედია გავლენას ახდენს პოლიტიკურ დღის წესრიგზე და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პლურალისტული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

რწმენა იმისა, რომ ტელევიზია ყოველს შემძლეა, იმდენად დიდია, ხშირად პოლიტიკური მოღვაწეები თვლიან, რომ, ვინც აკონტროლებს ტელემედიას, ის აკონტროლებს მსოფლიოს.

მასმედია, რაკი თვითონაც სოციალური ინსტიტუტია, იგი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით განშტოებულია საზოგადოების ყველა ფენასა და სტრუქტურაში. ამიტომ იგი, როგორც საზოგადოების ნაწილი, ეფექტურად მოქმედებს მთელზე, ამ უნარით მას ბევრი სოციალური ინსტიტუტი ვერ შეედრება. შესაბამისად არც თუ იშვიათად გამოხატულა ნეგატიური პოზიცია მედიის მისამართით.

ამდენად, ფუნდამენტური ცვლილებების გარეშე მედიის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების საფრთხე ყოველთვის იარსებებს.

**Khatuna Staadze**

*Doctor of Pedagogy, Lecturer  
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Academician of Georgian Academy of Educational Sciences*

**Lana Kiknadze**

*Journalist, Producer*

## THE MASS MEDIA IN SOCIETY AND IN POLITICS

### Abstract

In the twenty-first century, the media has a huge role in the political life of the modern society and it determines the mood of the society.

This issue is not disputable any more, thus we discuss the most actual, modern and essential subject, the role of the media in society and in politics. The media has an influence on the daily life of the politics and also has a huge role in building of a pluralistic society and the state.

There is a strong convection that the television has unbelievable power, due to this, politicians often think, that those who control the television, control the world.

Since, the mass media is a social institute itself, it is also a part of society, but unlike the other institutions, it is involved in all structures and in all classes of society. Due to this, as a part of society, it has a huge, effective influence overall and this characteristics make it different from the other institutions.

Accordingly, a negative position toward the media has been revealed rather often. Correspondingly, there will always be a risk of using the media as a political weapon.

## მასმედია საზოგადოებასა და პოლიტიკაში

მედია რომ დღეს XXI საუკუნეში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და განსაზღვრავს საზოგადოების ხასიათს, ეს საკითხი დავის საგანს აღარ წარმოადგენს. ის გავლენას ახდენს პოლიტიკურ დღის წესრიგზე და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პლურალისტული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

საქართველოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალების კულტურის და ყოფიერების სფეროში, უამრავი პრობლემა და თემატიკა ისახება. საჭიროა მათი გაანალიზება-განზოგადება, სიღრმისეული განხილვა. გასათვალისწინებელია, რომ ცხოვრების ამ დარგს ახასიათებს პრობლემურ-თემატური მრავალფეროვნება.

ჩვენ სწორედ ყველაზე აქტუალურ საკითხს მიმოვიხილავთ, თანამედროვეს და მნიშვნელოვანს – მედიის როლს საზოგადოებასა და პოლიტიკაში.

მედია, როგორც პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, განსაკუთრებით დიდ ძალას იძენს მაშინ, როდესაც ის ერწყმის პოლიტიკურ სფეროს. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პოლიტოლოგიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად მოიხსენიება ისეთი აღმატებული ტიტულებით, როგორებიცაა – „დიდი არბიტრი“, „მეოთხე ხელისუფლება“.

რწმენა იმისა, რომ ტელევიზია ყოველისშემძლეა, იმდენად დიდია, ხშირად პოლიტიკური მოღვაწეები თვლიან, რომ, ვინც აკონტროლებს ტელემედიას, ის აკონტროლებს მსოფლიოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ეს მოსაზრება ნამდვილად არაა რეალობასა და აზრს მოკლებული. ქართულ რეალობაში მედია საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს და დიდი გავლენითაც სარგებლობს.

ტელევიზია, რადიო და ჟურნალ-გაზეთები შუამავლების როლს თამაშობენ საზოგადოებასა და ინფორმაციას შორის. ყველაზე მთავარი და აუცილებელი პირობა მედიისათვის ნეიტრალურობის შენარჩუნებაა, რადგან მან უნდა გააშუქოს, ორმხრივი პოზიციები.

აღსანიშნავია, რომ დღეს ქართული მედიაგარემო პოლარიზებულია. საზოგადოებაში ის მიიჩნევა პოლიტიკოსების ხელში, როგორც პოლიტიკური იარაღი. მნიშვნელოვანი მედია საშუალებების მფლობელები და ხელმძღვანელები ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის ასოცირდებიან როგორც ხელისუფლებასთან ასევე ოპოზიციასთან.

სწორედ ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა მედიის აქტიური მომხმარებელია, მედია საშუალებების მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია. წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ იზრდება მედიის გავლენა საზოგადოებაზე – ტელევიზიებში, რადიოებსა და გაზეთებში აქტიურად შუქდება არჩევნებში მონაწილე პარტიების პოლიტიკური პროგრამები და მათი სამომავლო დაპირებები. ეს პერიოდი გამოირჩევა მკვეთრი დაპირისპირებით არა მარტო პოლიტიკურ ოპონენტებს შორის, არამედ პოლარიზებულ მედიასექტორს შორისაც. აქ სახელისუფლებო ტელევიზიების როლი – „რუსთავი 2“-მა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეითავსეს, (2003 წლიდან 2012 წლის ჩათვლით), რომელთაც მოგვიანებით (2012 წლიდან) „იმედიც“ შეემატა, ოპოზიციურ ფლანგზე კი თავის მხრივ „კავკასია“, „მაესტრო“ და „ობიექტივი“ რჩებოდნენ, რომლებიც სიხშირის სიმძლავრით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ კონკურენტებს. 2012 წლის დასაწყისში ე.წ ოპოზიციურ არხებს „მეცხრე არხიც“ შეურთდა. (ეს უკანასკნელი უკვე დახურულია).

პრესას უპრეზიდენტოდ ცხოვრება შეუძლია, პრეზიდენტი კი უმისოდ ფონს ვერ გავა. პრესის გარეშე ლიდერი დაბლოკილი ცხენივითაა – ვერ გაჭენდება, პრესა -სარკმელია, საიდანაც თვალნათლივ ჩანს პრეზიდენტის კაშკაშა ან მიბჟუტული ავტორიტეტი.

რაც მთავარია, პრესა კამერტონია, რომლითაც პრეზიდენტი და მისი აპარატი განსაზღვრავენ საზოგადოების განწყობას. (1, გვ. 3).

ქართული პრესა ძირითადად ოპოზიციურია, თუმცა, მოსახლეობის არამსყიდველუნარიანობის გამო (განსაკუთრებით, რეგიონებში) ისინი მკითხველზე გავლენას ვერ ახდენენ.

იგივე შეიძლება ითქვას ინტერნეტმედიაზე, რომლის გავრცელების არეალიც ასევე შეზღუდულია, რადგან ინტერნეტზე ყველას ხელი არ მიუწვდება. ერთი სიტყვით, ექსპერტთა აზრით, ქვეყნის მოქალაქეთა სრული უმრავლესობისთვის ინფორმაციის მიღების უფასო საშუალება სამი ტელევიზია – „რუსთავი-2“, „იმედი“ და პირველი არხია, რომლებიც სრულად ფარავენ რეგიონებს და რომლებსაც ხელისუფლება (ოპოზიციაც) აკონტროლებს. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ყველაზე დიდი აუდიტორია ტელევიზიას ჰყავს. მოსახლეობა სწორედ ამ გზით ეცნობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. რაც შეეხება თავად ტელემაუწყებლობას, დაახლოებით, ოცზე მეტი ქართული (მათ შორის რეგიონალური) ტელეკომპანია მოღვაწეობს ამჟამად საქართველოში და, სამწუხაროდ, ყველა მათგანი კერძო საკუთრებას წამოადგენს, გარდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არხი არცთუ ისეთი პოპულარულია ქართულ საზოგადოებაში, მას არ შესწევს იმის ძალა, რომ კონკურენცია გაუწიოს ისეთ ტელეარხებს როგორებიცაა: იმედი, რუსთავი 2.

დღეს ქართულ მედიაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის პოლიტიზირებულ ბუნებას, რომელიც სავარაუდოდ ნორმალურია დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომი განვითარებადი ქვეყნისათვის, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ უფრო მეტად იყოს დაბალანსებული ქართული მედია-საშუალებების სტრუქტურა და სამაუწყებლო ბაღე.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად შემოვიდა მიხეილ სააკაშვილი, მედია გაცილებით თავისუფალი და გავლენიანი იყო, ვიდრე დღეს არის. მაშინ მიხეილ სააკაშვილი ამბობდა, რომ საჭიროა გაჩნდეს თავისუფლების კუნძულები და შემდეგ მათი სივრცე თანდათან გაფართოვდეს. ასეთ კუნძულად შერჩეულ იქნა სასამართლო, რომლის თავდაპირველი რეფორმირების პროცესი მედიის ძლიერი მხარდაჭერით განხორციელდა, თუმცა სიტყვის თავისუფლება, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში წნეხის ქვეშ იყო, მედიის გარკვეული პროცენტი ანგაჟირებული იყო.

მიხეილ სააკაშვილმა გაპრეზიდენტების პერიოდში შეძლო, რომ პიკანტურ განზომილებას მატებდა „კულისებსმიღმა“ დინამიკა – ჟურნალისტებს და პოლიტიკოსებს შორის არაფორმალური, არაინსტიტუციური და ხშირად ქარაფშუტული ურთიერთობები. ერთობლივი მოგზაურობები, კოქტეილები, სადილები, „ჩოხა-ფართები“ და სხვა არაფერს ვამბობ ვულგარულობის და სიტუაციის მწვერვალ „მას-მოდაზე“ – წელიწადში ერთხელ მოდელეზად გადაქცეულ ჟურნალისტებზე, პოლიტიკოსების წინაშე, პოდიუმზე, კეკლუცად ყელმოღერებულები რომ გადი-გამოდიოდნენ და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოხდენილად უთხრიდნენ ძირს პროფესიულ ღირსებას თუ ჟურნალისტიკის ყველა სტანდარტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მედია-საშუალებათა დღევანდელი ლოგიკით მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს, შესაძლოა, ადამიანთა ინტიმური ცხოვრების დეტალებიც წარმოადგენდეს.

საინტერესოა, რამდენი მათგანი გაუშვებს მსგავს კადრებს პირდაპირ ეთერში?!

რამდენიმე წლის წინ, სოციალურ ქსელში ერთერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა, მედია სამსახურის ხელმძღვანელებს ლინკის სახით გადაეგზავნათ ვიდეო ამ სატყუარაზე მხოლოდ სააგენტო ინტერ პრეს ნიუსი წამოეგო და დაწერა იმ პიროვნების ვინაობა, ვინც ამ კადრებში მონაწილეობდა. ეს არის მედიისა და ხელისუფლების დანაშაული, რათა 21-ე საუკუნეში არცერთ ცივილიზებულ სამყაროში მსგავს შეცდომას არც მასმედია უშვებს და არც სახელმწიფო, ვინაიან თანამედროვე სამყაროში ადამიანების უფლებები უზენაესია და მისი თავისუფლება ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტი.

რა ხდება დღეს? შეიძლება ითქვას, რომ კვლავ ხელისუფლებას აქვს გავლენა ტელე მედიაზე.

რა იქნება მომავალში? პოლიტოლოგები, ჟურნალისტები და იურისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მომავალმა ჟურნალისტებმა უნდა შეიტანონ დიდი წვლილი დემოკრატიული საქართველოს

ჩამოყალიბებაში, რომლებსაც არ გაუვლიათ კომუნიზმის უაზრო ყოფა და მასთან ასოცირებული შიში. ისინი კრიტიკულად და ობიექტურად უნდა აფასებდნენ ქვეყანაში არსებულ მოვლენებს, საზოგადოებას აწვდიდნენ დროულ, ზუსტ და უტყუარ ინფორმაციას. სასურველია, საზოგადოების წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შექმნან ისეთი მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც გააკონტროლებენ ხელისუფლებას და მათ ქმედებებს.

მასმედია, რაკი თვითონაც სოციალური ინსტიტუტია, იგი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებით განშტოებულია საზოგადოების ყველა ფენასა და სტრუქტურაში. ამიტომ იგი, როგორც საზოგადოების ნაწილი, ეფექტურად მოქმედებს მთელზე, ამ უნარით მას ბევრი სოციალური ინსტიტუტი ვერ შეედრება.

ამ შემთხვევაში, იარსებებს ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი სიტყვის გამოხატვის თავისუფლება. „მეოთხე ხელისუფლებად“ წოდებულ მასმედიას საკმაოდ დიდი ძალა გააჩნია, მას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ქვეყნის წინსვლაში. ყოველი სტატია თუ რეპორტაჟი მოქალაქეებს შემეცნებისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებს, ამიტომ აუცილებელია სწორად და ობიექტურად გაშუქდეს ესა თუ ის მოვლენა, რადგან ეს ყოველივე ქვეყნისა და მისი საზოგადოების წინსვლის საწინდარია. ის დრო, როდესაც მედია სექტორი პოლარიზებული იყო და ტელე არხები გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური იარაღი, უნდა დასრულდეს. საქართველოს მოსახლეობას უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს ზუსტი ინფორმაცია და შემდეგ თავად განსაზღვოს რა რეაგირებას მოახდენს მასზე. მოვლენების ობიექტურად გაშუქება დაეხმარება მედიას მოსახლეობის თვალში აღიდგინოს ის ნდობა და რეპუტაცია, რაც დაკარგა ბოლო წლების განმავლობაში.

თვალნათლივია უკვე შესამჩნევი, რომ ბოლო ხანებში საქართველო ნამდვილად აღარ უჩივის ჟურნალისტების ნაკლებობას. კომუნიზმის დროს, საქართველოზე ამბობდნენ, რომ იგი ლამის პირველ ადგილზეა უმაღლეს დამთავრებულების (და არა უმაღლეს განათლებულების) მხრივ, ახლა ალბათ, პირველ ადგილზე ვიქნებით ჟურნალისტების რაოდენობით. თუმცა, კაცი რომ დააკვირდეს, ყველას, ვისაც ინტერნეტში გააჩნია თავისი საიტი, ბლოგი ან კიდევ განვერიანებულია სოციალურ ქსელებში, რაღაც დოზით მაინც არის ჟურნალისტი და ინტერნეტმა მართლა მისცა საშუალება ყველას თავისუფლად დააფიქსიროს თავიანთი პოზიცია და მოსაზრება. მეც არაერთხელ წამიკითხავს ბლოგერების მიერ გამოქვეყნებული საინტერესო პუბლიკაციები, რომელთან ახლოსაც, ნამდვილად, ვერ მივა ბევრი პროფესიონალი ჟურნალისტის ნააზრევი. პრესაში იქნება ეს თუ ტელევიზიაში, შესაბამისად არც თუ იშვიათად გამოხატულა ნეგატიური პოზიცია მედიის მისამართით.

დღევანდელი ქართული მედია სისტემა ძალიან ჰგავს დღევანდელ პოლიტიკურ სისტემას, პოლარიზებულია და რეალურ სურათს თითქმის არ ასახავს. ძნელია მიზეზებზე საუბარი, თუმცა, მედიის დამოკიდებულება ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაზე მინიშნებს თავისუფალი ეკონომიკის, ბიზნესის არ არსებობაზე, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ფუნდამენტური ცვლილებების გარეშე, მედიის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების საფრთხე ყოველთვის იარსებებს. თავად ჟურნალისტებმა უნდა ვიღონოთ რამე, რომ თანდათან, დროთა განმავლობაში, მივალნიოთ იმ პროფესიულ და ინსტიტუციურ მდგომარეობას, რომელშიც უკვე სტრუქტურულად გახდება შეუძლებელი ხელისუფალთა წინაშე გაკიცხულების როლში აღმოჩენა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მ. ჭედლიშვილი „ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა (რედაქციათა მუშაობის ორგანიზაცია და თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემა), თბ., 1999 გამომცემლობა „თსუ“.
2. ე. სურგულაძე, იბერი, „მასობრივი კომუნიკაცია“, გამომცემლობა საქართველოს მაცნე“, თბ., 2003.
3. ასლანიშვილი, „დღევანდელი ჩვენი მღელვარებისა“, გამომცემლობა „საუნჯე“, თბ., 2008.
4. გ. ბაუმი „იხსენით ძირითადი უფლებები“, მოქალაქის თავისუფლება და უსაფრთხოება, თარგმანი მ. ფანჯიკიძე, ფ.ნაუმის ფონდის გამომცემლობა, თბ., 2017.



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკოსკაიას ქ. 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com;